

ირაკლი გაბისონია
ჯემალ გაბელია
თეიმურაზ ღარსანია

სისხლის სამართლის კერძო
ნაწილი, ადამიანის სიცოცხლისა
და ჯანმრთელობის წინააღმდეგ
მიმართული დანაშაული

ლექციების კურსი

(წიგნი პირველი)

თბილისი
2018

წინასიტყვაობა

ნაშრომი იძლევა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედების ვრცელ, ამომწურავ განმარტებას. მისი შექმნისთვის გამოყენებულია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და მასალები საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს პირველი, მოკრძალებული ცდაა ამ ფორმატში სალექციო კურსის შექმნის. მისი მიზანია დაეხმაროს სამართლის მიმართულების ყველა საფეხურის სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კაზუსის ამოხსნისას შესწავლილი თეორიული მასალის გამოყენებაში.

**მთავარი რედაქტორი: სამართლის დოქტორი, პროფესორი
ნონა თოდუა**

რედაქტორები: პროფესორი, მიხეილ მამნიაშვილი,
ასისტენტ-პროფესორი ანა ფუტკარაძე,

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თეა შაყულაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი ალექსანდრე გიორგიძე.



ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“-ს ფარგლებში და მოცემულია ფაკულტეტის მხარდაჭერით.

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლების მქონე სუბიექტების წერილობით ნებართვის გარეშე. საავტორო უფლების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
თბილისი, მ.კოსტავას ქ.№75, ტელ:
ISBN 978.....

© ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ. დარსანია
© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს, რომ ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს უდიდეს ფასეულობას, ხოლო სახელმწიფოზე დაკისრებულია ვალდებულება აღიაროს და დაიცვას ეს უფლებები და თავისუფლებები.

კანონმდებლობის რეფორმის შედეგად, რაც ძირითადად 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით დაიწყო და დღემდე გრძელდება, უმთავრესი აქცენტი გადატანილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დემოკრატიული მექანიზმების სრულყოფაზე.

სისხლის სამართალი წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დარგს, რომლითაც რეგლამენტირებულია სახელმწიფოს დაცვითი ფუნქცია და რეალიზებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, გარემოს, კონსტიტუციური წყობილებისა და საერთაშორისო წესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ქართული სისხლის სამართლის წინაშე უამრავი თანამედროვე გამოწვევა დგას, რაც განაპირობებს მის მუდმივ განვითარებასა და დახვეწას. სწორედ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანების ჯეროვანი ანალიზი და დამუშავება უდევს საფუძვლად მის მუდმივ რეფორმირებას. ნოვაციებს საჭიროებს არა მარტო სისხლის სამართალი, როგორც სამართლისა და მეცნიერების დარგი, არამედ სწავლების მეთოდიკაც. მოცემული ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. უფრო კონკრეტულად, ეს არის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ პირველი მცდელობა ქართულ რეალობაში ლექციების კურსის შექმნისა, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას და თითოეული სალექციო თემის ირგვლივ კონკრეტული კაზუსების განხ-

ილვას. ლექციების ამ კურსში გაანალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოთავსებული დანაშაულებრივ ქმედებათა გარკვეული ჯგუფი. სახელდობრ, დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ აღნიშნულს დაეთმო წინამდებარე წიგნი პირველი, ხოლო - მეორეში, გაშუქებული იქნება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ნაშრომის მიზანია მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის რესურსების გათვალისწინებით სტუდენტს გამოუმუშავოს უნარი კრიტიკულად გაანალიზოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები შესაბამის სისხლისსამართლებრივ საკითხებზე და ფლობდეს ზოგად ცოდნას მსოფლიოს წამყვანი სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის შესაბამისი კანონმდებლობის თავისებურებებზე, ხოლო მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე მოახდინოს ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციის პრაქტიკულ-სამართლებრივი გადაწყვეტა.

წინამდებარე ლექციების კურსი შედგენილია განახლებული პროგრამის მიხედვით საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის საფუძველზე. სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით განხილულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და სისტემა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა, კერძო ნაწილის ნორმის სტრუქტურა, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გვარეობითი აღწერილობა და მისი ცალკეული სახეები. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემებიდან გამომდინარე, დამუშავებულია კონკრეტული კაზუსები, განხილულია ფაქტობრივი გარემოებები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. კონკრეტული კაზუსის ამოხსნის დროს გაანალიზებულია ქმედების ობიექტური შემადგენლობა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ნიშნები.

სიახლეა სალექციო თემის დამუშავებისას ძირითადი აქცენტის გადატანა შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყ-

ენებით თითოეული სტუდენტის მიერ კაზუსის (შემთხვევის) გააზრებაზე, შეკითხვის დამუშავებაზე, ჰიპოთეზის (სავარაუდო ვერსიის) შედგენასა და უშუალოდ კაზუსის ამოხსნისას შესაბამისი მსჯელობის შედეგად საბოლოო დასკვნის გამოტანაზე. ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული ქმედების სწორი კვალიფიკაცია. ხოლო შეკითხვის არასწორი გააზრება კი ჰიპოთეზის მცდარად შედგენის საფუძველი ხდება, რაც ძირითადად გავლენას ახდენს ქმედების სამართლებრივ შეფასებაზე.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სისხლის სამართლის სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია არა მარტო თეორიული საკითხების შესწავლაზე, არამედ უმეტესად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. წინამდებარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია, როგორც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის, ასევე, თავის მხრივ, ემსახურება იურისტების პროფესიულ ზრდას, იურიდიული განათლების ხელშეწყობასა და მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების შექმნას. ზემოთქმულის ნათელი მაგალითია ყოველწლიური პროექტი „ქმედებიდან დანაშაულამდე“, რომელშიც ძირითადად მონაწილეობს ბაკალავრიატის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები. მათ მოქმედი პროკურორები, გამომძიებლები, მოსამართლეები, ექსპერტები უკითხავენ ლექციებსა და უტარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს. ამის შემდეგ ისინი დამოუკიდებლად ათვალთვლებენ შემთხვევის ადგილს, იღებენ შესაბამის კვალს, ატარებენ ოპერატიულ-საგამომძიებო მოქმედებებს, უფრო სწორად, იძიებენ სისხლის სამართლის საქმეებს. მათ მიერ გამოძიებული საქმეების განხილვა ხდება საქალაქო და უზენაეს სასამართლოში, სადაც გამომძიებლის, პროკურორის, ადვოკატის, ექსპერტისა და სხვა პროცესის მონაწილეთა როლში გამოდიან უშუალოდ სტუდენტები. აქედან გამომდინარე, პროექტის დანიშნულება სისხლის სამართლის კურსში კონკრეტული და მიზანმიმართულია.

ნაშრომი ემყარება საქართველოს ტექნიკური უნივერ-

სიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების კერძო ნაწილის პროგრამას. სალექციო კურსი განკუთვნილია სამართლის ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტთა და ყველა იმ პირისთვის, ვისაც აინტერესებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები.

წიგნის გამოსაცემად მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მთავარი სპეციალისტი, მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი თამარ ბარამია, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

დაბოლოს, გვინდა გამოვხატოთ ჩვენი გულწრფელი მადლიერება ყველა იმ მეცნიერისა და პრაქტიკოსის მიმართ, ვინც თავისი მხარდაჭერითა და სამეცნიერო დისკუსიებით ხელი შეუწყო ამ წიგნის სრულყოფასა და გამოცემას. ასევე, მათ, ვინც გაეცნო ამ ნაშრომს და გამოთქვა ობიექტური შენიშვნები და წინადადებები ლექციების კურსში განხილული საკითხების გარშემო.

**ირაკლი გაბისონია
ჯემალ გაბელია
თეიმურაზ დარსანია**

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|-----------|
| წინასიტყვაობა..... | 3 |
| თავი I-საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, მიზნები და ამოცანები, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია..... | 11 |
| 1.სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, მიზნები და ამოცანები..... | 14 |
| 1.2.სისხლის სამართლის კერძო ნაწილის საგანი, კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა..... | 22 |
| 1.3.იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა..... | 30 |
| 1.4.ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება, კვალიფიკაციის პროცესი, სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენცია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მნიშვნელობა..... | 36 |
| საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკა..... | 50 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 51 |
| თავი II - ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება, სახეები და მათი ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება..... | 54 |
| 2.1.სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება..... | 55 |
| 2.2.სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება და სახეები..... | 62 |
| 2.3.მკვლელობის ცნება და ნიშნები..... | 66 |
| 2.4. განზრახ მკვლელობა, მკვლელობის გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობისაგან..... | 72 |
| საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა..... | 94 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 97 |
| თავი III - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 109-ე)..... | 99 |

| | |
|--|------------|
| 3.1.სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განზრახ მკვლევლობები..... | 102 |
| 3.2.სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული განზრახ მკვლევლობები..... | 112 |
| 3.3.სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული განზრახ მკვლევლობები..... | 132 |
| საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა..... | 158 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 162 |

თავი IV - მკვლევლობა შემამსუბუქებელ გარემოებებში ცნება და სახეები.....164

| | |
|--|------------|
| 4.1.მკვლევლობა მსხვერპლის თხოვნით (მუხლი 110-ე)..... | 165 |
| 4.2.განზრახ მკვლევლობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 111-ე)..... | 175 |
| 4.3.დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლევლობა (მუხლი 112-ე)..... | 193 |
| 4.4.მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით (მუხლი 113-ე)..... | 198 |
| 4.5.მკვლევლობა დამნაშავეს შეპყრობის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 114-ე)..... | 213 |
| საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა..... | 216 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 218 |

თავი V - დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ, თვითმკვლევობამდე მიყვანა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.....221

| | |
|---|------------|
| 5.1.თვითმკვლევობამდე მიყვანა (მუხლი 115-ე)..... | 223 |
| 5.2.სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხლი 116-ე)..... | 233 |
| საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა..... | 246 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 249 |

თავი VI - ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება, სახეები და მათი ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება.....251

| | |
|---|------------|
| 6.1. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება და სახეები..... | 255 |
| 6.2. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117-ე)..... | 258 |
| 6.3. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118-ე)..... | 283 |
| 6.4. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (მუხლი 120-ე)..... | 290 |
| 6.5. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, გაუფრთხილებლობით (მუხლები 121-ე, 122-ე, 123-ე, 124-ე)..... | 293 |
| 6.6. ძალადობა, ოჯახში ძალადობა (მუხლები 126-ე, 126 ¹ -ე)..... | 307 |
| საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა..... | 322 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 326 |

თავი VII - ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულის ცნება, სახეები და მათი ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება.....328

| | |
|--|-----|
| 7.1. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (მუხლები 127-ე, 128-ე, 129-ე, 130-ე)..... | 332 |
| 7.2. შიდსის შეყრა, განსაკუთრებით საშიში, ინფექციური დაავადების შეყრა (მუხლები 130-ე, 131-ე)..... | 357 |
| 7.3. უკანონო აბორტი (მუხლი 133-ე)..... | 367 |
| 7.4. სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (მუხლი 133 ¹ , 133 ²)..... | 371 |
| 7.5. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება, სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, გენეტიკური მანიპულაცია (მუხლები 134-ე, 135-ე, 135 ¹ -ე, 136-ე)..... | 383 |

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა.....400
 გამოყენებული ლიტერატურა.....402

თავი VIII-ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
 საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში.....404
 გამოყენებული ლიტერატურა.....428

თავი I

საქართველოს სისხლის სამართლის

**კერძო ნაწილის ცნება, მიზნები და
 ამოცანები, ქმედების დანაშაულად
 კვალიფიკაცია**

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია და, ამდენად, სამართლის ზოგადი ნიშნებისაგან მოწყვეტილი არაა. კერძოდ, სისხლის სამართალიც, ისევე როგორც სამართალი საზოგადოდ, განსაზღვრული ნორმების, ანუ ქცევის წესების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს გარკვეულ ურთიერთობებს. სისხლის სამართლის ნორმა, ისევე როგორც სამართლის ნორმა, სახელმწიფოებრივად სავალდებულო ქცევის წესია და იგი საზოგადოების ყველა დელიქტუნიანი პირის მიმართ ვრცელდება (თუმცა, როგორც ასაბუთებენ, ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება შეურაცხადმაც კი ჩაიდინოს). სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირზეც.

სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს სისხლის სამართალი. კონკრეტულად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა — სისხლის სამართლის კოდექსი, საერთაშორისო ხელშეკრულება.

სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისთანავე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან სახელმწიფოს უფლება აქვს, მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დასაჯოს ბრალეული ქმედების ჩამდენი, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია, აგოს პასუხი და მოიხადოს სასჯელი. ამრიგად, სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას ორი სუბიექტი ჰყავს — სახელმწიფო და ბრალდებული. ორივე უცვლელი სუბიექტია. არც ერთის გამორიცხვა შეიძლება და არც მეორის. ერთი მხრივ, ყოველთვის სახელმწიფო ახორციელებს მინიჭებულ უფლებებს სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით,

ხოლო, მეორე მხრივ, ბრალეული ქმედების ჩამდენი პირი თვითონ აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის. იმისათვის, რომ სახელმწიფომ მისი უფლება გამოიყენოს და დასაჯოს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი, ხოლო ამ უკანასკნელმა აგოს პასუხი და მოიხადოს სასჯელი, საჭიროა, მას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (ჩვენთან — პარლამენტის) მეშვეობით დადგენილი ჰქონდეს, თუ რომელი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ითვლება ქვეყანაში დანაშაულად და რა სახის სასჯელი, რა ზომით შეიძლება იქნეს გამოყენებული ყოველი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირთა მიმართ. დანაშაულთა ჩამონათვალი კანონში უნდა იყოს ამომწურავი. ე.ი. მართლსაწინააღმდეგო ბრალეულად შეიძლება შეფასდეს ის ქმედება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, როგორც წესი, ტრადიციული არ არის. მართალია, ხშირადაა მსჯელობა სისხლის სამართლის ნორმაზე, ამ ნორმის მეშვეობით მართლწესრიგის დაცვაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი სახელმწიფოსა და პიროვნების იმ ურთიერთობაზე, რაც დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს ემსახურება. ამის გამო გერმანელი კოლეგები წინააღმდეგობაში ვარდებიან. მაგალითად, კ. როქსინი ხაზგასმით ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სამართლებრივ სიკეთეს და მას დანაშაულის მატერიალური ცნების ასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს.¹ მაგრამ, გაურკვეველია, რა გზით, რა ხერხით ხდება დანაშაულებრივი ხელყოფისგან სამართლებრივი სიკეთის დაცვა? თუ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვა სასჯელის გამოყენებით ხდება. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ სასჯელის გამოყენება დანაშაულს უკვე ჩადენილად გულისხმობს? თუ დანაშაული უკვე ჩადენილია, მაშინ სადღაა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სისხ-

1 C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. München, 2006., a. 14-15.

ლისსამართლებრივი დაცვა?

დანაშაული, როგორც იურიდიული ფაქტი, რომელიც თითქოს ქმნის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას სახელმწიფოსა და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირს შორის, ინვეეს აზრთა სხვადასხვაობას. უფრო მეტიც, ცალკეული მეცნიერი თვლის, რომ თუ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ქმნის სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის ჩადენამდე სახელმწიფოსა და პიროვნების სისხლისსამართლებრივი კავშირი არ არსებობს. მაშინ როგორაა შესაძლებელი ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა?

დანაშაული, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ის სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან წარმოიშობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის².

მაშასადამე, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, დანაშაულის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს. უფრო მეტიც, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა ძირშივე ეწინააღმდეგება არაბრალეულობის პრეზუმფციას, რადგან ბრალდებული, თავისი პროცესუალური მდგომარეობით, არაბრალეულია იქამდე, ვიდრე ეს მისი არაბრალეულობა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით არ იქნება გაბათილებული და იგი ბრალეულის სამართლებრივ მდგომარეობაში არ ჩადგება.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კანონმდებლობას ძირითადად საფუძვლად უდევს გერმანული სისხლისსამართლებრივი დოქტრინისა (კანონმდებლობისა) და გერმანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული თეორიული დებულებები და მიმართულებანი.

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით უარყოფილ იქნა სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკო-

2 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბ., 1997., გვ. 36.

ლის მოძღვრება, რითაც დასჯადად იყო გამოცხადებული როგორც ქმედება, ასევე ამ ქმედების ჩამდენი პიროვნება. კანონმდებელმა გაიზიარა გერმანული სისხლის სამართლის კლასიკური სისტემა, რომელიც არის მხოლოდ ქმედების სამართალი. კლასიკურ სისტემას, ანუ დანაშაულის კლასიკურ ცნებას, საფუძვლად უდევს მოქმედება, როგორც გვაროვნული ნიშანი. სწორედ მას უკავშირდება „შემადგენლობისადმი შესაბამისობა“, „მართლწინააღმდეგობა“ და „ბრალეულობა“, როგორც სახეობრივი ნიშნები³.

დანაშაულობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის კანონს, რადგანაც სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება, როგორც ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, ისე საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროებისა და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა. ასევე, - კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 1).

1.1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, მიზნები და ამოცანები

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომელიც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრინციპებსა და დებულებებთან შესაბამისობაში ადგენს პასუხისმგებლობას დანაშაულის ცალკეული სახეებისათვის, ამ დანაშაულთა შემადგენლობის კონკრეტული ნიშნების განსაზღვრისა და მათზე შესაბამისი სასჯელის დადგენის გზით⁴

3 თ. დონჯაშვილი. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2007., გვ. 9.

4 ზ. ნულაია, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი. პირველი ტომი. გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ., 2000., გვ. 3.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილით: 1) დგინდება იმ ქმედებათა წრე, რომელიც დანაშაულადაა მიჩნეული; 2) განისაზღვრება დანაშაულის ცალკეული შემადგენლობის ნიშნები და ის სასჯელები, რომელიც შეიძლება დაენიშნოს პირს შესაბამისი დანაშაულის ჩადენისას.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ჩამოთვლილია დანაშაულის კონკრეტული სახეები, ასევე აღწერილია, თუ რა შინაარსის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) ჩაითვლება მართლწინააღმდეგოდ და ბრალეულად, ე.ი დანაშაულად. მეცნიერულ ტერმინების გამოყენებით თუ ვიმსჯელებთ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი განსაზღვრავს ცალკეული დანაშაულის შემადგენლობას- დისპოზიციას, ასევე აწესებს სასჯელის ზომას - სანქციას, რომელიც უნდა შეეფარდოს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენს. მარტივად თუ ვიტყვით, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ზუსტად ადგენს, სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი როგორი მოქმედება ან უმოქმედობა, რა ფორმით უნდა დაისაჯოს.

სისხლის სამართალი შედგება ორი ნაწილისაგან: ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილში მოცემულია დანაშაულის ყველა შემადგენლობისათვის საერთო ცნებები და ნიშნები, მისი გამოკვეთილი პრინციპები და ინსტიტუტები⁵.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად პირველად საფრანგეთის 1791 წლისა და 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსებით მოხდა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესაც არსებობს ისეთ სახელმწიფოთა კანონმდებლობა, სადაც ამგვარი დაყოფა არ არსებობს, ან საერთოდ არ არის კოდიფიცირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ უკანასკნელის მაგალითად გამოგვადგება დიდი ბრიტანეთი, სადაც საერთო სამართლის პრინციპების შესაბამისად, 20-მდე კანონი არსებობს, რომელიც აწესრიგებს სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს. არ არის კოდიფიცირებული არც მუსლი-

5 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2014., გვ:3

მური სისხლის სამართალი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს კოდიფიცირებულ აქტთან ერთად⁶. თავდაპირველად სისხლის სამართლის ნორმები გაბნეული იყო ზოგადი ხასიათის სამართლებრივ აქტებში. ასეთი აქტები შეიცავდა განსაზღვრულ ერთობლიობას, რომელთა მიზანს ადამიანთა მრავალფეროვან ურთიერთობათა რეგულირება წარმოადგენდა. საამისო მაგალითად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი გამოდგება. ამრიგად, სისხლის სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება შეიძლება სამ თვისობრივად განსხვავებულ ეტაპად დავეყოთ. პირველ ეტაპზე, როდესაც სახელმწიფო ყალიბდებოდა, დანაშაულებრივ ქმედებებს ებრძოდა კერძო „შურისმაძიებელი“, რომელიც ჩვეულებებითა და ტრადიციებით ხელმძღვანელობდა. მეორე ეტაპზე მოქმედებდა, როგორც დაუნერელი (ჩვეულებითი), ისე დაწერილი სამართალი. ხოლო მესამე ეტაპზე, რომელიც დღემდე გრძელდება, მოქმედებს მხოლოდ დაწერილი სამართალი. მას კოდიფიცირებული სამართალი ეწოდება.

კერძო ნაწილში მოცემული ნორმების ანალიზი და მათი შეთავსება ზოგადი ნაწილის ნორმებსა და პრინციპებთან ამა თუ იმ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოძიების დროს გვაძლევს უტყუარ გარანტიას, დავადგინოთ, იკვეთება თუ არა პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ მთლიანობას წარმოადგენს. მათი ერთიანობა განისაზღვრება ერთი და იმავე ამოცანების არსებობით, რაც მიზნად ისახავს ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. კერძო ნაწილი კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში თავის ფუნქციას ასრულებს ზოგადი ნაწილის ნორმებზე დაყრდნობით. ასე, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში აღწერილია ყაჩაღობის ნიშნები, რომელიც აღნიშნულ ქმედებას განმარტავს, როგორც

⁶ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2014, გვ:5

თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ძალადობის გამოყენების მუქარით. მაგრამ იმისათვის, რომ პირი პასუხისმგებლობაში იყოს მიცემული ყაჩაღობისათვის, აუცილებელია ზოგადი ნაწილის ნორმების გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, შეურაცხადობას, ბრალს, თანამონაწილეობას და ა.შ. ასევე, ეს დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე. ცხადია, რომ სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას ასევე უნდა იხელმძღვანელოს ზოგადი ნაწილის ნორმებით, ყურადღება მიაქციოს დანაშაულის კატეგორიას და, აქედან გამომდინარე, სასჯელის შეფარდების სპეციფიკას. ამავე დროს დადგენილი უნდა იქნას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები და ა.შ.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი არის სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი ელემენტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სისხლის სამართალში დომინირებს სუბიექტური შერაცხვის პრინციპი, რომლის არსიც იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო — ბრალეული ქმედება.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი არის სისხლის სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს დანაშაულებრივ ქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს და სასჯელს მათი ჩადენისათვის, ამასთან, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სპეციალურ სახეებსა და ცალკეულ სისხლის სამართლებრივ დებულებათა განმარტებებს.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1)სისხლისსამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა; 2)ამასთან ერთად გვაქვს სისტემატიზირებული ერთობლიობა; 3)ნორმებში განმარტებულია კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები; 4)ნორმებში მოცემულია სასჯელების სახე და ზომა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი ჩადენისათვის; 5)ზოგიერთ ნორმაში გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სპეციალური სახეები; 6)ზოგი მათგანი კი შეიცავს კონკრეტულ ნორმაში გამოყენებულ დებულებათა განმარტებას.

სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები- მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა სისხლის სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილ ნუსხას. მასში მხოლოდ ზოგადი ნორმათაა გადმოცემული, რომ მისი მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის I მუხლი).

სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთობ გართულებულია. თუმცა დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილების ამოცანა პირდაპირ გამომდინარეობს სისხლის სამართლის ნორმებიდან, რომლებიც აღიარებენ სასჯელის გამოყენებაზე სახელმწიფოს უფლებასა და უზრუნველყოფენ მის განხორციელებას. ამრიგად, ეს ამოცანა პირდაპირ უკავშირდება სასჯელის ძირითად მიზანს, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილებაში, ანუ პრევენციაში მდგომარეობს, ეს ლოგიკურიცაა. სისხლის სამართალს დამნაშავეობასთან საბრძოლველად გარდა სასჯელისა, რაიმე სხვა საშუალება არ გააჩნია. მეორე ძირითადი ამოცანა - მართლწესრიგის დაცვა სისხლის სამართლის ნორმების დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარეობს. თუმცა, უმთავრესი ამოცანა სისხლის სამართლისა — არის ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ. დამნაშავეობის

წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით გადწყვეტა კი უშუალოდ არის დაკავშირებული კანონმდებლობის სტაბილურობასთან.

უფრო ვრცლად, სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

სისხლის სამართლის ისეთი ნორმების დადგენა, რომელთა დროული გამოყენება ხელს შეუწყობს ქმედების სწორ კვალიფიკაციას, დანაშაულის სწრაფ გახსნასა და მის თავიდან აცილებას. ასევე, მართლწესრიგის დაცვასა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა-განმტკიცებას; კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემასა და ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრებას; სისხლის სამართლის კანონით დადგენილი პრინციპების დაცვასა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას, როგორც წესი, სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია დანაშაულის თავიდან აცილებაზე, უფრო ეფექტური იქნებოდა ბრძოლა დანაშაულობათა მიზეზებთან (სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ სამართლებრივი მიქანიზმები), ვიდრე ბრძოლა უკვე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებასთან, როგორც შედეგთან. ვინაიდან, როდესაც საუბარია დანაშაულის თავიდან აცილებაზე, იგულისხმება დანაშაულებრივი ხელყოფა სისხლისსამართლებრივი ნორმით დაცულ ობიექტზე - მისი დაზიანება ან განადგურება. რაც შეეხება მართლწესრიგის დაცვას, რომელიც, ასევე, არის სისხლის სამართლის მიზანი და ამოცანაც, ძირითადი ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული კანონიერების დაცვაზე პირადასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ყოველგვარ საქმიანობაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალი საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების დაცვის მიზანს ემსახურება. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მიზანი და ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ აღინიშ-

ნა, დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილების გზით უნდა განხორციელდეს. თუმცა, თუ სისხლის სამართლის სუბიექტმა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ შეასრულა და დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა, მაშინ მას სახელმწიფო აიძულებს ამ მოთხოვნას დაემორჩილოს (ნორმის საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ფორმით) და ნორმის სავალდებულო ძალის ზემოქმედების საშუალებით განიცადოს.

დაბოლოს, პროფილაქტიკური ამოცანების გადაწყვეტა ხდება: სისხლის სამართლის კანონის ერთიანი პრევენციით, სასჯელის საერთო და სპეციალური პრევენციით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფორმებით, ქმედითი მონაწილების ნორმებით, ნორმებით რომლებიც გამორიცხავს ქმედების დანაშაულებრიობას.

სისხლის სამართლის მეცნიერება — ეს არის დანაშაულისა და სასჯელის შესახებ შეხედულებების, მოსაზრებებისა და დასკვნების გარკვეული სისტემა.⁷

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კანონმდებლობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, ახალი კოდექსის მიღებისა და მოქმედ სისხლის სამართლის კანონებში ცვლილებათა შეტანის დასაბუთება, კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის გარკვევა და სხვ. ამ ამოცანის შესრულება უნდა მოხდეს მასშტაბური კომპლექსური გამოკვლევების საფუძველზე, რაც უნდა ჩატარდეს იურისტების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მიერ და უნდა დაეყრდნოს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, ზნეობრივ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საფუძველებს.⁸

სისხლის სამართლის მეცნიერება კერძო ნაწილის შესწავლისას ეყრდნობა მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდს

7 თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2007., გვ:25

8 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2014., გვ:7

და იყენებს ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, კონკრეტული, სოციოლოგიური, ლოგიკურ-იურიდიული, გრამატიკული და კვლევის სხვა მეთოდებს. იგი ეფუძნება სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემებს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე. ასევე, სისხლის სამართლის მეცნიერებაში სათანადო ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობას.

რაც შეეხება საერთოდ სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანებს, თანამედროვე ეტაპზე ის შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1) სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ფუნდამენტალური პრობლემატიკის დამუშავება და მის საფუძველზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა;

2) სასჯელის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურობის შესწავლა;

3) სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

4) კანონიერებისა და მართლწესრიგის გამყარების მიზნით სისხლის სამართლის სოციოლოგიის პრობლემების შესწავლა;

5) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების პრობლემატიკის შესწავლა;

6) დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზებული ფორმების გამოვლინების ანალიზი;

7) დანაშაულის სუბიექტის და დანაშაულთა სიმრავლის კვლევა.

1.2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის საგანი, კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი არა მარტო სისხლის სამართლის შემადგენელი ელემენტია, არამედ ის არის სისხლის სამართლის მეცნიერების ორგანული, შედარებით დამოუკიდებელი ნაწილი. სისხლის სამართლის მეცნიერების ამ ნაკვეთის საგანია იმ ნორმათა შესწავლა, რომლებიც ქმნიან კერძო ნაწილის, როგორც მთელი სისტემის, ისე მისი ცალკეული ნორმების ეფექტურობას. მასვე ეკუთვნის ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემათა დამუშავება და მათი გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესება.

პროფ. გ. ნაჭყებიას მოსაზრებით, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის საგნის ცნებაში იგულისხმება ის საზოგადოებრივი ყოფიერება, რომელზედაც სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა უშუალო ზემოქმედებას ახდენს — ესაა პოლიტიკური ასპექტი, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების სფეროში ყოველთვის არსებობს. დასკვნა, რომელსაც იძლევა ავტორი, ასეთია: სისხლის სამართალი აწესრიგებს არა მთელ პოლიტიკურ ურთიერთობას, არამედ პოლიტიკური ურთიერთობის იმ მხარეს, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილების სფეროში იქმნება. სისხლის სამართლის მეცნიერების საგნად მკვლევარი კანონშემოქმედებით ურთიერთობას მიიჩნევს (განსხვავებით ვ. კუდრიავცევის, ი. დემიდოვისა და ო. შიშოვისაგან, რომელთაც სისხლის სამართლის მეცნიერების საგნად სისხლის სამართლის კანონმდებლობის აგებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებები მიაჩნიათ)?

სისხლის სამართლის მეცნიერების კერძო ნაწილის საგნად გვევლინება ნორმათა შესწავლა უფრო კონკრეტულად. საუბარია იმ ნორმებზე, რომლებიც კერძო ნაწილს ქმნიან,

9 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, გვ:29

მათი გამოყენების პრაქტიკა, ნორმათა სისტემატიზაცია, თანამედროვე ეტაპზე ახალი კანონმდებლობის შექმნა, მოქმედი კანონების სრულყოფა და პრაქტიკაში მათი გამოყენების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანია ის სისხლის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობიან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთანავე და დაკავშირებულნი არიან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თეორიული საკითხების დამუშავებასა და სასჯელის შერჩევა-გამოყენებასთან. ყოველივე ეს ხდება იმ სამართლის დარგებთან მჭიდრო კავშირში, როგორცაა კრიმინოლოგია, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა, ასევე, სასჯელალსრულებისა და ადმინისტრაციული სამართალი.

როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ხოლო დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ შესაბამისი ქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით. ეს ნიშანი პირდაპირ დაკავშირებულია კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პროცესთან.

კრიმინალიზაცია ნიშნავს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ქმედების დანაშაულად მიჩნევას, ე.ი. ამ ქმედების ჩადენისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. დეკრიმინალიზაცია კი ნიშნავს კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისათვის დაწესებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას¹⁰

კრიმინალიზაციის ძირითად ფაქტორად ითვლება საშიშროება. კანონმდებლობა ისეთ ქმედებას აცხადებს დანაშაულად, როგორც არსებით ზიანს იწვევს ან შეიცავს რეალურ საფრთხეს პიროვნების, საზოგადოების ან სახელმწიფოსათვის. გარდა ამისა, სათვალავში უნდა იქნას მიღებული ის, თუ რამდენად გავრცელებულია შესაბამისი ქმედება. წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული კრიმინალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების თანაფარდობა.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალიზაცია შეიძლება გამოწ-

10 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, გვ:114

ვეული იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგებით, რასაც შეუძლია მავნე ზეგავლენა მოახდინოს ეკოლოგიურ პროცესებზე, გარემოსა და ადამიანის ცხოვრების პირობებზე. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 297-ე მუხლი საგანგებოდ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მიწის გაუფარვისებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ქმედების კრიმინალიზაცია შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებით, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ის სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც მიმართულია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების დაცვისაკენ. ისინი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 კარში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ამასთან დაკავშირებით საქართველოში განხორციელებულმა ცვლილებებმა ერთგვარი ზეგავლენა მოახდინეს დამნაშავეობის სახესა და მის დინამიკაზე, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ახალ სისხლის სამართლის კოდექსსა და, პირველ რიგში, მის კერძო ნაწილში. ზოგიერთმა ქმედებამ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით დაკარგა სოციალური საშიშროება, რის გამოც მოხდა მათი დეკრიმინალიზაცია. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ახალი კოდექსის მიღებამდე სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა ისეთი ნორმები, რომლებიც არ პასუხობდნენ ქვეყანაში გასატარებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს. მოხდა სპეკულაციის, კერძო მენარმეობის საქმიანობის, კომერციული შუამავლობისა და ზოგიერთ სხვა ქმედებათა დასჯადობის გაუქმება. ამასთან ერთად, ახალმა ნეგატიურმა სოციალურმა მოვლენებმა, რომლებმაც თავი იჩინეს ჩვენ გარშემო, საჭირო გახადეს რიგ ქმედებათა კრიმინალიზაცია¹¹

შეიძლება გამოვყოთ კრიმინალიზაციის და დეკრიმინალიზაციის შემდეგი კრიტერიუმები:

1) ობიექტური პროცესების ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ საკანონმდებლო და პრაქტიკის გამოყენე-

¹¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2014., გვ:10

ბის ცვლილებების აუცილებლობას;

2) სხვადასხვა სახის გარემოებებიდან (პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა) გამომდინარე, სამართლებრივი რეგლამენტაციის დასაშვებობის შესწავლა;

3) ცვლილების განხორციელების შედეგად დასახული მიზნის მიღწევის რეალური შესაძლებლობა.

რაც შეეხება კრიმინალიზაციის და დეკრიმინალიზაციის ხერხებს, სისხლის სამართლის კერძო ნაწილთან მიმართებაში, ის შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახით:

1) სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შეცვლა კრიმინალიზაციასთან მიმართებაში გულისხმობს გარკვეული ქმედების დანაშაულად ცნობას, მათი შემადგენლობის, როგორც დანაშაულის ნიშნების აღიარებით. ასეთი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს: ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ახალი დანაშაულის შემადგენლობის შეტანით; ბ) სისხლის სამართლის კოდექსში უკვე არსებული დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტის გაფართოებით ან ამ ელემენტების ახალი ნიშნების დამატებით. ეს უმეტესად ხდება დაზარალებულთა წრის შევსებით; დანაშაულის შემადგენლობის ფარგლების გაფართოებით, დანაშაულის ჩადენის ახალი ხერხების ჩართვით; დანაშაულის სუბიექტების წრის შევსებით, დანაშაულის შემადგენლობაში დანაშაულის საგნის გაფართოების ხარჯზე; დასჯადი ქმედების შედეგების ხასიათისა და მოცულობის შეცვლით.

2) სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლების დეკრიმინალიზაციას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ა) სისხლის სამართლის კოდექსიდან დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ამოღება, ბ) დანაშაულის შემადგენლობის ფარგლების შევიწროება, დაზარალებულთა წრის შეზღუდვა, დანაშაულის სუბიექტთა წრის შეზღუდვა, კონკრეტული შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ხასიათისა და ფარგლების შეზღუდვა, დანაშაულის ჩადენის ხერხების შემცირება და სხვ.

კრიმინალიზაციის და დეკრიმინალიზაციის ზემოთ მოყ-

ვანილი ხერხები, რა თქმა უნდა, ამომწურავი არაა.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა- კოდექსში სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმები გარკვეული წესით არის განლაგებული, რაც მთლიანობაში მის სისტემას ქმნის. იგი დაყოფილია კარებად, თავებად და მუხლებად. კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში იგულისხმება მისი სტრუქტურა და განლაგების თანმიმდევრობა გვარეობითი, სახეობითი და უშუალო ობიექტების ერთიანობის ნიშნის მიხედვით¹²

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კურსის სისტემა სრულიად არ ემთხვევა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემას. ამიტომაც სისხლის სამართლის კოდექსსა და სახელმძღვანელოებში თავების ნუმერაცია ერთნაირი არ არის. სასწავლო ლიტერატურაში პირველ და დამოუკიდებელ თავად გამოყოფილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, საგანი და სისტემა. ამასთან, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სხვადასხვა კარი მათი მოკლე მიმოხილვით იწყება. კერძო ნაწილის სისტემას აქვს არა მარტო გამოყენებითი, იურიდიულ-ტექნიკური მნიშვნელობა, არამედ იგი ნათლად გამოკვეთს კოდექსით დაცული სოციალურ სიკეთეთა იერარქიას; ასევე, კარების, თავებისა და მუხლების ურთიერთკავშირს.

ისტორიულად კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში პირველი ადგილი ეთმობოდა სახელმწიფო მეთაურის, სახელმწიფო წესწილობილებისა და რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ასე იყო ჯერ კიდევ ხამურაბისა და მანუს კანონებში, მსგავსი სისტემითაა აგებული შუა საუკუნეების სამართლის ნიგნებიც, საფრანგეთის 1810 წლის კოდექსი, გერმანიის 1871 წლის კოდექსი და გასული საუკუნეების სხვა სისხლის სამართლის კოდექსებიც მიჰყვებიან ასეთ თანმიმდევრობას.

თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებმა შეცვალეს სამართლით დაცულ ღირებულებათა იერარქია. ამ მხრივ, სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ტენდენცია

¹²ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამოცემა "მერიდიანი"-თბ., 2016., გვ.21

შეინიშნება. ზოგიერთ სახელმწიფოში წინა პლანზეა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ზოგიერთში კი — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. მაგალითად, შვედეთის 1965 წლის კოდექსმა პირველი ადგილი დაუთმო დანაშაულს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ხოლო ესპანეთის 1995 წლის კოდექსმა კი ლალატსა და სხვა სახელმწიფო დანაშაულებს მიაქცია მეტი ყურადღება.

საქართველოს 1961 წლის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი იწყებოდა სახელმწიფო დანაშაულით, რომელიც შედგებოდა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისა (მაგალითად, სამშობლოს ლალატი, ჯაშუშობა და სხვ.) და სხვა სახელმწიფო დანაშაულისაგან (მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება, მასობრივი არეულობა, ბანდიტიზმი და სხვ.). უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგ ქმედებათა სახელმწიფო დანაშაულად კლასიფიკაცია ყოველთვის გამართლებული არ იყო, ვინაიდან ამგვარი დაყოფა უარყოფდა დანაშაულთა გვარეობითი ობიექტების დიფერენციაციის კრიტერიუმს და მათ განლაგებას საშიშროების ხარისხის მიხედვით. ცნობილია, რომ სახელმწიფო დანაშაულთა გვარეობით ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მისი ხელშეუვალობა და უშიშროება მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფო დანაშაულებში აღმოჩნდა საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

სისხლის სამართლის ადრინდელ კოდექსში ასევე გაუმართლებელი იყო სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მოთავსება. სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო მკაცრად იცავდა სახელმწიფო საკუთრების ინტერესებს. ამ კატეგორიის ქმედების ჩამდენი პირიც უფრო მკაცრად ისჯებოდა.

ამჟამად მოქმედი კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა შეესაბამება ღირებულებათა კონსტიტუციურ ტრიადას: პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო. კოდექსში პირველ

ადგილზეა მოთავსებული „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“ (სსკ-ის მე-7 კარი). რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში მას პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს უწოდებენ, რაც ზუსტად არ ასახავს რეალობას, ვინაიდან აქ საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვას მისი დაბადების მომენტიდან, როდესაც ის პიროვნებად ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ასევე შეურაცხად პირსაც, რომელსაც სულიერი დაავადების შედეგად დაკარგული აქვს პიროვნული თვისება¹³.

მე-8 კარი ეძღვნება ეკონომიკურ დანაშაულს, სადაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ერთად მოთავსებულია ე.წ. სამენარმეო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა ეკონომიკურ დანაშაულთა შორის ისეთ დანაშაულთა გათვალისწინება, რომლებიც ადრე მოქმედ კოდექსში არ არსებობდა ან კიდევ სხვადასხვა თავებში იყო მიმოხეული.

მე-9 კარში, რომელიც მოცულობით ყველაზე დიდია, მოცემულია დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. მასში დაჯგუფებულია ისეთი დანაშაულებები, რომლებიც ადრე ცალკე არ არსებობდნენ. მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაული, სატრანსპორტო დანაშაული და კომპიუტერული დანაშაული.

მე-10 კარი ეთმობა დანაშაულს, რომელიც მიმართულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ.

მე-11 კარში ასახულია დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ კარში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავს ტერორიზმის შესახებ.

მე-12 კარი შეეხება დანაშაულს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა ამ დანაშაულთა ცალკე გვარეობითი ობიექტების გამოყოფა.

¹³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამოცემა „მერიდიანი“-თბ., 2016., გვ.34.

მე-13 კარში მოცემულია დანაშაული სამხედრო სამსახურის შესახებ.

მე-14 კარი კი ეხება დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს კარი სრულიად ახალია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მის ნორმებში ასახულია იმ საერთაშორისო კონვენციათა მოთხოვნები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო არის მიერთებული და ვალდებულია უზრუნველყოს მათი პრინციპების სისხლისსამართლებრივი დაცვა.¹⁴

უცილებლად უნდა შევეხოთ საკითხს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სისხლის სამართლის კოდექსის ბოლოში მოთავსების შესახებ. ამ საკითხზე სხვადასხვანაირი მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ამ ქმედებათა კოდექსის ბოლოში განლაგება განპირობებულია არა მათი საფრთხის სათანადოდ შეუფასებლობით, არამედ ასეთი ქმედებების იშვიათობით და იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსი, უპირველესად, მიმართულია ნაციონალური ინტერესების დასაცავად. მეცნიერთა სხვა ჯგუფი ასეთ განლაგებას მიუღებლად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები უნდა მოთავსდნენ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის დასაწყისში, რადგან ასეთი დანაშაულები ტრანსნაციონალური ხასიათისაა და საფრთხეს უქმნიან ან ხელყოფენ კაცობრიობის არსებობის პირობებს, ცივილიზაციის შენარჩუნებას, რაც უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ინდივიდის დაცვა. ამასთან ისეთ ქვეყნებში, რომლებიც აღიარებენ საერთაშორისო ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიმატს და, აქედან გამომდინარე, ნაციონალურ კანონმდებლობასთან მიმართებაში საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების შესრულებას, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით სისხლის სამართლის კერძო ნაწილის გახსნა, პრიორიტეტული უნდა იყოს (მაგალითად, ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწყება მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით).

¹⁴ Уголовное Право Российской Федерации, Особенная часть, М., 2014;

საერთაშორისო დანაშაულის საფრთხის მნიშვნელობის შესახებ საკითხი ეჭვს არ იწვევს. ყველა თანხმდება იმაში, რომ ასეთი დანაშაულები ხასიათდება მომეტებული საშიშროებით, მაგრამ მათი ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში განპირობებული უნდა იყოს იმ ამოცანებით, რომლებიც დაისახეს კანონმდებლებმა სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის შექმნისას ამ მეცნიერების შინაარსის ზოგადი პოლიტიკიდან გამომდინარე.

დაბოლოს, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი მთავრდება მე-15 კარით, რომელიც მოიცავს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.

1.3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

2006 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველო შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც იზიარებენ და აღიარებენ იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. კანონმდებლის მიერ გააზრებული და გათვალისწინებული იქნა უცხოეთის ქვეყნებში საზოგადოდ დამკვიდრებული იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოდელი, რომელთა გავლენითა და მაგალითზე სს კოდექსში ჩამოყალიბდა შესაბამისი შინაარსის დებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების მიღებას წინ უძღოდა ცხარე დებატები მეცნიერი-იურისტთა შორის. საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ავტორებმა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეა აღიარეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისტორიული წინაპირობა არ არსებობდა. ქართული ტრადიცია და იურიდიული დოქტრინა აღიარებს რა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, უარყოფს კოლექტიურ პასუხისმგებლობას, რაც რომაული ცნობილი პრინციპიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ კონტინენ-

ტური ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში არ არის მიღებული (ცნობილი) იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს პოზიცია ძირითადად ეფუძნება ბრალეულობის პრინციპს. მე-20 საუკუნიდან მოყოლებული იურიდიული დოგმატიკა აღიარებს იურიდიული ბრალის აბსოლუტურობას. ბრალი ინდივიდუალური კატეგორიაა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი — მკაცრად პერსონალურია¹⁵.

მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იკვეთება კოლექტიური ბრალის მხარდაჭერის იდეა. აღნიშნული უმთავრესად განაპირობა კეთილსინდისიერი და თავისუფალი კონკურენციის მომხმარებელთა უფლებების, შრომის უსაფრთხოების, ასევე, ტრანსპორტზე უსაფრთხოების სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესების აუცილებლობამ. ეკონომიკური დამნაშავეობის ახალმა ფორმებმა ეს საკითხი უფრო აქტუალური გახადა. დღეისათვის ხშირია ისეთი დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რაც გულისხმობს მისთვის სხვადასხვა შეღავათების მოტანას, ანდა იურიდიული პირის გამოყენებით სიკეთის მიღებას. იურიდიული პირები არც თუ იშვიათად ჩართულნი არიან ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ტერორიზმის დაფინანსება და სხვ.

იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების აუცილებლობას (ძირითადად სამეურნეო დანაშაულისათვის) ასაბუთებენ იმ არგუმენტით, რომ იურიდიული კორპორაციის შიგნით ამ საზოგადოების ცალკეული წევრების ინდივიდუალურ ნებაზე ზემოქმედებას ახდენს მძლავრი ფაქტორები. პირველ ყოვლისა, აქ მხედველობაშია კორპორაციული ინტერესები. ხშირად ინდივიდს საწარმო უბიძგებს უმალ გააკეთოს არჩევანი იმ საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, სადაც იგი ცხოვრობს, რომ არაფერი ვთქვათ საწარმოს მიერ შექმნილ პირობებზე, იძულებაზე, რომ მუშაკი ეკუთვნოდეს დიდ ოჯახს და არ გაუცრუოს

¹⁵ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.22.

იმედები კორპორაციას. კრიმინოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ კორპორაციული ინტერესების გადაჭარბებული შეფასება ასუსტებს შემაკავებელ მოტივებს ინდივიდუალური მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის აღსაკვეთად¹⁶.

მხედველობაშია მისაღები მტკიცების პროცესის სირთულეც. ხშირად შეუძლებელია იმ კონკრეტული პირის დადგენა, ვინც ჩაიდინა უშუალოდ სამართალდარღვევა, რის გამოც კორპორაციის მმართველი პერსონალი ერთმანეთს დებს ბრალს. სინამდვილის დადგენა კი ხშირად შეუძლებელი ხდება, მით უფრო, როცა საწარმოს მმართველთა მოვალეობები მკაფიოდ არაა რეგლამენტირებული და გამიჯნული. ზოგჯერ ისიც ძნელი დასამტკიცებელია, რომ კორპორაციის წევრს დაევალა სპეციალური მოვალეობის განხორციელება, რაც აუცილებელი პირობაა პერსონალური პასუხისმგებლობისათვის.

კოლექტიური ბრალის აღიარების თეორიული სირთულის გამო ის ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ კორპორაციათა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (ინგლისი, ჰოლანდია, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვა) გარკვეულ დათქმას აკეთებენ იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. ასე, მაგალითად, კომპარატივისტიები შემდეგ სამ პირობას ასახელებენ: 1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები, როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირია; 2. განსაკუთრებულ ტექსტში კეთდება იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლისთვისაც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრება; 3. ეს დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს ფიზიკური პირის მიერ და მას უნდა ეკავოს დირექტორის თანამდებობა; ა) ზოგჯერ მითითება ხდება იურიდიული პირის „ორგანოებზე“, პასუხისმგებელ პირებზე; ბ) დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს იურიდიული პირის სასარგებლოდ¹⁷.

თუმცა, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პა-

16 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.24.

17 ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან) თბ., 1999., გვ.228.

სუხისმგებლობა არ დგება აბსოლუტურად ყველა დანაშაულისათვის, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომელიც პირდაპირ მითითებულია კოდექსში. ამ დანაშაულთა წრე, როგორც აღვნიშნეთ, დღეს საკმაოდ ფართოა. ფრანგული კანონმდებლობით იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ეკონომიკური, ეკოლოგიური, კაცობრიობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. თუმცა, კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული წინაპირობები:

1. დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს იურიდიული პირის სახელით და

2. დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს იურიდიული პირის მმართველი ორგანოების ან ხელმძღვანელობის მიერ.

გერმანელ იურისტთა უმრავლესობის მიერ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მიჩნეულ იქნა იურიდიულ აბსტრაქციად. ამიტომ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული რეგლამენტაცია მართალია არსებობს, მაგრამ ცალსახად ფორმალური ხასიათისაა. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საწარმოებს, ორგანიზაციებს მათი საქმიანობის სახისა და ობიექტის მიუხედავად, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა კრედიტის მიღებასთან დაკავშირებით თაღლითობისათვის, თუმცა აღნიშნული ნორმის თანახმად, დაისჯება ის, რომელმაც ქმედება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თაღლითობა პირადად განახორციელა. არაფერი არ არის ნათქვამი თვით იმ საწარმოზე, რომლის ინტერესებისთვისაც ეს განხორციელდა.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში დანერგვის აუცილებლობა განპირობებულია იმ საერთაშორისო კონვენციებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი ამ კონვენციებთან. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს ინტეგრაცია ერთიან ევროპულ სამართლებრივ სივრცეში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6¹ კარით განისაზღვრა ის პირობები, რომელთა არსებობისას იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დადგინდა იურიდიულ პირთა მიმართ გამოსაყენებელ სასჯელთა სახეები, მათი გამოყენებისა და აღსრულების წესი და პირობები, ამომწურავად განისაზღვრა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. ამასთანავე, უცხოური გამოცდილების გაზიარებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით, ან/და მის სასარგებლოდ პასუხისმგებელი პირის მიერ. პასუხისმგებელ პირად მოიაზრება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.

მიუხედავად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარკვეულწილად შეზღუდულობისა, ცხადია, მაინც პრობლემად რჩება იურიდიული პირის ბრალუნარიანობა. სავსებით ვეთანხმები, პროფესორ ქეთევან ქოქრაშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი საკითხი საჭიროებს შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, არა მხოლოდ ისტორიულ ძროში, არამედ განვითარებული ქვეყნების თანამედროვე კანონმდებლობის ანალიზისა და პრაქტიკის განზოგადების კუთხითაც¹⁸.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირი წარმოდგენს გარკვეულ იურიდიულ ფიქციას, მის მიმართ ბრალის ცნების პირდაპირ გამოყენება შეუძლებელია. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ იურიდიული პირის ბრალი ხორციელდება მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის ბრალეული ქმედების

18 ქ. ქოქრაშვილი, იურიდიული პირი-სისხლის სამართლის სუბიექტი (ისტორიული ასპექტები), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-4 საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ქართული კანონმდებლობის პრობლემატიკა“, თბ., 2016., გვ. 3-5.

განხორციელებით. მაგალითად, ინგლისში ეს ცნობილია, როგორც “გაიგივების (იდენტიფიკაციის) პრინციპი”. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში – კორპორაციის უმაღლესი თანამდებობის პირის ქმედება მიიჩნევა, როგორც ამ კორპორაციის ქმედება. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება არა ჩანაცვლება, არამედ კორპორაციის პირადი პასუხისმგებლობა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ იურიდიული პირი პასუხს აგებს, როგორც ამსრულებელი და, თუ თანამშრომელი გამოდიოდა როგორც თანამონაწილე, მაშინ კორპორაციაც პასუხს აგებს თანამონაწილეობისათვის.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უფრო დამახასიათებელი იყო საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, თუმცა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ ქვეყანას შემოაქვს მოცემული ინსტიტუტი თავის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ეს ძირითადად განაპირობა ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის გამკაცრების აუცილებლობამ, რადგან როგორც აღმოჩნდა კორპორაციის მუშაკთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მცირე დოზითაც ვერ ანაზღაურებს მიყენებულ ზიანს და ვერ ახდენს ახალი ანალოგიური დანაშაულის ჩადენის პრევენციას.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სულ უფრო პოულობს მხარდაჭერას საერთაშორისო დონეზე. ჯერ კიდევ 1929 წლის ბუქარესტის სისხლის სამართლის საერთაშორისო კონგრესი მოუწოდებდა ასეთი პასუხისმგებლობის დანესების აუცილებლობისკენ. 1978 წელს ევროპის საბჭოს დანაშაულობათა პრობლემატიკის კომიტეტი ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლებს მოუწოდებდა იურიდიული პირი ეღიარებინა ეკოლოგიური დანაშაულების სუბიექტად. ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტი ამ პრობლემატიკასთან მიმართებაში იყო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (88)18, რომელიც შეეხებოდა იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ამ ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას. მი-

უხედავად ამ რეკომენდაციებისა, ქვეყნების უმრავლესობას ჯერ კიდევ საკმარისად მიაჩნიათ სამართალდამრღვევი იურიდიული პირის მიმართ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

1.4. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება, კვალიფიკაციის პროცესი, სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენცია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მნიშვნელობა

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომისათვის, აუცილებელია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, რომელიც, თავის მხრივ, არის სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების დებულებათა სწორად გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

გამოყოფენ კვალიფიკაციის ორ ფორმას ლეგალურს და დოქტრინალურს. ლეგალური კვალიფიკაცია ხორციელდება სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მჭიდრო ერთობლიობით. სისხლის სამართალი განსაზღვრავს კვალიფიკაციის არსს, ხოლო საპროცესო ნორმები იძლევა შესაძლებლობას მიეცეს მას ოფიციალური სახე. ამრიგად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ხორციელდება პროცესის მთელ სტადიაზე. დოქტრინალური კვალიფიკაცია გამოხატავს მეცნიერთა შეხედულებებს და მოცემულია სპეციალურ ლიტერატურაში. ასეთი კვალიფიკაცია ეხმარება პრაქტიკოსებს ქმედების შეფასებაში, მაგრამ არ ატარებს აუცილებელ ხასიათს.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია წარმოადგენს შემეცნებით ლოგიკურ პროცესს ან შედეგს, რომელიც მოიცავს ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების სრულ შესაბამისობაში მყოფი ნორმის “პოვნას” სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. იმისათვის, რომ სწორი იურიდიული შეფასება მივცეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ე.ი. მოვახდინოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, საჭიროა გარკვეული

ცოდნა. პირმა, რომელიც ქურდობას აფასებს დანაშაულად და ახდენს მის კვალიფიკაციას, აუცილებელია იცოდეს: დანაშაულის ზოგადი ცნება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ბრალი, ქმედების სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა, გარემოებები, რომლებიც გამოორიცხავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დანაშაულის ჩასადენად მზადებისა და მისი ჩადენის მცდელობისათვის; დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობის საკითხები, დანაშაულთა რეალურ და იდეალურ ერთობლიობათა შინაარსი, კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივ დაჯგუფებათა სახეები.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემა მეტად აქტუალურია, რადგან მისი ტრადიციული გადაწყვეტა თეორიულ და პრაქტიკულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ამ თვალსაზრისით, საკმარისი იქნებოდა თვით ტერმინ „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციული გამოთქმის მოკლე ანალიზიც კი. მართლაც, თუ ქმედება უკვე „დანაშაულია“, მაშინ რა საჭიროა მისი კვალიფიკაცია. მაშასადამე, საჭიროა თვით დანაშაულის ტრადიციული ტერმინისა და ცნების ახლებურად გაგება, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს არა „დანაშაული“, არამედ ქმედება, რომელიც ჯერ არაა დანაშაული. ცხადია, ჩადენილი ქმედება შეიძლება ფაქტობრივად დანაშაულია, მაგრამ იურიდიულად მისი ოფიციალურად კვალიფიკაციის გარეშე იგი დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია მოითხოვს დანაშაულის შემადგენლობის ცოდნას (რომელიც ყოველთვის დასრულებული სახითაა მოცემული), შემდეგ განხორციელებული ქმედების მასთან შესაბამისობის კვალობაზე უნდა განისაზღვროს, დამთავრებულია დანაშაული თუ არა. თუ არ არის დამთავრებული, მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: „რომ იცოდე რა გაკლია, უნდა იცოდე რა გაქვს“¹⁹. ე.ი. რომ ვიცოდეთ, თუ რა არის დაუმთავრებელი და-

19 გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხი., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992., გვ. 150.

ნაშაული, უნდა ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაულის არსი. არც ისაა დასამალი, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, უმრავლეს შემთხვევაში, არ წარმოადგენს სირთულეს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული საკითხის გადწყვეტა საკმაოდ რთულია, რა დროსაც პრაქტიკოს იურისტებს თეორიის გამოყენება სჭირდებათ ხოლმე.

„სისხლის სამართლის თეორიაში, — აღნიშნავს მ. ლეკვეიშვილი, კვალიფიკაცია გაგებულია ორგვარად: როგორც დანაშაულის შედეგად კონკრეტული ნიშნების შესაბამისობის დადგენის პროცესი და ასევე ქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა“. არსებითად აქ არ არსებობს წინააღმდეგობა, ვინაიდან შესაბამისობის დადგენის პროცესის შედეგი ქმედების ზუსტი სისხლისსამართლებრივი შეფასებაა. ამის საილუსტრაციოდ, მოჰყავს შესაბამისი მაგალითი: „თუ საქმეზე დადგენილი იქნება, რომ პირმა: 1) ხელყო მსხვერპლის სიცოცხლე; 2) ხელყოფა უშუალოდ მიმართული იყო მისთვის სიცოცხლის მოსასპობად (იარაღიდან გასროლა), მან გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი და იყო მისი უშუალო და მთავარი მიზეზი; 3) პირი მოქმედებდა სიცოცხლის მოსპობის განზრახვით, ხოლო მოქმედების მოტივს წარმოადგენდა შურისძიება; 4) პირი იყო შერაცხადი და კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული, ქმედება ქმნის მკვლელობის დანაშაულის შემადგენლობას და დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით²⁰.

ისიც ცხადია, რომ დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება. რომელიც ჯერ არ უდრის დანაშაულს და ამიტომაც საჭირო მისი კვალიფიკაცია დანაშაულად²¹.

მაშასადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნებების გამიჯვნას მოითხოვს. უამისოდ შეუძლებელია გამოძიებისა და სასამართლოს საქმიანობის გამიჯვნაც. ცხადია, ეს ამო-

20 მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2006., გვ. 17.

21 გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია. თბ., 2010., გვ. 8.

ცანა საკმაოდ რთულია, მაგრამ მეცნიერება სიძნელეების დასაძლევად იქმნება. მეცნიერების ამოცანა სწორედ ისაა, რომ მან პრაქტიკასა და მის სუბიექტებს სწორი ორიენტაცია მისცეს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნების ლოგიკა მარტოოდენ დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის შემადგენლობის გამიჯვნის პრობლემით არ ამოიწურება; კერძოდ, ამ ცნების მკაცრი, ლოგიკური შინაარსის თანახმად, ქმედებას, რომელიც დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისია, დანაშაულად აკვალიფიცირებს მხოლოდ სასამართლო.

თუ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად, ქმედებას დანაშაულად აკვალიფიცირებს სასამართლო, მაშინ რაში მდგომარეობს გამოძიების ფუნქცია? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია ბრალის პრობლემემატიკაზე. კერძოდ, ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას მოითხოვს. სხვაგვარად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია. მაგრამ თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებია, მაშინ ეს ფორმები ბრალს იმდენად არ წარმოადგენს, რამდენადაც ფორმა შინაარსი არ არის. მაშასადამე, ბრალი მისი გამოვლენის ფორმებზე არ დაიყვანება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, რომელიც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტისაგან შედგება: I. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, ანუ ქმედების შემადგენლობა; II. მართლწინააღმდეგობა; III. ბრალი.²²

ნებისმიერი ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს დანაშაულის სამივე ელემენტის შემცველი უნდა იყოს. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სამი ელემენტიდან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში განხორციელებული ქმედება დანაშაულად ვერ შეფასდება. უფრო მეტიც, თუ სახეზე არაა ფაქტობრივად განხ-

22 მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011., გვ. 54.

ორციელეული ქმედების ნიშნების შემცველი დანაშაულის შემადგენლობა, მაშინ არც მის მართლწინააღმდეგობაზე შეიძლება საუბარი. შესაბამისად, თუ ქმედება არაა მართლწინააღმდეგო, მაშინ ბრალის არსებობაზე ვერ ვიმსჯელებთ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმთავრესია სტუდენტმა თეორიული ცოდნა გამოიყენოს კონკრეტული საქმის გარემოებების შესწავლის, კაზუსის ამოხსნისა და დასკვნის სამართლებრივად დასაბუთების მიზნით. კაზუსის ამოხსნა ბუნებრივია ყოველთვის ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლით იწყება, რომელსაც სამართლებრივი საკითხების გამოკვლევის ფაზა მოსდევს. კაზუსის ამომხსნელმა პირველ ეტაპზე უნდა გადანიშნოს, თუ რომელი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს იძლევა ფაქტობრივი გარემოებები და ქმედების განხორციელების რომელი ფორმა უნდა გახდეს მსჯელობის, განსჯის საგანი (მაგალითად, მოქმედება თუ უმოქმედობა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა).²³

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი იმ სამართლებრივი ნორმების მოძიების წინაპირობაა, რომლის საფუძველზეც უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნა. დასკვნა უნდა პასუხობდეს ჰიპოთეზაში გადმოცემულ პრობლემას, ამავე დროს, დასკვნა უნდა იყოს კატეგორიული, რაც შეეხება კაზუსის ამოხსნას, იგი უნდა დასრულდეს ისეთი შედეგით, სადაც ცალსახად უარყოფილია ან დადასტურებულია ჰიპოთეზაში დაყენებული ვარაუდი. ქმედების კვალიფიკაცია უნდა იყოს ამომწურავი, რასაც მივალწევთ იმ შემთხვევაში, როდესაც დასმულ შეკითხვაზე არგუმენტირებულად ყოველმხრივ იქნება გაცემული პასუხი. საბოლოო დასკვნაში მითითებული უნდა იყოს სსკ-ის მუხლი (მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი) მცდელობა თუ მომზადება, დახმარება თუ წამქეზებლობა და ა.შ. კაზუსის ამოხსნის დაწყებამდე საჭიროა გაკეთდეს შემთხვევის (კაზუსის ამოხსნის წინასწარი სქემა) დანაშაულის სამსაფეხურიან მოდელზე აგებული კაზუსის ამოხსნის სქემა, რომელიც ერთგვარი ორიენტირია, სადაც იქნება

23 ი. ველესი. ბ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა) თბ., 2010., გვ.525-526.

წარმოდგენილი მსჯელობები გაშლილი სახით. საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ძირითადად კაზუსები დაკავშირებულია ობიექტური შერაცხვის პრობლემატიკასთან, მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთოს სურს თავიდან მოიშოროს თავისი ყოფილი შეყვარებული კესო, მოკვლის განზრახვით იგი ჩაუსაფრთდა სამსახურიდან მომავალ კესოს და ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, თუმცა მხოლოდ დაჭრა. დაჭრილ კესოს ავტომანქანამ გადაურა, რის შედეგადაც იგი ადგილზევე გარდაიცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ კაზუსის ამოხსნისას არ არის გამორიცხული შედეგი იყოს დამდგარი, მაგრამ საეჭვოა მისი ობიექტური შერაცხვა. ასეთ ვითარებაში კაზუსის ამოხსნა ყოველთვის დამთავრებული დანაშაულის სქემით უნდა დავიწყოთ, ხოლო შემდეგ, კითხვიდან გამომდინარე, უნდა დავაყენოთ ჰიპოთეზა მცდელობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დაისვას ასეთი კითხვა: დაისჯება თუ არა ავთო სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კაზუსი შედეგის ობიექტურად შერაცხვის პრობლემატიკას ეხება, შესაბამისად, მისი ამოხსნა უნდა დავიწყოთ შესაბამისი ვერსიების წამოყენებით:

- პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):
შესაძლებელია, ავთომ აღნიშნული ქმედებით განახორციელა განზრახ მკვლელობა (სსკ-108-ე მუხლი).
- ქმედების შემადგენლობა
- ქმედების ობიექტური შემადგენლობა
- ქმედების სუბიექტი- ავთო
- ქმედების ობიექტი- სხვისი სიცოცხლე (კესოს სიცოცხლე)
- ქმედება და შედეგი: შედეგი დამდგარია - კესო მკვდარია.

-მიზეზობრივი კავშირი - ქმედებასა და დამდგარ შე-

დეგს შორის, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (კონდიციონის ფორმულის) მიხედვით, არსებობს, რადგან ავთოს მსხვერპლი ცეცხლსასროლი იარაღით რომ არ დაეჭრა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კესო არ დაიღუპებოდა.

-ქმედების ობიექტური შერაცხვა: პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. ავთოს მიერ შექმნილ საფრთხეს არ შეეძლო გამოეწვია კონკრეტული შედეგი-კესოს სიკვდილი. დამდგარი შედეგი, სხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგია, ამიტომაც, ავთოს დამდგარი შედეგი, კესოს სიკვდილი, ობიექტურად არ შეერაცხება.

-მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე არაა კაზუსში საუბარი.

-ბრალი

ქმედება ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან, ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში ნახსენები.

-შუალედური დასკვნა: ავთო პასუხს არ აგებს კესოს მკვლელობისათვის სსკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით.

კაზუსის ამოხსნისას დეტალურად უნდა განვიხილოთ დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ყველა ნიშანი, თუ რომელიმე ნიშანი არა გვაქვს, მაშინ ვაკეთებთ შესაბამის დასკვნას. დასკვნაში კი კონკრეტულად მითითებული უნდა იყოს, გვაქვს თუ არა საქმე დამთავრებულ განზრახ მკვლელობასთან. კონკრეტულად, პასუხს აგებს თუ არა ავთო სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობისათვის. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედეგი - კესოს სიკვდილი უშუალოდ ავთოს ქმედებას არ გამოუწვევია, იგი პასუხს არ აგებს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობისათვის.

-მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, ავთომ ცეცხლსასროლი იარაღით კესოს დაჭრით განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსის მე-

19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება - განზრახ მკვლელობის მცდელობა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, ქმედება მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად. მოქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მაშინაა მიმართული, როდესაც სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულ საფრთხეშია ჩაყენებული. ავთომ ცეცხლსასროლი იარაღით კესოს დაჭრით სიცოცხლის მოსპობის საფრთხე შექმნა და ამით მცდელობის ობიექტური მხარე განახორციელა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა ავთომ იცოდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით მსხვერპლი გარდაიცვლებოდა და მას სურდა კიდეც ეს. იგი ამ შედეგის განსახორციელებლად მოქმედებდა.

-მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობების გამომრიცხველ გარემოებებზე არაა კაზუსში საუბარი. ავთოს ქმედება იყო მართლწინააღმდეგო.

-ბრალი

ქმედება ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან, ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული.

-საბოლოო დასკვნა: ავთომ ცეცხლსასროლი იარაღით კესოს დაჭრით განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, განზრახ მკვლელობის მცდელობა.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესი. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების საკითხი გულისხმობს იმის დადგენას, თუ რა ძირითად პროცესუალურ ფორმებში ხორციელდება ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის რთული და მრავალმხრივი პროცესი. გასაგებია, რომ საქმე ეხება გამოძიებისა და სამართლოს საქმიანობის ძირითად ეტაპებს.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პირველი ეტაპი

ინყება გამოძიების პროცესუალური წესის მიხედვით. გამოძიების დაწყების მომენტისათვის ეს სავარაუდო და წინასწარი კვალიფიკაცია და გულისხმობს ჩადენილი ქმედების საერთო ანალიზს - დანაშაულის შემადგენლობის პირველადი ნიშნების დადგენას, საჭიროების შემთხვევაში ხდება ძიების გაღრმავება და გაფართოება ახალი ნიშნების გამოსავლენად. მეორე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე დადგენილების გამოტანა. მესამე ეტაპი კი მთავრდება ბრალდების წაყენებით. ხოლო მეოთხე ეტაპი არის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა. მოცემული საქმე თუ გამამტყუნებელი განაჩენით მთავრდება, მაშინ ამ ეტაპზე უფრო ღრმად და სრულად ხდება ფაქტების დადგენა და ანალიზი, რომელთაც ეძლევა საბოლოო სოციალური და იურიდიული შეფასება. გამამტყუნებელი განაჩენით გამოხატული ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულად — ესაა საგამოძიებო და სასამართლო საქმიანობის შედეგი. ამასთან, არ არის გამორიცხული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის შემდგომი დაზუსტება, ანდა შეცვლა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში.

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მთელი პროცესი უნდა დასრულდეს. სუბიექტის ბრალის დადგენაზეც ისინი ამ ასპექტიდან გამომდინარე საუბრობენ. სუბიექტის ბრალს კი ადგენს სასამართლო, ხოლო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ხდება მხოლოდ გამოძიების სტადიაზე. ცხადია, ამ სტადიაზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ შეიძლება დასრულდეს, რადგან ქმედება დანაშაულად ვერ ჩაითვლება სასამართლო კვალიფიკაციის გარეშე. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე პირი თავისი პროცესუალური მდგომარეობის მიხედვით, მაინც არაბრალეულია.

სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენცია. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი ნორმების კონ-

კურენციის საკითხის სწორ გადაჭრას. ასეთი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც ჩადენილი ქმედება ზოგადი და სპეციალური ნორმის ნიშნებში ექცევა.

თეორიაში გამოყოფენ ნორმათა კონკურენციის სამ სახეს:

- 1) ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენცია;**
- 2) სპეციალურ ნორმათა კონკურენცია;**
- 3) ნაწილისა და მთელის კონკურენცია.**

ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის შემდეგი სახეები არსებობს: ორ ან მეტ მუხლს შორის კონკურენცია, სადაც ერთი ზოგადია, ხოლო მეორე სპეციალური; კონკურენცია ძირითად და მაკვალიფიცირებელ შემადგენლობებს შორის, გათვალისწინებული ერთი და იმავე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში (პუნქტებში); კონკურენცია ძირითად შემადგენლობასა და შემამსუბუქებელი გარემოების შემადგენლობას შორის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა ეს საკითხი საკანონმდებლო წესით გადაჭრა. ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში ვკითხულობთ: „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით“²⁴, მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ პირადი მოტივით და თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით ყალბი დოკუმენტის შექმნა. აქ ორი მუხლი გვაქვს: სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბე. ასეთ ვითარებაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი სიყალბით, რადგან იგი ორივეს ერთად მოიცავს, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ასევე სამსახურებრივ სიყალბეს.

სპეციალურ ნორმათა კონკურენციის სახეებია: კონკურენცია კვალიფიციურ და განსაკუთრებულ კვალიფიციურ შემადგენლობებს შორის (გამოიყენება ის შემადგენ-

²⁴ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი- 2018 წლის მდგომარეობით.

ლობა, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს); კონკურენცია სისხლის სამართლის ორ სპეციალურ ნორმას შორის, როცა ერთ ნორმაში მოცემულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, მაგრამ ჩადენილ ქმედებაში არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. მაგალითად, შესაძლებელია, რომ უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების, ანუ ფიზიოლოგიური აფექტის ვითარებაში ხელყოფილ იქნას ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლე (საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირისა გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” პუნქტით. ისმის კითხვა, რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ჩადენილი ქმედება? ამ ორ ნორმას შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას ითვალისწინებს.

თუ კაზუსიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ ძირითადი შემადგენლობის ნიშნებთან ერთად კვალიფიციური შემადგენლობის ან პრიველეგიური შემადგენლობის ნიშნებიცაა განხორციელებული და ეს დამატებით კვლევას არ მოითხოვს, მაშინ მიზანშეწონილია კაზუსის ამოხსნა ქმედების კვალიფიციური ან პრიველეგიური შემადგენლობით იქნას დაწყებული. თუმცა, ქმედების ძირითადი შემადგენლობა შემონმების გარეშე არ რჩება.

მთელისა და ნაწილის კონკურენციის დროს დანაშაულებრივი ქმედება ხვდება ორი ან მეტი ნორმის შემადგენლობის ნიშნების ქვეშ, სადაც ერთი ნორმა მოიცავს ქმედებას მთლიანად, ხოლო მეორე მხოლოდ მის ნაწილს. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება ნორმა, რომელიც სრულად მოიცავს ჩადენილ ქმედებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედების დასჯადად გამოცხადებისას, დანაშაულის შემადგენლობას არა მხოლოდ ზოგადი ნიშნებით აღწერს, არამედ კონკრეტულად, რაც ნორმაში აღწერილი ნიშნების მატერიალური რეალიზაციის ფორმაა. უფრო მეტიც, კანონმდებელი

სისხლის სამართლის ნორმაში დანაშაულის ზოგად ნიშნებს აკონკრეტებს და ქმნის სპეციალურ ნორმას ზოგად ნორმასთან მიმართებით. მაგალითად, სამსახურეობრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებასთან (სსკ-ის 332-ე მუხლი) მიმართებით ქრთამის აღება (სსკ-ის 338-ე მუხლი) სპეციალური ნორმაა; სსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი (შრომის წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) სპეციალურია სსკ-ის 116-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და ა.შ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კაზუსის ამოხსნა ყოველთვის სპეციალური ნორმით უნდა დავიწყოთ. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არასწორი იქნება, თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული რომელიმე უფრო კონკრეტული ნიშნის შემცველი ნორმა, გამოუყენებელი დარჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ზოგადი ნორმის მიმართ ჰიპოთეზის დაყენება მიზანშეუწონელია.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მნიშვნელობა. ტრადიციულად იგულისხმება, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არის პრაქტიკული პროცესი, ე.ი. ჩადენილი ქმედების მიმართ სისხლის სამართლის კანონის ნორმების შეფარდება, რომელსაც ახორციელებენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების თანამშრომლები (თუმცა ცალკე განხილვის საგანია საკითხი — უფარდებს თუ არა ნორმას გამოძიება, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ სასამართლოს ფუნქციას). მართალია, ამ მხრივ, სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობასაც განვიხილავთ, რადგან საკანონმდებლო ორგანოს (ე.ი. საქართველოს პარლამენტის) მიერ ადამიანთა განსაზღვრული ქმედების კრიმინალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ამ ქმედების საკანონმდებლო კვალიფიკაცია.

ცხადია, დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე უფრო ეფექტური მათი თავიდან აცილებაა. იმის გათვალისწინებით, რომ პრევენცია ყოველთვის ვერ ხერხდება, იძულებული ვართ, ჩადენილი ქმედება სამართლებრივად შევაფასოთ, რათა შემდგომ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტი-

ლება ამ ქმედების ჩამდენი პირის მიმართ პასუხისმგებლობის სახისა და ზომის თაობაზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეცდომები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში, სამწუხაროდ, იშვიათი არ არის. ამგვარი შეცდომა იმას ნიშნავს, რომ ჩადენილ ქმედებას არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა, რის გამოც ამ ქმედების მიმართ სწორი, ობიექტური, ყოველმხრივ დასაბუთებული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა შეუძლებელია. როგორც ამ მხრივ დაშვებული შეცდომების თუნდაც მოკლე ანალიზიც გვიჩვენებს, ხშირია შეცდომა, როგორც ქმედების ფაქტობრივი გარემოების დადგენასა და შეფასებაში, ისე ამ ქმედების იურიდიული მხარეების გამოვლენასა და მისი შესატყვისი სისხლის სამართლის ნორმის შერჩევასა და შეფასებაში. ამგვარ შეცდომებს ვაწყდებით, როგორც გამოძიების, ისე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზეც.

ცხადია, ჩადენილი ქმედების არასწორი კვალიფიკაციის გამო ზიანდება არა მარტო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე, არამედ მოქალაქეთა ინტერესებიც. მითუმეტეს, რომ ასეთ შემთხვევაში კანონი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემული პირის საწინააღმდეგოდ შებრუნდეს, ეს კი მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების უხეში ხელყოფა იქნებოდა²⁵.

კვალიფიკაცია წარმოადგენს იურიდიული ფაქტის (ბრალეული ქმედების) არსებობის ოფიციალურ დადასტურებას, რომელიც წარმოშობს დაცვით სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას. ამით, შესაბამისად, განისაზღვრება ამ ურთიერთობის სუბიექტების უფლებები და მოვალეობები. ეს უფლებები და მოვალეობები გამომდინარეობს იმ სისხლისსამართლებრივი ნორმიდან, რომლითაც მოხდა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. აქედან გამომდინარე, სწორი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია, რადგან:

1) უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახ-

25 ვ. გაბელია, ლ. ნიკლაური, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია-სისხლისსამართლებრივი პროცესის ქვაკუთხედი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, თბ., 2013., 8/10.

ელმწიფოს ინტერესების დაცვას;

2) უზრუნველყოფს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სამართლიან რეალიზაციას;

3) შესაძლებლობას იძლევა ქმედებას მიეცეს უარყოფითი სოციალური შეფასება;

4) არის კანონიერების განხორციელების აუცილებელი პირობა;

5) ნიშნავს პირის, რომელმაც ჩაიდინა ბრალეული ქმედება და სახელმწიფოს შორის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ოფიციალურ აღიარებას;

6) წარმოადგენს ბრალდებულისათვის ადეკვატური სასჯელის დანიშვნის წინაპირობას;

7) უზრუნველყოფს სასამართლო სტატისტიკის ობიექტურობას დანაშაულთა პრევენციის ეფექტური მეთოდების შესამუშავებლად.

დავას არ უნდა ინვესტავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის უალრესად დიდი თეორიული მნიშვნელობაც. კერძოდ, ამ მხრივ, საგამოძიებო, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დიდი გამოცდილების ან ამ სფეროში ტიპური შეცდომებისა და მათი მიზეზების განზოგადების აქტუალობა იმისათვის, რომ მეცნიერულად დასაბუთებული თეორია აიგოს. ამგვარი თეორია კი ხელს შეუწყობს არა მარტო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრაქტიკის გაჯანსაღებას, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა-გაუმჯობესებასაც²⁶.

26 ვ. გაბელია, ლ. ნიკლაური, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია-სისხლისსამართლებრივი პროცესის ქვაკუთხედი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, თბ., 2013., 8/10.

საგამომცემო-სასამართლო პრაქტიკა

2004 წლის 12 აპრილს პ. ცუცქერიძე სტუმრად იმყოფებოდა დედის ძმიშვილის - ზ. ჩადუნელის ოჯახში, სადაც მიიღო ალკოჰოლური სასმელი. მთვრალ პ. ცუცქერიძეს კამათი მოუვიდა ზ. ჩადუნელთან, რის შემდეგაც ისინი გავიდნენ ქუჩაში, სადაც პ. ცუცქერიძემ ავტომატური იარაღიდან გასროლით ზ. ჩადუნელს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2004 წ. 2 ივლისის განაჩენით პ. ცუცქერიძეს საქართველოს სსკ-ის მე-19 და 108-ე მუხლებით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წ. 16 მარტის განაჩენით გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართულებით: პ. ცუცქერიძე გამართლდა სსკ-ის მე-19 და 108-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში. ამ ეპიზოდში მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

პროკურორი გ. დეკანოზაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას, რადგან მიაჩნია, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გაამართლა მსჯავრდებული პ. ცუცქერიძე ზ. ჩადუნელის მკვლელობის მცდელობის ბრალდებაში.

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო საჩივრის მოტივს, რომ მსჯავრდებული პ. ცუცქერიძე სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაამართლა სსკ-ის მე-19 და 108-მუხლებით გათვალისწინებულ ბრალდებაში, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ მსჯავრდებულის მიერ ზ. ჩადუნელის

განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენას. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პ. ცუცქერიძე და ზ. ჩადუნელი არიან ახლო ნათესავეები, მათ შორის მტრობას ადგილი არ ჰქონია. შემთხვევის დროს პ. ცუცქერიძეს, მას შემდეგ, რაც დაჭრა დაზარალებული, აღარ უცდია გაესროლა მისი მიმართულებით. უფრო მეტიც, დაინახა რა, რომ ჩადუნელი დაიხარა, შეეცადა თვითმკვლელობას და ავტომატიდან გასროლით დაიზიანა სხეული. პალატას მიაჩნია, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით²⁷.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია-2018 წლის მდგომარეობით
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით;
3. სისხლის 2009 წლის სამართლის საპროცესო კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით.
4. გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი., 1992;
5. ა. კვაშილავა, დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები, თბილისი, 1997;
6. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი., 1997;
7. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან) თბილისი, 1999;
8. ზ. მჟავანაძე, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ქუთაისი, 2000;
9. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2001;
10. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარ-

²⁷ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №224, აპ, 28 ივნისი, 2005.

- რი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი., 2002;
11. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2003;
 12. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2006;
 13. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2006;
 14. თ. დონჯაშვილი. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი., 2007;
 15. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, რედ. გ. ტყეშელიაძე, თბილისი., 2008;
 16. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2010;
 17. ი. ველესი. ბ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა), თბილისი., 2010;
 18. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბილისი., 2011;
 19. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი., 2011;
 20. ჯ. გაბელია, ლ. ნიკლაური, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია- სისხლისსამართლებრივი პროცესის ქვაკუთხედი, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, თბილისი., 2013., 8/10;
 21. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014;
 22. ქ. ქოქრაშვილი, იურიდიული პირი - სისხლის სამართლის სუბიექტი (ისტორიული ასპექტები), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-4 საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ქართული კანონმდებლობის პრობლემატიკა“, თბილისი., 2016;
 23. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
 24. Марцев А .И., Общие вопросы учения о преступлении,

- омск, 2000;
25. Павлов В. Г., Субъект преступления. СПб, 2001,
 26. С. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. München, 2006,;
 27. Рапог . А. И ., Настольная книга судьи по квалификации преступления, М., 2009;
 28. Уголовное Право Российской Федерации, Особенная часть, М., 2014;
 29. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №224, აპ, 28 ივნისი, 2005.

თავი II

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება, სახეები და მათი ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი ცნობს და აღიარებს, რომ ადამიანი და მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, უფლებები და თავისუფლებანი წარმოადგენენ უმაღლეს ფასეულობებს²⁸ ამიტომაც სისხლის სამართლის ამოცანაა დაიცვას ყოველივე მათგანი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

1950 წლის 4 ნოემბრის რომის კონვენცია „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“, რომელსაც საქართველო ჯერ კიდევ 1993 წელს შეუერთდა, ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას²⁹ მის ხელშეუხებლობას. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას იცავს კანონი“.

სიცოცხლის უფლება გარანტირებულია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (მუხლი2), რომელიც ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მთავარ სამოქმედო დოკუმენტს წარმოადგენს.

მიუხედავად ამ უფლების ასეთი მნიშვნელობისა, ის მაინც არ არის სრულყოფილად აბსოლუტური უფლება, რომლის ხელყოფა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელი იქნებოდა. თუნდაც, იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შეიცავს გამონაკლისებს, როდესაც სიცოცხლის უფლების ხელყოფა დასაშვებია. სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება კონვენციის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან, კანონიერ ღონისძიებათა განხორციელები-

²⁸ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-2 თავი.

²⁹ 1950 წლის 4 ნოემბრის რომის კონვენცია „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“, რატიფიცირებული 1991 წელს

სათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად და ა.შ. (მუხლი მე-2, ნაწილი მე-2). მსგავს სისტემაზეა აგებული ქართული სისხლის სამართლის კოდექსიც. ამავდროულად, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უფლება იმდენად შორს მიდის, რომ ის არ არის განკარგვადი-პირმა რომც სთხოვოს სხვას მისი მოკვლა (ევთანაზია) ეს უკანასკნელი (მეორე პირი) სისხლის-სამართლებრივი წესით მაინც აგებს პასუხს. იგივე შეიძლება ითქვას უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებზეც, როდესაც დაუშვებელია ერთი ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე თუნდაც ათასი ადამიანის გადარჩენა, ვინაიდან სიცოცხლე რაოდენობრივად ან ხარისხობრივად არ იზომება. საბოლოო ჯამში, სიცოცხლის უფლება აბსოლუტურობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის აბსოლუტური უფლებაა, თუმცა გარკვეული გამონაკლისებით³⁰

მსჯელობიდან გამომდინარე, ცხადია, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე, მიუხედავად მისი ეროვნების, რწმენის, ასაკისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა, თანაბრადაა დაცული.

ამრიგად, ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულებაა და იგი დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა კანონმდებლობითაც. ადამიანის სიცოცხლის დაცვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი, სწორედ, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით იწყება.

2.1.სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება

სსკ-ის XIX თავში მოცემული ნორმებით დაცული სამართლებრივი სიკეთეა ადამიანის სიცოცხლე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და მისი არსიდან გამომდინარე, ის თანდაყოლილ უფლებას წარმოადგენს, რომლის წარმოშობაც კანონმდე-

³⁰ ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2016., გვ.20-21.

ბლის ნებაზე არ არის დამოკიდებული³¹. სისხლის სამართლის თეორიაში მკვლევლობა ტრადიციულად განმარტებული იყო, როგორც მეორე ადამიანისათვის მართლსაწინააღმდეგოდ სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით.

ამჟამად, ახალი კანონმდებლობის საფუძველზე, გაუფრთხილებლობას მკვლევლობის ცნებაში არ მიუთითებენ და მკვლევლობა გაგებულია, როგორც „სხვისი სიცოცხლის განზრახ მოსპობა“, ე.ი. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა მკვლევლობად არ ითვლება. ასეთი თეზა ჯერ კიდევ 1948 წელს ჰქონდა წამოყენებული პროფ. მ. დ. შარგოროდსკის. იგი წერდა: „მკვლევლობის ცნება გაგებული უნდა იყოს სიცოცხლის მოსპობად იმ შემთხვევაში, თუ იგი განზრახაა ჩადენილი, ხოლო გაუფრთხილებლობით ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა სხვა განსაკუთრებული სახის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს“. ამ დებულების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა პროფ. ა.ა. პიოტკოვსკიმ. მისი აზრით, „ასეთ შეხედულებას შეუძლია შეასუსტოს, როგორც სისხლის სამართლის მიერ ამ დანაშაულის უარყოფითი მორალური შეფასება, ასევე სიფრთხილე ადამიანთა სიცოცხლის დაცვისათვის“³².

საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში კი მკვლევლობა განმარტებულია, როგორც სხვისთვის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ მკვლევლობად ჩაითვლება სხვა ადამიანისათვის განზრახ სიცოცხლის მოსპობა. მკვლევლობის კატეგორიიდან გამორიცხულია სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი არ მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

კანონმდებელი იცავს ადამიანის სიცოცხლეს მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ამიტომ ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის დადგენილი უნდა იქნას როგორც სი-

31 გოცირიძე, ბურდული და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013., გვ. 72.

32 А. А., Пиятковский. курс Советского уголовного права, Особенная часть, м.1999., с. 518-519.

ცოცხლის დასაწყისის, ისე გარდაცვალების მომენტი. სავალდებულოა განისაზღვროს, რომ ხელყოფა მიმართული იყო იმ ადამიანზე, რომელიც დაბადებულია. სამედიცინო და იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულებით, ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება მისი დაბადების პროცესი, ამიტომ ბავშვის სიცოცხლე მკვლევლობის ობიექტად შეიძლება იყოს მშობიარობის მომენტიდან, ე.ი. მკვლევობა არა მარტო დაბადებული ბავშვისათვის სიცოცხლის მოსპობა, არამედ მისი მოკვლა მშობიარობის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ნაყოფი გამოეყო დედის ორგანიზმს ცხოველმყოფელობის ნიშნების გარეშე და ამის შესახებ უცნობია ბოროტმოქმედისათვის, მაშინ ასეთ დროს ჩადენილი ქმედება მიმართული სიცოცხლის მოსპობისაკენ, წარმოადგენს უვარგის მცდელობას.

რაც შეეხება აბორტს, რომელიც დაშვებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით, იგი მკვლევობად არ ითვლება. უკანონო აბორტისა და დედის მიერ ახალშობილის განზრახი მკვლევობის გამიჯვნისას მნიშვნელოვანია ადამიანის დაბადებასთან ერთად განისაზღვროს მისი გარდაცვალების მომენტიც. სამედიცინო თვალსაზრისით, ადამიანის სიკვდილი გულისხმობს მისი, როგორც მთლიანი ორგანიზმის დაღუპვას. გარდაცვალების პროცესში გამოიყოფა მისი ოთხი სტადია: აგონია, კლინიკური სიკვდილი, ტვინის სიკვდილი, ბიოლოგიური სიკვდილი. სასიკვდილო ცვლილებებს გააჩნია ფუნქციონალური, ბიოლოგიური და გვამის ნიშნები: სუნთქვის, პულსის, არტერიული წნევის, ყველა სახის გამალიზიანებელზე რეაქციის და შეგნების არქონა. სისხლის სამართალს აინტერესებს, მხოლოდ ტვინის კვდომის და ბიოლოგიური სიკვდილის სტადია. მეცნიერებასა და პრაქტიკაში გარდაცვალებად მიჩნეულია გულის მოქმედების შეჩერებასთან ერთად, იმავდროულად თავის ტვინის ნერვული ელექტრონული აქტივობის უკუბრუნებული შეწყვეტის მომენტი, ე.ი. ფიზიოლოგიური სიკვდილი უფრო მარტივად თუ ვიტყვით, სიკვდილის მომენტად უნდა მივიჩნიოთ თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

მკვლელობა წარმოადგენს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოდ სიცოცხლის განზრახ წართმევას სხვა ადამიანისთვის. აქედან გამომდინარე, ცხადია, მკვლელობად ვერ ჩაითვლება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელი მოგერიების პირობებში, ომის დროს მტრის სიცოცხლის მოსპობა და სხვ. დაზარალებულის თანხმობა არ სპობს მკვლელობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ასეთი მკვლელობა, თუნდაც იგი შეზღუდვის მოტივით იყოს ჩადენილი, იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩვეულებრივი წესით. ასევე, მკვლელობა მართლზომიერი არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილია საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ასეთ მკვლელობას მოქმედი კანონმდებლობა არ თვლის უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერ აქტად.

როგორც უკვე შევნიშნეთ, დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა მისივე თანხმობით მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ ჩაითვლება და განიხილება როგორც განზრახ მკვლელობა.

პირი როცა ფიქრობს, რომ კლავს ცოცხალ ადამიანს, რომელიც სინამდვილეში მკვდარია, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს „მცდელობა უვარგის ობიექტზე“ და ბრალდებული უნდა დაისაჯოს მკვლელობის მცდელობისათვის. მკვლელობა გვექნება სახეზე იმ შემთხვევაშიც, როცა შეურაცხად პირს იყენებენ „ბრმა იარაღად“ საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად.

ქმედებას, უპირველეს ყოვლისა, გააჩნია აქტიური მოქმედების ფორმა. მოქმედება ხორციელდება გარე სამყაროზე ფიზიკური ზემოქმედებით (იარაღიდან გასროლა, სანამლავის ჩაყრა, ცივი იარაღის ჩარტყმა და ასე შემდეგ). ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მკვლელობა შესაძლებელია დაზარალებულზე ფსიქიკური ზემოქმედების განხორციელებით. ფსიქიკურმა ტრამვამ სათანადო გარემოების არსებობისას შეიძლება გამოიწვიოს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე ადამიანის სიკვდილი. მკვლელობად უნდა ჩაითვალოს პირის მოქმედება, რომელმაც იცის დაზარალებულის ავადმყოფობის შესახებ და მისთვის სიცოცხლის მოსპობის

მიზნით ფსიქიკურ ტრამვას აყენებს მას. იმ პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა, რომელსაც არ შეუძლია ამ აქტის გაცნობიერება, ასევე მე-2 პირისათვის გამოუვალი ვითარების შექმნა იმ მიზნით, რომ მან თავი მოიკლას, მკვლელობად უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული³³

რაც შეეხება უმოქმედობით ჩადენილ მკვლელობას, როგორც წესი, ამ დროს ბოროტმოქმედი თვითონ ქმნის სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას მკვლელობის მიზნით და არაფერს აკეთებს ამ შედეგის დადგომის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, შეიძლოა ევალებოდა ეს. ასეთი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონის მოთხოვნიდანაც.

ობიექტური მხრივ, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მკვლელობას, ჩადენილს აქტიური მოქმედების გზით, ეწოდება დანაშაულებრივი მოქმედება. უმოქმედობის გზით ჩადენილს კი ეწოდება დანაშაულებრივი უმოქმედობა. უმოქმედობის გზით ჩადენილ დანაშაულთა შორის გამოიყოფა ისეთები, რომლებიც გამოიხატება მოქმედების შეუსრულებლობაში ან წმინდა უმოქმედობაში (ასეთია, მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა). დაბოლოს, უმოქმედობის გზით ჩადენილ დანაშაულთა შორის განასხვავებენ აგრეთვე ისეთებსაც, რომლებიც ხასიათდებიან შერეული უმოქმედობით, მაგალითად, დედა არ აწოვებს ძუძუს ბავშვს, რომელიც ამის გამო შიმშილით კვდება.

მკვლელობის ცნების გარკვევაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მიზეზობრივი კავშირის გააზრებას. სახელდობრ, ქმედებასა და ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ასეთი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედება დროში წინ უსწრებდა სიკვდილს.

ყველა სახის მკვლელობა მატერიალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულია დანაშაულებრივი შედეგის, ანუ სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს მკვლელობის მცდელობას ან მომზადებას.

³³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ.28.

სიკვდილი, როგორც დანაშაულის შედეგი, შეიძლება დადგეს დაუყოვნებლივ ქმედების განხორციელებისას და ასევე გარკვეული დროის შემდეგაც (განსაკუთრებით ეს აქტუალურია სანამლავით სიკვდილის მიყენების დროს).

მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა მოიცავს მხოლოდ განზრახვას. განზრახვი მკვლელობის დროს პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად სხვისი სიცოცხლის მოსპობას და სურს ადამიანის მოკვლა (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად უშვებს, რომ მის მოქმედებას სხვისი სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება (არაპირდაპირი, ირიბი განზრახვა). პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის გამოიჯვანას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ისეთ დანაშაულში, სადაც მკვლელობა ხდება აფეთქებით, ხშირად ილუპება არა მარტო ქმედების სამიზნე, არამედ სხვა პირებიც. მკვლელობის სამიზნის მიმართ ბრალდებულს პირდაპირი განზრახვა ამოძრავებს, სხვა დანარჩენი პირების მიმართ უმეტესად - არაპირდაპირი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დანაშაულის სხვა მსხვერპლის მიმართ ითვალისწინებს სიკვდილის გარდუვალობას, სახეზე გვექნება პირდაპირი განზრახვა.

ქმედების ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ცნობისათვის აუცილებელია მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დადგენა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მკვლელობის დისპოზიცია მარტივია. მასში აღწერილი არ არის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, განსხვავებით რუსეთის ფედერაციის ახალი კოდექსისაგან, რომელშიც მკვლელობის ცნება უშუალოდ დისპოზიციაშია დაფიქსირებული.

სუბიექტური მხრივ, მკვლელობა შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახვი ქმედება. განზრახვი მკვლელობის დროს პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად სხვისი სიცოცხლის მოსპობას და სურს ადამიანის მოკვლა (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად უშვებს, რომ მის მოქმედებას სხვისი სიცოცხლის მოსპობა მოჰყვებს (არაპირდაპირი, ირიბი

განზრახვა).

განზრახვის საკითხის გადანყვეტისას სასამართლო უნდა გამოდიოდეს დანაშაულის ყველა გარემოებათა ერთობლიობიდან. უნდა იქნას გათვალისწინებული ქმედების განხორციელების ხერხი და იარაღი, სხეულის დაზიანების ინტენსივობა, ხასიათი და ლოკალიზაცია, ქმედების შეწყვეტის მიზეზი. ასევე გასათვალისწინებელია ბრალდებულის საქციელი, რომელიც წინ უძღოდა ან მოჰყვა დანაშაულური ქმედებას, მისი დამოკიდებულება დაზარალებულისადმი და სხვ.

მკვლელობის მოტივი და მიზანი შეიძლება მრავალგვარი იყოს და მას ხშირად განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია ქმედების კონკრეტული სახის კვალიფიკაციისათვის. მოტივსა და მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ქმედება ჩადენილია: ანგარებით ან შეკვეთით; ხულიგნური ქვენაგრძობით; სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით.

მკვლელობის ჩადენის ხერხი მრავალგვარია და მას მნიშვნელობა არ ენიჭება ქმედების მკვლელობად ცნობისათვის. მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას პირის დახრჩობით, მოწამლვით, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით, ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებით და სხვ. ამასთან, მკვლელობის ხერხის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კვალიფიკაციისათვის.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მკვლელობის ხერხი (განსაკუთრებული სისასტიკე, საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენება) მას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად გადააქცევს.

ქმედების ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ცნობისათვის, აუცილებელია მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დადგენა.

2.2. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება და სახეები

სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ცნობილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულები: განზრახ მკვლელობა – მუხლი 108-ე, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში – მუხლი 109-ე, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით – მუხლი 110-ე, განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – მუხლი 111-ე, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა – მუხლი 112-ე, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით – მუხლი 113-ე, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით – მუხლი 114-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანა – 115-ე, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით – მუხლი 116-ე.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები მიეკუთვნება მატერიალურ დანაშაულთა შემადგენლობას. დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც მოქმედებას ან უმოქმედობას შედეგად მოჰყვება სხვისი სიცოცხლის მოსპობა. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს შედეგი მაშინვე დადგათუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დროს არის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, დამნაშავის მოქმედებასა (ან უმოქმედობასა) და შედეგს შორის.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაწყვეტისათვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: 1. დამნაშავის მოქმედება ან უმოქმედობა დაზარალებულის სიკვდილის აუცილებელი მიზეზი უნდა იყოს. მაგალითად, ავთო ესვრის ბესოს ტყვიას მისი მოკვლის მიზნით. ბესოს ტყვია ხვდება გულში და კვდება. ეს მაგალითი მეტყველებს იმას, რომ სუბიექტის

მოქმედება, ამ შემთხვევაში (ავთოს მოქმედება) პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან. კიდევ ერთი მაგალითი, ავთომ ხელყუმბარა ესროლა ბესოს, რომელმაც ყუმბარის აფეთქებამდე მოასწრო ლოდს ამოფარებოდა, აფეთქების შედეგად მან მიიღო მსუბუქი დაზიანება, მაგრამ დაიღუპა შიშისაგან განვითარებული ინფარქტით. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ავთოს მოქმედება არაა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან და მისი ქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობად. 2. სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა მისი ჩადენის მომენტში რეალურად ქმნის სიცოცხლის მოსპობის პირობებს და შესაძლებლობას.

ობიექტური მხარის განსაზღვრისას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტის მოქმედების ადგილს, დროს, იარაღს, ხერხს, დანაშაულის ჩადენის მთელ გარემოებას.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება, როგორც განზრახი ბრალით, ასევე გაუფრთხილებელი ბრალის ორივე ფორმით (თვითიმედოვნება და დაუდევრობა). განზრახვა შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი. პირდაპირი განზრახვის დროს, პირს შეგნებული აქვს, რომ ჩადის მოქმედებას ან უმოქმედობას და ამას შედეგად მოჰყვება მეორე ადამიანის სიკვდილი, და სურს ეს შედეგი, ან არ სურს, მაგრამ ითვალისწინებს სიკვდილის დადგომის აუცილებლობას.

არაპირდაპირი განზრახვის დროს, მას არა აქვს მიზნად პიროვნების სიცოცხლის მოსპობა, მისი მიზანი სრულიად სხვა რამეა, მაგრამ, რადგან ამ მიზანს არ აღწევს ისე, რომ ის პირი ცოცხალი გადარჩეს, უშვებს მისი სიცოცხლის განადგურებას.

როგორც აღინიშნა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, გაუფრთხილებელი ბრალის ორივე ფორმაში ვლინდება – თვითიმედოვნებასა და დაუდევრობაში.

სიცოცხლის მოსპობა თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსა-

ფუძვლად იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

სიცოცხლის მოსპობა დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევც.

გაუფრთხილებლობის არცერთი სახე, ესე იგი არც თვითიმედოვნება და არც დაუდევრობა არ გამორიცხავს დანაშაულის ჩადენას მოქმედებითა და უმოქმედობით. მაგალითად, ჩემი აზრით, უმოქმედობით ჩადენილად უნდა ჩაითვალოს, სხვისი სიცოცხლის მოსპობა, მაშინ, როდესაც ექიმი სამართლებრივად ვალდებული იყო დახმარება გაენია ავადმყოფისათვის, მაგრამ ეს არ გააკეთა იმის იმედით, რომ ავადმყოფი დახმარების გარეშეც გადარჩებოდა (თვითიმედოვნება), ან არ გაითვალისწინა ის, რომ იმ დახმარების გაუნელობას, რომელიც თანახმად სამართლებრივი მოვალეობისა, მას უნდა გაენია, და რომლის შესაძლებლობაც მას ჰქონდა, შეეძლო გამოენვია ავადმყოფის სიკვდილი. ასეთ შემთხვევებში ექიმმა, რომელიც ვალდებული იყო დახმარება გაენია ავადმყოფისათვის, პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს გაუფრთხილებლობის რომელ სახეს ექნება ადგილი თვითიმედოვნებას თუ დაუდევრობას. ქმედების დაკვალიფიცირებისას ასეთ გარემოებათა გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა კომბინირებული ბრალითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას განზრახ, ხოლო შედეგი დადგეს გაუფრთხილებლობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა გამორიცხავს შედეგის განზრახ დადგომის შესაძლებლობას. შესაძლებელია მხოლოდ განზრახ ჩადენილ ქმედებას მოჰყვეს შედეგი გაუფრთხილებლობით.

ავთომ, რომელიც გამოცდილი მსროლელი იყო, გა-

ნიზრახა ბესოს მოკვლა. ჩასაფრებულმა ავთომ ქუჩაში მყოფ ბესოს ესროლა თოფი იმ იმედით, რომ ტყვია მიზანს მიაღწევდა და მხოლოდ ბესო დაიღუპებოდა, მაგრამ სიბნელის გამო ბესოზე დამიზნებული იარაღიდან ტყვია კესოს მოხვდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ავთოს ქმედება ამ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება დანაშაულის იდეალური ერთობლიობის წესით. ავთო პასუხს აგებს ერთი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის და მეორე პირის გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის.

შეცდომა მოკლულის პიროვნებაში ზეგავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობაზე, ვინაიდან, ერთი ადამიანის სიცოცხლე სამართლებრივი თვალსაზრისით იმავე ღირებულებას წარმოადგენს, რასაც მეორე ადამიანის სიცოცხლე. ამიტომ თუ ავთოს უნდოდა ბესოს მოკვლა, მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია და მის მაგივრად მოკლა დათო, იგი პასუხს აგებს ადამიანის განზრახ მკვლელობისათვის.

ამის ნათელი მაგალითია დოლიძის სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. დოლიძემ პირადი უთანხმოების ნიადაგზე გადამწყვეტა თავისი მეგობრის ცოლის მოკვლა. ამ მიზნით სანადირო თოფი ესროლა ფანჯარასთან მდგომ ადამიანს, რომელიც სიბნელეში ეს ქალი ეგონა. სინამდვილეში ტყვია მოხვდა ქმარს და მიაყენა მას სასიკვდილო ჭრილობა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დოლიძის ქმედება დააკვალიფიცირა როგორც ერთი პირის „მეგობრის ცოლის“ განზრახ მკვლელობის მცდელობა და მეორე პირის - თავისი მეგობრის გაუფრთხილებლობით მკვლელობა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის კოლეგიამ უარყო დოლიძის მოქმედებაში გაუფრთხილებლობით მკვლელობა და მიუთითა: „სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს, რომ დამნაშავის შეცდომა ისეთ ფაქტობრივ გარემოებაში, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას არ ეკუთვნის არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ბრალის ფორმაზე. ასეთი შეცდომა არ გამორიცხავს განზრახ ბრალს, რადგან მკვლელობის განზრახვისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ჩადენილ ქმედებას შეიძლება

მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი“.

თუ კანონი ზოგიერთი პირის მოკვლას უფრო მძიმე დანაშაულად თვლის (მაგალითად, ორსული ქალის მკვლელობა), ხოლო პირმა არ იცის, რომ მის მიერ მოკლული სწორედ ამ კატეგორიის პირებს ეკუთვნის (მაგალითად, არ იცის რომ ქალი ორსულადაა), დამნაშავე პასუხს აგებს არა დამამძიმებელ გარემოებებში, არამედ მათ გარეშე ჩადენილი მკვლელობისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების დროს ჭრილობათა ოდენობისა და განლაგების განსაზღვრას, დანაშაულის ჩადენის გარემოების დაზუსტებას, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ადრეული მუქარის არსებობას, მის ხასიათს, დამნაშავის საქციელს დანაშაულის ჩადენამდე და მას შემდეგ. ჩამოთვლილი საკითხების დაზუსტებაზე ბევრად არის დამოკიდებული განზრახვის მიმართულებისა და სახეობის დადგენა.

2.3. მკვლელობის ცნება და ნიშნები

მკვლელობა ერთ–ერთი უმძიმესი დანაშაულია, რადგან პირი თავისი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით ადამიანს ართმევს ყველაზე ძვირფასს – ბუნებით ნაბოძებ სიცოცხლეს. მაგრამ მკვლელობად მიჩნეულია არა ყოველგვარი სახით ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რაც გამონეულია ერთის მიერ მეორე ადამიანისათვის განზრახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედებით.

განზრახ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, მართალია, არასოდეს არ შეიძლება მიჩნეული იქნას მართლზომიერად, რადგან იგი თავისთავად საშიში და მიუღებელია, მაგრამ აქედან არის ისეთი გამონაკლისი შემთხვევები, როცა პირს შეგნებული აქვს, რომ მის ქმედებას აუცილებლად მოჰყვება სხვა პირის ან პირთა სიცოცხლის მოსპობა, სურს მას

ეს შედეგი თუ არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მისი დადგომის შესაძლებლობას, რათა თავიდან აიცილოს სხვა უფრო მძიმე მოსალოდნელი შედეგი (შედეგები). მაგალითად, მკვლელობა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების დროს, ან, როცა მკვლელობა ჩადენილია ომიანობის დროს ბრძოლის პროცესში, როცა ერთი მხარე ებრძვის მეორეს და თუ იგი არ მოკლავს მტრის მხარეზე მყოფ მებრძოლს, მაშინ ეს უკანასკნელი მოკლავს მას და მის უმოქმედობას შეიძლება მოჰყვეს კიდევ სხვა მძიმე შედეგი. ამიტომ, ასეთ დროს ჩადენილი მკვლელობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით მიჩნეულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად და პირი არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მკვლელობის ჩადენილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის ან როგორ მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ იყო ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი. ე.ი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, განზრახ მკვლელობა ჩადენილ იქნა ახალგაზრდა, ჯანმრთელი კაცისა თუ ღრმად მოხუცებულის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის, თუ განუკურნებელი სენით დაავადებული პირის, მცირეწლოვნისა თუ რამდენიმე ადამიანის მიმართ (მსგავს შემთხვევებში გარკვეული პირობების არსებობისას შეიძლება დამამძიმებელ გარემოებაზე ვილაპარაკოთ); არც იმას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოკლული ქალი იქნება თუ მამაკაცი. ამ უკანასკნელის მიმართ ჩადენილი მკვლელობისათვის შეიძლება უფრო მკაცრი სასჯელიც იქნას გამოყენებული, თუ მისმა ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ იგი კლავდა ორსულ ქალს.

ზემოაღნიშნულიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა პირი, სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით, თვითონ ისპობს საკუთარ სიცოცხლეს, ანუ უფრო სწორად, ჩაიდენს თვითმკვლელობას. ასეთ დროს, ცხადია, არ შეიძლება ვიმსჯელოთ თვითმკვლელობის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მსჯელობას იმის შესახებ,

თუ რამ მიიყვანა მოცემული პირი თვითმკვლელობამდე, ხომ არ ჰქონდა ადგილი სხვა პირის ისეთ ზემოქმედებას (მუქარას, სასტიკ მოპყრობას ან მისი პატივისა და ღირსების სისტემატურ დამცირებას და სხვ.), რომლითაც იგი მიყვანილ იქნა თვითმკვლელობამდე და სხვ.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხერხებისა და საშუალებების გათვალისწინებით, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს მკვლელობების კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობა. აქედან, ყველაზე ფართო, მასშტაბურ სახეს ატარებს მკვლელობების დაყოფა აშკარად, ანუ გამჭვირვალობისა და ფარულობის, ანუ ლატენტურობის თვალთახედვით, საიდანაც ჭარბობს ფარული სახით ჩადენილი მკვლელობები. ერთიმეორისაგან განასხვავებენ აგრეთვე, მკვლელობის ჩადენას ჯგუფურად და ინდივიდუალური სახით, საიდანაც უფრო მეტი დატვირთვა მოდის ინდივიდუალური სახით ჩადენილ მკვლელობებზე³⁴

ერთიმეორისაგან განასხვავებენ აგრეთვე, მკვლელობათა კლასიფიკაციის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზნების, მოტივისა და ცალკეული სახის იარაღების გამოყენებით-მაგალითად, მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაზარალებულის საცხოვრებელი ბინის დაუფლების მიზნით, ან მისი კუთვნილი ქონების მემკვიდრეობის დაჩქარების მიზნით, ან დაზარალებულის სახელზე არსებული დაზღვევით გათვალისწინებული ფულადი თანხის, დაზარალებულის კუთვნილი პირადი ნივთების (ძვირფასი სამკაულების, ტანსაცმლისა და სხვა) მიღების მიზნით, დაზარალებულის კუთვნილი არამატერიალური-ინტელექტუალური კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტების დაუფლება საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, დაზარალებულის გზიდან ჩამოცილების ან მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის გაჩენის, მკვლელობის გამანზილვებელი საიდუმლოების მომცველი ცნობების გახმაურების თავიდან აცილების მიზნით და სხვა.

უმეტეს შემთხვევაში ამ ბოროტი მიზნების განსახორციელებლად დაინტერესებული პირი მთელ რიგ შემთხვევებში, მკვლელობას იდენს ისეთი შენიღბული ფორმებით, როგორცაა: მაღალი საცხოვრებელი ბინიდან დაზარალებულის ძირს გადმოგდება, კლდის ნაპირზე სეირნობის დროს დაზარალებულისათვის ხელის კვრა ან მასთან შებრძოლება უფსკრულში გადაჩეხვის მიზნით, დიდი სისწრაფით მიმავალი ტრანსპორტიდან (მატარებლიდან, ავტომანქანიდან, გემიდან, ვერტმფრენიდან და სხვა) გადმოგდება; დაზარალებულისათვის საწამლავის მიცემა, ან მისთვის არასწორი მკურნალობის დანიშვნა-ჩატარება, უბედური შემთხვევის ან სხვადასხვა ფორმით თვითმკვლელობის ინსცენირების წარმოსახვა და სხვა.

ყოველივე ეს, ცხადია, უნდა შეესაბამებოდეს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის მიზნისათვის შერჩეულ, ყველაზე ხელსაყრელ, უნიკალურ ხერხად მიჩნეულ საშუალებებს. მაგრამ, ვფიქრობთ, ყოველივე ეს ატარებს ზოგად, განყენებულ, ცალკეულ ხასიათს და იგი არ გამოდგება მკვლელობის გახსნის მეთოდის საფუძვლად. ამგვარი სახით მკვლელობის გახსნის მეთოდის შერჩევა ვერ გაამართლებს დანიშნულებას, რადგან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზანი და მოტივი, როგორც სუბიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები, დადგენილ უნდა იქნეს საქმეზე წარმოებული გამოძიებით. ამიტომ უმჯობესია მკვლელობის გამოძიების მეთოდის კლასიფიკაცია შევარჩიოთ გამოძიების დაწყების მომენტისათვის გამოძიებლის ხელთ არსებული პირველადი მონაცემების გათვალისწინებით, რადგან, პირველ რიგში, ამ მონაცემებში უნდა ვეძიოთ კერძოდ, მკვლელობის კლასიფიკაცია და გამოძიების მეთოდის შერჩევა მიზანშეწონილია წარმართოს დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმისა (მომზადების, მცდელობის, დამთავრებული დანაშაულის და მისი კვალის დაფარვის ხერხებისა და საშუალებების) და შემთხვევის ადგილზე არსებული პირველადი მონაცემების მიხედვით, კრიმინალისტიკური დახასიათებისა და გამოძიების წარმოების თავისებურებათა თვალთახედ-

34 Курс криминалистики т. II, Санкт-Петербург, 2004, გვ.166-171

ვით, რომელიც შემდეგ შვიდ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. მკვლელობა, როცა პირველადი მონაცემებით ცნობილია მოკლულისა და ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის ვინაობა,

2. მკვლელობა, როცა ცნობილია აღმოჩენილი გვამის ვინაობა, მაგრამ უცნობი და გაურკვეველია მისი ჩამდენი პირის ვინაობა,

3. მკვლელობა, როცა უცნობია აღმოჩენილი გვამისა და მისი ჩამდენი პირის ვინაობა,

4. შემთხვევები, როცა ადამიანი დაკარგულია და მის ახლობლებს მისი ადგილსამყოფელის შესახებ არავითარი მონაცემები არა აქვთ და ვარაუდობენ, რომ იგი მოკლეს და ითხოვენ გამოძიების დაწყებას.

5. სხვადასხვა სახის რთულ სიტუაციასა და გარემოებაში გაუფრთხილებლობით, ე.წ. „შემთხვევით“ ჩადენილი მკვლელობის ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ფაქტები;

6. თვითმკვლელობის ნიშნებით აღმოჩენილი ადამიანის გვამის ფაქტებზე სისხლისსამართალწარმოების (გამოძიების) ზოგიერთი თავისებურება და სხვა³⁵

მკვლელობის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე. ადამიანის სიცოცხლის დაცვა და მაშასადამე, მისი მკვლელობად მიჩნევა ინყება ადამიანის ამქვეყნად მოვლენის, ანუ მშობიარობის პროცესის დაწყებიდან. ამიტომ ბავშვის მკვლელობად მიჩნეულია არა მარტო ისეთი შემთხვევა და ის მომენტი, როცა ბავშვი უკვე დაბადებულია, არამედ მშობიარობის პროცესში საშობადნო მისი გამოჩენის მომენტში ბავშვისათვის სხვადასხვა საშუალებით (თავში ხელის ან სხვა რაიმე საგნის ჩარტყმით, თავზე ხელის მოჭერით და სხვ.) სიცოცხლის წართმევა.

ობიექტური მხრივ, იგი შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ამასთან, აუცილებელია ყოველთვის დადგინდეს პირის ბრალეული ქმედების – მოქმედებას ან უმოქმედობასა და დაზარალებულის სიკვდილს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი.

³⁵ შ.ფაფიაშვილი, მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდის პრობლემები-თბ, 2004, გვ.32-34

თუ გამოძიებით დადგინდება, რომ დაზარალებულის სიკვდილი დადგა არა მისთვის დანით მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებით, ან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიით მკერდის არეში მიყენებული ჭრილობით (ჯანმრთელობის დაზიანებით), არამედ გულის ინფარქტით, მაშინ, ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უნდა დადგეს იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ამ ქმედების ჩამდენი პირის განზრახვა – დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. თუ დადგინდა, რომ პირი ითვალისწინებდა მოსალოდნელ მძიმე შედეგს – პირის სიკვდილს და სურდა იგი, ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას, ან არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს განზრახ მკვლელობისათვის, ასეთი განზრახვის არარსებობისას კი – ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.

იურიდიული შემადგენლობის თვალთახედვით, სუბიექტური მხრივ, განზრახ მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირდაპირია ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია სხვა პირის სიცოცხლის მოსპობისაკენ და შეგნებული აქვს, რომ მის ასეთ ქმედებას მოჰყვება სიკვდილი და სურს ეს შედეგი, ან, როცა იგი დარწმუნებულია, რომ ეს შედეგი გარდუვალად დადგება. იმ შემთხვევაში კი, როცა იგი ითვალისწინებს ასეთი მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას, ასეთი ქმედება მიჩნეულია არაპირდაპირ განზრახვად.

განზრახ მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას დამამძიმებელ გარემოებებში და მის გარეშე. ასევე, პირის აქტიური მოქმედებით ან უმოქმედობით სხვადასხვა სახის მოტივით, როგორიცაა ანგარების, შურისძიებისა და სამაგიეროს მიზლის სურვილით და სხვ.

2.4. განზრახ მკვლელობა, მკვლელობის გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობისაგან

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის. იგი წარმოადგენს ამ სახის დანაშაულის ძირითად შემადგენლობას. მას ხშირად მარტივ მკვლელობასაც უწოდებენ. ვფიქრობთ, ტერმინი ძირითადი უფრო მართებულია, რადგან მისგანაა ნაწარმოები როგორც მკვლელობის დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძირითადი სახის მკვლელობა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლად არაა გამოყოფილი, არამედ იგი მოცემულია 105-ე მუხლის შემადგენლობაში პირველი ნაწილის სახით, ხოლო მეორე ნაწილი ითვალისწინებს განზრახი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებს.³⁶

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სავალდებულო ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა სიკვდილის სახით, რომელიც ჩადენილია მოქმედებით ან უმოქმედობით. ამავე დროს, ცხადია, რომ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. იგი ყოველთვის უნდა იქნას გამიჯნული ობიექტურ-შემთხვევითი კავშირისაგან.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ განზრახ — პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის ფორმით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ სახის მკვლელობის ყველაზე უფრო ტიპური შემთხვევაა ეჭვიანობისა და შურისძიების საფუძველზე, ასევე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი ჩხუბის დროს და სხვ. გარემოების გამო ჩადენილი მკვლელობა. იგი პირად ურ-

თიერთობათა საფუძველზე აღმოცენებული მკვლელობაა.

იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა უმრავლესობის მიერ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა განხილულია როგორც „მარტივი მკვლელობა“. მისი წარმოქმნის საფუძველია ამა თუ იმ პირის ერთგულებასა თუ სიყვარულში დაეჭვება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბარია ნორმალურ და არა პათოლოგიურ ეჭვიანობაზე, როგორც პარანოიკალური ბოდვის სახესხვაობაზე. ეჭვიანობა შეიძლება გამოწვეული იყოს სინამდვილეში არსებული ან მოჩვენებითი ფაქტებით.

ზოგჯერ ეჭვიანობა შურისძიების წარმოშობის საფუძველია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას შურისძიებისა და ეჭვიანობის მოტივთა კონკურენცია. ბრალდების ფორმულირების დროს სიტუაციის შეფასებისას (თუმცა მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს) უპირატესობა უნდა მიეცეს იმ დომინირებულ მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობდა ბრალდებული. ამიტომაც აუცილებელია დადგენილ იქნას მკვლელობის ნამდვილი მოტივი, რამდენადაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბრალეული ქმედების ჩადენისათვის სასჯელის დანიშვნაზე.

განზრახ მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იყოს მსხვერპლზე როგორც აქტიური ზემოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც.

უმოქმედობის გზით მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ობიექტურ და სუბიექტურ წინაპირობათა არსებობისას. სახელდობრ, თუ პირს კანონის, პროფესიის, ხელშეკრულებისა და სხვა დავალებათა ძალით დაკისრებული ჰქონდა მოვალეობა დაეცვა დაზარალებულის სიცოცხლე და, თანაც, თუ მას სიკვდილის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა გააჩნდა.

მართლსაწინააღმდეგო შედეგი. დაზარალებულის სიკვდილი მკვლელობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია. რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს, ეს კავშირი აუცილებლად უნდა დადგინდეს ბრალდებულის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მკვლელობის ჩადენის ხერხი მხოლოდ მაშინ იქნება გათვალისწინებული, როგორც მაკვალი-

³⁶ მ. ლეკვიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2006., გვ.42

ფიცირებელი ნიშანი (გარემოება), თუ იგი პირდაპირ იქნება მითითებული კანონში. სხვა შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სასჯელის ინდივიდუალიზაციისას.

ამრიგად, მკვლელობა, ობიექტური მხრივ, წარმოადგენს სამი ელემენტის ერთობლიობას: 1) მოქმედება ან უმოქმედობა, რაც მიმართულია სხვა პირის სიცოცხლის მოსპობაზე; 2) დაზარალებულის სიკვდილი, როგორც დანაშაულის აუცილებელი შედეგი; 3) მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის ქმედებასა (მოქმედებასა და უმოქმედობას) და დაზარალებულის სიკვდილს შორის.

სუბიექტური მხრივ სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახი. ესე იგი დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ხელყოფს სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ითვალისწინებს დაზარალებულისათვის სიკვდილის მიყენების გარდაუვალობას ან რეალურ შესაძლებლობას და სურს მისი დადგომა (პირდაპირი განზრახვა) ან არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას (არაპირდაპირი ანუ ირიბი, ანუ ევენტუალური განზრახვა). მკვლელობის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს.

მკვლელობის გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობისგან. სასამართლო პრაქტიკაში განზრახი მკვლელობის (მუხლი 108-ე) კვალიფიკაციისას გვხვდება სირთულეებიც, ვინაიდან, ერთი და იმავე მოტივით ჩადენილი განზრახი მკვლელობა არ გამოირჩევა სხვა მუხლით მის კვალიფიკაციას. კერძოდ, შესაძლოა შურისძიების მოტივს თან ერთვოდეს სხვა ისეთი ნიშანიც, რომელიც მას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად გადააქცევს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 108-ე მუხლი მხოლოდ ზოგადად მოიხსენიებს განზრახ მკვლელობას ყოველგვარი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, რადგან ასეთი მაკვალიფიცირებელი გარემოებები ასახულია მომდევნო 109-ე მუხლში. მიუხედავად ამისა, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, როგორც აღვნიშნეთ, არცთუ ისე

იშვიათად ხდება ჩადენილი განზრახ მკვლელობების არასწორი კვალიფიკაცია სსკ-ის ამ მუხლებით. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დაზარალებულისათვის მრავლობითი სახის ჭრილობების მიყენება, რაც უმეტეს შემთხვევაში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ნიშნად გვევლინება, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, ხშირად ესეც სადავო ხდება.

მაგალითად, ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 18 ივლისის განაჩენით ტ.-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობისათვის. ტ.-ე ცხენის ქურდობასთან დაკავშირებით შეეკამათა რა თავის მეზობელ ნ.-ეს, მათი კამათი გადაიზარდა ჩხუბში და ერთმანეთისათვის ფიზიკურ შეურაცხყოფაში, რა დროსაც ტ.-ემ ჯიბიდან ამოიღო საოჯახო დანა და სხეულის სხვადასხვა ადგილას ცხრაჯერ დაარტყა ნ.-ეს. იგი დანას ურტყამდა მანამ, სანამ ნ.-ე მუხლებზე არ დაეცა. მიყენებული ჭრილობების შედეგად ნ.-ე ადგილზევე გარდაიცვალა.

მოცემულ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივრის გამო, რომელიც ითხოვდა კვალიფიკაციის შეცვლას, იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, განაჩენი ცნო სწორად და იგი უცვლელად დატოვა ძალაში იმ მოტივით, რომ „ნ.-ე დანით არ დასხმია თავს ტ.-ეს“ და, რომ „ამ უკანასკნელს არ მოელოდა სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება“, არ არის დადგენილი, რომ ნ.-ეს დანა ჰქონდა და ემუქრებოდა ტ.-ეს, რომ ნ.-ე ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო და, თუ მას დანაც ექნებოდა, ხელს ვერაფერი შეუშლიდა ტ.-ეს დაჭრაში.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ამ გადაწყვეტილების სისწორე სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარების ავტორების მიერ ეჭვქვეშ იქნა დაყენებული და მათ მიიჩნიეს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას“ და

ამას იმით ასაბუთებენ, რომ „ნ-ე ტ-ზე ფიზიკურად ძლიერი იყო, რომ მოგერიებისას არ არის სავალდებულო თავდაცვისა და თავდასხმის იარაღების იდენტირობა. მხედველობაშია მისაღები ყველა ის გარემოება, რასაც შეუძლია პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედება მოახდინოს ძალთა რეალურ თანაფარდობაზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად კი გასათვალისწინებელია დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, მოქმედთა ასაკი, სქესი, ჯანმრთელობა, მათი ძალ-ღონე, ვის რა იარაღი ჰქონდა და ა.შ. ის ფაქტი, რომ ტ.-ეს დანა აღმოჩნდა არსებითად არ ცვლიდა ძალთა თანაფარდობას, რადგან ნ.-ე მასზე ძლიერი იყო ფიზიკურად³⁷

ავტორთა ეს მოსაზრება, თავის მხრივ, საკამათოა და მას უყოყმანოდ ვერ გავიზიარებთ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი მოგერიებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი სავალდებულო ნიშნების არარსებობის გამო. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაზე, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა გვემსჯელა, რატომ არ იქნა ტ.-ეს ეს ქმედება დაკვალიფიცირებული განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით (სსკ-ის 109-ნ მუხლის „ვ“ პუნქტით)?

მოცემული საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით, წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს და დეტალურად იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული საკითხი იმის შესახებ, თუ სად, როდის, ვის, რა მოტივით, რა ვითარებასა და გარემოებაში მოხდა მოწინააღმდეგეებისათვის (დაზარალებულისათვის) ამ ჭრილობების (დაზიანებების) მიყენება და სხვ.

მართებულადაა აღნიშნული სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარებში, რომ ჭრილობათა სიმრავლე განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ერთ-ერთი მახასიათებელთაგანია. მაგრამ არა ყოველი მკვლელობა, რომელიც დაკავშირებულია ჭრილობების სიმრავლესთან, მიეკუთვნება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობათა რიცხვს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ჰქონდა თუ არა სუბიექტს შეგნებული

³⁷ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ, 2002, გვ.30

მის მიერ არჩეული ხერხის განსაკუთრებულად სასტიკი ხასიათი და სურდა თუ არა მსხვერპლის ტანჯვით მოკვლა.³⁸

საგამოძიებო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა გამოძიების პროცესში არასწორად აკვალიფიცირებენ განზრახ მკვლელობის ამსახველი სსკ-ის 108-ე მუხლით ისეთ ქმედებას, როცა დაზარალებულის მიერ დამნაშავისადმი მძიმე შეურაცხმყოფელმა მოქმედებამ გამოიწვია მისი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვება და ასეთ აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინა განზრახი მკვლელობა.

მაგალითად, 2001 წლის 17 აგვისტოს შ-ემ „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ გასროლით მოკლა კ-ა. საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ შ-ეს ქმედება დააკვალიფიცირა, როგორც განზრახ მკვლელობა სსკ-ის 108-ე მუხლით. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დააკვალიფიცირა მსაჯავრებულის ინტერესების დამცველის საჩივრის მოთხოვნა და 2002 წლის 18 ნოემბრის განაჩენით შ-ეს ქმედება სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილზე, როგორც განზრახ მკვლელობა ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამის გამო მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში დაზარალებულის მიერ შეტანილ იქნას საკასაციო საჩივარი და მოითხოვა სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილი განაჩენის გაუქმება და რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ძალაში დატოვება.

სააპელაციო სასამართლომ შ.-ეს მიერ ჩადენილი კვალიფიკაციის შეცვლას საფუძვლად დაუდო ის, რომ დაზარალებულმა კ.-ემ მას დედა შეაგინა და ამან გამოიწვია შ.-ეს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საქმეში არსებული მასალები, დამატებით დაკითხა რა მოწმე ყ.-ე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შ.-ე უეცრად

³⁸ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ, 2002, გვ.22

სულიერად ააღვლევ კ.-ეს მიერ მისი დედის გინება, დედასა, რომლის მიერ მომზადებული პურმარილი მას არაერთხელ მიუღია. ამასთან, პალატამ გაითვალისწინა ისიც, რომ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შ.-ემ კ.-ეს მკვლელობა ჩაიდინა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფმა. ყოველივე ამის გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2003 წლის 14 თებერვლის განჩინებით თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ნოემბრის განაჩენი შ.-ეს მიმართ უცვლელად დატოვა ძალაში.

დაზარალებულის მიერ დამნაშავეს მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით გამოწვეული დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოქმედებით გამოწვეული უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის ნიმუშად შეიძლება გამოგვადგეს ლ.-ეს მიერ ჩადენილი გ.-ეს მკვლელობის შემდეგი მაგალითი:

სასამართლოს მიერ ლ.-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ძლიერი, უეცარი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო დამნაშავეს მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობისა და მძიმე შეურაცხყოფით, იგი გამოიხატება შემდეგში: 2002 წლის 1 და 2 იანვარს, ე.ი. მკვლელობის დღეს, მკვლელობის წინა დღესა და უშუალოდ მკვლელობის მომენტში, როცა დაზარალებულმა გ.-ემ ლ.-ეს დააბრალა ფულის ქურდობა და შეეცადა ცემით, მუქართა და შეურაცხყოფის მიყენებით მიეღწია ლ.-ეს მიერ ფულის მოპარვის აღიარებისა და მისი უკან დაბრუნებისათვის. ამ მიზნით მან არაერთხელ მიაყენა ლ.-ეს ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა და მოკვლითაც დაემუქრა. შემდეგ, დანაშაულის ჩადენის დღეს, მოკვლის მუქართ ჩასვა რა იგი თავის საკუთარ ავტომანქანაში და წაიყვანა ავჭალის სასაფლაოსაკენ. გამოიწვია მისი ძლიერი, უეცარი სულიერი აღელვება, რა დროსაც მან გ.-ეს თავისსავე ავტომანქანა წაართვა დანა და გულმკერდის არე-

ში მიაყენა 7 ჭრილობა, რის შემდეგაც გ.-ე ადგილზევე გარდაიცვალა. ლ.-ეს ასეთი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება სასამართლოს მიერ მართებულად იქნა დაკვალიფიცირებული სსკ-ის 111-ე მუხლით, როგორც უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა. მოცემულ საქმეზე ლ.-ეს მიმართ წარდგენილი ბრალდება, ქმედების კვალიფიკაცია და მის მიმართ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 სექტემბრის განაჩენი და ამავე საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 22 იანვრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 17 აპრილის განჩინებით, მიჩნეულ იქნა სწორად და უცვლელად იქნა დატოვებული³⁹

სამწუხაროდ, პრაქტიკაში გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც, კერძოდ, ისეთი როცა გამოძიების პროცესში პირისადმი წარდგენილი ბრალდების შესაბამის კვალიფიკაციას - განზრახ მკვლელობის ამსახველი სსკ-ის 108-ე მუხლით, მიიჩნევენ არასწორად და საქმეში არსებული მასალების კრიტიკული შესწავლისა და გაანალიზების გარეშე ახდენენ განსასჯელისადმი წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლას სსკ-ის 111-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობა ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

მაგალითად, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 მარტის განაჩენით ფ.-ეს დანაშაულებრივი ქმედება მართებულად იქნა დაკვალიფიცირებული სსკ-ის 108-ე მუხლით, როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი განზრახ მკვლელობა, რაც არასწორად მიიჩნია თბილისის საოლქო სასამართლოს საქმეთა სააპელაციო სასამართლომ და ფ.-ეს მიერ ჩადენილი დანაშაული 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 111-ე მუხლზე, რადგან ჩათვალა, რომ ფ.-ემ ეს დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

³⁹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ, 2002, გვ.4

მართალია საოლქო სასამართლოს მიერ ჯ.-ეს მიმართ გამოტანილი განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატამ 2003 წლის 9 იანვარს განჩინებით მართებულად გააუქმა და საქმე ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის დააბრუნა თბილისის საოლქო სასამართლოში რადგან ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე შეცვალა რაიონული სასამართლოს განაჩენი და მსჯავრდებულ ჯ.-ეს ბრალდების იურიდიული კვალიფიკაცია, რომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეზე გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებანი და არ მოახდინა მათი სამართლებრივი შეფასება, რითაც დაირღვა სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის შესახებ.

მართლაც, საქმეზე შეკრებილი მასალებით დადგინდა, რომ, თბილისში, ვაშლიჯვარში დასახლების 11 კორპუსის მიმდებარე ბაღში ვ.-ეს, კამათი მოუვიდა იქ მომუშავე მუშებთან და ჯ.-ესთან, რომელიც იქვე ამხანაგებთან კარტს თამაშობდა. ჯ.-ემ მიმართა ვ.-ეს, რომ შეენყვიტა გინება და მუშებისათვის თავი დაენებებინა. ამაზე მათ შორის გაიმართა კამათი და ჩხუბი. ვ.-ემ ლუდის ბოთლი გაისროლა კარტის მოთამაშე ბიჭებისაკენ, შემდეგ მაგიდას ფეხი ამოარტყა და გადააბრუნა. ამის გამო მათ ერთიმეორეს დაუნყეს გინება. იქ მყოფი პირები შეეცადნენ მათ გაშველებას, მაგრამ ჯ.-ემ განზრახ მოკვლის მიზნით, ვ.-ეს დანა დაარტყა გულმკერდის არეში, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ჯ.-ე შემთხვევის ადგილიდან მიიძალა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონ გამოცხადდა პოლიციაში ბრალის აღიარებით. ჯ.-ეს ეს ქმედება მართებულად იქნა დაკვალიფიცირებული სსკ-ის 108-ე მუხლით და მას რაიონული სასამართლოს მიერ ამავე მუხლით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია და სრულიად უსაფუძვლოდ სსკ-ის 108-ე მუხლიდან სსკ-ის

111-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადააკვალიფიცირა, რადგან ჩათვალა, რომ ჯ.-ემ ვ.-ეს მკვლელობა ჩაიდინა განზრახ, უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. საქმეში არსებული მასალებით კი მსგავსი რამ არ დასტურდება. სწორედ ამიტომაც სასამართლომ თავის განაჩენში ვერ დაასაბუთა, თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რამ გამოიწვია, ან რას შეეძლო გამოეწვია დაზარალებულის მხრიდან დამნაშავეის ისეთ ძლიერი სულიერი აღელვება, რომ მის მიერ ჩადენილი განზრახ მკვლელობა მიჩნეული ყოფილიყო ფიზიოლოგიურ აფექტში ჩადენილ მკვლელობად. მით უმეტეს, რომ ამის გასარკვევად არც ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არ დაუნიშნავთ.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული სახით გვხვდება მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე. თუ ასეთი მკვლელობის ჩადენის დროს პიროვნებამ განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა, ან თუ არსებობს მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებანი, მაშინ მკვლელობა დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შესაბამისი ნაწილითა და პუნქტით, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა. მაგრამ თუ ეჭვიანობით მკვლელობა ჩადენილი იყო უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც აღედრა ბრალდებულს იმის გამო, რომ თვით მსხვერპლმა მიაყენა მას მძიმე შეურაცხყოფა ან იხმარა მის მიმართ უკანონო ძალადობა, იგი უნდა დაკვალიფირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით (მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ეჭვიანობით ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდება 108-ე მუხლით.

ავთოს უყვარდა ნინი და მათ ერთმანეთისათვის სიტყვა ჰქონდათ მიცემული. როდესაც ავთო დაბრუნდა თავის სოფელში ქალაქიდან, სადაც ის ინსტიტუტში სწავლობდა, ნინიმ მას შეატყობინა, რომ მშობლები ნებას არ აძლევენ, მას გაჰყვეს ცოლად და ისიც იძულებულია დაემორჩილოს და მათ მიერ არჩეულ მამაკაცზე გათხოვდეს. ამის

შემდეგ ავთო დათვრა, ღამის 12 საათზე მივიდა ნინისთან, რომელსაც ეძინა და დანით მოკლა იგი. მკვლელობის მოტივად ის მოიყვანა, რომ მას არ უნდოდა ნინი სხვისთვის მიეთხოვებინათ. პირველი ინსტანციის სასამართლომ ავთოს ქმედება დააკვალიფიცირა, როგორც მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გადააკვალიფიცირა ავთოს დანაშაული, როგორც მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.

კითხვა: რომელი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაა სწორი?

წარმოდგენილ კაზუსში ჩვენთვის ცნობილია ავთოს მიერ დანით ნინის მკვლელობის ფაქტი. (ე.ი. მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები), დანით ჭრილობის მიყენებისას მკვლელობის განზრახვა (ე.ი. მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობაზე მითითება არ იქნებოდა სწორი, თუ ფაბულაში მკვლელობის განზრახვაზე არ იქნებოდა ხაზგასმა. სწორედ განზრახვის მიმართულება, დასახული მიზანი გვეხმარება, სამართლებრივი სიკეთის გამოვლენაში, რის წინააღმდეგაც არის მიმართული ქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კაზუსის ამოხსნისას მთავარია მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვის კვლევა.

კაზუსის ამოხსნა, როგორც წესი, ყოველთვის გარკვეული ჰიპოთეზის შედგენით იწყება. სწორი ჰიპოთეზის შედგენა მართებული კვალიფიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ჰიპოთეზა კი შედგება რამდენიმე ელემენტისაგან. მათ შორის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ ვინ არის სისხლის-სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩამდენი და ვის, ან რის წინააღმდეგ იქნა განხორციელებული აღნიშნული ქმედება.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, სავარაუდოდ, ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება (მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ორი სავარაუდო ვერსია, ჰიპოთეზა უნდა გან-

ვიხილოთ.

1-ლი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, ავთომ ნინის მიმართ დანით მიყენებული სასიკვდილო ჭრილობით ჩაიდინა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

მე-2 ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, ავთომ ნინის სიცოცხლის მოსპობით, ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

ჰიპოთეზის ჩამოყალიბების შემდეგ საჭიროა ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების განსაზღვრა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი - ორივე ჰიპოთეზისათვის ქმედების სუბიექტია ავთო.

-ქმედების ობიექტი - ქმედების ობიექტად ასევე ორივე შემთხვევაში გვევლინება ადამიანის, კონკრეტულად ნინის სიცოცხლე.

-ქმედება-მეორე ჰიპოთეზისათვის მართებულია: შემთხვევის აღწერიდან გამომდინარე, რომ ავთო დათვრა, ღამის 12 საათზე მივიდა ნინისთან სახლში, რომელსაც ეძინა და დანით მოკლა იგი. ამით ბოროტმოქმედმა შეასრულა სსკ-108, მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს პირველ ჰიპოთეზასთან მიმართებაში, რომ ქმედების ჩადენის მომენტში მსხვერპლი სპეციფიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეძინა, რაც იმის ნიშანია რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კვალიფიციურ შემადგენლობასთან, რადგან მსხვერპლის ძილი აქ განხილული უნდა იყოს, როგორც უმწეო მდგომარეობაში ყოფნა. პრაქტიკაში და თეორიაში ძილი მიჩნეულია უმწეო მდგომარეობად, რადგან ასეთ დროს მსხვერპლს არ გააჩნია ბოროტმოქმედის დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაგირების და წინააღმდეგობის

განევის უნარი.

-შედეგი - ავთოს ქმედებამ გამოიწვია ნინის სიცოცხლის მოსპობა. ქმედების მავნე შედეგი სიკვდილი დამდგარია.

- მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის - ეჭვს არ იწვევს ავთოს ქმედებას, დანის დარტყმას მსხვერპლისათვის, მოყვა ამ უკანასკნელის გარდაცვალება.

- ობიექტური შერაცხვა - პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. აღწერილი შემთხვევიდან ჩანს, რომ ავთომ თავისი ქმედებით გამოიწვია ნინის სიკვდილი, რაც მას ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა - ორივე ჰიპოთეზასთან მიმართებაში სახეზეა პირდაპირი განზრახვა. ავთოს სურდა ნინის მოკვლა, ითვალისწინებდა თავისი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს და სურდა მავნე შედეგის დადგომა და ყველაფერი გააკეთა ამ შედეგის მისაღწევად. მოტივად გვევლინება ეჭვიანობა.

-მართლწინააღმდეგობა

ავთოს ქმედებაში სახეზეა მართლწინააღმდეგობის ფაქტი. კაზუსში არ ჩანს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

-დასკვნა: უარყოფილ უნდა იქნას მეორე ჰიპოთეზით შემოთავაზებული დებულება, რომ სახეზეა სსკ-108 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე, რადგან პირველი ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობს ეჭვიანობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ, მაკვალიფიცირებელ გარემოებაში, სადაც გათვალისწინებულია მსხვერპლის ძილი ქმედების ჩადენის მომენტში, როგორც უმწეო მდგომარეობა, მართებულია. შესაბამისად მოცემული შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

როგორც ვხედავთ, კითხვას, თუ რომელი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაა სწორი? პასუხად უნდა გაცეს; პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელმაც ავთოს ქმედება დააკვალიფიცირა, როგორც მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

ზოგჯერ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე დაკავშირებულია შურისძიებასთანაც: ბესო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეგობრობდა ვინმე მარისტან და სთხოვა მას, ცოლად გაჰყოლოდა. როდესაც ქალმა უარით უპასუხა, ბესომ მას რამდენჯერმე ჩაარტყა დანა. მარი რომ დაეცა, ბესოს იგი მკვდარი ეგონა და ხრამში გადააგდო. მარი სიკვდილს გადაურჩა მისთვის დროული საექიმო დახმარების განევის შედეგად. ამ შემთხვევაში ბესომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, რომელსაც ითვალისწინებს სსკ-ის 19-ე, 108-ე მუხლები. მისი დანაშაულის მოტივი იყო ეჭვიანობა, დაკავშირებული შურისძიებასთან. საგამოძიებო ორგანოებმა არასწორად დააკვალიფიცირეს ბესოს მოქმედება, როგორც მკვლელობის მცდელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში.

მკვლელობა შურისძიების მოტივით ჩადენილად უნდა დაკვალიფიცირდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამორიცხულია შურისძიება მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (109-ე მუხლის მე-სამე ნაწილის „ა“ პუნქტი), ასევე მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი) და სხვ.

რაც შეეხება მკვლელობას ჩხუბში, ზოგჯერ შელაპარაკების ნიადაგზე აღმოცენებულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს მკვლელობის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევებს. პირველ რიგში, სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა გამოირიცხოს მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები. გარდა ამისა, ასევე დადგენილ უნდა იქნას, ხომ არ არის მკვლელობა ჩადენილი უეცრად აღძრული, ძლიერი, სულიერი აღელვების ნიადაგზე ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ასევე ხომ არ არის

სიცოცხლე მოსპობილი გაუფრთხილებლობით.

ჩხუბში მკვლელობის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენილ იქნას დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივი. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გართულებულია ჩხუბში მკვლელობის გამიჯვნა, ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობისაგან. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ ვინ იყო ჩხუბის ინიციატორი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, თუ ჩხუბი ორმხრივია, იგი ყოველთვის 108-ე მუხლით უნდა იქნას დაკვალიფიცირებული, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც.

ასეთი ვითარება პრაქტიკას უქმნის სიძნელეებს. ამგვარი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას ძირითადად სამი სახის შეცდომას უშვებენ:

1. ხულიგნურ მოტივს ურევენ პიროვნულ, მტრულ დამოკიდებულებაში;

2. ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ მკვლელობას უმოტივოდ მიიჩნევენ და

3. ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილს მიაკუთვნებენ ჩხუბის დროს ან სიმთვრალეში ჩადენილ მკვლელობებსაც. არადა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხის ასეთი აღრევა პიროვნების კანონიერი ინტერესების საგრძნობ შელახვას იწვევს. კერძოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობისათვის სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათიდან ოც წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას უვადოდ, ხოლო სსკ-ის 108-ე მუხლი, რომლითაც ჩხუბში ან სიმთვრალეში ჩადენილი მკვლელობა კვალიფიცირდება, ითვალისწინებს შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. როგორც ვხედავთ, სასჯელის ზომამი სხვაობა საკმაოდ დიდია და, რადგან თეორია და პრაქტიკა დღევანდელი საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს „ხულიგნურ ქვენაგრძნობას“, შექმნილი ვითარების განსამუხტად, კარგი იქნება, თუ კანონით უფრო დანვრილებით დაკონკრეტდება

„ხულიგნური ქვენაგრძნობის“ ცნება. ეს მით უფრო საშურია, რამდენადაც განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა ექმნებათ ერთი და იმავე დანაშაულის ჩამდენთ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა შელაპარაკებისა და ჩხუბის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობას ცალკე მუხლად გამოყოფს (მაგალითად, საბერძნეთის სსკ-ის 313-ე მუხლი).

ავთო და ბესო ერთ დაწესებულებაში მუშაობდნენ. ერთ დღეს, როცა ცოტა ნასვამები იყვნენ, ავთომ დანით მოკლა ბესო. საქალაქო სასამართლომ ავთო დამნაშავედ ცნო ხულიგნური მოტივით მკვლელობაში. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა ამ განჩინებას. თავის განჩინებაში კოლეგიამ მიუთითა, რომ „მკვლელობა მოხდა ჩხუბის დროს“, რომლის წამომწყებიც თვით დაზარალებული იყო. მაშასადამე, სასამართლოს დასკვნა, რომ მკვლელობა ჩადენილია ხულიგნური ქვენაგრძნობით, დასაბუთებული არ არის“. ავთოს მოქმედებაში არ არის დამამძიმებელი ნიშნები, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლით. ამ შემთხვევაში ავთოს ქმედება დაკვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო, როგორც განზრახ მკვლელობა, ჩადენილი სსკ-ის 109-ე მუხლში ჩამოთვლილი დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში მხოლოდ ზოგადადაა აღნიშნული, რომ განზრახ მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. ამ ზოგადი მითითების გამო 108-ე მუხლმა იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად მიიღო დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი განზრახ მკვლელობის სახელწოდება. ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ანალოგიური სახის განზრახ მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც დამამძიმებელ გარემოებაში კანონით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებული პირობების არსებობისას, ისე ამ მაკვალიფიცირე-

ბელი გარემოებების გარეშე, რაც უდავოდ ართულებს, მთელ რიგ შემთხვევებში, მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნას, მით უმეტეს, რომ მათ შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მაგალითად, ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა, უმეტეს შემთხვევებში, აკმაყოფილებს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მეორე შემთხვევაში კი შეიძლება გასცილდეს მის ფარგლებს და თუ ასეთი მკვლელობა დაკავშირებულია პირის ხულიგნურ ქვენაგრძნობასთან, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის მომდევნო, 109-ე მუხლის „კ“ პუნქტი და სასჯელიც საკმაოდ მკაცრია.

საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია ამ მიმართებით დაშვებული შეცდომები, რომელთა აღმოსაფხვრელად სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა ამ ორი ურთიერთომიჯნავე ქმედებების დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა-დამუშავებისა და მათი ურთერთგანმასხვავებელი მყარი ნიშნების შესამუშავებლად.

ამ მიმართებით უაღრესად ყურადსაღები და გასათვალისწინებელია განზრახ მკვლელობის ჩადენის მოტივები და ზოგიერთი ცალკეული სახის გარემოებები, მაგალითად, ამ მარტივი სახის განზრახ მკვლელობის ჩადენის მოტივებიდან აღსანიშნავია განზრახ მკვლელობა ჩადენილი შურისძიების, ეჭვიანობის, სამაგიეროს მიზღვის მოტივით და სხვა. თუ, ცხადია, მას თან არ სდევს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის დამახასიათებელი სხვა რაიმე ნიშანი ან გარემოება და სხვა. აგრეთვე, ისეთი გარემოების არსებობა, როგორიცაა დაზარალებულსა და მოძალადეს შორის ურთიერთმტრული დამოკიდებულების აღმოცენება, ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა, როცა ამ ჩხუბის უშუალო წამომწყები დაზარალებული იყო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტოდენ თავისთავად ეს უკანასკნელი გარემოება ყოველთვის არ შეიძლება დაედოს საფუძვლად მის გამიჯვნას

დამამძიმებელ გარემოებაში-ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობასთან. ე.ი. ჩვეულებრივი, ანუ მარტივი სახის განზრახ მკვლელობას ადგილი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ საქმის გარემოების შესაბამისად ჩადენილ ამ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას არ ახასიათებს სხვა-დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის რაიმე ნიშანი.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობად მიიჩნევენ და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით აკვალიფიცირებენ ქმედებას, რომელიც საერთოდ არ შეიცავს ხულიგნობისა და არც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობის მახასიათებელ ნიშნებს. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 18 აპრილის განაჩენით მ.-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით და სასჯელად შეეფარდა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ იყო რა შსს შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილის ნაკრები ასეულის მესამე ოცეულში რიგითად, 2001 წლის 9 ოქტომბერს, 10-დან 12 საათამდე იმყოფებოდა განაწესში ავტოპარკის ტერიტორიაზე არსებულ №2 საგუშაგოზე და ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, მას თან ჰქონდა „აკ-74“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ორი მჭიდით. 10 საათსა და 10 წუთზე მ.-ე შევიდა ავტოპარკის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ავტოფარეხში, სადაც იმყოფებოდნენ იმავე სამხედრო ნაწილის რიგითი ჯარისკაცები ვ.-ე, ს.-ე და ზ.-ე მ.-ე ჰკითხა მ.-ეს პოსტზე როდის შეცვლიდნენ, რაზეც მან უპასუხა: „შეგვცლით, აბა, რას ვიზამთ, შეჩემა“. ზ.-ეს ასეთი პასუხი მ.-ემ შეურაცხყოფად მიიღო, რის გამოც მან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა ზ.-ე გულმკერდის არე-

ში, სროლის შემდეგ მ.-ე გაიქცა შემთხვევის ადგილიდან, მაგრამ მალე დააკავეს. მოცემულ საქმეზე შეტანილ იქნა საკასაციო საჩივარი, რომელიც ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ მოისმინა რა საკასაციო საჩივრების მოტივები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივრის მოთხოვნა არ არის სწორი და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, აუცილებლად მიიჩნია მასში ცვლილებების შეტანა კვალიფიკაციის მიმართებით. კერძოდ, ჩათვალა, რომ კვალიფიკაცია არ არის სწორი. ამიტომ საჭიროდ მიიჩნია განაჩენში კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში ცვლილებების შეტანა და თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ მ.-ემ ზ.-ეს განზრახი მკვლელობა ჩაიდინა პირადი უთანხმოებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატა ზ.-ეს მხრიდან მის მიმართ ნათქვამ სიტყვაში- „შეჩემა“. ამით მან თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და პირადი ანგარიშსწორების, მოტივისა და სამაგიეროს მიზღვის მიზნით ავტომატიდან ერთხელ ესროლა ზ.-ეს. ამიტომ საკასაციო პალატამ მ.-ეს ეს ქმედება 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 108-ე მუხლზე და სასჯელად განუსაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენ ნაწილში კი განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში⁴⁰

ასევე უნდა გაიმიჯნოს განზრახი მკვლელობა მასთან ახლო მდგომ სხვა დანაშაულთაგან, სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლებისაგან, სადაც მითითებულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. პირისათვის სიცოცხლის მოსპობის მიმართ დამნაშავეს დამოკიდებულება გამოიხატება გაუფრთხილებლობაში. აქ სახეზეა ბრალის ორმაგი ფორმა: ჯანმრთელობის დაზიანების მიმართ ადგილი აქვს განზრახვას, ხოლო შედეგის მიმართ კი — გაუფრთხილებლობას. ამიტომაც, ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ დადგინდეს ჩადენილი

40 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, 10, გვ.1710-1712.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ყველა გარემოებათა ერთობლიობა, მათ შორის, ბრალეული ქმედების ჩადენის ხერხი და საშუალება. ჯანმრთელობის დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მისი ლოკალიზაცია (მაგალითად, ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებისათვის ჭრილობის მიყენება), ასევე დანაშაულის ჩადენამდე და მისი ჩადენის შემდეგ ბრალდებულისა და დაზარალებულის ქცევა, მათი ურთიერთობა და სხვ.)⁴¹.

პრაქტიკაში ხშირად არ იმიჯნება განზრახ მკვლელობა მკვლელობის მცდელობისაგან. უფრო მეტიც, არც იქ, სადაც სინამდვილეში ჩვეულებრივი განზრახ მკვლელობის მცდელობაა. საგამოძიებო ორგანოები ქმედებას არა მკვლელობის მცდელობით - სსკ-ის 19-ე, 108-ე მუხლებით, არამედ დამთავრებული განზრახ მკვლელობით სსკ-ის 108-ე მუხლით აკვალიფიცირებენ.

მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთოს სურდა შურისძიების ნიადაგზე მოეკლა ბესო. იგი ერთ საღამოს გზაზე დახვდა ბესოს და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მუცელში. თვითმხილველებმა დაჭრილი ბესოს დასახმარებლად გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა. საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე მძლომა, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანას მართავდა ერთ-ერთ მოსახვევში ვერ დაიმორჩილა საჭე, გამოიჩინა უყურადღებობა და ბოძს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ბესო დაიღუპა.

კითხვა: დაისჯება თუ არა ავთო განზრახ მკვლელობისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით?

კაზუსიდან ორი წინასწარი ვერსია - ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაცენოთ. კერძოდ, მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შესახებ.

ამოხსნა

1-ლი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

41 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2006., გვ.32.

შესაძლებელია ავთოს ბესოსთვის მუცელში ცეცხლ-სასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახ მკვლელობისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

კაზუსის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გაანალიზების შედეგად ყველაზე მისაღებია კაზუსის წერილობითი ანალიზი.

კაზუსის ამოხსნა მკვლელობის ჰიპოთეზით დავინწყით: კაზუსის ამოხსნა იწყება დანაშაულის შემადგენლობის პირველი ნიშნის - ქმედების შემადგენლობის ნიშნების შემოწმებით (მოქმედება თუ უმოქმედობა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა, დამთავრებული დანაშაული თუ დანაშაულის მცდელობა):

- ქმედების შემადგენლობა
- ქმედების ობიექტური შემადგენლობა
- ქმედების სუბიექტი-ავთო
- ქმედების ობიექტი- ბესოს სიცოცხლე

ა) ქმედების შედეგი, ადამიანის სიკვდილი დაღვა-ბესო მკვდარია.

ბ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (კონდიციო ფორმულის) მიხედვით არსებობს, რადგან ავთოს მსხვერპლი, რომ არ დაეჭრა, მისი გადაყვანა სასწრაფო დახმარების მანქანით საჭირო არ გახდებოდა და ავტოავარიის შედეგად ბესო არ მოკვდებოდა.

გ) ობიექტური შერაცხვა-პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. ავთოს მიერ შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს-ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას არ შეეძლო გამოენვია კონკრეტული შედეგი-ბესოს სიკვდილი. დამდგარი შედეგი სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლის მიერ ავადმყოფის საავადმყოფოში გადაყვანის დროს დაშვებული შეცდომის შედეგია. ამიტომაც ავთოს

დამდგარი შედეგი-ბესოს სიკვდილი-ობიექტურად არ შეერაცხება.

დასკვნა: ავთო პასუხს არ აგებს ბესოს მკვლელობისათვის სსკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით.

მე-2 ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, რომ ავთომ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში ბესოს დაჭრით განახორციელა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება- განზრახ მკვლელობის მცდელობა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, ავთოს ქმედება მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად. მოქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მაშინაა მიმართული, როდესაც სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულ საფრთხეშია ჩაყენებული. ცეცხლსასროლი იარაღით ბესოს მუცელში დაჭრით ავთომ სიცოცხლის მოსპობის საფრთხე შექმნა და ამით მცდელობის ობიექტური მხარე განახორციელა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ავთომ იცოდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში მიყენებული ჭრილობით მსხვერპლი გარდაიცვლებოდა და მას სურდა კიდევ ეს. იგი ამ შედეგის განსახორციელებლად მოქმედებდა.

-მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე არაა კაზუსში საუბარი. ავთოს ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

-ქმედება ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან, ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული.

-დასკვნა: ავთომ ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში ბესოს დაჭრით განახორციელა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება- განზრახ მკვლელობის მცდელობა.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი მკვლელობაც, რომელსაც ე.წ. „უმოტივო მკვლელობად“ მიიჩნევენ და ზოგჯერ დაუსაბუთებლად ხულიგნური მოტივით ჩადენილ მკვ-

ლელობად აკვალიფიცირებენ, რამდენადაც მკვლელობის საბაზი იმდენად მცირეა, რომ მოტივის დადგენა ვერ ხერხდება. ს. ბოროდინი თვლის, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობის მოტივი ვერ დგინდება და არ არსებობს ამ ხარვეზის შევსების შესაძლებლობა და, თუ არ არსებობს მკვლელობის დამამძიმებელი რაიმე გარემოება, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს 108-ე მუხლით (მაგალითად, სიმთვრალეში, როდესაც დამნაშავე ვერ იხსენებს საქმის გარემოებებს)⁴²

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს დაზარალებულის თანხმობით ჩადენილი მკვლელობა, ვინაიდან მის თანხმობას თავისთავად არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა და არ გამოირიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამგვარ მკვლელობას უნდა მივაკუთვნოთ ასევე მკვლელობა „ურთიერთშეთანხმებით“, როდესაც ორი პირი რაიმე მიზეზით შეთანხმდება ერთად მოიკლან თავი, ხოლო შემდგომ ერთ-ერთი მათგანი უარს ამბობს თვითმკვლელობაზე, როდესაც მეორეს უკვე მოუსპო სიცოცხლე⁴³

სსკ-ის 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ასევე მკვლელობა ჩადენილი შურის მოტივით, კრიმინალური ავტორიტეტისადმი ნდობის მოპოვების (მისდამი თავის მონონების) მიზნით, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა ისეთ ვითარებაში, როცა ამის კანონიერი საფუძველი არ ჰქონდა), ასევე მკვლელობა, რომელიც ჩადენილია მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საპასუხოდ (მაგალითად, მოხელე იწყებს მოქალაქის ბინის უკანონო ჩხრეკას, რის საპასუხოდაც მოქალაქემ იგი მოკლა) და სხვა⁴⁴

42 Бородин С.В. Преступления против жизни. М., 2000., с.85.

43 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.46.

44 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.46.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა

ფ.ი. საძოვარზე ყოფნისას, თავისი კარვიდან 47 მეტრის დაშორებით, ეკამათებოდა მეზობელ ე.ი-ს. ამ უკანასკნელისათვის ცხენის ქურდობისას დაჭერის გამო. კამათი ჩხუბში და ერთმანეთის ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ფ.ი-მ ამოიღო ჯიბიდან საოჯახო დანა და სხეულის სხვადასხვა ადგილას ცხრაჯერ ჩაარტყა ე.ი-ს. ურტყამდა მანამ, სანამ ამ უკანასკნელმა არ შეწყვიტა წინააღმდეგობა და მუხლებზე არ დაეცა. ე.ი. ადგილზე გარდაიცვალა.

ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განაჩენით ფელიქსი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 108-ე მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ადვოკატი საკასაციო საჩივარში მოითხოვდა განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ მტკიცებულებებს.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გამოიკვლია საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები, პროკურორის შუამდგომლობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არის დადასტურებული, ე.ი-ს დანა ჰქონდა და ემუქრებოდა ფ.ი-ს. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ე.ი ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო და, თუ მას დანაც ექნებოდა, ხელს ვერაფერი შეუშლიდა ფ.ი დაეჭრა. თვით მსჯავრდებული ფელიქსი ადასტურებდა, რომ იგი მანამდე ურტყამდა დანას მსხვერპლს, სანამ ის მუხლებზე არ დაეცა და არ შეწყვიტა წინააღმდეგობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განაჩენი ფ.ი-ს მიმართ სწორია და იგი ძალაში უნდა დარჩეს.

აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიგვაჩინია, რომ აქ სახეზეა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს

გადაცილება. როგორც საქმიდან ჩანს, ე.ი. ფიზიკურად ფ.ი-ზე უფრო ძლიერი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოგერიებისას არ არის სავალდებულო თავდასხმისა და თავდაცვის იარაღების იდენტიურობა. ამ შემთხვევაში საჭიროა იმ კონკრეტული ვითარების ზუსტი ანალიზი, რომელშიც დანაშაული მოხდა. მხედველობაშია მისაღები ყველა ის გარემოება, რასაც შეუძლია პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზემოქმედება მოახდინოს ძალთა რეალურ თანაფარდობაზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად კი გასათვალისწინებელია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დრო, ადგილი, მოქმედთა ასაკი, სქესი, ჯანმრთელობა, მათი ძალ-ღონე, ვის რა იარაღი ჰქონდა და ა.შ. ის ფაქტი, რომ ფ.ი-ს დანა აღმოაჩნდა, არსებითად არ ცვლიდა ძალთა თანაფარდობას, რადგან ე.ი. მასზე ძლიერი იყო ფიზიკურად. მაგრამ მას შემდეგ, რაც ე.ი. მუხლებზე დაეცა და შეწყვიტა წინააღმდეგობა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერი აქტიც დანაშაულად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად გადაიქცა, ანუ დაირღვა თანაფარდობა დროში ე.წ. „დაგვიანებული მოგერიება“.

ამ ვითარებისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ ბრალდებული ვერ ამჩნევს, ხელყოფის დამთავრების მომენტს. თუ ამ თვალსაზრისს არ გავიზიარებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული დანაშაული 108-ე მუხლითაც არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან, იგი სავსებით აკმაყოფილებს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან მუხლებზე დაცემული მსხვერპლის ცხრა ადგილას დაჭრით გამოდის, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით. ასეთი ქმედება ზოგადი წესის თანახმად, მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, სხვა შემთხვევაში კი სისასტიკით ჩადენილი დანაშაული მხოლოდ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით კვალიფიკაციას მოითხოვს⁴⁵.

⁴⁵საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 456

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია-2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით;
4. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1991 წლის რატიფიცირებული, თბილისი;
5. ვ. მაყაშვილი, თ. ნერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო პრაქტიკული კომენტარი), თბილისი., 1980;
6. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან) თბ., 1999;
7. ზ. მუჯანაძე, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
8. ზ. ნულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბილისი., 2000;
9. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი., 2002;
10. შ. ფაფიაშვილი, მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდის პრობლემები (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2004;
11. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი., 2005;
12. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2006;
13. ა. კვაშილავა, დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა, თბილისი., 2008;
14. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი., გამომცემლობა „ნოვაცია“ 2010.
15. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, საგამომცემლო სახლი „ნოვაცია“ თბილისი., 2011;

16. გოცირიძე, ბურდული და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2013;
17. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი., 2014;
18. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი., 2016;
19. ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი., 2016;
20. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
21. Уголовное право, Особенная часть, коллектив авторов, М., 1998;
22. А. Пиотковский Курс Советского уголовного права, Особенная часть М., 1999;
23. С.В Бородин. Преступления против жизни. М., 2000;
24. Уголовное Право Россиской Федерации Особенная часть, Парога А. И., М., 2014;
25. Е. В. Благов Наказание и иные меры уголовно правово характера М., 2011;
26. Словарь по уголовному праву, Российской Федерации, М., 1997.
27. Шаргородский М. Д. Избранные труды. СПб., 2004;
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, 10.

თავი III

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ ბარემოებაში (მუხლი 109-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა ყველაზე უფრო საშიშ და მძიმე დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის პერიოდში დაისვა საკითხი განზრახ მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებათა ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ეს წინაპირობა იყო იმისა, რომ უფრო ზუსტად დაკვალიფიცირებულიყო ბრალდებულის ქმედება, გატარებულიყო პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და დადგენილიყო სამართლიანი სასჯელი. კანონმდებლობის მიზანს წარმოადგენდა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობათა ამომწურავი ჩამოთვლა. ბოლო ხანს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები. სახელდობრ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობები დაიყო სამ ნაწილად. ეს მკვლელობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავისი სოციალური საშიშროებით, და აქედან გამომდინარე, მათთვის დადგენილი სანქციებითაც.

განზრახ მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნას რამდენიმე პირის თანამონაწილეობით. თანამონაწილეობის უფრო მარტივ ფორმას წარმოადგენს თანაამსრულებლობა, როდესაც მკვლელობის ყველა მონაწილე ერთობლივად, როლების წინასწარი განაწილების გარეშე, ახორციელებს დანაშაულს.

თანაამსრულებლობის შემთხვევაში არ არის საჭირო მითითება 25-ე მუხლზე, მკვლელობის ყველა თანაამსრულებლის მოქმედება უშუალოდ უნდა იქნას დაკვალიფიცირებული კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით,

რომელიც შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ უძნელდებათ მკვლელობის თანაამსრულებლისა და დამხმარის განსხვავება ერთმანეთისაგან. ამსრულებლად ცნობილი უნდა იქნას ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად, მკვლელობის განზრახვით და უშუალო მონაწილეობას იღებენ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის პროცესში. მკვლელობის თანაამსრულებლობა გვექნება არა მარტო მაშინ, როდესაც ყველა თანამონაწილე უშუალოდ ასრულებს დანაშაულის მთელ შემადგენლობას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი შემადგენლობის ნაწილს ასრულებს (მაგალითად, ავთომ სასიკვდილოდ დაჭრა კესო, რომელსაც ხელ-ფეხი გაუკავა ბესომ და მისცა ავთოს შესაძლებლობა ბოლომდე მიეყვანა ძირითადი განზრახვა). აქ თუმცა როლების განაწილებას აქვს ადგილი, მაგრამ თითოეული მონაწილე, ამ შემთხვევაში ავთო და ბესო, ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის რაიმე ნაწილს და შედეგი - სხვისი სიცოცხლის მოსპობა ორივე მათგანის მოქმედებით არის გამოწვეული.

ავთომ შურისძიების ნიადაგზე მოკლა კესო თავში რამდენჯერმე აგურის ჩარტყმით. იმ მომენტში, როდესაც ავთო კესოს აგურს ურტყამდა, მას ეხმარებოდა ბესო, რომელმაც კესოს ხელები გაუკავა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბესო ჩათვალა მკვლელობის ჩადენაში დამხმარედ და მისი მოქმედება 24-ე მუხლით დაკვალიფიცირდა, თანაც ასეთი კვალიფიკაცია იმით დაასაბუთა, რომ ბესოს მკვლელობის აქტი უშუალოდ არ შეესრულებინა. ზემდგომმა სასამართლომ სავსებით სამართლიანად მიუთითა მას მოქმედების არასწორ კვალიფიკაციაზე. „მართალია, ბესოს თვითონ არ დაურტყამს კესოსთვის თავში აგური, რამაც მსხვერპლის სიკვდილი გამოიწვია, მაგრამ მან უშუალო მონაწილეობა მიიღო თვით დანაშაულებრივი ქმედების შესრულების პროცესში. ბესო მკვლელობის თანაამსრულებელია.

მკვლელობის დამხმარე არილებს უშუალო მონაწილეობას დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ ჩვეულებრივ მოსამზადებელ მოქმედებას ასრულებს, ე.ი. მოქმედებს დანაშაულის ჩადენამდე. გამონაკლისის სახით დამხმარე შეიძლება მოქმედებდეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტშიც. მაგალითად, დათო დარაჯად დგას მაშინ, როდესაც ნოდარი და გიორგი კაცს კლავენ. დარაჯად დგომა არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, იგი მხოლოდ უადვილებს ამსრულებლებს მკვლელობის ჩადენას. ამიტომ ეს მოქმედება განხილულ უნდა იქნას არა როგორც თანაამსრულებლობა, არამედ როგორც დახმარება.

თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ მოქმედებას. ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, ნაქეზებას. პირი შეიძლება ცნობილი იქნას ნამქეზებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისი მოქმედებით იგი ცდილობს აღუძრას მესამე პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის განზრახვა. ნამქეზებლის განზრახვა უნდა მოიცავდეს იმ კონკრეტულ დანაშაულს, რომლის განხორციელებაც მას სწადია და რომელზედაც იგი სხვას დაიყოლიებს. ორგანიზატორის, ნამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება 24-ე მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამავდროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ.

109-ე მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის. თითოეული გარემოება, მოხსენიებული 109-ე მუხლის შესაბამის ნაწილში, საკმარისია იმისათვის, რომ განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად ჩაითვალოს, მაგრამ, ცხადია, თუ განზრახი მკვლელობის დროს ორი ან რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება არსებობს, ეს კიდევ უფრო დაამძიმებს პასუხისმგებლობას.

3.1.სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განზრახ მკვლევლობები

სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით მძიმდება პასუხისმგებლობა, როდესაც ადგილი აქვს განზრახ მკვლევლობას მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, პუნქტი „ბ“.

მძევლად ხელში ჩაგდების ცნებაში იგულისხმება პირის უკანონო შეპყრობა გარკვეული პირობით. ხშირ შემთხვევაში ბრალდებული მძევლად ხელში ჩაგდებას ახორციელებს სახელმწიფოსაგან, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაციისა ან სამხედრო ხელმძღვანელობისაგან მისთვის რაიმე სასარგებლო მოქმედების შესრულების ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავების მიზნით.

ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული მკვლევლობა გულისხმობს მსხვერპლისათვის წინასწარ, მისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებით თავისუფლების აღკვეთას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით ხდება, რომ შემდგომში მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ კონკრეტული ორგანიზაცია ან პირი შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. იმ შემთხვევაში, როცა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ხდება განზრახი მკვლევლობის ჩადენა ეს კანონმდებლის მიერ დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კომენტარებში სავსებით სწორად არის ხაზგასმული, რომ „ადამიანის მოტაცებასა ან მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებულ განზრახ მკვლევლობად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო მხოლოდ მოტაცებულის ან მძევლის მკვლევლობა, არამედ სხვა პირებისაც“. მაგალითად, ისეთი პირებისა, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენთ ადამიანის მოტაცებაში, ანდა რომლებიც შეეცადნენ მძევლების გათავისუფლებას⁴⁶ თუმცა, ამასთან დაკავ-

46 Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. м., 1998., с. 232.

შირებით არსებობს სხვა მოსაზრებებიც. მესამე პირების მიმართ ჩადენილ მკვლევობასთან მიმართებაში სსკ-ის 109-ე მუხლის სტრუქტურა პირდაპირ პასუხს არ გვაძლევს, მაგრამ მასში სხვა პირების მიმართ განხორციელებული მკვლევობაც იგულისხმება⁴⁷

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთმანეთთან კონკურენციაშია, სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტები. სრულიად უცხო ადამიანი, როდესაც ის სხვის დახმარებას ცდილობს და მას მოკლავენ, ასრულებს საზოგადოებრივ მოვალეობას. ხოლო, როდესაც საუბარია ოჯახის წევრის გატაცებაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირის (ოჯახის წევრის) გადარჩენას, გათავისუფლებას, პირადი მოტივი უდევს საფუძვლად და არა საზოგადოებრივი ვალის შეგნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახლო ნათესავების მოკვლის შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით (მკვლევობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით), ხოლო, თუ ადგილი აქვს უცხო პირის მკვლევობას, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტით (მკვლევობა საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით).

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მძევლად ხელში ჩაგდებას, ხოლო შემდეგ მძევლის განზრახ მკვლევლობას, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩამდენ პირთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლითა და 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით, როგორც დანაშაულის რეალური ერთობლიობის შემთხვევა.⁴⁸ მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული მკვლევლობისას დაზარალებული შეიძლება იყოს, როგორც მძევლად აყვანილი, ისე სხვა პირიც (მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი, რომელიც მონაწილეობს მძევლად აყვანილის გათავისუფლების პროცესში). სსკ-ის 3531 -ე მუხლის ამოქმედების გამო ამ შემთხვევაში გამოიყენება არა სსკ-ის 109-ე, არამედ ეს სპე-

47 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ., 2016., გვ. 35

48 Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. м., 1998., с. 232.

ციალური მუხლი.

ოთარ გამყრელიძე თვლის, რომ "სისხლისსამართლებრივი უმართებლობა მხოლოდ ობიექტური ნიშნებისაგან არ შედგება და ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორცაა მიზანი, საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ობიექტურად მსგავსი დელიქტები. სწორედ მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედებები სხვადასხვა ობიექტს ხელყოფს, ამიტომ ზოგიერთი სუბიექტური ნიშანი მთლიანად არ მიეკუთვნება ბრალს"⁴⁹

მაგალითად, ანგარების მიზნით ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთისას საქმე გვაქვს მძევლად ხელში ჩაგდებასთან (სსკ-ის 144-ე მუხლი), ასეთი მიზნის გარეშე კი თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან (სსკ-ის 143-ე მუხლი), რაც არასამართლიანია. ამ საკითხზე, იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. პროფ. ზ. წულაია მართებულად აღნიშნავს, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთისას ქმედების ჩადენის მოტივი და მიზანი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, უფრო მეტად ესაა ანგარება⁵⁰

სავსებით ვიზიარებთ იმ პრაქტიკოს-მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მოტივი შეიძლება იყოს: შურისძიება, ეჭვიანობა, ანგარება და სხვა.

პრაქტიკაში ხშირად არ იმიჯნება თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდებისაგან. ამ მხრივ, საინტერესოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 აპრილის განაჩენი დ.ხ-ლის და სხვათა მიმართ, რომელებმაც თბილისში წინასწარ განზრახვით მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ძმები კ.ა და კ.ო. გაიტაცეს, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და მათ გათავისუფლების სანაცვლოდ 3500 აშშ დოლარი მოითხოვეს.

49 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007., გვ.187.

50 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2000., გვ. 225.

დ.ხ-ლისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე საქართველო სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „ვ“, „ი“ ქვეპუნქტებით წარმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც ისინი დამნაშავედ ცნო საქართველო სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით და მიესაჯათ ექვ-ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში უნდა შეცვლილიყო. მსჯავრდებულთა ქმედება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტებით.

თბილისის პროკურატურამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენის გაუქმება იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაკანონიერი იყო და მიუთითა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის მოტივი შეიძლება იყოს: შურისძიება, ეჭვიანობა, ხულიგნური ქვენაგრძობა, სხვა დანაშაულის ჩადენისთვის ხელის შეწყობა, ქორწინების მიზანი და სხვა, მაგრამ არა ანგარება.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარდგენილი საჩივრის დასაშვებობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა საბრალდებო დასკვნით დადგენილად მიიჩნევს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. რაც შეეხება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირა რა სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლზე და სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა მსჯავრდებულთა მხრიდან სწორედ ანგარების მიზნითა და მათთვის ფულის გამოძალვის მოთხოვნით დაზარალებულებისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტი, სწორად გამოიყენა, როგორც სამართლის

მატერიალური, ისე საპროცესო კანონი.

საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენში წარმოდგენილ მოსაზრებას, რომ მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტური შემადგენლობისათვის, გარდა პირდაპირი განზრახვისა, დამახასიათებელია კონკრეტული მიზანი, რომლის გარეშე ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ამ მუხლით, კერძოდ, მძევლად ხელში ჩაგდება ხდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ პირი ან ორგანიზაცია, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და, რომ სწორედ ამ მიზნით განსხვავდეს იგი თავისუფლების აღკვეთისაგან.

საკასაციო პალატა განმარტავს, როცა დამნაშავე თავისუფლებას აღუკვეთს პირს ზემოხსენებული მიზნით, ხდება მძევლად ხელში ჩაგდება, როცა ასეთი მიზანი დამნაშავეს არ ამოძრავებს, საქმე გვაქვს თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით არის დადასტურებული და, რასაც სადავოდ არც მხარეები თვლიან, დ.ხ-ელმა და სხვა პირებმა წინასწარი შეთანხმებით ფულის გამოძალვის მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, გატაცებულ კ.ა. და კო.კ.-ძეებს გათავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს 3500 აშშ დოლარი, ე.ი. ფულის გამოძალვის მოთხოვნა წაუყენეს მათ მიერ გატაცებულ პირებს, რომლებსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და არა სხვა პირს ან ორგანიზაციას, რაც არის მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების ქმედებაშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება - თავისუფლების უკანონო აღკვეთა. პალატის ამ მოსაზრების გაზიარების პირობებშიც კი გაუგებარი რჩება, რა საფუძვლით მოიხსნა მსჯავრდება სსკ-ის 144-ე მუხლით,

არადა ეს საკითხი საგულდაგულო ანალიზს საჭიროებდა. აქ ერთადერთ გამოსავლად კანონის ცვლილება გვესახება. კანონმდებელმა ისე უნდა მოანსრიგოს მსგავსი ვითარება, რომ სიძნელები არ შეუქმნას პრაქტიკას.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ანგარების მიზანი მხოლოდ სხვა პირთა (ორგანიზაციათა) იძულებას არ გულისხმობს, ადამიანს თავისუფლება შეიძლება აღუკვეთონ იმ მიზნით, რომ შემდგომ ჩააბან იგი პროსტიტუციაში, მათხოვრობაში ან სხვაგვარ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში და აქედან მიიღონ შემოსავალი⁵¹

ამრიგად, ერთი შეხედვით ერთი და იგივე გარემოება ანუ ანგარება სრულიად სხვადასხვა შინაარსს იძენს საქართველოს სსკ-ის 143-ე და 144-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებში. ეს განსხვავება განპირობებულია მძევლად ხელში ჩაგდების, როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთის სპეციალური სახის სპეციფიკით. ამდენად, ანგარების, როგორც დამამძიმებელი გარემოების შეტანა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლში მაინც სავალდებულოა.

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით მკვლელობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენილ იქნას თვით მკვლელობის ჩადენის საშუალების საყოველთაო საშიშროება. გარშემომყოფთათვის საფრთხის შექმნად ჩაითვლება, მაგალითად, აფეთქება, ცეცხლის ნაკიდება, ადამიანთა თავშეყრის ადგილას სროლა, წყლის ან საჭმლის მოწამვლა, რომლითაც დაზარალებულის გარდა სხვებიც სარგებლობენ და სხვა. დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირს წინასწარ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ იგი კლავს ადამიანს ისეთი ხერხითა და საშუალებით, რომელიც დაზარალებულის გარდა საფრთხეს უქმნის, თუგინდ სხვა ერთი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

51 ზ. პატაშური, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის. თბ., 2005., გვ.89.

სუბიექტური მხარის ანალიზისას, სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების ავტორები სავსებით მართებულად მიუთითებენ რამდენიმე კომბინაციაზე: 1. მკვლევლობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, მაგრამ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვა აქვს მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ, ე.ი. შეგნებულად უშვებს, რომ მის მიერ ერთი პირის მოსაკლავად არჩეული საშუალება საფრთხეში აყენებს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. 2. როგორც მკვლევლობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნისადმი დამნაშავეს აქვს ევენტუალური განზრახვა. მაგალითად, დამნაშავე სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით გადაწვავს სახლს, თუმცა იცის, რომ ეს ემუქრება იქ მყოფ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. 3. დამნაშავეს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი განზრახვა, როგორც მკვლევლობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ. მაგალითად, დამნაშავემ საგანგებოდ შეარჩია კაცის მოსაკლავად საყოველთაოდ საშიში საშუალება⁵²

ადამიანის მოსაკლავად რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალების გამოყენებისას დამნაშავე, როგორც წესი, ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულის ადგილზე მყოფი პირების სიკვდილი ან ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. ამიტომ თუ ფაქტობრივად მკვლელმა მოკლა ერთი პირი, ხოლო სხვებმა მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანება ამ შემთხვევაში მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტითა და ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ შესაბამისი მუხლით (ე.ი. დანაშაულთა ერთობლიობის წესით).

მკვლევლობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით, როდესაც მკვლევლობის ჩასადენად გამოყენებული საშუალება არა მარტო ობიექტურად არის საშიში რამდენიმე ადამიანისთვის, არა-

52 ვ. მაყაშვილი, თ. წერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები), თბ., 1980., გვ.36.

მედ დამნაშავეს ამავე დროს სუბიექტურადაც აქვს შეგნებული მის მიერ არჩეული საშუალების ასეთი ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრთხე რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის არ უნდა იყოს მოჩვენებითი, არამედ სხვა ადამიანთა სიკვდილის შესაძლებლობა კონკრეტულ პირობებში ცხადი უნდა იყოს. თუ დამნაშავეს სხვისი სიცოცხლის მოსპობის დროს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული საშუალება საშიშია რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის, სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი არ გამოიყენება, თუნდაც ობიექტურად ასეთი საფრთხე შეიქმნას.

თუ პირს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული საშუალება საფრთხეს წარმოადგენს სხვა ადამიანთა სიცოცხლისათვის, მაგრამ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ამ საშუალების გამოყენებას მოჰყვეს სხვა ადამიანის სიკვდილიც, ასეთ შემთხვევაში გვექნება ორი დანაშაულის ერთობლიობა: განზრახი მკვლევლობისა და გაუფრთხილებლობით მკვლევლობისა.

თუ რამდენიმე ადამიანისთვის საშიში საშუალებით ჩადენილ მკვლევლობას ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, თანაც ამ ადამიანთა სიკვდილი მოცულობით იყო დამნაშავეს პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვით, ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და პირველი ნაწილის „გ“ პუნქტებით.

მკვლევლობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, უნდა განვასხვაოთ ტერორისტული აქტისაგან (სსკ-ის 323-ე მუხლი). იგი, მართალია, ხორციელდება ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაგრამ ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების მიზნით. ამასთან, ტერორისტისათვის სულერთია, კონკრეტულად ვინ და რამდენი კაცი დაიღუპება ტერორისტული აქტის შედეგად. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი კი ითვა-

ლისწინებს კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, მაგრამ სხვა ადამიანთა დაღუპვის შესაძლებლობასაც⁵³

მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით ჩადენილი მკვლელობის განსაკუთრებული საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებული ფაქტობრივად ჩადის ორ დანაშაულს.

პირველ შემთხვევაში ბრალდებული კლავს პიროვნებას ჩადენილი დანაშაულის დაფარვის, ხოლო მეორე შემთხვევაში - მისთვის სასურველი დანაშაულის იოლად განხორციელების მიზნით. დანაშაულის ორივე სახეს ბრალდებული ჩადის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პირველ შემთხვევაში ბრალდებული ფიქრობს, რომ მოწმე, რომელმაც იგი დაინახა დაზარალებულის ბინიდან გამოსვლის დროს (სადაც საყარალოდ შევიდა), უდავოდ ამხელს მას, ამიტომ კლავს მოწმეს. მაგალითად: დაზარალებულმა ნილაბი ჩამოხადა რა დამნაშავეს, იცნო მისი ნათესავი. ამ უკანასკნელმა დანაშაულის დაფარვის მიზნით მოკლა დაზარალებული. თუკი ბრალდებული მოწმეს მოკლავს იმისათვის, რომ მან უკვე განაცხადა ჩადენილი დანაშაული სამართალდამცავ ორგანოებში, ამ შემთხვევაში მოქმედება დაკვალიფიცირდება ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ პუნქტით, როგორც დაზარალებულის განზრახ მკვლელობა საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული მოკლავს ადამიანს სხვა უკვე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით- სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით და იმ დანაშაულისათვის, რომლის დასაფარავად ან გასაადვილებლად მან მკვლელობა ჩაიდინა. თუმცა არა აქვს მნიშვნელობა, ბრალდებულმა ბოლომდე მიიყვანა თუ არა ის დანაშაული, რომლის გასაადვილებლად მკვლელობა იყო ჩადენილი, იგი მკვლელობასთან ერთად, პასუხს აგებს ამ დანაშაულებრივი

53 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I- გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.52.

ქმედების მომზადების ან მცდელობისათვის.

სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ პროფესორ მ. ლეკვეიშვილის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახ მკვლელობას სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით „ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე კლავს პირს იმისთვის, რომ გაიადვილოს მომავალში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ან ჩადის მკვლელობას სხვა დანაშაულის განხორციელების პროცესში მისი გაადვილების მიზნით. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი პირის მკვლელობაა ჩადენილი, რომელსაც ნამდვილად შეეძლო ხელი შეეშალა დანაშაულისათვის, თუ ისეთი პირის, რომელსაც მხოლოდ მკვლელის აზრით, შეეძლო დანაშაულის ჩადენისათვის დაბრკოლების შექმნა. თუ დამნაშავე მომავალში ნებაყოფლობით იტყვის უარს იმ დანაშაულის ჩადენაზე, რის გამოც იგი მკვლელობაზე წავიდა, მისი ქმედება მაინც დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით⁵⁴

სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო ისეთი შემთხვევები, როდესაც მკვლელი ამით ფარავს არა მხოლოდ თავის დანაშაულს, არამედ ისიც, როდესაც ამ მკვლელობით იგი ფარავს სხვის დანაშაულს, რათა მას პასუხისმგებლობა ააცილოს.

განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით არის მაშინ, როდესაც დამნაშავე კლავს პირს, რათა გაიადვილოს მომავალში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ან მკვლელობას ჩადის ძირითადი დანაშაულის განხორციელების საწყის პროცესში იმიტომ, რომ დაზარალებულს ნამდვილად შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის.

განსაკუთრებით ხშირად ამ სახის მკვლელობა გვხვდება ყაჩაღობის დროს ქონების გადაცემის მიზნით ან იმ მიზნით, რომ ცოცხალი არ დარჩეს დაზარალებული ან მოწმე, რომელმაც შემდგომ მკვლელი შეიძლება ამხილოს ჩადენილ

54 მ. ლეკვეიშვილი სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები, თბ., 1996., გვ.57.

დანაშაულში. რამდენადაც სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს განსაზღვრული (სპეციალური) მიზანი წარმოადგენს, სახელდობრ, სხვა დანაშაულის დაფარვა ან მისი ჩადენის გაადვილება, ამდენად, ასეთი მკვლელობის ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. განსახილველი დანაშაულებრივი ქმედების დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა არა მიზნის მიღწევა, მისი განხორციელება, არამედ კანონით გათვალისწინებული მკვლელობის ფაქტის დადგენა.

3.2. სსკ-ის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობები

სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დანაშაულისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის სიცოცხლის ხელყოფა (ა პუნქტი), დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა იმდენად, რამდენადაც ბრალდებული ხელყოფს ორ სიცოცხლეს - სიცოცხლეს ქალისა და ნაყოფისას, ამასთანავე, კანონმდებელი ითვალისწინებს სუბიექტური მხარის იმ შეუბრალებლობის ელემენტსაც, რასაც ნაყოფის მიმართ იჩენს ბრალდებული. მომეტებული საფრთხე დანაშაულისა მდგომარეობს იმაში, რომ ქალი განიცდის ორმაგ ტანჯვას, რაც გამონვეულია პირადი და შვილის სიცოცხლის განადგურებით.

ასეთი მკვლელობის მიკუთვნება კვალიფიციურ მკვლელობათა რიგისათვის სავსებით მიზანშეწონილი და გამართლებულია. ორსულობის მდგომარეობა, განსაკუთრებით ბოლო თვეებში, ქალს უფრო ნაკლებად მოძრავს, ნაკლებად ძლიერს ხდის. ამ დროს მისთვის უფრო ძნელია, თავი აარიდოს თავდასხმას, წინააღმდეგობა გაუწიოს ბოროტმოქმედს. ეს ხელს უწყობს მკვლელს განახორციელოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა და განსაკუთრებით საშიში ხდება ამგვარ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის აუცილებლად უნდა დადგინდეს ის, რომ ბრალდებულმა ნამდვილად იცოდა დაზარალებულის ორსულობა.

თუ ბრალდებულმა წინასწარ იცის, რომ ქალი ფეხმძიმეა და მოკლავს ანგარებით, რათა მისი ოქრო-მორთულობა ან ფული მიითვისოს, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით.

თუ ბოროტმოქმედი წინასწარ დარწმუნებულია მსხვერპლის ფეხმძიმობაში, ე.ი. მკვლელს ეჭვი არ ეპარება მსხვერპლის ორსულობაში. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ მოკლული ქალი არ იყო ორსული, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელობა?

ამ საკითხზე დოქტრინაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ასეთ ვითარებაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მკვლელობის მცდელობა (სსკ-ის 19, 109-ე მუხლი)⁵⁵. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებით, რადგან აღნიშნული მკვლელობისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტი არის ქალის სიცოცხლე, რომელიც მოსპობილია, ხოლო ემბრიონის (ფეტუსის) სიცოცხლე სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია. შესაბამისად, როცა მოსპობილია სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტი და მიზეზობრივი კავშირიც დადგენილია, დანაშაულის (მკვლელობის) მცდელობაზე საუბარი შეუძლებელია⁵⁶

მეორე მოსაზრების მიხედვით, ასეთი შეცდომისას მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით - როგორც მარტივი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე, მუხლი) და ორსული ქალის მკვლელობის მცდელობა (სსკ-ის 19, 109-ე მუხლი)⁵⁷. ეს მოსაზრებაც სამართლიანადაა გაკრიტიკებული, რადგან იგი ხელოვნურად ქმნის დანაშაულთა ერთობ

55 Курс Советского уголовного права, м., 1990., с. 339

56 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.54.

57 Уголовное право Российской Федерации (Особенная часть) М., 1997., с.99

ბლიობას.

პროფესორ ე.ფ. პობეგაილოს აზრით, თუ მკვლელობის შემდეგ მცდარი აღმოჩნდება დამნაშავეის რწმენა დაზარალებულის ორსულობაზე, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით - მკვლელობისთვის თავდასხმა ფეხმძიმედ წარმოდგენილ ქალზე და დამთავრებული ჩვეულებრივი მკვლელობით (ეჭვიანობა და სხვა), ან დამამძიმებელი მკვლელობის რომელიმე პუნქტით. პროფესორ ს.ვ. ბოროდინის აზრით, ამ მუხლით დაკვალიფიცირდება მკვლელობა, თუ დამნაშავემ იცოდა რაიმე სარწმუნო წყაროდან დაზარალებულის ფეხმძიმობაზე.⁵⁸

ეს საკითხი სადისკუსიოა, ამაზე თავად ამ დამამძიმებელი გარემოების რედაქცია მიუთითებს: „მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა“. ე.ი. მსხვერპლი ნამდვილად უნდა იყოს ორსულად და ეს ფაქტი ბრალდებულს წინასწარ, ქმედების ჩადენამდე უნდა ჰქონდეს შეცნობილი. „შეცნობა“ ნიშნავს რეალობის სწორ აღქმას და არა იმას, თუ რას მიიჩნევს პირი რეალობად. შესაბამისად, როცა სახეზეა სისხლისსამართლებრივი დაცვის სხვადასხვა რანგის ობიექტი, შეცდომა ამ ობიექტებში სისხლისსამართლებრივად რელევანტურია. მას ვერ განვიხილავ იმ ფაქტობრივ შეცდომად, რომელსაც არა აქვს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა⁵⁹, თუმცა მიზანშეწონილია, რომ მისი გადანყვეტისას ვიხელმძღვანელოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმადაც ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება, კანონით დადგენილი წესით უნდა გადანყვეტოს ბრალდებულის სასარგებლოდ (მაგალითად, როდესაც არც ქალმა და არც მამაკაცმა დანამდვილებით არ იცოდნენ ქალის ორსულობის შესახებ). ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახი მკვლელობით (სსკ 108-ე მუხლი).

პრაქტიკაში ხშირად არ იმიჯნება განზრახ მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობისაგან.

58 Бородин С В Преступление против жизни. М., 2000., С. 104.

59 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016., გვ. 156-157.

მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი.

კესო ვარაუდობდა რომ მეზობლად მცხოვრები ნინი მისი შეყვარებულისაგან ფეხმძიმედ იყო და ამიტომაც მკვლელობის განზრახვით ყავაში ჩაუყარა სანამლავი. ნინი გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნინი ფეხმძიმედ არ იყო.

როგორ დაკვალიფიცირდება კესოს ქმედება?

პირველი ჰოპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, რომ კესომ მეზობელი გოგოს მონამლავით ჩაიდინა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება-მკვლელობა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

შედეგი დადგა, რადგან მეზობელი ქალი მკვდარია, მსხვერპლის სიკვდილი მიზეზობრივ კავშირშია კესოს ქმედებასთან და მას აღნიშნული ქმედება ობიექტურად შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

კესო მოქმედებდა განზრახ, რადგან მან იცოდა, რომ იგი სანამლავის საშუალებით ფეხმძიმე ქალს კლავდა და მას სურდა კიდევ ასეთი შედეგი დამდგარიყო.

დასადგენია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რა მნიშვნელობა მიენიჭება კესოს არასწორ წარმოდგენას ნინის ფეხმძიმობის შესახებ და დაკვალიფიცირდება თუ არა კესოს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა.

ქართული სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს მოსაზრებები, რომ, თუ დარწმუნებით არ იცოდა ქალის ორსულობის შესახებ იგი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. ეს საკითხი თეორიულ დონეზე სხვადასხვაგვარად დააყენა ს. ბოროდინმა. იგი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ მკვლელობა სსკ-ის

109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით იყოს დაკვალიფიცირებული, თუ დამნაშავე ვარაუდობდა, რომ დაზარალებული შეიძლება ორსულად ყოფილიყო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო. დამნაშავე ამ შემთხვევაში უშვებს ფაქტობრივ შეცდომას იმ გარემოებათა არსებობაში, რაც მკვლელობას მაკვალიფიცირებელს ხდის. ს. ბოროდინი თვლის, რომ ამ დროს „დამნაშავე მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით“⁶⁰.

მკვლელის მიერ წინასწარი ცოდნა ქალის ორსულ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ (რომლის სიცოცხლის მოსპობაც მას განზრახული აქვს) იმას ნიშნავს, რომ მან წინასწარ და უდავოდ იცოდა ასეთი ფაქტის შესახებ. რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულის ცოდნა შეიძლება ეფუძნებოდეს ვიზუალურ დაკვირვებას (ფეხმძიმობის დიდი ხნის შემთხვევაში). ოფიციალური დოკუმენტების გაცნობას (რომელიც გაცემულია შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების მიერ), დაზარალებულის ნათქვამს და ა.შ. ყოველ შემთხვევაში ქალის ორსული მდგომარეობასთან დაკავშირებული ცნობები უნდა იყოს ობიექტური და უტყუარი. სხვა შემთხვევაში ვარაუდები, სააღბათო მსჯელობები და ა.შ. დასახელებული ფაქტის შესახებ, გამორიცხავენ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების შესატყვის შემადგენლობას.

-მართლწინააღმდეგობა-კესო მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

-ბრალის გამომრიცხველი გარემოებები არ გვაქვს.

-პასუხი: კესოს არ ჩაუდენია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება-მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა.

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი წინაპირობა არის მსხვერპლის ფეხმძიმობის წინასწარ შეცნობა. ამის გარეშე ეს შემადგენლობა საერთოდ არ გვექნება, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

⁶⁰Бородин С. В., Ответственность за убийство, М., 1999., с. 244.

მეცნიერთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ როცა ბრალდებული დარწმუნებულია ქალის ორსულობაში, მაგრამ მკვლელობის შემდეგ გაირკვა, რომ მსხვერპლი არ იყო ორსულად. ასეთ ვითარებაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა (სსკ-ის 19, 109-ე მუხლი). ეს მოსაზრება არასწორია, ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია ქალის სიცოცხლე, რომელიც მოსპობილია, მიზეზობრივი კავშირიც დადგენილია, გამომდინარე აქედან, მკვლელობის მცდელობაზე საუბარი შეუძლებელია. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოსდა ასეთ დროს ქმედება ე.ი. მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც მარტივი მკვლელობა (მუხლი 108-ე) და ორსული ქალის მკვლელობის მცდელობა (19, 109-ე მუხლი). აქ საუბარია ხელოვნურ დანაშაულთა ერთობლიობაზე. კიდევ ერთ მოსაზრებაზეა ყურადღება გამახვილებული. კერძოდ, ასეთ შეცდომას თითქოსდა არა აქვს მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისათვის და ორსულობაზე ბრალდებულის წარმოდგენის მიხედვით უნდა მოხდეს ქმედების სამართლებრივი შეფასება, როგორც დამთავრებული მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი).

აღნიშნული მოსაზრებაც არასწორია. ამაზე თავად ამ დამამძიმებელი გარემოების რედაქცია მიუთითებს: „მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა“, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალებული ნამდვილად უნდა იყოს ორსულად და ეს ფაქტი ბრალდებულს წინასწარ (ე.ი. მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაზე) უნდა ჰქონდეს შეცნობილი.

მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია) :

შესაძლებელია კესომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული).

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედება და შედეგი:

კესოს მიერ სანამლავის ჩაყრით ნინი გარდაიცვალა. კესოს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია მსხვერპლის სიკვდილთან, ე.ი. მას აღნიშნული ქმედება ობიექტურად შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

კესო მოქმედებდა განზრახ, რადგან მას ეგონა, რომ იგი სანამლავის საშუალებით ჩადიოდა ფეხმძიმე ქალის მკვლელობას და სურდა კიდევ ასეთი შედეგი დამდგარიყო.

-მართლწინააღმდეგობა

კესოს ქმედებაში არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არა გვაქვს.

-დასკვნა: კესო შეცდომით ფიქრობდა, რომ ჩადიოდა ორსული ქალის მკვლელობას. რეალურად არაა ხელყოფილი ორსული ქალის სიცოცხლე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კესოს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახი მკვლელობით (სსკ-ის 108-ე მუხლი). რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ კესოს მსხვერპლი ორსული ეგონა, ვეთანხმები ავტორთა კოლექტივის მოსაზრებას იმაში, რომ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნისას სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.⁶¹

სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტში განხილულია მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა. აქ აღწერილია მკვლელობის ორი შემადგენლობა: ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მკვლელობა და ბ) უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა. მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებათა შორის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისათვის სიცოცხლის მოსპობა სიახლეა. ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ზემოაღნიშნული დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად არ ითვლებოდა. ეს ნოვაცია იმითაა დასაბუთებული, რომ ბოლო დროს საქართ-

61 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.56.

ველოში იმატა არასრულწლოვანთა მკვლელობის ფაქტებმა, ამიტომ კანონმდებელი შეეცადა სისხლის სამართლის კანონის მეშვეობით გაეძლიერებინა მათი დაცვა და ამ მიზნით უფრო მკაცრად დაესაჯა დამნაშავე. შესაბამისად, ამ დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელი სრულწლოვანია, რადგან სწორედ მას ევალება მეტად მიმტევებელი იყოს არასრულწლოვნის მიმართ. თუ ერთი არასრულწლოვანი მეორეს მოუსპობს სიცოცხლეს, ეს ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობად (თუ სახეზე სხვა დამამძიმებელი გარემოება არაა). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დაუშვებელია ამ საკითხის ამგვარად განმარტება ანალოგიური დამამძიმებელი გარემოების ყველა შემთხვევაში. მაგალითად, არასრულწლოვნის მიმართ ძალადობით სქესობრივი დანაშაულის ამსრულებელია არა მხოლოდ სრულწლოვანი, არამედ ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, რადგანაც სახეზეა სექსუალური მოტივით ჩადენილი ქმედება და არ დგას საკითხი მსხვერპლის ასაკიდან გამომდინარე, მის შემწყნარებლობასა თუ მიმტევებლობაზე⁶²

რაც შეეხება უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისათვის სიცოცხლის მოსპობას, მასში იგულისხმება ავადმყოფის, ღრმად მოხუცისა და სხვათა მკვლელობა, რომელთაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ თავის დაცვა. ამის მაგალითად გამოდგება უგონო მდგომარეობაში მყოფის, მთვრალისა და სხვა უმწეო პირის ძილში სიცოცხლის მოსპობა, ვინაიდან, მათ არა აქვთ ბრალდებულის ქმედებაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

მკვლელობის სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით კვალიფიკაციისათვის საჭიროა, რომ ბრალდებულს გაცნობიერებული ჰქონდეს ადამიანის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და მის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობა.

აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება ბრალდე-

62 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.156-159.

ბულს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა როგორც ბრალდებულის სუბიექტური აღქმა დაზარალებულის უმწეობის, ისე დაზარალებულის ობიექტურად ამ მდგომარეობაში ყოფნა. ერთ-ერთი კრიტერიუმის არარსებობა გამორიცხავს განსახილველი მუხლით ქმედების კვალიფიკაციას, საუბარია დამამძიმებელი გარემოების შერაცხვის შესაძლებლობაზე.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ გადამწყვეტია ბრალდებულის ცოდნა, განზრახვა, ისარგებლოს დაზარალებულის მდგომარეობით და ასე მიიყვანოს დანაშაულებრივი ქმედება სისრულეში.

სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ პროფ. ბაჩანა ჯიშკარიანის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ პირი რომც არ იყოს ფიზიკურად უძლური ან ფსიქიკურად ჯანმრთელი და უბრალოდ ეძინოს, მისი მკვლელობა უნდა ჩაითვალოს უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობად. მძინარე ადამიანს არავითარი შანსი არა აქვს თავი დაიცვას თავმდამსხმელისაგან, ვინაიდან, ის საერთოდ არ აღიქვამს თავდასხმას და რაგინდ ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი არ უნდა იყოს, მუხანათური თავდასხმის პირობებში მაინც სრულიად დაუცველია და ამით სარგებლობს დამნაშავე. ამ კვალიფიციური შემადგენლობის არსებობის თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მსხვერპლი მღვიძარეა, დამბლადაცემული თუ არავის საშველად მოხმობა არ შეუძლია. მას ასე მოკლავენ სანოლში თუ სახსალამათია და ძინავს. ორივე შემთხვევა იდენტურია, რადგან მისი მხრიდან მოგერიების შანსი ნულის ტოლია. ქართული სასამართლო პრაქტიკა დამნაშავეს ქმედებაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობის განწევის უნარს დეტალურად არ განიხილავს. იგივე გერმანული სასამართლო პრაქტიკა უმწეო მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობად არ აკვალიფიცირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ავადმყოფი უხმობს სხვას. ობიექტურად რომც არ იყოს ახლომახლო დამხმარე, დამნაშავე მაინც მარტივი მკვლელობისათვის აგებს პასუხს⁶³

63 ბ. ჯიშკარიანი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016., გვ.35-36.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს: შურისძიება, ეჭვიანობა და სხვა, მაგრამ თუ მკვლელობის მოტივი ანგარება ან ხულიგნური ქვენაგრძობაა, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტში გათვალისწინებულია მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით, რომელიც ჩადენილია საზოგადოებისა და ზნეობის (მორალის) საყოველთაოდ მიღებული ნორმებისადმი აშკარა უპატივცემულობით. ამ დროს ბრალდებული არაფრად აგდება საზოგადოებრივ წესრიგს და უპირისპირდება გარშემომყოფთ. ავლენს მათ მიმართ თავხედურ დამოკიდებულებას.

მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით ხშირად ხორციელდება რაიმე სპეციალური მიზნის არარსებობისას და იმდენად მცირე საბაბის საფუძველზე, რომ ზოგიერთი მეცნიერი ასეთ მკვლელობას უმოტივოს უწოდებს, „ხულიგნური ფსიქიკის გამოვლენის ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს უმოტივობა, მკვლელობის ჩადენისას⁶⁴ რაც, ცხადია, სწორი არ არის. ბრალდებულის ქმედებას აქვს თავისი მოტივაცია, რომელიც მრავალგვარია. აღნიშნული მოტივის დასადგენად აუცილებელია ბრალდებულის ყველა მოქმედების ერთობლივი ანალიზი როგორც მკვლელობამდე, ისე მკვლელობის მომენტში და მისი ჩადენის შემდეგ.

ხულიგნური ქვენაგრძობა, ისევე როგორც სხვა მოტივი, რეალურია და ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციისათვის ზუსტად უნდა იყოს დადგენილი და დამტკიცებული. მკვლელობის მოტივის დაუდგენლობა არ წარმოადგენს მისი ხულიგნური მოტივით დაკვალიფიცირების საფუძველს. პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ სასამართლო შეცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება აიხსნას დანაშაულებრივი ქმედების გარემოებათა ზედაპირული ანალიზით.

მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით იქნება ჩადენილი, თუ იგი მცირე საბაბის საფუძველზე აღმოცენდა (მაგალითად, ბრალდებულისათვის შენიშვნის მიცემის, სიგა-

64 А. А., Жижиленко Преступление против личности, М., 1999., С.131

რეტის მოთხოვნაზე უარის მიღების შემთხვევაში და სხვ.). ხულიგნური მოტივით მკვლელობას შეიძლება ახასიათებდეს შურისძიების მოტივიც, მაგრამ იგი გამოდის არა ძირითად, დომინირებულ ფაქტორად, არამედ ხულიგნური მოტივის გამოვლენის ფორმად.

ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა ხშირად ხდება ჩხუბის, კონფლიქტის შედეგად. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყველა მკვლელობა ჩხუბში უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი. იმისათვის, რომ ხულიგნური მოტივით მკვლელობა გაიმიჯნოს ჩხუბში მკვლელობისაგან, საჭიროა დადგინდეს, ვინ იყო ინციდენტის ინიციატორი, ხომ არ იყო კონფლიქტი პროვოცირებული ბრალდებულის მიერ მკვლელობის საბაზად და სხვა. თუ დამტკიცდება, რომ ჩხუბის წამომწყები იყო დაზარალებული, ან კიდევ კონფლიქტის აღმოცენების საბაზი იყო მისი არამართლზომიერი ან ამორალური ქცევა, ბრალდებული პასუხს ვერ აგებს ხულიგნური მოტივით მკვლელობისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლელობის ჩადენის ადგილს (მაგალითად, საზოგადოების თავშეყრის ადგილს) დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია მკვლელობის ხულიგნური ქვენაგრძნობით დაკვალიფიცირებისათვის. მთავარია, დადგენილი იქნას, რომ გადამწყვეტ და უშუალო მიზეზს, რომელმაც წარმოშვა მკვლელობის განზრახვა, წარმოადგენს ზემოაღნიშნული ანტისაზოგადოებრივი ქვენაგრძნობა. თუ პირმა თავისი დანაშაულებრივი ქმედება ხულიგნობით დაიწყო, რაც შემდეგ მკვლელობაში გადაიზარდა, ფაქტობრივად სახეზე გვექნება ორი დამოუკიდებელი დანაშაული. თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებელი შეფასება უნდა მიიღოს.

იმისათვის, რომ ბრალდებულის მოქმედება განსახილველი პუნქტით დავაკვალიფიციროთ, მკვლელობას სხვა მოტივი არ უნდა ედოს საფუძვლად, გარდა ხულიგნობისა. თუნდაც რაიმე სხვაგვარი მოტივით ჩადენილ მკვლელობას საზოგადოების ხულიგნური უპატივცემულობაც თან ერთვის, მოქმედება ამ მუხლით მაინც არ დაკვალიფიცირდება.

მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი განზრახვითაც. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულს კონკრეტულად რომელიმე მოქალაქის მოკვლის სურვილი არ გააჩნია, მაგრამ ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შედეგად მოჰყვება საზოგადოების რომელიმე წევრის დაღუპვა, რასაც შეგნებულად უშვებს.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობათა კვალიფიკაციისას ძირითადად სამი სახის შეცდომას უშვებენ: ა) ხულიგნურ მოტივს ურევენ პირადულ მტრულ ზრახვებში; ბ) ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ მკვლელობებს უმოტივოდ მიიჩნევენ; გ) ხულიგნურს მიაკუთვნებენ მკვლელობებს, რომლებიც ჩადენილია ჩხუბის დროს ან სიმთვრალეში.

ზოგჯერ ძნელია გავმიჯნოთ ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახი მკვლელობის მცდელობა (ცხადია, იგულისხმება იარაღის გამოყენების შემთხვევა), ხულიგნობის მესამე ნაწილისაგან (ხულიგნობა ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად გამოყენებული საგნის მეშვეობით). ამ შემთხვევაში გამიჯვნა უნდა მოხდეს განზრახვის მიმართულების მიხედვით, ე.ი. მას საფუძვლად უნდა დაედოს დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე. ასე მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მოქმედებს ხულიგნური მოტივით, რაც საფრთხეს უქმნის ერთი ან რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს, ხოლო თუ ხულიგნური მოქმედების პროცესში ადგილი აქვს იარაღისა და სხვა საგნების გამოყენებას, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნიან გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასეთი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 239-ე მუხლის (ხულიგნობა) მესამე ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით). ასეთი კვალიფიკაციის საფუძველია ბრალდებულის განზრახვის ნებითი მომენტი, რომელიც ხასიათდება იმის სურვილით, რომ დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი

იარაღის ან სხვა საშიში საგნების გამოყენებით⁶⁵

სირთულეებთანაა დაკავშირებული ხულიგნობისა (სსკ-ის 239-ე მუხლი) და ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი) განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის საკითხი. მისი სირთულე იმაშიც გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის თეორიასა და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში ეს მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ ერთნაირად არაა გადანყვეტილი. გასული საუკუნის 60-70 წლებში და მის შემდგომ პერიოდშიც ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა და სხვა სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში გატარებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობას, თუ თან სდევდა ხულიგნობის ჩადენა, მაშინ იგი უნდა დაკვალიფიცირებულიყო ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი) და საკუთრივ ხულიგნობის (სსკ-ის 239-ე მუხლი) ამსახველი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის შესაბამისი პუნქტით. შეიძლება ითქვას, რომ თეორიისა და პრაქტიკის ეს მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი დღესაც მონესრიგებული არაა ერთიანი კრიტერიუმებით და ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკაც არათანმიმდევრულია. სისხლის სამართლის თეორიაშიც იგი მეტად ბუნდოვნადაა გაშუქებული.

მაგალითად, სისხლის სამართლის პრაქტიკის კომენტარის ავტორები იზიარებენ და სწორად მიიჩნევენ რა ამ მიმართებით შემჩნეულ პრაქტიკას გ.-ეს ბრალდების საქმეზე, ცდილობენ დაასაბუთონ დებულება იმისა, რომ თუ პირის ქმედება შეიცავს ხულიგნობის ნიშნებს და ასეთ გარემოებაში იქნება ჩადენილი განზრახ მკვლელობა, მაშინ პირის ასეთი ქმედება დაკვალიფიცირებულ უნდა იქნეს სსკ-ის ორივე მუხლით, კერძოდ, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტითა და სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით⁶⁶ რაც, ჩვენი

65 ზ. ნულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2000., გვ. 73-74.

66 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ., 2016., გვ. 69.

აზრით, გარკვეულ შეკამათებას იწვევს.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, განზრახ მკვლელობის ჩადენა ხულიგნური ქვენაგრძნობით, უმეტეს შემთხვევაში ხდება საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში და იგი გამოიხატება საზოგადოების აშკარა უპატივცემლობაში. ამასთან, მისი ჩადენის მოტივებად გვევლინება პირადი ძალისა და შესაძლებლობის დემონსტრირება. ამ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩამდენი პირისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, პეტრეს მოკლავს იგი თუ, ივანეს. ამასთან, ასეთ დროს გამოირიცხულია ისეთი მოტივი, როგორიცაა: დაზარალებულთან რაიმე მტრული დამოკიდებულების არსებობა, შურისძიება, რაიმე სახის მატერიალური გამორჩენის საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და სხვა. საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში, ქუჩაში დებოშის ატეხვა, იქ მყოფი პირებისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, უნმანური(უხამსი) სიტყვების ხმარება, ცეცხლსასროლი იარაღის უმისამართოდ გამოყენება (სროლა), ამა თუ იმ პირის ჩხუბში გამონვება და თითქოს დაზარალებულის მხრიდან მოჩვენებითად შეურაცხყოფილი და განაწყენებული არტყამს მას დანას, ან იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს და იყენებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ძვირფას დაზიანებას და სხვა.

ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ამ დანაშაულის ჩამდენი პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც დამამძიმებელი გარემოების გარეშე ჩადენილი განზრახ მკვლელობა სსკ-ის 108-ე მუხლით და ხულიგნობის მომცველი სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით.

ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიექცეს მოძალადე პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს, კერძოდ, იმას, თუ სად, როდის, რა გარემოებაში, რა ხერხებითა და საშუალებებით, როგორ და რა ფორმით გამოიხატა პირის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვე-

ვადა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა, რამდენად დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ცინიკურია მისი ქმედება საზოგადოების წარმომადგენლებისადმი, როგორია მოქმედების მოტივი, იყო თუ არა იგი განაწყენებული რაიმე გარემოების გამო დაზარალებულზე, ამ უკანასკნელზე პირადად ან მისი ოჯახის წევრს, ან ახლო ნათესავს, ან მის ნაცნობ მეგობარს ხომ არ მიაყენა რაიმე სახის შეურაცხყოფა და სხვ. ყოველივე ამის დადგენა აუცილებელია, თუ გვინდა, რომ შეცდომა არ დავუშვათ და მოვახდინოთ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაცია.

ამ გარემოებათა ანალიზი და ჩადენილი ქმედების მთლიანი მექანიზმის სრულყოფილი გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს სწორად მოვახდინოთ ჩხუბში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის განსაზღვრა, ჩხუბში ჩადენილ განზრახ მკვლელობას ხაზი გავუსვით იმიტომ, რომ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში სწორედ ასეთ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობათა კვალიფიკაციის დროს გვხდება უმეტესი შეცდომები. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახი მკვლელობა ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ამიტომ ქმედების- ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ პირმა განზრახ მკვლელობა ჩაიდინა არაპირდაპირი განზრახვით, არასწორია.

მაგალითად, საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივარი განიხილა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2003 წლის 10 აპრილის განჩინებით, ბ.-ეს მიმართ გამოტანილ განაჩენში შეიტანა ცვლილებები იმ მიმართებით, რომ ბ.-ეს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 108-ე მუხლზე და იგი დაასაბუთა იმით, რომ „მსჯავრდებული ბ.-ე დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, ანუ მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა

მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და თუმცა არ სურდა ეს შედეგი, მაინც გულგრილად მოეკიდა მის დადგომას. „ეს გარემოება გამორიცხავს მკვლელობის ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენას და სახეზე გვაქვს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული⁶⁷

თავისთავად ბ.-ეს ზემოაღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტიდან 108-ე მუხლზე სწორია. მაგრამ არა ამ დასაბუთებით. მისი ზემოაღნიშნული ქმედება ნამდვილად არ შეიცავდა სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რადგან იმ ტყვეში საზოგადოებრივი წესრიგის აშკარა დარღვევასა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა არ შეიძლება ყოფილიყო. მსჯელობა ამ ძირითადი ნიშნის არარსებობას თავიდანვე გამორიცხავს განზრახ მკვლელობის ჩადენას ხულიგნური ქვენაგრძნობით. ამიტომ ამ გარემოებაზე უნდა ყოფილიყო აქცენტირება გადატანილი და არა იმაზე, თითქოს არ შეიძლებოდა დამამძიმებელ გარემოებაში ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობის ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით.

მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტში მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებულია მისი ჩადენა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. ამ დამამძიმებელი გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკვლელობა ხორციელდება იმ პირისადმი სიძულვილის გამო, რომელიც სხვა რასას, ეროვნებას თუ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნება ან აღიარებს სხვა რელიგიას. განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობის გარეშეც (მაგალითად, ეროვნულ თუ ეთნიკურ ნიადაგზე მასობრივი ურთიერთშეტაკების პროცესში).

რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე მკვლელობა,

⁶⁷ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.67-69.

როგორც წესი, განპირობებულია სხვა რელიგიის მიუღებლობითა და სხვა კონფესიის წარმომადგენელთა მიმართ შეურთგებელი დამოკიდებულებით. გამორიცხული არ არის, რომ ამ დროს არსებობდეს სხვა მოტივიც, მაგრამ უნდა დომინირებდეს აღნიშნული მოტივი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ პუნქტის შეტანა შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლს, რომლის თანახმადაც, ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შეუწყნარებლობის სასარგებლოდ, დისკრიმინაციის ნაქეზება, მტრობა და ძალადობა კანონით უნდა აიკრძალოს.

ვინაიდან, სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობის (რომელიც ჩადენილია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო) მოტივები სხვადასხვაგვარია, ასევე განსხვავებული იქნება მკვლელობის ჩადენის ხერხებიც - დაწყებული განსახილველი მკვლელობიდან დამთავრებული გენოციდით (სსკ-ის 407-ე მუხლი). ცხადია, ისინი სათანადო გავლენას მოახდენენ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასა და სასჯელთა ინდივიდუალიზაციაზე.

განსახილველი მუხლით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობა, მისთვის დამახასიათებელი განზრახვისა და მოტივიდან გამომდინარე, განსხვავდება ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობისაგან. ამ კონკრეტული ქმედების ჩადენის დროს ბრალდებულმა შეიძლება მძიმე შეურაცხყოფა მიაყენოს სხვა ერის წარმომადგენელს, მაგრამ ამ სახის მკვლელობისათვის უცხოა ეროვნული შუღლი ან სიძულვილი, მისი განზრახვა მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, მსხვერპლის დამცირებისა და შეურაცხყოფისაკენ, ესე იგი ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობის დროს ხულიგნური მოტივით.

როგორც წესი, სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობას ახასიათებს პირდაპირი განზრახვა. იშვიათ შემთხვევაში ასეთი მკვლე-

ლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს არაპირდაპირი განზრახვით (მაგალითად, სხვა ეროვნების წარმომადგენლის სახლისთვის ცეცხლის წაკიდება მაშინ, როდესაც იქ სხვებიც იმყოფებიან და ბრალდებული მათი ბედის მიმართ იჩენს გულგრილობას).

ადამიანის დანაშაულისადმი ლტოლვისა და მისი სისრულეში მოყვანის დომინირებული მოტივი არის მისი და დაზარალებულის ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და ეთნიკური სხვაობა, რის გამოც ბრალდებული სიცოცხლის მოსპობით უსწორებს ანგარიშს დაზარალებულს. ამასთანავე, დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს იმაშიც, რომ შესაძლებელია გამოიწვიოს ერთა შორის დამოკიდებულების გამწვავება, მასობრივი არეულობა და ა.შ. მსგავს ფაქტებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი ოსებსა და აფხაზებთან კონფლიქტის დროს, როცა ორივე მხარე მწვავედ უსწორდებოდა ტყვეებს ეროვნებისა თუ რელიგიური რწმენის გამო. განსახილველი მუხლის შესაბამისი პუნქტით ქმედების კვალიფიკაციის დროს აუცილებლად უნდა დადგინდეს კანონში ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი კონკრეტული, სპეციალური მოტივი. გამორიცხული არ არის, რომ სამივე მოტივიც ერთდროულად ფიგურირებდეს.

სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას ჯგუფურად. ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობა მოიცავს ჯგუფური დანაშაულის ყველა სახეს. ჯგუფური დანაშაულის ფორმულირება მოცემულია სსკ-ის 27-ე მუხლში. ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე, როდესაც ორი ან მეტი ბოროტმოქმედი სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობას და გამოდის ამ დანაშაულის თანამსრულებლად. ამაში გამოიხატება მათი ერთობლივი ქმედება, რომელსაც მივყავართ დაზარალებულის მკვლელობასთან. მკვლელობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით უნდა ატარებდეს ურთიერთშეთანხმებით ხასიათს, ვინაიდან, საკითხი ეხება პირთა წინასწარ შეთანხმებას. რამდენიმე პირის მიერ წინასწარი შეთანხმებით დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა უფრო საშიშია, ვინაიდან, რამდენიმე დამნაშავის კოლექტიურ მოქმედებას ნულამდე დაჰყავს და-

ზარალებულის წინააღმდეგობის განწევის შესაძლებლობა, პარალიზებას უკეთებს ან ამცირებს მისი ნების გამოვლენას, და უფრო იოლს ხდის ბოროტმოქმედთა მიერ მკვლელობის განხორციელებას. ამასთან, იზრდება დანაშაულის კვალის დაფარვის შესაძლებლობა. უფრო მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია მკვლელობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ამაზე არავინ დაობს, მაგრამ კანონმდებელმა იგი არ გამოყო ცალკე მაკვალიფიცირებელ გარემოებად.

იმისთვის, რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს ჯგუფის მიერ ჩადენილ მკვლელობად, აუცილებელია, რომ ბრალდებულნი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. სუბიექტურად ასეთი სახის მკვლელობა შესაძლებელია უმეტესად პირდაპირი კონკრეტიზებული განზრახვით. ჯგუფური მკვლელობით კვალიფიკაცია შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობაში მონაწილე ყოველი პირი შეთანხმებულად მოქმედებდა დაზარალებულის მიმართ და ყველა მათგანის გონება მოცული იყო მკვლელობაში ურთიერთხელშეწყობით. ამასთანავე, ჯგუფურად უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო იმ პირთა მოქმედება, რომელთაც უშუალოდ გამოიწვიეს დაზარალებულის სიკვდილი, არამედ მათი მოქმედებაც, რომლებიც ფიზიკურად ზემოქმედებდნენ დაზარალებულზე. მაგალითად: რამდენიმე პირი დაზარალებულს ხელ-ფეხს უბორკავს, ხოლო სხვებმა სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს. ამრიგად, სუბიექტები ჯგუფური მკვლელობისა არიან თანამსრულებლები, ე.ი. ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობაში და ახდენდნენ მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას. მკვლელობა პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად უნდა მივიჩნიოთ მაშინაც, როცა, ვთქვათ, ამსრულებელმა დაიწყო მკვლელობის ობიექტური მხარის შესრულება და მას, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, შეუერთდნენ სხვა პირები და ყველამ ერთად შეთანხმებულად დაამთავრეს დანაშაული. ყოველი თანამსრულებლის მოქმედებასა და დამდგარ ყველასთ-

ვის საერთო შედეგს შორის - დაზარალებულის სიკვდილი - უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირი თანამსრულებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის ნიშნავს იმას, რომ თანამსრულებლის მოქმედება არის ამ შედეგის აუცილებელი პირობა, ე.ი. თანამსრულებლის მოქმედების გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა.

ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულებრივი ქმედება მაშინ ითვლება ჩადენილად, როდესაც ასეთი შეთანხმება ამსრულებლებს შორის მიღწეულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი ხნით ადრე შედგა ეს შეთანხმება და რაში გამოიხატება იგი. გამომდინარე აქედან, ერთ-ერთი ამსრულებლის მიერ უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების დაწყების შემდეგ, ბოროტმოქმედთა შორის შეთანხმება ერთობლივი მოქმედების თაობაზე ვერ ჩაითვლება წინასწარ შეთანხმებად, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ აზრი ეკარგება სსკ-ის 27-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც სწორედაც, რომ სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხება. თუმცა, ქმედების სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტში კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ქმედება წინასწარ შეთანხმებით, თუ სპონტანურად, წინასწარი შეთანხმების გარეშე მოხდა. მთავარია ორი ან მეტი ამსრულებლის მონაწილეობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ჯგუფური დანაშაულებრივი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა გამორიცხულია ერთი ამსრულებლის და თუნდაც, რამდენიმე თანამონაწილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან მეტი ამსრულებელი ცდილობს ერთიანი განზრახვით რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და მათ მიერ ერთობლივად განხორციელებული ქმედების შედეგად მხოლოდ ერთი ადამიანი

დაილუბა, დანარჩენები კი გადარჩნენ, ყოველგვარი დაზიანების გარეშე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე, ასევე, სსკ-ის მე-19 და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ერთ-ერთი დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, კვალიფიკაციას უნდა დაემატოს ჯანმრთელობის დაზიანების მუხლიც⁶⁸

3.3. სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობები

სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტში მოცემულია მკვლელობა ორი ან მეტი პირის, რომლის ერთ-ერთ მკვალიფიცირებელ გარემოებად კანონმდებელი თვლის ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობას. ამგვარი მიდგომა სამართლიანია, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მკვლელობის მძიმე შედეგს, რამდენიმე ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას, ასევე დამნაშავეს პიროვნების გაზრდილ საშიშროებას. ორი ან მეტი პირის მკვლელობის ქვეშ იგულისხმება ორი ან მეტი დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან სხვა პირთათვის სიცოცხლის მოსპობა პირველი მსხვერპლის მკვლელობიდან მცირე დროის განმავლობაში. (მაგალითად, ავთოს ჩხუბი მოუვიდა ორ პირთან, რა დროსაც პისტოლეთიდან სამი გასროლით ორივე მოკლა), ან მეორე, პარკში მეგობართან სეირნობის დროს, ორმა პირმა ავთოს შეურაცხყოფა მიაყენა. განაწყენებულმა ავთომ შურისძიების მოტივით ორივეს მოკვლა გადაწყვიტა. სალამოს იგი ჯერ ერთ მათგანს დახვდა გზაში და მოკლა, ხოლო რამდენიმე საათში მეორეც მოკლა. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციისთვის

68 ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ, 2016., გვ37

აუცილებელია დამნაშავე მოქმედებდეს ერთიანი განზრახვით. ამიტომ, თუ მეორე მკვლელობა ერთიანი განზრახვით არ უკავშირდება პირველს, მისი დაკვალიფიცირება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით მცდარი იქნება. თუკი ორი პირის მკვლელობას შორის დიდი წყვეტაა დროში, ქმედება ამ დამამძიმებელი გარემოებით ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან ამ დროს შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ბრალდებული ერთიანი განზრახვით მოქმედებდა. მაგალითად, ავთომ შურისძიების მოტივით გადაწყვიტა მისი ყოფილი ცოლის საყვარლების მოკვლა, რომლებიც ერთ კომპანიაში მუშაობდნენ. ამ მიზნით იგი მოვიდა მათ სამუშაო ოფისში, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი დახვდა, რომელიც იქვე სპორტდარბაზში მოკლა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ მას რუსთაველზე შემთხვევით შეხვდა მეორე პირი, რომელიც განგმირა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. მართალია, თავიდან ავთოს ორივე მათგანის მოკლა სურდა, მაგრამ ვინაიდან, დროში წყვეტაა პირველ და მეორე მკვლელობას შორის, ამასთან, რადგანაც ამ დროის განმავლობაში ავთოს არაფერი უღონია, ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება. მას მიეცემა დანაშაულთა ერთობლიობის შეფასება.

ერთი პირის მკვლელობა და მეორე პირის მკვლელობის მცდელობა არ გვაძლევს „ორი ან მეტი პირის მკვლელობის“, როგორც დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას. ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც განზრახი მკვლელობა და ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა. ორი ან მეტი პირის მკვლელობის მოტივი, უმეტეს შემთხვევაში, ერთიანია. თუმცა გამორიცხული არც ის არის, რომ მისი ჩადენის მოტივი სხვადასხვა იყოს. მაგალითად, დამნაშავემ ერთ პირს სიცოცხლე მოუსპო ხულიგნური ქვენაგრძნობით, ხოლო მეორეს კი ამ უკანასკნელის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სუბიექტური ნიშნის მიხედვით, ორი ან მეტი პირის მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით: თუ იგი ჩადენილია

სხვადასხვა დროს და ერთიანი განზრახვით ხასიათდება, განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი, ხოლო ერთდროული მკვლევლობისას განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირიც. ორი ან მეტი პირის მკვლევლობის დაკვალიფიცირების დროს აუცილებლად დადგენილი უნდა იყოს, რომ დამნაშავე ითვალისწინებდა და შეგნებული ჰქონდა მისი ქმედებით ორი ან მეტი პირის მოკვლის შესაძლებლობა. ამავე დროს სურდა და შეგნებულად უშვებდა ამ შედეგის დადგომას. ორი ან მეტი პირის მკვლევლობა წარმოადგენს რამდენიმე მკვლევლობის ისეთ ერთობლიობას, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან ერთი დროის მოკლე მონაკვეთში და მოიცავს ერთიან დანაშაულებრივ განზრახვას.

მაგალითად, ავთო პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ სამუშაო კაბინეტში მიეჭრა პროკურორს და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა იგი. ნახევარი საათის შემდეგ იმავე რაიონის მოსამართლის სიცოცხლე მოსპო. ორივე დაზარალებულის მოკვლა დამნაშავეს წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. მათგან რამდენიმე წლის წინათ ვითომ უკანონო დაპატიმრებისა და მძიმე სასჯელის შეფარდების გამო, დამნაშავეს მოქმედება სრულიად შეესატყვისება განსახილველი მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის დისპოზიციას. განსახილველი პუნქტის შესწავლის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ რამდენიმე პირის სიცოცხლის მოსპობა დამნაშავეს მიერ შეიძლება ჩადენილ იქნას არა მარტო პირდაპირი განზრახვით, არამედ ევენტუალურითაც. მაგალითად, ავთომ განიზრახა, რომ ბესოს მოკვლის მიზნით ცეცხლი წაუკიდოს ჯიხურს, სადაც იგი იძინებს ხოლმე საგუშაგო სამსახურის შესრულების დროს. განზრახვის შესრულების მომენტში ავთომ გაიგო, რომ ბესოსთან შემთხვევით ეძინა კესოსაც. მიუხედავად ამისა, ბოროტმოქმედმა მაინც დაწვა ჯიხური და ორივე ადამიანის სიცოცხლე მოსპო. ამ მაგალითის მიხედვით, დამნაშავეს სუბიექტური მხარე ერთი დაზარალებულის მიმართ პირდაპირი განზრახვა იყო და გულთ ეწადა მისი მოკვლა, ხოლო მეორის მიმართ ევენტუალური.

ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლევლობა ხასიათდება დანაშაულებრივი განზრახვის ერთიანობით და ერთდროული განხორციელებით, მაგრამ ეს ისე არ უნდა გაგვიგოთ, თითქოს დამნაშავე ერთი გასროლით კლავდეს ორ ადამიანს, ან ერთჯერადი რამდენიმე გასროლით. კანონმდებელმა ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობის იურიდიულ გაგებაში ჩადო ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობის სურვილი ერთ განზრახვაში. დროის მცირე შუალედი არ ცვლის კვალიფიკაციას. დროში განსხვავება შეიძლება ორი ან სამი დღეც იყოს. ასე რომ, სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით კვალიფიკაციას საფუძვლად ედება ბრალდებულის სუბიექტური მხარე - ორი ან მეტი ადამიანის მკვლევლობა, მისი წინასწარი მოფიქრება და განზრახვა.

თუ პიროვნებამ ერთი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ადგილზე, სხვადასხვა მოტივით და მიზეზით განზრახ მოკლა ორი ან მეტი მოქალაქე, რომელთა ერთდროულად მკვლევლობის განზრახვა არ ჰქონია, მოქმედება არ დაკვალიფიცირდება განსახილველი მუხლით. თუ ბრალდებულმა ანგარების მოტივით ორი პირის მოკვლა განიზრახა, ერთი მოკლა, ხოლო მეორემ შემთხვევით მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, მოქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის მცდელობით და იმავე მუხლის „ი“ პუნქტით, იმ პირის მიმართ, ვინც მოკლა, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით.

სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს მკვლევლობას განსაკუთრებული სისასტიკით. განზრახი მკვლევლობა თავისთავად სისასტიკის გამოვლენას წარმოადგენს, ხოლო განსაკუთრებულ სისასტიკეს, როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, აღმატებულ ხარისხში აჰყავს მკვლევლობის აქტი. განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოვლინდეს, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხში, ისე მკვლევლობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებში (მაგალითად, პირის გულგრილ დამოკიდებულებაში დაზარალებულის ტანჯვისადმი). იმისათვის, რომ აღნიშნულ მკვლევლო-

ბას სწორი კვალიფიკაცია მიეცეს, აუცილებელია დადგენილ იქნეს, რომ დამნაშავეს განზრახვა მოიცავდა მკვლელობის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით.

კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა კარგად გავერკვეთ ცნებაში „განსაკუთრებული სისასტიკე“. როგორც აღინიშნა, კანონმდებელი მიუთითებს არა სისასტიკეზე, არამედ განსაკუთრებულ სისასტიკეზე. მაგრამ იგი არ მიუთითებს იმ კრიტერიუმზე, რომლის ძალითაც მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფაქტის დადგენა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის უფლებამოსილებაში არ შედის. „განსაკუთრებული სისასტიკე“ არის არა სამედიცინო, არამედ იურიდიული ცნება. იგი მოიცავს ორ შეფასებით ნიშანს „განსაკუთრებული“ და „სისასტიკე“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზის დასკვნა ხშირად ეხმარება სასამართლოს ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაში (ჭრილობათა ლოკალიზაციის განსაზღვრა, რამდენად იყო თითოეული მათგანი სიცოცხლისათვის საშიში, ეს ჭრილობები სიცოცხლის დროინდელია, თუ მიყენებულია სიკვდილის დადგომის შემდეგ და ა.შ.)⁶⁹

მკვლელობა ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების (აფექტების) ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში, თუნდაც ამ დროს ბრალდებულის მოქმედებაში იყოს განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნები, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით. საქმე ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ე.ი., როდესაც დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი აფექტის მდგომარეობაშია ან, როცა ცდილობს აიცდინოს სხვისი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა, მას შემცირებული აქვს საკუთარი მოქმედების კონტროლისა და თავშეკავების უნარი, ასევე გარემოებათა სწორად შეფასების უნარი. აქედან გამომდინარე, სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ განზრახ მკვლელობა ჩადენილი აფექტისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მდგომარეობაში, თუნდაც

⁶⁹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.67.

რომ შეიცავდეს განზრახი მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნებს, უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით, არამედ სსკ-ის 111-ე ან 113-ე მუხლებით.

რეალურად სასტიკია მკვლელობის მხოლოდ ის იშვიათი და ერთეული შემთხვევები, რომლის დროსაც მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნის გარდა, მისთვის დამახასიათებელია ბრალდებულის სურვილი და სპეციალური მიზანი, თავისი მოქმედებით განსაკუთრებული ტანჯვა მიაყენოს დაზარალებულს. განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი მკვლელობა წამებით, პირის ცოცხლად დაწვით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყლის, საჭმლის მიუცემლობით და ა.შ. მკვლელობის განზრახვის რეალიზაციისას მრავალი ჭრილობის მიყენება ყოველთვის არ ნიშნავს მკვლელის განსაკუთრებულ სისასტიკეს. ზოგჯერ იგი ხდება გამართლებული აფექტის მდგომარეობაში, როდესაც ბრალდებულს შესუსტებული აქვს უნარი სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან უხელმძღვანელოს მას.

განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა სახეზე გვექნება მაშინ, როდესაც მშობლის თვალწინ კლავენ შვილს ან, პირიქით, ცხადია, რომ ბავშვს უნდა შეეძლოს მკვლელობის ფაქტის აღქმა და სხვა. თუ რატომ უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ სისასტიკედ, ახლობლების თვალწინ ადამიანის მკვლელობა, აიხსნება არა მარტო იმით, რომ ისინი განიცდიან დაზარალებულის სიკვდილის ფაქტს, არამედ თვითმხილველნი არიან მათი ახლობლისათვის სიცოცხლის მოსპობის პროცესის. აქ ბრალდებულის განსაკუთრებულ სისასტიკეს მონიშნავს მისი მოქმედების ხასიათი, ვინაიდან იგი გულგრილად ეკიდება მსხვერპლის ახლობელთა გრძნობას. უნდა შევნიშნოთ, რომ მსხვერპლის ახლობელთა წრე არ შეიძლება ამოიწიროს ახლო ნათესავებით. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ყოველი გარემოების შესწავლის საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია სათანადოდ გადაწყვიტოს კვალიფიკაციის საკითხი.

განსაკუთრებული სისასტიკის დასადგენად საჭიროა

ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების არსებობა. ობიექტური კრიტერიუმი გულისხმობს იმას, რომ მკვლევარს გამოყენებული ხერხი ან საშუალება ობიექტურად ძლიერ ტანჯვას იწვევს მსხვერპლში. სუბიექტური კრიტერიუმი კი გულისხმობს იმას, რომ ბრალდებულმა შეგნებულად უნდა შეარჩიოს მკვლევლობის ისეთი ხერხი ან საშუალება, რომელიც განსაკუთრებულ ტანჯვას გამოიწვევს მსხვერპლში. ამდენად, იმისათვის, რომ აღნიშნულ მკვლევლობას სწორი კვალიფიკაცია მიეცეს, აუცილებელია დადგენილი იქნეს, რომ ბრალდებულის განზრახვა მოიცავდა მკვლევლობის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით. უფრო მეტიც, ყურადღება უნდა მიექცეს ბრალდებულის დამოკიდებულებას არა მარტო შედეგისადმი, არამედ განსაკუთრებული სისასტიკის, როგორც მკვლევლობის დამამძიმებელი გარემოებისადმი.

მაგალითი: ავთომ, გადანყვიტა მოეკლა მასთან ბინაში მოსალაპარაკებლად მისული თავისი ნაცნობი ბესო და ჯეკო, ისინი ჯერ დაჭრა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიებით. შემდეგ კი დაჭრილ ბესოს საოჯახო დანით სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა 53 ღია ჭრილობა. დაჭრილ ჯეკოს კი სხეულზე 33 სხვადასხვა სახის ჭრილობა მიაყენა. მეორე მაგალითი: ავთომ თავისი შვილიშვილების ხვენწა-მუდარის მიუხედავად, არ მოეკლა მათი მამა, ყურად არ იღო მათი თხოვნა, მომართა თავისი ორლულიანი სანადირო თოფი, დაჩოქილმა დაუმიზნა მისგან ოთხი მეტრით დაშორებით მყოფ თავის შვილს და მცირეწლოვანი ბავშვების თანდასწრებით ესროლა და მოკლა იგი.⁷⁰

ორივე შემთხვევაში სახეზეა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლევლობის როგორც სუბიექტური ისე ობიექტური კრიტერიუმები. ამიტომ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მრავალი ჭრილობის მიყენება ყოველთვის არ ნიშნავს განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლინებას. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს არა დაზარალებულისათვის განსაკუთრე-

70 შ. ფაფიაშვილი, მკვლევლობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდის პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004., გვ.27,

ბული ტანჯვის მიყენების მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ სასიკვდილო შედეგი რაც შეიძლება მალე და გარანტირებულად დადგეს. **მაგალითად, პეტრემ მოკვლის მიზნით პავლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან სიცოცხლისათვის საშიშ ორგანოში (მკერდის არეში) ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ათეული ტყვია დააცალა, რამაც მსხვერპლის სიკვდილი გამოიწვია. ეს მკვლევლობა არაა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, რადგან ეს ფაქტი, რომ დამნაშავემ მსხვერპლს ერთმანეთის მიყოლებით (და არა დროში განელილად) დაახალა ტყვიები და თანაც ყველა მათგანი სიცოცხლისათვის საშიშ ორგანოში, გამოირიცხავს განსაკუთრებული სისასტიკის სუბიექტურ კრიტერიუმებს⁷¹**

სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარებში მართებულადაა აღნიშნული, რომ „ჭრილობათა რაოდენობა ყოველთვის არ ასაბუთებს განსაკუთრებულ სისასტიკეს, მაგრამ იგი სისასტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია“. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ მომენტს-ითვალისწინებდა და სურდა თუ არა დამნაშავეს განსაკუთრებული სისასტიკით გამოესალმებინა მსხვერპლი სიცოცხლისათვის.

პირის განზრახვა აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმას, რომ იგი ნამების მიზნით შეგნებულად აყენებს თავის მსხვერპლს ჯერ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებებს, შემდეგ სასიკვდილო ჭრილობას. მაგალითად, გ.-ემ შეიტყო და დარწმუნდა რა თავის ცოლის ლალატში, გადანყვიტა მოეკლა იგი არა უეცრად, არამედ ნამებით. ამ მიზნით გააშიშვლა იგი, წააქცია იატაკზე და მკერდისა და სასქესო ორგანოების გარშემო დანის წვერით მიაყენა 27 ჭრილობა, შემდეგ კი დანის ძლიერი მოქნევით მარცხენა მკერდის არეში მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის შემდეგაც იგი ადგილზევე გარდაიცვალა. დ.-ეს ქმედება მართებულად იქნა დაკვალიფიცირებული სსკ-ის 109- მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენი-

71 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.67-68.

ლი განზრახ მკვლელობა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მარტოოდენ სხეულზე მიყენებულ ჭრილობათა რაოდენობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება მიჩნეულ იქნეს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობად, ამიტომ გამოძიების პროცესში აუცილებლად უნდა დადგინდეს ამ ჭრილობათა (სხეულის დაზიანებათა) ლოკალიზაცია.

თუ პირმა დაზარალებულს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება და ამით დადგა კიდევ დაზარალებულის სიკვდილი, მაგრამ მოძალადე ვერ გრძნობს ამას და ჰგონია, რომ იგი კვლავ ცოცხალია და გაშმაგებული აგრძელებს მისთვის ჯანმრთელობის დაზიანებების მიყენებას, ეს, ცხადია, არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა. ქმედების ასეთი კვალიფიკაციისათვის საჭიროა, რომ დაზარალებულისათვის ჭრილობითი ჯანმრთელობის დაზიანებების მიყენების სურვილი და მისთვის სიცოცხლის მოსპობა დაკავშირებული იყოს ამ საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის განზრახვასთანაც.

მაგალითად, განაწყენებულმა გ.-ემ განიზრახა თ.-ეს მოკვლა, სურდა, რომ ტანჯვა და ტკივილი განეცადა და ამ მიზნით მას საოჯახო-სამზარეულო დანით კისრის მარცხენა მონაკვეთში მიაყენა 12 ჭრილობა, რომელთაგან ერთ-ერთმა თ.-ეს გადაუჭრა საძილე არტერიის L, გულმკერდის წინა მარცხენა ზედაპირზე 9,5X5სმ მონაკვეთზე მიაყენა 9 ჭრილობა, ხოლო გულმკერდის წინა მარცხენა მხარეზე კი 7X4 სმ მონაკვეთზე 15 ჭრილობა. ამ დაზიანების მიღების შედეგად თ.-ე ადგილზევე გარდაიცვალა გ-ე კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. მისი ეს ქმედება მართებულად იქნა შეფასებული, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა.

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული სისასტიკის ცნება მხოლოდ ჭრილობათა რაოდენობით არ შემოიფარგლება, ამის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს ჭრილობის მიყენების ადგილს, დროსა და იქ დამსწრე პირთა რაოდენობასა და

დამსწრე პირთა შორის დაზარალებულთან ნათესაურ კავშირს. ზოგჯერ უკანასკნელ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მისაჩვენად. მაგალითად, თუ დანით ან ცეცხლსასროლი იარაღით პირისათვის ჭრილობის მიყენება, რის შედეგადაც პირი გარდაიცვალა, ჩადენილ იქნა დაზარალებულის დედის, მეუღლის ან მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით, იგი შეფასებულ უნდა იქნეს, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა.

მაგალითად, ჯ.-ემ განზრახ მკვლელობის მიზნით, დ.-ეს დაარტყა რა დანა მისი მეუღლის, შვილისა და დედის თანდასწრებით, რის შედეგადაც დაზარალებული ადგილზევე გარდაიცვალა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 2001 წლის 21 დეკემბერს განაჩენით ჯ.-ეს ქმედება მართებულად მიიჩნია განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობად და სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით იგი საკმაოდ მკაცრად დაისაჯა.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ასევე განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობად იქნა მიჩნეული ჯ.-ეს მიერ ჩადენილი მკვლელობა. ჯ.-ემ, რომელიც კ.-ესთან მივიდა მის საცხოვრებელ სახლში თავისი კუთვნილი 1500 აშშ დოლარის დასაბრუნებლად, რაზეც მან მისგან მიიღო უარი და უთხრა, რომ მას არავითარი ფული არ აქვს და ვერაფერს მისცემს, რაზეც მათ შორის გაიმართა კამათი და ჩხუბი, რა დროსაც ჯ.-ემ განიზრახა მისი მოკვლა. ამ მიზნით მან მაგიდიდან აიღო ელექტროუთო და კ.-ეს რამდენჯერმე დაარტყა თავში, რითაც მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და იატაკზე დავარდა. ჯ.-ე ამით არ დაკმაყოფილდა და გადანწყობა მისთვის კიდევ უფრო მეტი ტანჯვა-წამება მიეყენებინა. ამ მიზნით მან მაგიდიდან აიღო დანა და იატაკზე დავარდნილ ჯ.-ას ყელის ხორხი გადაუჭრა, იგი ტანჯვით გარდაიცვალა სამი საათის შემდეგ. წინასწარი გამოძიებისა და სასამ-

ართლოს მიერ ჯ.-ეს ქმედება მიჩნეულ იქნა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობად.

უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქმედების ასეთი კვალიფიკაცია შეკამათებას იწვევს იმ მხრივ, რომ ყელის ხორხის გადაჭრით იგი შეეცადა დაეჩქარებინა მისი სიკვდილი და ეს ასეც მოხდა, რადგან თავში უთოს რამდენჯერმე ჩარტყმით დაზარალებულმა მიიღო თავის ფუძის მოტეხილობა და მისი გადარჩენა უდავოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, მკვლელობის შემდეგ გვამის ნაბილწვა, მისი დანაწევრება დაკვალიფიცირებულიყო როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა. ამ მოსაზრებას საფუძვლად ედო ქმედების გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება.

გვამის ნაბილწვა თავისთავად არ შეიძლება შეფასებულ იქნას იმ გარემოებად, რომელიც მოწმობს მკვლელობის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით. ასეთი ქმედება, თუ არ არსებობს დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის ნინ ან მკვლელობის პროცესში სისასტიკის სხვა გამოვლენა, უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 258-ე მუხლების (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა) ერთობლიობით. მით უმეტეს, არ შეიძლება გვამის მოსპობა ან მისი დანაწევრება დანაშაულის დაფარვის მიზნით იყოს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის საფუძველი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მცდარია. მას შემდეგ, რაც პირს სიცოცხლე მოესპო, უკვე აღარ არსებობს დანაშაულის ობიექტი - ადამიანის სიცოცხლე და ამიტომ არ შეიძლება დამძიმდეს ეს დანაშაული.

სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტში მოცემულია მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით. განზრახ მკვლელობათა ორივე სახე, რომელიც მოცემულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტში გაერთიანებულია ბრალდებულის ანგარებითი მიზნის მხედველობაში მიღებით.

შეკვეთით მკვლელობა სიახლეა. იგი ძველ კოდექსში არ არსებობდა. საყოველთაოდ აღიარებულია დებულება, რომ მკვლელობა შეკვეთით ანგარებითი მკვლელობის სახესხვაობაა და, უმეტეს შემთხვევაში, მასში მკვეთრად არის გამოხატული ანგარებითი მოტივი. ამასთან, იშვიათად, შეკვეთით მკვლელობა შეიძლება არც იყოს დაკავშირებული ანგარებასთან. ბრალდებულმა შეიძლება ჩაიდინოს მკვლელობა მისთვის პატივსაცემი და გავლენიანი პირის დაკვეთით ან კრიმინალურმა ავტორიტეტმა უბრძანოს ორგანიზებული ჯგუფის წევრს სიცოცხლე მოუსპოს არასასურველ პირს.

შეკვეთით მკვლელობა იმიტომაც არის დამამძიმებელი გარემოება, რომ ბრალდებული იღებს შეკვეთას და სიცოცხლეს უსპობს ისეთ ადამიანს, რომელთანაც მას არავითარი საქმიანი ან რაიმე სახის ურთიერთობა არასოდეს ჰქონია, რაც მეტად საშიშ სახეს აძლევს ბრალდებულის პიროვნებას.⁷²

განზრახ მკვლელობას შეკვეთით, რომელიც ამჟამად სისხლის სამართლის თეორიაში მოიხსენიება, როგორც „შეკვეთილი მკვლელობა“- განსხვავებული თვისება და სავალდებულო ნიშანი გააჩნია. მის განმასხვავებელ თვისებასა და სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს თანამონაწილეობა მკვლელობაში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, როლები თანამონაწილეთა შორის განაწილებულია. „შემკვეთი“ გამოდის მკვლელობის ნამქეზებლის ან ორგანიზატორის როლში. „შეკვეთილი“ მკვლელობის ორგანიზატორმა ან ნამქეზებელმა, თანამონაწილეობის თეორიის შესაბამისად, პასუხი უნდა აგოს ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მის პირად ზრახვებს, გაუსწორდეს მსხვერპლს, არავითარი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს ანგარებასთან.

ანგარებითი მკვლელობა ისეთი მკვლელობაა, რომლის მიზანი მატერიალური გამორჩენის მიღებაა (ფულის, ქონების ან ქონებაზე უფლების მიღება, საცხოვრებელ სახლზე უფლების მიღება და სხვა). ანგარება გამდიდრებისაკენ მისწრაფებაა. ამიტომ ანგარებით მკვლელობად ჩაითვლება მკვლე-

⁷² ზ. მჭავანაძე, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2000., გვ. 32-33.

ლობა, რომელიც ჩადენილია მსხვერპლთან ერთად შექმნილი საერთო საკუთრების დასაუფლებლად, მემკვიდრეობის ან სადაზღვევო თანხის მისაღებად, მატერიალური ხარჯისაგან გასათავისუფლებლად (მაგალითად, ავადმყოფის მოვლის, ალიმენტის გადახდის, ვალის დაბრუნებისაგან თავის არიდებისა და სხვა შემთხვევაში). ანგარებით მკვლევლობად შეიძლება ჩაითვალოს ასევე მკვლევლობა რაიმე თანამდებობის დაკავების მიზნით, თუ იგი უკავშირდება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თუ მკვლევლობა ანგარებითი მოტივით არ იყო ჩადენილი და დამნაშავეს სხვა მოტივი ამოძრავებდა და მხოლოდ მსხვერპლის სიკვდილის შემდეგ აღეძრა მას განზრახვა დალუპულის ქონების მითვისებისა, მაშინ ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე პუნქტის ამ ნაწილით. ანგარებითი მოტივის არსებობა წინ უნდა უსწრებდეს მკვლევლობას.

ამ სახის მკვლევლობისათვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად იყო რეალიზებული მოტივი (სრულად, ნაწილობრივ თუ საერთოდ ვერ განხორციელდა), ვინაიდან, მკვლევლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გვევლინება ბრალდებულზე ქონების გადასვლა კი არა, არამედ ანგარებითი მოტივი, რომელმაც უბიძგა ბრალდებულს მსხვერპლის მოკვლა.

მკვლევლობა ჩაითვლება ანგარებითი მოტივით ჩადენილად იმისდა მიუხედავად, ვინ მიიღებს მატერიალურ გამორჩენას, თვითონ ბრალდებული თუ სხვა (მაგალითად, ოჯახის წევრი, ახლობელი ან სხვა პირი), რომლის ინტერესი მნიშვნელოვანია დამნაშავეისათვის.

რაც შეეხება განზრახვის სახეს ანგარებითი ქვენაგრძნობით მკვლევლობის დროს, იგი წყდება იმის მიხედვით, შეიცავს მკვლევლობა მხოლოდ ანგარებით მკვლევლობის ნიშნებს, თუ იგი ჩადენილია სხვა ბოროტმოქმედებასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ანგარებითი მკვლევლობაა ჩადენილი, დანაშაულის სუბიექტი ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ქონებისა თუ მატერიალური ხასიათის სხვა უფლების მოსაპოვებლად. ამ დროს მკვლევლო-

ბა სასურველი შედეგის მიღწევის მიზანია.

სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც ანგარებითი მკვლევლობა ხორციელდება ყაჩაღური თავდასხმის დროს. ამგვარი მკვლევლობა შეიძლება ჩადენილ იქნას არა მარტო პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც; ან კიდევ, როდესაც დამნაშავე ხდის ძვირფას ქურქს მთვრალს და მიატოვებს ყინვაში, რის შედეგადაც დაზარალებული გაიყინება. ამ შემთხვევაში დამნაშავეს არ სურდა პირის მოკვლა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობას.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა წამქეზებელი აძლევს შეკვეთას ამსრულებელს და მოაკვლევინებს თავის მტერს. წამქეზებელი ამისთვის ამსრულებელს უხდის რაიმე თანხას. ეს არის სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით ანგარების მოტივით და შეკვეთით მკვლევლობის კომბინაცია. წამქეზებელი პასუხს არ აგებს ანგარებითი მკვლევლობის თანამონაწილეობისათვის.⁷³

ამსრულებლის მოქმედება ამ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით („ანგარება“), ხოლო წამქეზებელი დაისჯება ამავე პუნქტით, შეკვეთით მკვლევლობის თანამონაწილეობისათვის. ამსრულებელი, მართალია, მოქმედებს ანგარების მოტივით, მაგრამ ის, ამავე დროს, შეკვეთასაც ასრულებს, ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

ავთომ ბესოს ნინის მოკვლა დაავალა 10 000 ლარად. ბესოს ჩაუსაფრდა ნინის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოსთან და მის მაგიერ სიბნელეში მოკლა კესო, რომელიც მას ნინი ეგონა.

როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს და ბესოს მოქმედება?

კაზუსის ამოხსნის მეთოდის თანახმად, ამ კაზუსის ამოხსნა ამსრულებლით უნდა დავიწყოთ, შემდეგ კი წამქეზებლის ქმედება უნდა განვიხილოთ. მოვახდინოთ ამსრულებლის შეცდომის სამართლებრივი შეფასება, ვინაიდან,

73 ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, თბ., 1998., გვ.234-238.

შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს წამქეზებლის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავთოს, ქმედების კვალიფიკაციაზე.

ამოხსნა:

პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ბესომ კესოს მოკვლით განახორციელა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება. პირველ ეტაპზე, კაზუსის ამოხსნა უნდა მოვახდინოთ ბესოს ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასებით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა.

-ქმედების სუბიექტი-ბესო

-ქმედების ობიექტი-სხვისი სიცოცხლე

-ქმედება და შედეგი - შედეგი დადგა, რადგან კესო მკვდარია.

-მიზეზობრივი კავშირი

ბესოს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია კესოს სიკვდილთან.

-ობიექტური შერაცხვა

ბესოს კესოს მკვლელობა ობიექტურად უნდა შეერაცხოს, ვინაიდან, მან შექმნა სამართლებრივად რელევანტური საფრთხე, რომელმაც კონკრეტული შედეგი-ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. დასადგენია, ჩაიდინა თუ არა ბესომ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება- მკვლელობა, ვინაიდან, შეკვეთით ჩადენილი მკვლელობა ანგარებითი მკვლელობის სახესხვაობაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბესომ აღნიშნული ქმედება იმის გამო განახორციელა, რომ მას ავთომ მკვლელობისთვის ფული შესთავაზა.

მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება (ანგარება) მოიცავს მეორე მაკვალიფიცირებელ ნიშანს-მკვლელობა შეკვეთით.

-მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი. განზრახვა

ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენას, განზრახვა კი, თავის მხრივ, მოიცავს მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და მის სურვილს. ბესომ იცოდა, რომ ის ადამიანს უსპობდა სიცოცხლეს და უნდოდა ამ ქმედების განხორციელება. გასარკვევია, თუ როგორი სამართლებრივი შეფასება უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ ბესოს ნინის და არა კესოს სიცოცხლის მოსპობის განზრახვა ჰქონდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს შეცდომას მსხვერპლის პიროვნებაში, რადგან ბესოს ეგონა, რომ იგი ნინის კლავდა. ამგვარი შეცდომა კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, ვინაიდან, ის პიროვნება, რომლის მოკვლაც ბესოს ჰქონდა გათვალისწინებული და ის, რომელიც ფაქტობრივად მან მოკლა, სამართლებრივად ერთგვაროვანი ღირებულებიანაა. უფრო მეტიც, ქმედების განხორციელებისას ბესომ თავისი განზრახვის კონკრეტიზაცია მოახდინა იმ პირზე, რომელსაც იგი ხედავდა. მას უნდოდა სწორედ იმ პირის მოკვლა, რომელიც გამოვიდა სადარბაზოდან და დარწმუნებული იყო, რომ ეს უნდა ყოფილიყო ნინი. ამიტომაც, განზრახვა არ გამოირიცხება, ბესო მოქმედებდა განზრახ.

-მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე კაზუსში არ არის საუბარი. ე.ი. ბესოს ქმედება არის მართლწინააღმდეგო.

-ბრალი

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ნიშანია, აგრეთვე, ანგარების მოტივი. მკვლელობა ანგარებითაა ჩადენილი, თუ მისი მიზანი მატერიალური გამორჩენის მიღებაა. ბესოს ნინის მოკვლისათვის 10 000 ლარი უნდა მიეღო, ამიტომაც იგი ანგარებით მოქმედებდა.

-პასუხი: ბესომ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება- მკვლელობა ანგარებით.

-მეორე ჰიპოთეზა- ავთოს ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება:

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის

დადგენა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ამსრულებლის შეცდომა ნამქეზების ქმედების კვალიფიკაციაზე. შესაძლებელია, რომ ავთომ ბესოსთვის ნინის მკვლელობის შეკვეთის მიცემით განახორციელა სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება. ნაქეზება შეკვეთით და ანგარებით განზრახ მკვლელობაში.

-ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

განზრახ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩადენილია ამსრულებლის მიერ. ბესომ კესოს მოკვლით განახორციელა ავთოს მიერ მიცემული შეკვეთა - ადამიანის მკვლელობა ანგარებით. ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, ამსრულებლის მიერ განზრახ დანაშაულის ჩადენა, დაკმაყოფილებულია.

ავთომ ბესოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა შეუკვეთა, მკვლელობისათვის ფული შესთავაზა და ბესო ამ მკვლელობის ჩადენისათვის დაიყოლია. ამდენად, მან განახორციელა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება - ადამიანის მკვლელობის „შეკვეთა“.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა)ნამქეზების განზრახვა უნდა მოიცავდეს ამსრულებლის მიერ განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის სურვილს, როდესაც ავთომ ბესოს მკვლელობის ჩასადენად შეკვეთას აძლევდა, მას ამ ქმედების განხორციელების სურვილი ჰქონდა.

ბ)ავთოს განზრახვა მოიცავდა აგრეთვე, საკუთარ ქმედებას - სხვა ადამიანის დაყოლიებას განზრახ დანაშაულის ჩასადენად.

გ)გასარკვევია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ავთოს „ნამქეზების“ ქმედების კვალიფიკაციისათვის იმას, რომ ამსრულებელმა შეცდომა დაუშვა ქმედების განხორციელებისას და ის პირი არ მოკლა ვისი მკვლელობისთვის

საც ავთომ ფული გადაიხადა. შესაძლებელია თუ არა იმის მტკიცება, რომ ამსრულებლის მიერ დაშვებული შეცდომა მოკვლის პიროვნებაში დაკვალიფიცირდეს როგორც ნამქეზების „აცდენილი ისარი“, რადგან მას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნამქეზებელს, კესოს მოკვლის - სიცოცხლის მოსპობის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. ე.ი. შესაძლებელია თუ არა, მოხდეს კვალიფიკაცია, როგორც კესოს გაუფრთხილებლობით მკვლელობა, რომლიც განხორციელდა და იმ პირის - ნინის მკვლელობის მცდელობა, ვისი მოკვლის სურვილიც ნამქეზებელს ჰქონდა.

უფრო მართებულია მსჯელობა, თუ ნამქეზებელი არ იმყოფება შემთხვევის ადგილზე და მან დაზარალებული პიროვნების ინდივიდუალიზაცია ამსრულებელს გადააბარა. ალბათობა, იმისა რომ ამსრულებელი სხვა პირს მოკლავს, ყოველთვის არსებობს და ამიტომაც ამგვარი შეცდომა ნამქეზების ქმედების კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენს. ნამქეზებელი სწორედ იმ დანაშაულებრივი ქმედების ნაქეზებისათვის უნდა დაისაჯოს, რისთვისაც პასუხს ამსრულებელი აგებს.

-მართლსაწინააღმდეგობა

მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება არაა კაზუსში მოცემული ე.ი. ავთომ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთომ მოქმედებდა ბრალეულად. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბრალის პერსონალური ნიშანი შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. ანგარება კი ბრალის პერსონალური ნიშანია. ვინაიდან, ანგარებით მოქმედებდა ბესო და არა ავთომ, ავთოს ანგარების ნიშანი არ შეიძლება შეერაცხოს.

-პასუხი : ავთომ ბესოსათვის ნინის მკვლელობის შეკვეთის მიცემით განახორციელა სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით განხორციელებული ქმედება, ნაქეზება შეკვეთით და

ანგარებით განზრახ მკვლელობაში.

შეკვეთით მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო თანხის აღებით, არამედ სხვა სასურველი სარგებლობის მიღებით, სამსახურში მოწყობით, საყვარლად გახდომით და ა.შ. მაგალითად, კესო შეკვეთას აძლევს ბესოს, მოკლას მისი მეუღლე და გახდება მისი საყვარელი. შეკვეთით მკვლელობა იმიტომაც არის დამამძიმებელი გარემოება, რომ ბრალდებული იღებს შეკვეთას და სიცოცხლეს უსპობს ისეთ ადამიანს, რომელთანაც მას არავითარი საქმიანი ან რაიმე ურთიერთობა არასოდეს ჰქონია, რაც მეტად საშიშ სახეს აძლევს ბოროტმოქმედის პიროვნებას. ანგარებითი მკვლელობასა და შეკვეთით მკვლელობას საერთო ნიშნები ნაკლები აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი. საერთო ისაა, რომ შეკვეთით ჩადენილ მკვლელობათა უმრავლესობა ანგარების მოტივით ხდება. მკვლელობა შეკვეთით ანგარებითი მკვლელობის სახესხვაობაა და ძირითადადში, მასში მკვეთრად არის გამოხატული ანგარებითი მოტივი. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ: ანგარებითი მკვლელობა შესაძლებელია დაგეგმოს და ჩაიდინოს ერთმა პირმა, შეკვეთილი მკვლელობისას კი სახეზეა მინიმუმ ორი პირი: შემკვეთი და მკვლელობის ამსრულებელი. ფაქტიურად, მკვლელობის შემკვეთი არის ამ მკვლელობის თანამონაწილე, არ არის გამორიცხული საქმის გარემოების მიხედვით, იყოს ორგანიზატორი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში (მან არა მარტო შეუკვეთა აღნიშნული მკვლელობა, არამედ მოაწყო კიდეც ან ხელმძღვანელობდა მის ჩადენას) ან წამქეზებელი, თუ, რა თქმა უნდა, მან მხოლოდ შეუკვეთა ეს მკვლელობა.

შეკვეთით მკვლელობის მაგალითი: ავთომ ეჭვიანობის ნიადაგზე გადწყვეტა თავისი ცოლის საყვარლის მოკლა. იგი დაპირდა ბესოს, რომ გადაუხდიდა 10000 ლარს, თუ იგი მოკლავდა მისი ცოლის საყვარელს. ბესო დათანხმდა და მოკლა ავთოს ცოლის საყვარელი. ბესო არის შეკვეთილი მკვლელობის ამსრულებელი და არა ანგარებითი მკვლელობისა, ხოლო ავთო წამქეზებელი. რიგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, შეკვეთით მკვლელობა არ იყოს დაკავშირებული ანგა-

რებასთან. ბრალდებულმა შეიძლება ჩაიდინოს მკვლელობა მისთვის პატივსაცემი პირის, კრიმინალური ავტორიტეტის თხოვნის ან ბრძანების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს „თხოვნა“ და „ბრძანება“. თხოვნის შემთხვევაში, იგი შეკვეთად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგალითად, ავთო და ბესო მეგობრები არიან, უფრო მეტიც, ბესო ავთომ მიიყვანა თავისთან და ჩააბარა ერთ-ერთი სამსახური. ავთო რომელიც ბესოს უფროსია, სთხოვა მას, მოეკლა ვინმე კესო, რომელთანაც წლებია კონფლიქტი ჰქონდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა მარტივი მკვლელობა, (სსკ-ის 108-ე მუხლი) ამსრულებელია ბესო, ხოლო ავთო არის მკვლელობის წამქეზებელი.

სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულია მკვლელობა მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით. მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით, მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად აღიარება სავსებით გამართლებულია. ბოლო წლებში მედიცინამ დიდი წარმატება მოიპოვა ორგანოსა და ქსოვილის ერთი ადამიანიდან მეორისადმი გადანერგვის სფეროში. ამან, თავის მხრივ, შექმნა საშიშროება სოციალურად დაუცველი ფენებისა და ბავშვებისათვის. დაიწყო ამ სფეროში კომერციალიზაცია, წარმოიშვა ადამიანის მოკვლის საფრთხე მისი ჯანმრთელი ორგანოს ან ქსოვილის მოსაპოვებლად.

1989 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო სესიაზე გამოთქმული იყო სერიოზული შემფოთება ცოცხალი „დონორების“ ორგანოებით ვაჭრობაზე. ამ სახის მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს როგორც სამედიცინო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფი ავადმყოფის მიმართ, ისე იმ პირის მიმართ, რომელიც უბედური შემთხვევის გამო უგონო მდგომარეობაში მოხვდება სტაციონარში, ან სხვაგვარ კატასტროფაში მოჰყვება და არა აქვს შესაძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უპატრონოს თავს. გარდა

ამისა, სხეულის ორგანო ან ქსოვილი შეიძლება ამოღებულ იქნას ძალადობის გზითაც, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება. გამორიცხული არ არის დაზარალებულის „ინტერესიდან“ გამომდინარე, გამართლებული საბაზით მისთვის ოპერაციის ჩატარება ლეტალური შედეგით. აქ იგულისხმება, რამდენიმე შემთხვევა: პირველი, როცა ექიმი ატყუებს პაციენტს, რომ ვითომც მისი ჯანმრთელობისათვის აუცილებელია ოპერაციის ჩატარება. სინამდვილეში იგი ოპერაციის მსვლელობისას ისეთ ორგანოს აცლის პაციენტს (მაგალითად, გულს), რომელსაც აუცილებლად მოჰყვება მისი სიკვდილი (პირდაპირი განზრახვა). სხვა შემთხვევაში ექიმი მოტყუებით იყოლიებს პაციენტს რომელიმე ორგანოს ამოცლაზე და ამას ხსნის მისი ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის აუცილებელი მოტივით. სინამდვილეში კი იცის, რომ არაა გამორიცხული, ამ ოპერაციის შედეგად პაციენტი გარდაიცვალოს და ეს შედეგი მართლაც დგება (არაპირდაპირი განზრახვა). ეს შემთხვევა გარდა განსახილველი მკვლელობისა, დაკვალიფიცირდება ასევე სსკ-ის 134-ე მუხლით (ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება). თუკი ეს ოპერაცია გაკეთდა ამოღებული ორგანოს გასაყიდად, მაშინ სახეზეა ასევე სსკ-ის 1351 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა)⁷⁴.

სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის მოტივი ყველაზე ხშირად ანგარებითია, თუმცა არც სხვა მოტივია გამორიცხული: ახლობლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარების უზრუნველყოფა და სხვ. აღნიშნული პუნქტით კვალიფიკაციისათვის არ არის სავალდებულო დამნაშავეს მიერ ორგანოს ან ქსოვილის გამოყენების მიზნის მიღწევა. დანაშაული ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს როგორც გამორჩენა, ასევე ახლობლისათვის დახმარების გაწევა.

⁷⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.73.

როდესაც ბრალდებული მკვლელობას ჩადის, რათა გაყიდოს დაზარალებულის სხეულის ნაწილი, ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება განსახილველი (სსკ-ის 109-ე) მუხლის მესამე ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით, ხოლო ახლობლის დახმარების მოტივით ჩადენილი მკვლელობის დროს - მხოლოდ „დ“ პუნქტით.

მკვლელობა არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე - 114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა). სსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. ამასთან, კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. აქედან გამომდინარე, რამდენადაც კანონი არავითარ დათქმას არ აკეთებს, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სუბიექტის მიერ ადრე ჩადენილი იყო მკვლელობა გათვალისწინებული სსკ-ის 108-ე ან 109-ე მუხლებით, გარდა სსკ-ის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობისა. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ბოროტმოქმედი მსჯავრდებული იყოს წინათ ჩადენილი მკვლელობისათვის, ასევე, პირს არ უნდა ჰქონდეს მსჯავრი გაქარწყლებული, ნასამართლობა მოხსნილი ან არ იყოს გათავისუფლებული კანონით დადგენილი წესით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

მკვლელობა არაერთგზისი გამიჯნული უნდა იქნას ორი ან მეტი პირის მკვლელობისგან. არაერთგზისი მკვლელობა ხორციელდება სხვადასხვა დროს და მისი ჩადენა ერთიან განზრახვას არ ითვალისწინებს. ხოლო რაც შეეხება ორი ან მეტი პირის მკვლელობას, იგი, როგორც წესი, თითქმის ერთდროულად ან დროის მცირე მონაკვეთში ხდება და ბრალდებულის განზრახვა მოიცავს ორი ან მეტი პირის მკვლელობას.

აღნიშნული დანაშაული ხასიათდება როგორც პირდა-

პირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ხოლო მოტივი და მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამ მკვლევლობის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამსრულებელს მკვლევლობა ჩადენილი აქვს წარსულშიც. აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება არ შეიძლება შეერაცხოს თანამონაწილეებს მაშინაც კი, თუ ეს გარემოება მათ გაცნობიერებული ჰქონდათ. მითითებული გარემოება ახასიათებს მხოლოდ ბრალდებულს და ამძიმებს მხოლოდ ამსრულებლის ქმედებას. თუ პირი, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა განზრახ მკვლევლობა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მსჯავრდებული იყო უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, შემდეგ ჩაიდენს მკვლევლობას საქართველოში, პასუხს აგებს ბოლო მკვლევლობისთვის სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ პუნქტით. ეს დებულება ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ განზრახი მკვლევლობისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, არაერთგზის მკვლევობად ჩაითვლება ისეთი მოქმედება, როდესაც ბრალდებულმა უკვე მეორედ ან მეტჯერ ჩაიდინა ამ დამამძიმებელ გარემოებით გათვალისწინებული დანაშაული, ე.ი. განზრახ მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში.

მკვლევლობის არაერთგზისობის ნიშნით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, პირი დამთავრებული მკვლევლობისათვის იყო ნასამართლები თუ მკვლევლობის მომზადებისა ან მცდელობისათვის, ამასთან, ამსრულებელი იყო თუ თანამონაწილე.

კანონი არ თვლის ზემოაღნიშნული პირების მიერ ჩადენილ მკვლევობას მკვლევობად დამამძიმებელ გარემოებაში, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამომწვეული იყო ბრალდებულის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის უკანონო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით, ან თუ იგი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეცდების დროს. ასეთი მკვლევლობა არსებითად თვით დაზარა-

ლებულის არამართლზომიერი მოქმედებით არის პროვოცირებული და არ არის შედეგი იმ განსაკუთრებული დანაშაულებრივი ქმედებისა, იმ მძიმე ამორალური განწყობისა, რის გამოც გამოაცხადა კანონმდებელმა სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ პუნქტში მოხსენიებული მკვლევობა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად.

მკვლევობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ამგვარი ხასიათის მკვლევობა დაკავშირებულია მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ცხადია, რომ ეს საქმიანობა მართლზომიერი უნდა იყოს.

მსხვერპლის მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში უნდა ვიგულისხმოთ, როგორც მისი ერთჯერადი მართლზომიერი ქცევა, ისე იმ ქმედებათა მთელი სისტემა. სამსახურებრივი საქმიანობის შემსრულებლად შეიძლება მოგვევლინოს როგორც ყველა მაღალი თუ დაბალი რანგის თანამდებობის პირი, ისე ყველა სხვა პირი (მაგალითად, მუშა, დარაჯი). ამ დროს მთავარია, რომ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

რაც შეეხება დაზარალებულის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას, მასში ნაგულისხმევია ამა თუ იმ მოქალაქისათვის დაკისრებული როგორც სპეციალური (იურიდიული) საზოგადოებრივი მოვალეობის განხორციელება, ისე მოქალაქეობრივი ვალის მოხდა (მაგალითად, მოქალაქის მიერ სამართალდარღვევის აღკვეთა, ხელისუფლების ორგანოსათვის ჩადენილი დანაშაულის შეტყობინება, მოწმის ან დაზარალებულის დანაშაულში მხილება და სხვა)⁷⁵

სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ პუნქტში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული მკვლევლობის მსხვერპლი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს თავის სამსახურებრივ ან

⁷⁵ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ. 49

საზოგადოებრივ საქმიანობას, არამედ მისი ახლო ნათესავიც.

აღნიშნული მუხლის შენიშვნაში დაკონკრეტებულია იმ პირთა წრე, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ახლო ნათესავებად ითვლებიან. ესენი არიან: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაუმართლებლად ავიწროებს იმ პირთა წრეს, რომელთა მკვლელობაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად ჩაითვლება. უფრო გამართლებულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, რომლის ძალითაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად ითვლება ზემოაღნიშნული მიზნით მსხვერპლის ახლობლის მკვლელობა. მასში იგულისხმება იმ პირთა მკვლელობა, რომელთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არსებული პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე, ძალიან მტკივნეულია და ეს გარემოება დამნაშავესათვის წინასწარ არის ცნობილი (მაგალითად, საცოლე, საქმრო, უახლოესი მეგობარი, რომელიც ზოგჯერ ნათესავზე ახლოა და სხვა).

სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება ისეთი მკვლელობა, რომელიც თუმცა ჩადენილია შურისძიების მიზნით მსხვერპლის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი გამონწვეულია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო საქციელით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით და სხვ.).

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უფრო მეტად ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა მოხელეების მიმართ ხდება, მთავარია, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა იყოს კანონთან შესაბამისობაში. მაგალითად, პროკურორმა კანონიერი გადაწყვეტილება გამოიტანა. ავთო მისცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქურდობისათვის და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახ-

ით მოითხოვა პატიმრობა. პროკურორის ქმედებით უკმაყოფილო მხარემ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდებულმა შურისძიების მოტივით მოკლა პროკურორი (ანდა მოკლა მისი ახლო ნათესავი). სახეზეა მკვლელობის ეს დამამძიმებელი გარემოება.

მაგალითი მეორე: პროკურორმა უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა, რის გამოც იგი შურისძიების მსხვერპლი გახდა. სახეზეა მარტივი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევაში შურისძიების მოტივი დამამძიმებელ გარემოებად ითვლება, ეს მაშინ, როდესაც იგი დაკავშირებულია კანონიერი საქმიანობისათვის სამაგიეროს გადახდასთან.

უნდა შევნიშნოთ, რომ კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა მკვლელობა განხორციელებულია დაზარალებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თუ შემდეგ, შესაძლოა ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ (მაგალითად, მოსამართლის მკვლელობა მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ). მთავარია დადგენილ იქნას, რომ მკვლელობა ჩადენილია პირის მიერ თავისი სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მისამართით განხორციელებულ მკვლელობაში თუ დაშვებულია შეცდომა (მოკლულია სხვა პიროვნება), მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლით -განზრახ მკვლელობა.

მოტივი დანაშაულისა იქნება შურისძიება დაზარალებულის მიმართ, რადგან მან თავისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით დაიკავა დამნაშავეს არასასურველი პოზიცია.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა

2007 წლის 18 აპრილს უ.ს-ქმ, უსაფუძვლოდ განაწყენებულმა, რაიმე სპეციალური მიზნის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძობით, თან ნაქონი დანის გამოყენებით, განზრახ სიცოცხლის მოსპობის მიზნით, კეფის არეში წრილობა მიაყენა მის მეზობელს მ.ს-ქს. მან დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, რადგან დაზარალებულის ყვირილზე შემთხვევის ადგილზე დახმარების აღმოსაჩენად მისულმა ვ.კ-ქმ შეძლო მისთვის დანის წართმევა და დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. ამის შემდეგ მსჯავრდებული უ.ს-ქე შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. იგი იმავე დღეს დააკავეს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა, ხოლო დაზარალებული მ.ს-ქე გადაიყვანეს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში. სადაც დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადარჩა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ უ.ს-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს უ.ს-ქმ და მისმა ინტერესების დამცველმა, რომლებიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, ცვლილების შეტანას, კერძოდ: უ.ს-ძის უდანაშაულოდ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში და მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით, რასაც ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე დასდო ბრალი უ.ს-ქეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში, რომ არ დაადგინა დანაშაულის ჩადენის მოტივი. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მსჯავრდებულის ჩვენება, რომ დაზარალებული მას აყენებდა შეურაცხყოფას და დასცინოდა, რამაც გამოიწვია უ.ს-ძის გაღიზიანება, რის

გამოც მან დაზარალებულს მიაყენა დაზიანებები. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ისიც, რომ მსჯავრდებულს სურდა დაზარალებულისთვის მხოლოდ დაზიანებების მიყენება, რაც კიდევაც განახორციელა და მისი მოკვლის არანაირი განზრახვა არ ჰქონია. მსჯავრდებულის სანაღმდეგოდ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ იქნა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, ხოლო უშუალოდ ფაქტთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღო დაზიანებები დაზარალებულმა ან მოხდა თუ არა მათ შორის დაპირისპირება, სხვა მტკიცებულებები არ არსებობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, არ დააკმაყოფილა აპელანტების მოთხოვნა, 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით უცვლელად დატოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ უ.ს-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ უ.ს-ძის დამცველმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი ბრალდების ნაწილში და მისი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), შესაბამისად-სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასა და პატიმრობიდან მის განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ უ.ს-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები

შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის მიერ ჩამოყალიბებულ ვერსიას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა უ.ს-ქმ ჩაიდინა არა მკვლელობის მცდელობა, არამედ-დაზარალებულ მ.ს-ძის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რადგან ამ ვერსიას არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, უ.ს-ძის მიერ მ.ს-ძისათვის მიყენებული ჭრილობები ერთობლივად წარმოადგენს სიცოცხლისთვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, ხოლო აღნიშნული მტკიცებულება დაცვის მხარეს რაიმე დამაჯერებელი არგუმენტით არ გაუბათილებია.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ უ.ს-ძის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა საპროცესო კანონით დადგენილი მოთხოვნები წინასწარი და სააპელაციო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების ერთობლივად განხილვისა და მათთვის ობიექტური სამართლებრივი შეფასების მიცემის თაობაზე, კერძოდ: სააპელაციო სასამართლომ ყურადღების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ ვერ იქნა მოპოვებული ისეთი სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავდნენ ეჭვს იმის თაობაზე, რომ უ.ს-ძის მიერ მკვლელობის მცდელობა ნამდვილად იყო თუ არა ხულიგნური ქვენაგრძნობით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა დაზარალებულ მ.ს-ძისა და მონმე ვ.კ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში წარმოდგენილი ის გარემოება, რომ მსჯავრდებულის და დაზარალებულის ოჯახებს შორის, მიუხედავად მათი ნათესაური ურთიერთობისა, არ იყო ნორმალური და ჯანსაღი დამოკიდებულება, რაც გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში. ამ გარემოებამ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსჯავრდებულ უ.ს-ძის მოქმედების მოტივაციის ჩამოყალიბებაში, რომელმაც დაზარალებულის მიმართ ქმედება ჩაიდინა მათ ოჯახებს შორის არსებული უსიამოვნებებით

განპირობებული პირადი მოტივით.

აღნიშნულის გამო დაუსაბუთებელია განაჩენის პოზიცია იმის თაობაზე, რომ უ.ს-ქმ, უსაფუძვლოდ განაწყენებულმა, რაიმე სპეციალური მიზნის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, მაშინ, როდესაც რეალურად უ.ს-ქმს ჩადენილი აქ განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 108-ე მუხლით.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ უ.ს-ძის მიმართ განაჩენის დადგენისას დაუშვა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა- სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოეყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს განაჩენის შეცვლის საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ უ.ს-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია-2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით;
4. ვ. მაცაშვილი, თ. წერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბილისი., 1980;
5. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები, თბილისი., 1996;
6. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, თბილისი, 1998;
7. ზ. მჭავანაძე, სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
8. ზ. წულაია, სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
9. შ. ფაფიაშვილი, მკვლევლობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდის პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004;
10. ზ. პატაშური, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, თბილისი., 2005;
11. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2006;
12. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2007;
13. ი. ბურდული, ე. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი., 2013;
14. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი., 2013;
15. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2013;
16. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2016;
17. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2014;
18. ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი., 2016;
19. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი., 2016;
20. Курс Советского уголовного права, м., 1990;
21. Уголовное право Российской Федерации (Особенная часть) М.,1997;
22. Пиотковский А. Курс Советского уголовного права, Особенная часть М.,1999;
23. Благов Е. В. Наказание и иные меры уголовноправового характера М., 2011;
24. Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации. м. 1998;
25. С.В. Бородин Ответственность за убийство: Квалификация и наказание по Российскому праву, М. 1999;
26. А. А., Жижиленко Преступление против личности М., 1999;
27. С. В., Бородин Преступление против жизни, М., 2000.

თავი IV

მკვლელობა შეამოსუბუქებელ გარემოებაში

ცნება და სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავს სიცოცხლის მოსპობის პრიველეგიურულ შემადგენლობებს. ამ სახის დანაშაულებრივი ქმედებები თავიანთი შემადგენლობით, სოციალური ბუნებითა და საზოგადოებრივი საშიშროებით დგანან განზრახ მკვლელობასა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას შორის, თუმცა შედეგი ერთია - ადამიანის სიკვდილი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს სიცოცხლის მოსპობის შემდეგ პრიველეგიურულ სახეებს: მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (სსკ 110-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ 111-ე მუხლი), დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (სსკ 112-ე მუხლი), მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით (სსკ 113-ე მუხლი), მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (სსკ 114-ე მუხლი)⁷⁶

საერთო განზრახ მკვლელობის მარტივ, დამამძიმებელ და პრიველეგიურულ მკვლელობათა შემადგენლობებს შორის ისაა, რომ ყველა შემთხვევაში ხელყოფის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ამ სახის მკვლელობების აღიარება შემამსუბუქებელ გარემოებად იმით არის განპირობებული, რომ მკვლელობა ჩადენილია განსაკუთრებულ ვითარებაში: მომაკვდავის თხოვნით, ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით, უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც პროვოცირებულია თვით დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მშობიარე ქალის ფსიქოტრამვირებულ სიტუაციაში ყოფნით, როდესაც მას შესუსტებული აქვს ფიზიკური და ფსიქიკური მდგრადობის უნარი, საკუთარი და სხვისი სამართლებრივი

⁷⁶ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი.

სიკეთის დაცვისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის შეპყრობისას.

პირის მოქმედებასა და უმოქმედობას, ერთი მხრივ, და სიკვდილის დადგომას შორის, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. მისი არსებობისათვის აუცილებელია, ქმედება, რომელიც ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ (პირთა ჯგუფის მიერ), დროში, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს სიკვდილს, იყოს მისი აუცილებელი პირობა, რამაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოიწვიოს სიკვდილი.

4.1. მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (მუხლი 110-ე)

სსკ-ის 110-ე მუხლის თანახმად, დანაშაულადაა მიჩნეული „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით“.

სსკ-ის 110-ე მუხლი პრიველეგიურულ შემადგენლობას წარმოადგენს. ეს განპირობებულია მსხვერპლის მდგომარეობითა და ბრალეული ქმედებით ჩამდენის სპეციალური მიზნით. კერძოდ, ეს არის მომაკვდავის ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზანი. თუმცა, ამ სპეციალურ მიზანთან ერთად პრიველეგიურულ შემადგენლობას დაზარალებულის თანხმობაც ქმნის. მართალია, დაზარალებულის თანხმობა სიცოცხლის მოსპობასთან მიმართებაში არ გამოორიცხავს დასჯადობას, თუმცა სსკ 110-ე მუხლის დასაბუთებისათვის ამ არგუმენტის მოყვანა დასაშვებია.⁷⁷

სავსებით ვეთანხმებით პროფესორ ნონა თოდუას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქმედების სსკ-ის 110-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრალდებულის მოქმედების სუბიექტურ შემადგენლობას. მკვლელობა ხდება სპეციალური მიზნით მომაკვდავი გათავისუფლდეს ძლიერი ფიზიკური ტკივი-

⁷⁷ ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ, 2016., გვ: 50

ლისაგან. ეს მიზანი აქ არის არა სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი, არამედ ბრალის ნიშანი, რადგან გამოხატავს დამნაშავეს ნაკლები ხარისხის უპასუხისმგებლობას ნორმატიული ვალდებულებისადმი, რომელიც მას მკვლელობას უკრძალავს. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დანაშაულთა თანამონაწილეობის სსკ-ის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისათვის⁷⁸.

განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მომაკვდავი ადამიანის სიცოცხლე. სისხლის სამართლის კანონი მკვლელობად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როცა სიცოცხლის მოსპობა ხდება როგორც დაზარალებულის თანხმობით, ასევე მისი ნების შესაბამისად. ამ შემთხვევაში კი ბრალეული ქმედების ჩამდენი კლავს ავადმყოფს, მაგრამ ეს განზრახვა, სურვილი დაზარალებულისაგან არის შთაგონებული და აღძრული.

მომაკვდავის დაჟინებული თხოვნა, რომ მოუსპონ ტანჯული, განამებული ორიოდ დღის სიცოცხლე, გარკვეულ სიბრალულსაც იწვევს სუბიექტში, რადგან ავადმყოფს სრულიად აღარ გააჩნია ყოფითი სიტკბოების გრძობა, შესაბამისი ემოციები და აუტანელ წამებაში იმყოფება. ყოველივე ეს განაპირობებს გადაწყვეტილების მიღებას - სიკვდილით იხსნას იგი ტანჯვისაგან და ეს გადაწყვეტილება არის დაზარალებულის ნების შესაბამისი.

მომაკვდავი მსხვერპლის ნამდვილი და დაჟინებული ნებასწორედ ეს ნიშნები განასხვავებს ამ დანაშაულს მკვლელობის სხვა შემადგენლობისაგან. უპირველეს ყოვლისა, მსხვერპლი უნდა იყოს მომაკვდავი და არა უბრალოდ აუტანელი ფიზიკური ტკივილების პირობებში, რომლის გაძლებაც მას არ შეუძლია. მომაკვდავის ცნება ისევე და ისევე სამედიცინო მაჩვენებლით უნდა იქნას დადგენილი. მსხვერპლის თხოვნა უნდა იყოს სერიოზული და არა მომენტალური, ემოციებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმედგაცრუებით, ავადმყოფობის გამო ლოგინად ჩავარდნით და ა.შ.

78 ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები, (პრობლემები და ინოვაციები, სახელმძღვანელო იურისტებისათვის), თბ., 2015., გვ.72-74.

თხოვნა უნდა იყოს მრავალჯერადი და გაცნობიერებული მსხვერპლის მხრიდან. თუ ბრალეული ქმედების ჩამდენს უკვე ჰქონდა მიღებული მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის გადაწყვეტილება და შემდგომ ამას დაზარალებულის სურვილიც დაემატა. ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 110-ე მუხლით, ვინაიდან, გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო სულ სხვა მოტივით.

ნების შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულს ნამდვილად აღარ უნდა სიცოცხლე, ამოიწურა ყოველგვარი იმედი და სურს, ჩქარა დაუდგეს აღსასრული. ეს ნამდვილი ნება უნდა იყოს და არა მოჩვენებითი, უბრალოდ, სიტყვით გამოთქმული დაზარალებულის მიერ.

ამრიგად, მკვლელობა, შთაგონებული მომაკვდავის დაჟინებული თხოვნით, სრულიადაც არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეწყვეტის საფუძველს და კანონის მოთხოვნა ქმედების დასჯადობის შესახებ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპიდან „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას იცავს კანონი“.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა ადამიანს განკარგოს თავისი სიცოცხლე ისე, როგორც სურს. ევთანაზია ბერძნული სიტყვაა. იგი შედგება ორი ნაწილისაგან - „ეუ“, რაც კარგს ნიშნავს და „თანატოს“ - სიკვდილს. იგი გულისხმობს ადამიანის სიკვდილის განზრახ დაჩქარებას ან ტერმინალურ მდგომარეობაში მოურჩენელი ავადმყოფისათვის სიცოცხლის მოსპობას მისი ტანჯვისაგან გათავისუფლების მიზნით.⁷⁹

ევთანაზია წარმოშობს კონფლიქტს ორ უფლებას შორის: ერთია მომაკვდავი ადამიანის სიცოცხლის უფლება და მეორე - თავად მომაკვდავის სიკვდილის სურვილი. ცხოვრებაში გვხვდება მძიმე შემთხვევები, როცა ახლობლებს უხდებათ ჯერ კიდევ სალი აზროვნების მქონე საყვარელი ადამიანის წამების ყურება. ეს საშინელი მდგომარეობა ზოგჯერ თვეები ან წლები გრძელდება. რისთვის? რატომ უნდა დაამთავროს ადამიანი სიცოცხლე და წავიდეს ამ ქვეყნიდან

79 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.49

სიცოცხლის სიძულვილით? თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ არ უნდა ჰქონდეს სიკვდილის უფლება? სად არის ზღვარი ჰუმანურობასა და მკვლელობას შორის? რა უფრო ჰუმანურია - რენიმატია პაციენტისა, რომელიც დროებით მოვა გონს და ტანჯვაში იქნება, თუ ევთანაზიის განხორციელება? ამ კითხვებზე პასუხი სცილდება სამედიცინო ეთიკის ფარგლებს და მოითხოვს სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებას.

ევთანაზიის მომხრეები მას მიიჩნევენ, როგორც მოქალაქის უფლებას „ღირსეულ სიკვდილზე“. მათი უმრავლესობა ექიმ-პრაქტიკოსია, რომლებიც ყოველდღე, ყოველ საათში აწყდებიან ავადმყოფობის რთული გამოვლინების შემთხვევებს, მათ შეუძლიათ განიცადონ და შეიგრძნონ სხვისი ტანჯვა. მათ შორის არის ონკოლოგი ლ. შვარცენბერგი რომელიც აცხადებს: „ექიმები, რომლებიც უშვებენ ავადმყოფის ტანჯვას, ჯალათები არიან“⁸⁰

ევროპული ცივილიზაციის ქვეყნებში XX საუკუნიდან, სამედიცინო მეცნიერებაში ვითარდება აზრი „ადვილი სიკვდილის“ (ევთანაზიის) შესახებ, თუმცა ევთანაზიის იდეა დიდი ხნის წინათ დაიბადა.

განასხვავებენ ნებაყოფლობით და იძულებით, აქტიურ და პასიურ და პირდაპირ და არაპირდაპირ ევთანაზიას.

აქტიური ნებაყოფლობითი ევთანაზია გულისხმობს უკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაზე მყოფი ავადმყოფის მიმართ ისეთი პრეპარატის გამოყენებას, რომელიც აჩქარებს სიკვდილს, ხოლო პასიური ევთანაზია - დამხმარე თერაპიის შეწყვეტას, რაც იმავე შედეგს იწვევს, მაგრამ არ აჩქარებს მას.

აქტიური ევთანაზიის მაგალითია მომაკვდინებელი ნემსის გაკეთება, გასროლით მოკვლა და სხვ.

სხვადასხვა ქვეყანაში მიდგომები „ევთანაზიისადმი“ არ არის ერთგვაროვანი. ამის მიხედვით, ქვეყნები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: პირველ ჯგუფს შეადგენენ ისინი, რომლებიც ევთანაზიას ჩვეულებრივ მკვლელობად აფასებენ (მა-

გალითად, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). მეორე ჯგუფის ქვეყნები ევთანაზიისათვის მსუბუქ სასჯელს ანესებენ (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია). მესამე ჯგუფის ქვეყნებმა კი უკვე მოახდინეს ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია (პერუ, ურუგვაი, ჰოლანდია)⁸¹

საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ქმედებას განიხილავს როგორც ჩვეულებრივ განზრახ მკვლელობას, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს მხედველობაში მიიღოს სიბრალულის მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ფართო მნიშვნელობით ევთანაზია ფსიქიკურად ან ფიზიკურად „არასრულფასოვანი სიცოცხლის“ მოსპობაა ევგენიკური (კეთილშობილური) თუ სოციალური მოსაზრებით. ასეთი ევთანაზია შეუთავსებელია თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის ზნეობრივ შეხედულებებთან. ფაშისტურ გერმანიაში ეგრეთ წოდებული „ევთანაზიის პროგრამას“, ჰიტლერის 1939 წლის 1 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად, ფართოდ ახორციელებდნენ როგორც „არასრულფასოვანი ადამიანების“, ისე პოლიტიკური მოწინააღმდეგეების და ტყვეების, ებრაელებისა და „დაბალი რასის“ სხვა წარმომადგენლობების მასობრივი ჭლეტის საშუალებას⁸².

გერმანული ფაშიზმის ე.წ. ევთანაზიის პროგრამამ მოახდინა თავად ევთანაზიის იდეის დისკრედიტაცია. ამიტომაცაა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ევთანაზიის პრობლემას დიდი სიფრთხილით ეკიდება.⁸³

თანამედროვე მსოფლიო სოციალური პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა უიმედო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფები მიმართავენ ექიმებს ან კერძო პირებს, რათა დააჩქარონ მათი სიკვდილი. ასეთი პაციენტების როლში გამოდიან ის პირები, რომლებიც განიცდიან აუტანელ ტანჯვას, ინვალიდები, ღრმად მოხუცებული ავადმყოფები, რომელთაც

81 ზ. წულაია., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ., 2000., გვ. 82-83.

82 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1979., ტომი 4. გვ. 33-34.

83 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ. 79.

80 Аргашева Н. А., Российский юридический журнал, м., 1996., №1.

არ შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ თავზე. ევთანაზიის (უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობის) პრობლემა მრავალი საუკუნეა, რაც განიხილება. აქ მღვდელმსახურთა პოზიცია ცალსახაა. იგი უარყოფს ევთანაზიას, რაც გამოიხატება მათ შემდეგ სიტყვებში: „არა“, „არავითარ შემთხვევაში“. რაც შეეხება ექიმებს, იურისტებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებს და ა.შ., მათი აზრი იცვლება ცხოვრების რეალური პირობების გათვალისწინებით. ასე მაგალითად, ღრმად მოხუცებულთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს და მხარს უჭერს ევთანაზიას. ზოგიერთი ექიმი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მიმართავს რა ევთანაზიის გამოყენებას, მიიჩნევს, რომ ეს არის მართლზომიერი მოქმედება. საკანონმდებლო წესით ეს საკითხი ცალსახად ვერ წყდება, ასე მაგალითად, თვით ჰოლანდია, რომელსაც ყველაზე უფრო ლიბერალური პოზიცია უჭირავს ევთანაზიის მიმართ, პროკურატურის ორგანოების მეშვეობით მიმართავს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას იმ ექიმების მისამართით, რომლებმაც პაციენტებს სიცოცხლიდან წასვლის სურვილი შეუმსუბუქეს. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზანი ისაა, რომ მომავალში ევთანაზიამ უფრო ფართო გავრცელება არ ჰპოვოს.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ევთანაზიის პრობლემის ერთი მხარეა. გასარკვევია ამ პრობლემის მეორე მხარე - როგორია სისხლის სამართლის პოზიცია ტკივილის მომხსნელი ნემსის მიმართ (აქტიური ევთანაზია). მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როცა ექიმი ავადმყოფს აძლევს წამლის სასიკვდილო დოზას არა ტკივილის დასაყუჩებლად, არამედ სასიკვდილოდ - ხსნისათვის, თავად ავადმყოფის ან მისი ახლობლების თხოვნით.

აქ ევთანაზიის მონიშნულმდეგეებს სერიოზული არგუმენტები აქვთ: გამორიცხული არაა შეცდომა დიაგნოზში, ის რაც დღეს განუკურნებელ სენად ითვლება, ხვალ შეიძლება განკურნებადი გახდეს, მედიცინისათვის ცნობილია შემთხვევები, როცა განუკურნებლად მიჩნეული ავადმყოფები გამოჯანმრთელდნენ, გამორიცხული არაა ექიმის ხელმრუდობა,

ევთანაზია შეუთავსებელია ექიმის პროფესიულ და საზოგადოებრივ ფუნქციასთან, ნდობის ატმოსფეროსთან, რომელიც უნდა სუფევდეს ექიმსა და პაციენტს შორის და სხვ.

თ. წერეთლის განმარტებით, ევთანაზია მომაკვდავისთვის ტანჯვის შემამსუბუქებელი ისეთი საშუალების მიცემაა, რომელიც სიკვდილს არ დააჩქარებს. ასეთი ევთანაზია ექიმის მოვალეობაა. სხვანაირი გაგებით ესაა უკურნებელი სენით დაავადებული და ტკივილებით განამებული ადამიანისთვის სიბრალულის მოტივით ისეთი საშუალების მიცემა, რომელიც არა მარტო გაუყუჩებს ტკივილს, არამედ სიცოცხლესაც მოუსპობს.⁸⁴

მსხვერპლის დაჟინებული თხოვნა გვევლინება ისეთ ფაქტორად, რაც შთაგონების აღმოცენების საფუძველია. ეს უკანასკნელი გულისხმობს პიროვნებაზე ისეთ ზემოქმედებას, როდესაც მას საკუთარი სურვილისა და განზრახვის გარეშე, ზოგჯერ კი მის საპირისპიროდ, ექმნება გარკვეული გრძნობა ან სურვილი რაიმე მოქმედების შესრულებისა, რაც არ გამომდინარეობს მისი მოქმედების აღიარებული პრინციპისაგან. შთაგონების საშუალება მოცემულ შემთხვევაში არის მომაკვდავის დაჟინებული თხოვნა ბრალდებულისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მას მოუსპოს სიცოცხლე. შთაგონებისაგან უნდა განვასხვავოთ თვითშთაგონება (მაგ. განწყობის შექმნით, თვითრწმენის განმტკიცებით და ა.შ.). დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია, რაც გულისხმობს მიზეზობრივი კავშირის არსებობას ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ არაპირდაპირი, ე.ი. ჩადის მკვლელობას, რომელიც არ სურს. მოტივებიდან დომინირებს სიბრალულის, შეცოდების მოტივი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კატეგორიის ქმედების ჩადენის შემთხვევაში უმართლობის ხარისხი ბევრად უფრო დაბალია და განსხვავებული. სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც საერთო, ასევე სპეციალური (მაგალითად, მკურნალი ექიმი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართ-

⁸⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ.79.

ველოს სსკ-მა მკვლევლობა მსხვერპლის თხოვნით პრივილეგირებულ შემადგენლობათა ჯგუფს მიაკუთვნა, ვინაიდან, საკითხი ეხება არა მარტო მკვლევლობას დაზარალებულის თანხმობით, არამედ მძიმე მომაკვდავი ადამიანის დაჟინებულ თხოვნას მისი ფიზიკური ტანჯვისაგან გათავისუფლების შესახებ.

ევთანაზია შეიძლება განახორციელოს, როგორც მედიცინის მუშაკმა (ექიმმა, ფერშალმა,ექთანმა) ასევე სხვა პროფესიის წარმომადგენლებმაც, თუმცა გაცილებით ხშირად ევთანაზიის თხოვნით ავადმყოფები სწორედ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს მიმართავენ, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან მედიცინის მუშაკებს გაცილებით ხშირად უწევთ მსგავს ავადმყოფებთან კონტაქტი, გარდა ამისა მათ აქვთ ცოდნა იმისა თუ როგორ დააჩქარონ სიკვდილის დადგომა და ხელი მიუწვდებათ სათანადო პრეპარატებზე.

აქტიური ევთანაზია მედიცინის მუშაკის მიერ შეიძლება განხორციელდეს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების ორგანიზმში სხვადასხვა გზით შეყვანის საშუალებით: პერორალურად, ინექციით, ინჰალაციით ან ამ მეთოდების კომბინირებით. საზოგადოებაში ფართო გამომხატულება მოჰყვა ამერიკელი ექიმის ჯეკ კოვერკიანის მიერ განხორციელებულ ევთანაზიის აქტებს, კოვერკიანს ავადმყოფების სხეულში შეჰყავდა ნემსი, რომელსაც სამი რეზერვუარი ჰქონდა მიერთებული, პირველ რეზერვუარში უბრალოდ ფიზიოლოგიური ხსნარი იყო მოთავსებული და ამ რეზერვუარის ონკანს თვითონ ექიმი ხსნიდა, მეორე რეზერვუარში მოთავსებული იყო საძილე საშუალება, რომლის ონკანსაც ავადმყოფი თავად ალბდა, ძილის დადგომის შემდეგ ავადმყოფს ხელი დაბლა უვარდებოდა, რითაც მოქმედებაში მოჰყავდა მესამე რეზერვუარის ონკანი და მის სხეულში შედიოდა გულის მოქმედების გამაჩერებელი და სხეულის მუსკულატურის მომადუნებელი პრეპარატი, რაც დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ავადმყოფის სიკვდილს იწვევდა. ჯეკ კოვერკიანმა, რომელსაც

„ექიმი სიკვდილი“ შეარქვეს⁸⁵ 130-ზე მეტი ევთანაზიის აქტი განახორციელა⁸⁶

პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო საფრანგეთის ქალაქ ლილის სასამართლომ, მან გაამართლა მკვლევლობაში ბრალდებული ექიმი ფრედერიკ შოსუა და მოკლულის დედა მარი იუმბერი, მათ გაუკეთეს შხამის ინექცია და გამოურთეს სასუნთქი აპარატი 23 წლის ვენსენ იუმბერს, რომელსაც ავტოავარიის შედეგად დაემართა სხეულის სრული პარალიზება, იგი აგრეთვე დამუნჯდა და თითქმის სრულიად დაბრმავდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება ითვალისწინებდა სამუდამო პატიმრობას ფრედერიკ შოსუასთვის და 6 წლით პატიმრობას მოკლულის დედისთვის, პროკურორმა წამოაყენა ინიციატივა ბრალდების სრულად მოხსნის შესახებ, მისი განცხადებით მისი ინიციატივა ეფუძნება დანაშაულის არა სამართლებრივ და მატერიალურ არამედ მორალურ ელემენტს.⁸⁷

აქტიური ევთანაზია მედიცინის სფეროში არ მომუშავე პირის მიერ შეიძლება განხორციელდეს მრავალფეროვანი ხერხით და საშუალებით (მაგალითად: ცეცხლსასროლი იარაღით, ცივი იარაღით, მექანიკური ასფიქსის გზით და სხვა), კანონი ამ მხრივ არანაირ დათქმას არ აკეთებს, თუმცა გვინდა გავახმოვანოთ ერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ რადგან ამ დანაშაულის მთავარი მამოძრავებელი ძალა სიცოცხლის გრძნობა და მომაკვდავის ტანჯვისგან განთავისუფლებაა, ანუ ერთგვარ ჰუმანურ აქტთან გვაქ საქმე, თვითონ მსხვერპლის მოკვდინების მეთოდი და საშუალება უნდა იყოს ჰუმანური, სწრაფმოქმედი და დამატებითი ტანჯვის და ტკივილის მიყენებისგან თავისუფალი. შეუძლებელია ადამიანის ტანჯვის შემსუბუქების სურვილით ის ცეცხლში დანვა, წყალში დაახრჩო ან ჩაქურჩით თავი გაუჩქქვო, ასევე წარმოუდგენელია დანით მრავალჯერადი ქრილობა მიაყ-

85 Г. Шишпин. Кто он доктор Смерть? // Эхо планеты, 1999, Февраль №8.

86 Варжапетян В. Легкость небытия // Новое время, 1999, № 17-18, С. 45.

87 Флоря В. Уголовная ответственность за врачебные преступления (медицина и право) Кишинёв, 2004 г. – 160 с.

ენო ადამიანს მოკვლის მიზნით ასეთივე მოტივით. თუ ექიმი ადამიანის მოკვდინებისას იყენებს ერთგვარ ჰუმანურ მე-
თოდს შეყავს წამლის ან დამაძინებლის ზედმეტი დოზა ან
სხვა რაიმე საშუალებას იყენებს ამისთვის, რაც ისე უსპობს
მსხვერპლს სიცოცხლეს რომ დამატებით ტანჯვას არ იწვევს,
ჩვეულებრივმა ადამიანმაც ამ აქტის განხორციელებისას
უნდა გამოიყენოს მსგავსი ხერხები და საშუალებები, იგივე
დამაძინებლის გადაჭარბებული დოზა ან ვენიდან სისხლის
გამოშვება, რაც ნაკლებად ტრავმულია და არამტანჯველი.
ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის მოსაკლა-
ვად გამოყენებულია საშუალება, რომელიც შეუთავსებელია
ამ დანაშაულის მოტივთან პასუხისმგებლობა უნდა დადგეს
ჩვეულებრივ, როგორც განზრახი მკვლელობისთვის (სსკ-ის
108-ე მუხლი) მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 110-ე მუხლის
სხვა მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო.

**პასიური ევთანაზია გულისხმობს იმ მკურნალობაზე
უარის თქმას, რომელიც მიმართულია სიცოცხლის შე-
ნარჩუნებისაკენ. პასიური ევთანაზიის განხორციელების
მეთოდებია მაგალითად: ორგანიზმის ხელოვნური კვე-
ბის შეწყვეტა, იმ აუცილებელი სამკურნალო პრეპარატე-
ბის არ მიცემა, რომლის გარეშეც ავადმყოფი იმაზე მალე
მოკვდება ვიდრე მაშინ თუ ის ამ პრეპარატებს სისტემა-
ტურად მიიღებდა. ასევე პასიური ევთანაზიის დროს შეიძ-
ლება არ იქნას გამოყენებული რომელიმე სიცოცხლის
გახანგრძლივებისთვის საჭირო სამედიცინო პროცედურა,
მაგალითად ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთება.**

4.2. განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 111-ე)

ამ მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა
განსხვავდება საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართ-
ლის კოდექსის 106-ე მუხლისაგან⁸⁸ მოქმედი სისხლის სამ-
ართლის კოდექსის 111-ე მუხლი ორი ნაწილისგან შედგება,
მაშინ როცა 106-ე მუხლი ერთნაწილიანი იყო. გარდა ამისა,
პირველი ნაწილი მოქმედი კოდექსის 111-ე მუხლისა, სადაც
აფექტური მკვლელობის ძირითადი შემადგენლობაა აღწე-
რილი, გაცილებით უფრო გაფართოებულია წინა კოდექსის
106-ე მუხლისგან განსხვავებით. საქართველოს 1960 წლის
სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლში აფექტის გა-
მომწვევ გარემოებათა ზუსტი ჩამონათვალი უსამართლოდ
ზღუდავდა იმ შემთხვევათა წრეს, რომლებიც ნამდვილად
იძლევა პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესაძლებლობას.
მართალია, ანალოგიის პრინციპის გამოყენების საფუძველზე
სასამართლო პრაქტიკას შეეძლო თვითონ გაეფართოებინა
ხსენებულ შემთხვევათა წრე, მაგრამ წარსულში მოსამართ-
ლის თავისუფლებისა და სამოსამართლო სამართლის არარ-
სებობის პირობებში, ეს ვერ ხერხდებოდა. მოქმედი კოდექსის
111-ე მუხლი ამ გარემოებათა სანიმუშო ჩამონათვალს გვთა-
ვაზობს. აქ ნათქვამია: აფექტი „გამოიწვია დამნაშავეს ან
მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწი-
ნააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე
ამორალურმა ქმედებამ...“ და ა.შ. აღნიშნული ხელს შეუწყობს
ხსენებულ ქმედებათა სწორ კვალიფიკაციას.

საყურადღებოა, აგრეთვე, სსკ-ის 111-ე მუხლის მეორე
ნაწილი, რომლითაც გაძლიერებული პასუხისმგებლობაა
დანესებული აფექტური მდგომარეობის დროს „ორი ან მეტი“
ადამიანის მკვლელობისათვის. ეს მაკვალიფიცირებელი ნი-
შანი სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის ანა-
ლოგიურია.

⁸⁸ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 111-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა ეგრეთ წოდებულ პრივილეგიურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. მკვლელობის უმართლობა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება), რომელიც საფუძვლად უდევს სსკ-ის 111-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას, არ განსხვავდება სსკ-ის 108-ე ან 109-ე მუხლებით აღწერილი შემადგენლობების უმართლობისაგან. მაგალითად, „ორი ან მეტი“ ადამიანის განზრახ მკვლელობა სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით, მკაცრად ისჯება, ხოლო ამდენივე ადამიანის განზრახ მკვლელობა აფექტური მდგომარეობის დროს სსკ-ის 111-ე მუხლით შემსუბუქებულ პასუხისმგებლობას იწვევს. მაშასადამე, ერთი და იმავე სიმძიმის უმართლობა სსკ 109-ე მუხლით მკაცრად, ხოლო სსკ-ის 111-ე მუხლით მსუბუქად ისჯება.

პასუხისმგებლობის შემსუბუქება აქ ემყარება არა უმართლობის სიმძიმის დაბალ ხარისხს, მის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ ბრალის შემცირებულ ხარისხს. აფექტური მკვლელობა შემცირებული შერაცხადობის ნაირსახეობაა. ამ თვალსაზრისზე დგას რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებიც. აფექტურ მდგომარეობაში ადამიანს მნიშვნელოვნად აქვს დაქვეითებული თავისი მოქმედების ფაქტობრივი ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების შეცნობის, აგრეთვე ამ მოქმედების ხელმძღვანელობის უნარი. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, როცა ის წერს, რომ ასეთ ვითარებაში ჩადენილი დანაშაული საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშია, ვიდრე დანაშაული, რომელიც ჩადენილია დამშვიდებული ფსიქიკის მდგომარეობაში. აფექტური მკვლელობის დროს უმართლობის სიმძიმის ხარისხი, მისი საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ფსიქიკის მდგომარეობაზე. აქ საქმე გვაქვს შემცირებული შერაცხადობის შემთხვევასთან, რაც ამცირებს ბრალის და არა უმართლობის, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს⁸⁹

89 Комментарии к Уголовному кодексу Российской Федерации, м., 2014., с. 242.

განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული ამ საკითხზე საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების ერთ-ერთ ავტორს, ზ. მჟავანაძეს. იგი ამტკიცებს, რომ ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა „ქმნის პირობებს, დამნაშავე ჩაითვალოს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშად იმასთან შედარებით, როდესაც დამნაშავე ყოველგვარი აფექტის გარეშე წყნარად, მშვიდად დაგეგმავს დანაშაულის ჩადენის მთელ მსვლელობას“⁹⁰

ეს თვალსაზრისი არ შეესაბამება მოქმედ ქართულ სისხლის სამართალს, რომელიც ქმედების და არა მოქმედი სისხლის სამართლის პრინციპზეა აგებული. მოქმედი ქართული სისხლის სამართალი პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო (საზოგადოებრივად საშიში) ქმედების ჩადენის გამო და არა იმის გამო, რომ ის, ესე იგი დამნაშავეს პიროვნება, საშიშია საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ აფექტურ მდგომარეობაში მყოფი შემცირებული შერაცხადობის მდგომარეობაშია, აქედან გამომდინარე, მისი ბრალის ხარისხი შემცირებულია, მიუხედავად იმისა, ის განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია თუ უაღრესად თვინიერი ადამიანი. აფექტურ მდგომარეობაში იქნება ადამიანი თუ „მშვიდად დაგეგმავს დანაშაულის ჩადენის მთელ მსვლელობას“, ეს მისი პიროვნების მეტ ან ნაკლებ საშიშროებაზე ვერ იმოქმედებს. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ბრალის ხარისხთან და არა პიროვნების საშიშროებასთან.

სსკ-ის 111-ე მუხლით აღწერილი მკვლელობა განზრახი მკვლელობაა. განსხვავება სსკ-ის 108-ე ან 109-ე მუხლებით აღწერილი მკვლელობისაგან ის არის, რომ აქ მკვლელობის განზრახვა გამოწვეულია „უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვებით“.

მეორე განსხვავება სსკ-ის 111-ე მუხლისა ხსენებული მუხლებისაგან ისაა, რომ განზრახვა აქ მხოლოდ პირდაპირია. აფექტური მკვლელობა არ შეიძლება იყოს ჩადენილი ევენტუალური განზრახვით⁹¹

90 ზ. მჟავანაძე, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, თბ., 2000., გვ. 42-43.

91 ვ. მაყაშვილი, მ., მაჭავარიანი, თ., წერეთელი, თ., შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980., გვ.51.

სსკ-ის 111-ე მუხლით აღწერილი აღელვება, რასაც ხშირად უცხოური ტერმინით - „აფექტი“ აღნიშნავენ, უნდა იყოს უეცრად წარმოშობილი. აფექტი უეცრად წარმოშობილი და სწრაფწარმავალი გრძნობაა.

სსკ-ის 111-ე მუხლით აღწერილი აღელვება უნდა იყოს, ამავე დროს, ძლიერი. თუკი აღელვება იყო უეცარი, მაგრამ არ იყო ძლიერი, მაშინ მკვლევლობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხსენებული მუხლით. იყო თუ არა აღელვება ძლიერი, ეს შეფასების საკითხია.

საჭიროდ მივიჩნევთ აფექტის, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენის მცირედ განმარტებას. აფექტი ინვესს ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესების დეზორგანიზაციას, რაც გამოიხატება მოქმედების მიზანმიმართულობის, ადეკვატურობის და თანამიმდევრობის დარღვევაში. უეცრობას, როგორც აფექტის ნიშანს იყენებენ ორი მნიშვნელობით - სუბიექტური და ობიექტური. უეცრობა სუბიექტური გაგებით, ნიშნავს მის უეცარ ხასიათს თვითონ აფექტური დანაშაულის სუბიექტისათვის. ეს ფსიქოლოგიური ნიშანია და ახასიათებს აფექტს შინაგანი (ფსიქოლოგიური) მხრიდან. ობიექტური გაგებით უეცრობა, ნიშნავს მის უეცარ ხასიათს თვით დაზარალებულისათვის და სხვა პირებისათვის. აფექტის მეორე ნიშანია ცნობიერების ცვალებადობა, რაც გამოიხატება ცნობიერების შევიწროებაში, მის კონცენტრაციაში აფექტურ განცდებზე. ამ დროს ადამიანი ჩადის ისეთ მოქმედებებს, რომელიც მიმართულია უახლოეს ობიექტზე და მიზნებზე და არ ხდება შესაძლო შედეგების გათვალისწინება. მეხსიერების აფექტის შემდგომი დარღვევა არ ინვესს ამნეზიას, პათოლოგიური აფექტისგან განსხვავებით, მაგრამ ამ დროს ხდება მომხდარის ცალკეული ელემენტების დავიწყება. აფექტს ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები, რაც გამოიხატება მოძრაობით აღგზნებადობაში, მათ ქაოტურობაში, ავტომატიზმში. მაგალითად, მკვლევლობისას მრავლობითი ქრილობები, რომელთა ნაწილი მიყენებულია სიკვდილის შემდეგ. აგრეთვე აფექტის დროს ხდება ადამიანის ფიზიკური ძალის კონცენტრაცია და მას შეუძლია ისეთი

მოქმედების ჩადენა, რომელიც ჩვეულებრივ სიტუაციაში მისთვის შეუძლებელია. პოსტაფექტური მდგომარეობა ხასიათდება დაღლით, დაქანცულობით, აპათიით. ეს გამონვეულია იმით, რომ აფექტური განმუხტვა ინვესს ფიზიკური და ნერვული ენერჯის სრულ დაძაბვას, რის შემდეგაც ადამიანი გარკვეულ გამოფიტულობას გრძნობს. აფექტი ინვესს ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ვეგეტატიურ ცვლილებებს ადამიანში, რაც გამოიხატება ხმის, მიმიკის, გამომეტყველების, წნევის, გულისცემის გახშირებაში, სახის კანის გაფითრებაში ან პირიქით განითლებაში და სხვა⁹²

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გამოყოფენ აფექტის განვითარების 3 სტადიას (ფაზას): 1) მოსამზადებელი ფაზა; 2) აფეთქების (კულმინაციის) ფაზა; 3) დაცლის, განმუხტვის ფაზა. რომელიმე ამ ფაზის არ არსებობა გამორიცხავს აფექტს, როგორც ერთიან ემოციურ მდგომარეობას. მოსამზადებელი ფაზა ხასიათდება ფსიქოტრავმული მოქმედებების აღქმით და გრძელდება ფსიქოტრავმული მოქმედებებიდან აფექტურ აფეთქებამდე. აფეთქების ფაზა ხასიათდება აგრესიული მოქმედებებით, ამ დროს ადამიანი ჩადის სხვადასხვა ძალადობრივ ქმედებებს. ამ სტადიის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ხდება ორგანიზმის ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ენერჯო რესურსის სრული მობილიზაცია, რაც განაპირობებს იმას, რომ ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რაც ჩვეულებრივ (ნორმალურ) მდგომარეობაში მას არ ძალუძს (მაგ. შეამტვრიოს კარები, გადახტეს მაღალ ლობზე, ან სულაც ისროლოს ქვა და დაამყაროს „მსოფლიო რეკორდი“). მესამე ფაზა ხასიათდება აფექტური აღგზნებიდან პასიურ მდგომარეობაში გადასვლით. აფექტური დაცლის სტადიაში მყოფ ადამიანს ახასიათებს დაბნეულობა, დაღლილობა, აპათია, რეაქციის შენელება, რასაც განაპირობებს ის, რომ ორგანიზმი პრაქტიკულად დაცლილია ფიზიკური თუ ფსიქიკური ენერჯისაგან. ამიტომ ასეთ დროს ადამიანს, როგორც წესი, არ ახასიათებს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, დანაშაულის იარაღის გადამალვა ან განადგურება

92 Сидоров Б.В. Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение. Казань, 1978, с. 24-29.

და სხვა. ასეთი გახლავთ აფექტში ჩადენილი დანაშაულის ფსიქოლოგიური კრიტერიუმის შინაარსი. აფექტის დადგენის დროს, აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, იმ სოციალურ წრეს, სადაც ის იმყოფება და მის დამოკიდებულებას მათ მიმართ და პირიქით, აღზრდის თავისებურებას, ღირებულებით ორიენტაციას და სხვა გარემოებებს.⁹³

ფსიქოლოგიაში, სიძლიერის თვალსაზრისით, გამოყოფენ აფექტის ორ სახეობას - პათოლოგიურსა და ფიზიოლოგიურს. პათოლოგიური აფექტის დროს ადამიანი სრულიად მოკლებულია სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას, რაც გამორიცხავს მის ბრალს. პათოლოგიური აფექტის დროს ადამიანს არ შეერაცხება ბრალად ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

ფიზიოლოგიური აფექტი პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, - წერს თ. შავგულიძე - არ გამორიცხავს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. იგი მხოლოდ ასუსტებს, მაგრამ არ სპობს თვითკონტროლისა და გარემოში სწორად გარკვევის უნარს⁹⁴.

იმის გასარკვევად, ფიზიოლოგიური აფექტის დროს მოხდა განზრახ მკვლელობა თუ პათოლოგიურის დროს, აუცილებელია, ჩატარდეს კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.⁹⁵

ამ თვალსაზრისით, მეტად საყურადღებოა სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც ჩატარდა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. „გამოძიებამ დაადგინა, ღამის პირველ საათზე ირაკლი მაისურაძემ სახესა და საფეთქელში ნაჯახის ორ-ორი დარტყმით მეზობლის გიორგი კიკნაძის ბინაში მოკლა თავისი მეუღლე ნინო ჩიბურდანიძე და თავად გიორგი კიკნაძე, რომლებიც ერთად იწვნენ და ეძინათ“ (გვარები ტექსტში შეცვლილია).

93 Ситковская О.Д. Конышева Л.П. Коченов М.М. Новые направления судебно-психологической экспертизы М., 2000, с. 46-52.

94 ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980., გვ.51.

95 Комментарии к Уголовному кодексу Российской Федерации, м., 2014., с. 242.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის გადასაწყვეტად შესრულდა სამი საექსპერტო მოქმედება: 1)ბრალდებულ ი. მაისურაძის პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურების გამოკვლევა; 2)ი. მაისურაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის სოციალურ-ფსიქოლოგიური (მისი სოციალური წრის) შეფასების ანალიზი; 3)ი. მაისურაძის დანაშაულებრივი მოქმედების ფსიქოლოგიური ანალიზი და ემოციური მდგომარეობის დიაგნოსტიკა⁹⁶

ცოლ-ქმრული ღალატი, რაც საფუძვლად დაედო ი. მაისურაძის მიერ ჩადენილ მკვლელობას, სოფლის საერთო კრებას განუხილავს და მკაცრად დაუგმია მორალური თვალსაზრისით. ამ გარემოებას ექსპერტიზა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის სოციალური წრე, სადაც ეს პიროვნება ტრიალებს. „საექსპერტო გასაუბრებისას - ნათქვამია ექსპერტიზის დასკვნაში - ბრალდებულმა ირაკლი მაისურაძემ აღნიშნა: „მე მაშინვე მკვდარი ვიყავი, როდესაც დავინახე, რომ ჩემი მეუღლე გიორგი კიკნაძის გვერდით იწვა“. ეს აღიარება და თვით დანაშაულებრივი მოქმედება (მკვლელობა) სავსებით გამოხატავს, აქ მოხსენებული კრების ენით რომ ვთქვათ, იმ შეგნებას, რომლითაც „ინვის და დულს“ ის სოციალური ჯგუფი, რომელსაც მაისურაძეების ოჯახი განეკუთვნება⁹⁷”

საბოლოოდ ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ ი. მაისურაძე მოქმედებდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

ეს დასკვნა მრავალმხრივ საყურადღებო პრაქტიკული დოკუმენტია, საიდანაც ჩანს, რომ აფექტის მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ერთი მხრივ, იმ სოციალურ წრეზე, რომლის შიგნითაც პიროვნება ტრიალებს, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებს.

ის სოციალური წრე, სადაც პიროვნება ცხოვრობს და მის

96 ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 4, თბ., 2001., გვ.23.

97 ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 4, თბ., 2001., გვ.23-24.

გავლენას განიცდის, ამ შემთხვევაში არის სოფელი, რომელმაც კრება მოიწვია და ამ ფაქტზე იმსჯელა. მკაცრად დაგმოცოლ-ქმრული ღალატი. თვითონ ი. მაისურაძის პიროვნება, ამ საექსპერტო დასკვნით, ასეა დახასიათებული „ირაკლი მაისურაძეს ახასიათებს მკაფიოდ გამოკვეთილი მგრძობიარობა, ემოციური აღგზნებადობა და გულჩვილობა, რომელიც ზოგჯერ ცრემლებსა და ტირილში იჩენს ხოლმე თავს. ირაკლი მაისურაძის თავისებურებებიდან ნიშანდობლივია, აგრეთვე შთაბეჭდილებათა სიღრმე და განცდების სიმძაფრე. იგი ამჟღავნებს ახლობლების მხრივ თანაგრძობისა და ზრუნვის გამოწვევის ძლიერ სურვილს“ და სხვ.⁹⁸

ექსპერტიზის დანიშვნა უნდა მოხდეს მაშინ, როცა საქმეში არის სათანადო მონაცემები, რომ ბრალდებული იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში. ასეთ დროს ზოგჯერ გასარკვევია, ფიზიოლოგიურ აფექტთან გვაქვს საქმე, თუ პათოლოგიურთან. სხვა შემთხვევაში ექსპერტიზა შეიძლება არც დაინიშნოს. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა გამოძიებით არ არის დადგენილი ჩაიდინა თუ არა უკანონო მოქმედება დამნაშავემ. მაგალითად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენით გიორგი არაბიძეს მსჯავრი დაედო საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში).

განაჩენის მიხედვით, გიორგი არაბიძე მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს ზესტაფონის რაიონგანყოფილების უბნის ინსპექტორად. მან მიიღო ანონიმური წერილი, რომლითაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ დედამისს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მეზობლად მცხოვრებ თემურთან. 1998 წლის 4 ნოემბერს დილის საათებში თავისი ბებია მიიყვანა სოფ. შრომაში საავტომობილო გზასთან, ე.წ. „ბაჭას ბოგირთან“ არსებულ თიხის ქურჭლის ბაზრობაზე. გიორგი არაბიძე მიესალმა იქ დამხვდურებს, მათ შორის თემურსაც. ამ დროს თემურმა მოულოდნელად ჩაილაპარაკა: „მოაკითხა თავის ბოზ დედას, წუხელი მასთან ვიყავიო. თან ცინიკურად შეე-

98 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002., გვ.61.

კითხა გიორგი არაბიძეს: „რა გინდა, ბიჭო, რას მიყურებო“. მძიმე შეურაცხყოფით ფიზიოლოგიურ აფექტში აღმოჩენილმა გიორგი არაბიძემ ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და დაახლოებით ორი მეტრის მანძილიდან მოკვლის მიზნით ორჯერ ესროლა თემურს, ხოლო როცა იგი გაიქცა, დამატებით კიდევ ორჯერ ესროლა. თემური ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი არაბიძე ბრალის აღიარებით გამოცხადდა ზესტაფონის შს რაიონგანყოფილებაში.

დაზარალებულის საკასაციო საჩივარში ნათქვამი იყო, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მონმეების ჩვენებები, რომელთა თანახმად, „დანაშაულის ჩადენამდე“ თემურსა და გიორგის შორის არავითარი საუბარი არ ყოფილა“. საკასაციო პალატამ 2000 წლის 2 ივნისის განჩინებით მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა საქმის ფაქტიური გარემოებები. პალატამ ამის საფუძველზე გააუქმა ხსენებული განაჩენი და დააბრუნა საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.⁹⁹

როგორც ზემოთ ვთქვით, აფექტი უეცრად წარმოშობილი და სწრაფმავალი გრძობაა. როცა ლაპარაკია აფექტის უეცრად წარმოშობაზე, მხედველობაშია სწრაფი რეაქცია გამლიზიანებლებზე, რომელიც აღნიშნულია სსკ-ის 111-ე მუხლის დისპოზიციაში. ეს არის მართლსაწინააღმდეგო ძალადობა და სხვ. მაშასადამე, აფექტი მომენტალურად უნდა მოჰყვეს მართლსაწინააღმდეგო ძალადობას. ასე რომ, განზრახი მკვლელობა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო ძალადობისთანავე ხდება, იგი უშუალო რეაქციაა ამ ძალადობისა.¹⁰⁰

ზემოთ მოყვანილ მაგალითში მაისურაძის აფექტური მდგომარეობა უეცრად წარმოშვა ცოლ-ქმრული ღალატის ხილვის ფაქტმა, როცა მან დაინახა თავისი მეუღლე სხვა მამაკაცთან ლოგინში მწოლიარე და ამ ფაქტს უშუალოდ მოჰყვა მეუღლისა და მის გვერდით მწოლიარე მამაკაცის განზრახ მკვლელობა. მაგრამ ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა

99 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002., გვ.62.

100 Комментарии к Уголовному кодексу Российской Федерации, м., 2014., с. 240

მაპროვოცირებელ როლს ასრულებს არა უშუალოდ მართლ-საწინააღმდეგო ქცევა, არამედ სხვა ფაქტი. ზოგჯერ მართლ-საწინააღმდეგო მოქმედება ადრე, წლების წინათაც კი არის მომხდარი, მაგრამ განზრახ მკვლელობის მაპროვოცირებელ ფაქტს წარმოადგენს მსხვერპლის მოულოდნელი ნახვა, მასთან შეხვედრა, როცა მკვლელის მეხსიერებაში უეცრად ამოტივტივდება მართლსაწინააღმდეგო ძალადობის ფაქტი და იწვევს აფექტს. თ. შავგულიძეს თავის მონოგრაფიაში აღწერილი აქვს შემთხვევა, როცა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დამთავრებიდან ოცი თუ ოცდაათი წლის შემდეგ, ამ ომის ერთ მონაწილეს მოსკოვის ქუჩაში შეხვდა კაცი, რომელიც ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში ტყვედ ყოფნისას მას სასტიკად აწამებდა. ამ შეხვედრამ მასში წარმოშვა აფექტური მდგომარეობა, რასაც იმ კაცის განზრახ მკვლელობა მოჰყვა. სასამართლომ დამნაშავეს მოქმედება დააკვალიფიცირა შესაბამისი აფექტის პრივილეგირებული მუხლით.

დაახლოებით ანალოგიური მაგალითი მოჰყავს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებს. კომენტარში ნათქვამია, რომ შესაძლებელია აფექტი წარმოიშვას არა უეცრად დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის მერე, არამედ დროის რალაც შუალედის გავლის შემდეგ (მაგალითად, კაცი შემთხვევით ხვდება ქუჩაში ადამიანს, რომელმაც ადრე გალანძლა მისი მცირეწლოვანი შვილი)¹⁰¹

აფექტი გამოწვეული უნდა იყოს დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ რაიმე ძალადობით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. ახლო ნათესავთა წრე განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნით, სადაც ნათქვამია, რომ ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე. ეს ჩამონათვალი ამომწურავია. ამავე დროს ის სავალდებულოა სსკ-ს 111-ე მუხლისათვის, რადგან სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნის ტექსტი ასე იწყება: „ამ კოდექსში ახლო

ნათესავად მიიჩნევა...“ და ა.შ.

აფექტის გამოწვევი მართლსაწინააღმდეგო ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკურიც და ფსიქიკურიც (მუქარა). შესაძლებელია ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა ერთდროულად ხდებოდეს. მაგალითად, ვინმემ ჩაავლო ხელი კაცს საყელოში, ანჯღრევს და თან ემუქრება კიდევ მეტი დაზიანებით მომავალში („გაგაქრობ“ და სხვ.).

სსკ-ს 111-ე მუხლის ტექსტში აფექტის გამოწვევის საფუძვლად „მართლსაწინააღმდეგო ძალადობის“ შემოტანამ თავისთავად წამოჭრა ახალი საკითხი, რომელსაც უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამან არ უნდა გამოიწვიოს აუცილებელი მოგერიების შემთხვევისა და აფექტურ მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის ერთმანეთში არევა. თუმცა ეს საკითხი ადრეც იდგა. აუცილებელი მოგერიების დროს საქმე გვაქვს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმასთან, ესე იგი ძალადობასთან, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აფექტი. ასეთ დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა აფექტში ჩადენილი მკვლელობის სსკ-ის 111-ე მუხლით, არამედ მომგერიებელი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე (აუცილებელი მოგერიება).

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში მართლსაწინააღმდეგო ძალადობის შემთხვევად დასახელებულია ცემა, წამება, თავისუფლების შეზღუდვა ძალადობით და გაუპატიურება. ეს შემთხვევები, ცხადია, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობასაც წარმოშობს. მოსალოდნელია ამ დროს აგრეთვე, რომ ადამიანი, ვის მიმართაც ეს ძალადობა ხდება, აღმოჩნდეს აფექტურ მდგომარეობაში. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში გულდასმით უნდა შეამოწმონ საქმის ყველა დეტალი და იმ შემთხვევაში, თუკი აღმოჩნდება, რომ აფექტურ მდგომარეობასთან ერთად, საქმე გვაქვს აუცილებელ მოგერიებასთან, უპირატესობა უნდა მიეცეს ამ უკანასკნელს და გავათავისუფლოთ ადამიანი პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, თუ აფექტში მყოფი ქალი განზრახ მოკლავს მოძალადეს გაუპატიურების

101 Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, м., 2014., с. 242.

დამთავრების შემდეგ, მისი მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდება კოდექსის 28-ე მუხლით და ის ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნის გამო¹⁰²

სსკ-ის 111-ე მუხლი აფექტის გამომწვევ გარემოებად მიიჩნევს „მართლსაწინააღმდეგო ძალადობას“ და არა „უკანონო ძალადობას“, როგორც ამას ზოგჯერ წერენ სამეცნიერო ლიტერატურაში. მართლწინააღმდეგობა უკანონობაზე უფრო ფართო ცნებაა იქედან გამომდინარე, რომ სამართალი ბევრად ტევადია კანონის ცნების მოცულობასთან შედარებით. როცა ლაპარაკია უკანონობაზე, სასამართლომ ზუსტად უნდა დაადგინოს, რომელი კანონის საწინააღმდეგოდ იმოქმედა ბრალეული ქმედების ჩამდენმა. მაშასადამე, აქ საქმე ეხება დაწერილ კანონს, ესე იგი პოზიტიურ ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობას, ეს ცნება გულისხმობს წინააღმდეგობას, დაწერილთან ერთად დაუწერელი სამართლისადმიც.

როცა ლაპარაკია მართლსაწინააღმდეგო ძალადობაზე, მაშინ აფექტურ მკვლევლობად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როცა უეცარი, ძლიერი აღელვების შედეგად მკვლელობა ჩადენილია მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობის დამთავრების შემდეგ. იმ შემთხვევაში, როცა აფექტის მდგომარეობაში მყოფი მოძალადეს აზიანებს ძალადობის დამთავრებამდე, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება აუცილებელ მოგერიებად.

სსკ-ის 111-ე მუხლის დისპოზიციაში აფექტის გამომწვევ შემდეგ გარემოებად მოხსენიებულია მსხვერპლის მიერ დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის „მძიმე შეურაცხყოფა“.

სსკ-ის 111-ე მუხლი აფექტის გამომწვევ გარემოებად მიიჩნევს არა უბრალოდ „შეურაცხყოფას“, არამედ „მძიმე შეურაცხყოფას“. იყო თუ არა შეურაცხყოფა „მძიმე“, ეს შეფასების საკითხია. შეფასებას ამ შემთხვევაში აკეთებს სა-

სამართლო. შეფასების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ბრალდებულის პიროვნული თვისებები, მაგალითად, მისი ემოციურობა და განსაკუთრებული მგრძობელობა თავისი შინაგანი ღირსების მიმართ. მხედველობაში მიიღება აგრეთვე დამნაშავის აღზრდა და ის სოციალური გარემო, სადაც მას უხდება ყოფნა. ის, რაც მისაღები და შედარებით ადვილად მოსათმენია ერთ სოციალურ ფენაში, შეურაცხმყოფელი მეორე სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ღირებულებებსაც, რასაც დაზარალებული შეეხო. მაგალითად, დედის, ცოლის, დის შეგინებას უწმანური სიტყვებით ჩვენში მძიმე შეურაცხყოფად აღიქვამენ.

ასევე სსკ-ის 111-ე მუხლის დისპოზიციაში აფექტის გამომწვევ გარემოებად დასახელებულია „სხვა მძიმე ამორალური ქმედება“. კანონმდებელი აქ, როგორც ზემოთ ვთქვით, ერიდება აფექტის გამომწვევ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს და ჩამოთვლის მათ სანიშნოდ. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა „სხვა“. ერთ-ერთი ასეთი „სხვა მძიმე ამორალური ქმედება“, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება, არის ეგრეთ ნოდებული ადიულტერი (ცოლ-ქმრული ღალატი).

ზემოთ ჩვენ გავაანალიზეთ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ეხებოდა დამნაშავის ფსიქიკურ მდგომარეობას ცოლისა და საყვარლის მკვლელობის მომენტში.

შემდეგი გარემოება, რომელიც სსკ-ის 111-ე მუხლის დისპოზიციაში გვხვდება, არის განზრახი მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში, რაც გამოიწვია „მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“.

ტერმინი „არაერთგზისი“ ნიშნავს ერთ ჯერზე მეტად, ორჯერ მაინც. შესაბამისი დანაშაულის ერთზე მეტად ჩადენას. ე.ი. განმეორებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით¹⁰³ განმეორება, დანაშაულთა ხასიათის მიხედვით სამი სახის შეიძლება იყოს: 1)იგივეობრივი, 2)ერთგვაროვანი და 3)არაერთგვაროვანი განმეორებითი.

¹⁰³ ო, გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2013., გვ.219.

¹⁰² Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, м. ,2014., с. 245.

„არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო“ ქმედება შეიძლება ჩაიდინოს, მაგალითად, სახელმწიფო მოხელემ, რომელმაც არაერთხელ უკანონოდ შელახა მოქალაქის უფლებები და ამით მოთმინებიდან გამოიყვანა დამნაშავე. აფექტური მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ისეთმა „მართლსაწინააღმდეგო“ ქმედებამ, როგორცაა არაერთგზისი ჩადენილმა თვითნებობამ. არაერთგზისი ჩადენილი ამორალური ქცევა უფრო მეტად შეიძლება შეგვხვდეს საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში ან ოჯახურ ვითარებაში. კანონის მიხედვით, ასეთი ქცევის განმეორებითა ჩადენამ ფსიქიკური ტრავმა უნდა გამოიწვიოს დამნაშავეში, გამოიყვანოს იგი წყობიდან უეცრად და თან ძლიერ აღაგზნოს.

„დამნაშავეს სისტემატური მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევის შედეგად - ნათქვამია რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში - შეიძლება წარმოიქმნას ხანგრძლივი ფსიქომატრამ-ვირებელი ვითარება, რაც ზოგჯერ იწვევს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობას. ასეთ ვითარებაში დამნაშავეს ფსიქიკური დაძაბულობა თანდათანობით იზრდება და როცა „მოთმინების ფიალა“ აივსება, წარმოიშობა ძლიერი სულიერი აღელვება, რაც მკვლელობის მიზეზი ხდება.“¹⁰⁴

კაზუსი სასამართლო პრაქტიკიდან: ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს 2000 წ. 21 მარტის განაჩენით ავთოს მსჯავრი დაედო საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 105-ე მუხლით დედის - კესოს მკვლელობისათვის. განაჩენის მიხედვით, კესო ბევრს სვამდა და ამის ნიადაგზე მუდმივი უსიამოვნება ჰქონდა შვილთან ავთოსთან. 1995 წ. 28 მაისს ავთო დაახლოებით ექვს საათზე მოვიდა სახლში. იყო ნასვამი, მონდომა ჩაის დალევა. შაქარი ვერ იპოვა. მიხვდა, რომ დედამ დაუშალა. სთხოვა დედას, მოეტანა შაქარი. დედამ, რომელიც ასევე მთვრალი იყო, უარით უპასუხა. მათ შორის მოხდა ხმამაღალი შელაპარაკება, რაც სიტყვიერ და ფიზი-

კურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. დედამ შვილს ფრჩხილებით სახე ჩამოკანრა, ავთომ კესოს ხელები წაუჭირა კისერში და დაუწყო მოხრჩობა. კესო გაითიშა და ბოლოს ამ მიზეზით გარდაიცვალა.

ავთომ სასამართლოზე აღიარა დედის მკვლელობა. თანაც ახსნა, რომ ეს მკვლელობა ჩაიდინა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რადგან დედამისმა გამოიყვანა ის წონასწორობიდან ლანძღვითა და ფიზიკური შეურაცხყოფით.

სასამართლომ დაადგინა, რომ შემთხვევის დღეს დედა იყო მთვრალი. უსიამოვნებაც მან წამოიწყო. დადგენილად მიიჩნია სასამართლომ აგრეთვე, რომ „ასეთ უსიამოვნებას სხვა დროსაც ჰქონია ადგილი“. მიუხედავად ამისა, განაჩენში ნათქვამია, რომ ეს არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, თითქოს ავთომ დედა მოკლა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. სასამართლომ ჩათვალა, რომ ავთოს და მის დედას მოუვიდათ ჩხუბი და ამ დროს მან დედა მოკლა შურისძიების მოტივით.

სასამართლოს განაჩენი არ უნდა იყოს სწორი, რადგან სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ დედამ შვილი მძიმედ შეურაცხყო და მის მიმართ უკანონოდ იმოქმედა, რამაც შვილი ძლიერ აღელვდა. ისიც დადგენილია, რომ დედის უკანონო მოქმედებები შვილის მიმართ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც საბოლოოდ მოთმინებიდან გამოიყვანა შვილი და დედა მოაშთო. დედის უკანონო მოქმედებას უეცრად მოჰყვა ძლიერი სულიერი აღელვება, რამაც დედის სიკვდილი გამოიწვია.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით დათოს მიმართ, რომელმაც მოკლა შვილი ნოდარი. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 2000 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით დათოს მსჯავრი დაედო საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით. მამა-შვილს შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე არაჯანსაღი დამოკიდებულება იყო. ისინი ხშირად ჩხუბობდნენ და ერთმანეთს შეურაცხყოფდნენ. ამის ძირითადი მიზეზი იყო ალკოჰოლისკენ მიდრეკილება. სიმთვრალეში

104 Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, т. 1, с. 245.

ნოდარი ითხოვდა ბინის გაყიდვას და თანხის მისთვის მიცემას. მშობლები უარს ეუბნებოდნენ.

2000 წლის 5 მაისს დაახლოებით ექვს საათზე მამა-შვილმა იჩხუბა. ისინი სადარბაზოში ფიზიკურად შეეხნენ ერთმანეთს. შვილმა მამა წააქცია და ფეხებით ცემა. შვილზე განერვიულებული დათო შევიდა სახლში, აიღო დანა, დაბრუნდა უკან და შვილი დანით მოკლა.

აქ, როგორც ვხედავთ, აღელვება იყო, მაგრამ ეს არ იყო უეცარი. მამა ადგა, წავიდა ჩხუბის ადგილიდან, შევიდა ოთახში, გამოიტანა დანა და მოკლა შვილი. ამიტომ სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა დათოს ქმედება განზრახ მკვლელობად (სსკ-ის 105-ე მუხლი).

ქმედების სუბიექტური მხარე არის განზრახვა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული იმყოფება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მას ამ დროს გონება ისე არა აქვს დაბნელებული, ცნობიერება გამოთიშული, რომ ვერ ითვალისწინებდეს თავისი ქმედების შედეგს. მკვლელობა რომ ამ შემთხვევაში განზრახი ქმედებაა, ეს პირდაპირ არის აღნიშნული სსკ-ის 111-ე მუხლის დისპოზიციაში.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეს ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. სსკ-ის 111-ე მუხლი მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობას ქმნის ბრალის, ანუ გასაკიცხაობის ხარისხის გამო¹⁰⁵, თუ, ჩვენ ევენტუალური განზრახვის ფორმულას წარმოვიდგენთ, მართლაც ძნელი დასაჯერებელი იქნება აფექტური მკვლელობის ჩადენა ევენტუალური განზრახვით. აფექტის უეცარი წარმოქმნა, მისი სიძლიერე თავისთავად გულისხმობს ამა თუ იმ შედეგისაკენ მიზანმიმართული მოქმედების ჩადენას.

ამის საფუძველზე სავსებით შესაძლებელია აფექტური მკვლელობის მცდელობა, თუმცა ამ დანაშაულისათვის მოსამზადებელი სტადია არ არის დამახასიათებელი, რადგან, როგორც თ. შავგულიძე წერს, აფექტური განზრახვა „უეცრად აღმოცენდება და იმნამსვე ხორციელდება“¹⁰⁶

¹⁰⁵ ო, გამყრელიძე, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2015., გვ.58.

¹⁰⁶ავტორთა კოლექტივი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., გვ.51.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო აფექტური მკვლელობის მცდელობის ასეთი შემთხვევა: თბილისის ნაძალადევის რაიონის 2000 წ. 7 მარტის განაჩენით კოტეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე - 17 და 106-ე მუხლებით (აფექტური მკვლელობის მცდელობა საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციით).

1999 წ. 21 ნოემბერს კოტეს სტუმრად ეწვია მეზობლად მცხოვრები მისივე მეგობარი ვოვა მეუღლესთან ერთად. კოტე და ვოვა მეუღლეებთან ერთად სუფრასთან ისხდნენ და ღვინოს სვამდნენ. ღამის თორმეტი საათისათვის ვოვას მეუღლე წავიდა თავის სახლში, ხოლო კოტეს მეუღლემ, დაიძინა იქვე, საწოლზე. მამაკაცებმა გააგრძელეს სმა და დათვრნენ. როცა ვოვა გარეთ გავიდა, კოტემაც დაიძინა, მაგრამ, როცა მას გამოეღვიძა, დაინახა, რომ მის მეუღლე როზასთან საწოლში იწვა ვოვა და ხელი ქალის ფეხზე ედო. კოტემ იფიქრა, რომ ვოვას უნდოდა მისი მეუღლის გაუზავიერება. საშინლად აღელდა, აიღო ბორჯომის ცარიელი ბოთლი და დაარტყა თავში. ბოთლი გატყდა. ამის შემდეგ კოტემ აიღო ბოთლის გატეხილი თავი და დაარტყა ვოვას გულში და ისე დააზიანა, რომ ის მხოლოდ სამედიცინო პერსონალის დროული და კვალიფიციური ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს. სასამართლომ სავსებით სწორად შეაფასა ეს ქმედება აფექტური მკვლელობის მცდელობად.

აფექტური მკვლელობა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით. უმოქმედობით ამ დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მოტივის კვალიფიკაციაზე გავლენა არა აქვს. მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, სიძულვილი, ეჭვი და სხვა¹⁰⁷.

აფექტური მკვლელობა შესაძლებელია ჩადენილ იქნას არა მარტო ერთპიროვნულად, ამსრულებლის მიერ, არამედ არ არის გამორიცხული თანამონაწილეობა ამ მკვლელობაში. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ აფექტი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა და ამიტომ ის, შეზღუდული შერაცხადობის შემ-

¹⁰⁷ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.84-85.

თხვევას წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამონაწილენი მოქმედებენ ერთიანი უმართლობის საფუძველზე. ისინი ახორციელებენ ერთიან უმართლობას (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას), მაგრამ ყველა თანამონაწილეს პერსონალური ბრალი მიუძღვის ამ ერთიანი უმართლობის ჩადენაში.¹⁰⁸

ასეთ ერთიან უმართლობას ამ შემთხვევაში წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ესე იგი მკვლელობა. ეს ქმედება ყველა თანამონაწილისათვის ერთნაირად უნდა შეფასდეს კვალიფიკაციის თვალსაზრისით. მაგრამ თითოეულ თანამონაწილეს ამ მკვლელობის უმართლობის მიმართ პერსონალური ბრალი მიუძღვის. ვთქვათ, ერთი კაცის უკანონო მოქმედებამ მეორის აფექტური მდგომარეობა გამოიწვია. მესამემ, რომელიც აფექტურ მდგომარეობაში არ იმყოფება, აფექტურ მდგომარეობაში მყოფს დანა მიანოდა. ამ უკანასკნელმა სწრაფად გამოართვა დანა მიმწოდებელს და მომენტალურად დაარტყა იმას, ვინც მისი აფექტი გამოიწვია, და მოკლა. აქ გვაქვს მკვლელობა თანამონაწილეობით, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ეს ქმედებები?

აფექტში მყოფი, ვინც დანა დაარტყა კაცს და მოკლა, ცხადია, დაისჯება სსკ-ის 111-ე მუხლით. მაგრამ ისარგებლებს თუ არა ამ შეღავათით დანის მიმწოდებელი, რომელიც აფექტის მდგომარეობაში არ ყოფილა? ცხადია, ვერ ისარგებლებს. მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით. აფექტში ყოფნა შემცირებული შერაცხადობის შემთხვევაა, მისი ბრალის ხარისხი დაბალია და ამიტომ იგი პასუხს აგებს სსკ-ის 111-ე მუხლით. რაც შეეხება დანის მიმწოდებელს, ის თვითონ შემცირებული შერაცხადობის მდგომარეობაში არ ყოფილა და ამიტომ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით, თუ არ არის მის მხარეს სსკ-ის 109-ე მუხლით ჩამოთვლილი რომელიმე დამამძიმებელი გარემოება.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სასამართლოები ხშირად უშვებენ შეც-

¹⁰⁸ ო, გამყრელიძე, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002., გვ.68-69.

დომებს შემადგენლობის ცალკეული ნიშნების შეფასებისას. მაგრამ ძირითადად პრაქტიკა სწორად აკვალიფიცირებს აფექტში ჩადენილ მკვლელობას.

4.3. დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (მუხლი 112-ე)

დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ- სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეზღუდული ანუ შემცირებული შერაცხადობის სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს. ზოგჯერ მშობიარობის დროს ქალის ფსიქიკა იმდენად დათრგუნულია, რომ მისი ბრალის ხარისხი დაბალია და ამიტომ ჩადენილი უმართლობა მას შემსუბუქებულად შეერაცხება. ამ შემთხვევაში ქალს შემცირებული აქვს კონტროლი თავის ქმედებისადმი, რაც გამოწვეულია მშობიარობის პროცესის არასასიკეთო ზემოქმედებით ფსიქიკაზე. „ქალი მშობიარობის მომენტში - წერს ვ. მაყაშვილი - და ერთ ხანს მშობიარობის შემდეგ, სავსებით ვერ ფლობს თავის თავს. მას უსუსტდება თავისი მოქმედებისათვის კონტროლის განწევის უნარი. ამიტომ ქალი, რომელიც ამ მომენტში ჩაიდენს ბრალეულ ქმედებას, არ შეიძლება დაისაჯოს იმგვარადვე, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ასეთივე დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პიროვნება, ვინაიდან მისი ბრალის ხარისხი შედარებით მცირეა¹⁰⁹“.

ამრიგად, დედა, რომელიც მშობიარობის დროს ახალშობილს კლავს, მოქმედებს ბრალის შემცირებული ხარისხით. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, თითქოს ეს მდგომარეობა მონაშობს „დამნაშავის ნაკლებ საშობროებას“.

თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია, ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობის საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებუ-

¹⁰⁹ ვ. მაყაშვილი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1960., 2, გვ.43.

ლი „ქმედება“ და არა „პიროვნების საშიშროება“¹¹⁰

სსკ-ის 112-ე მუხლი მოიცავს ქმედების ორ შემადგენლობას. პირველი შემადგენლობაა „ახალშობილის“ მკვლელობა დედის მიერ მშობიარობის დროს. ობიექტური მხარე ამ ქმედებისა გამოიხატება მოქმედებით. დედა მშობიარობის პროცესში, მომაკვდინებელი დარტყმით, მოხრჩობით თუ სხვაგვარი ხერხით, კლავს ახალშობილს.

სსკ-ის 112-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე ქმედების ისეთ შემადგენლობას, როგორცაა დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა „უმაღვე მშობიარობის შემდეგ“. ამ ქმედების შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც. მოქმედების ხერხზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, როცა ქმედების პირველი შემადგენლობა დავახასიათეთ. თუმცა მშობიარობის შემდეგ მკვლელობის ხერხები უფრო მრავალრიცხოვანი შეიძლება იყოს. მაგალითად, წყალში დახრჩობა, თოკით მოხრჩობა, ცეცხლში დანვა და სხვ. რაც შეეხება ამ დანაშაულის უმოქმედობით ჩადენას, ესეც შეიძლება სხვადასხვა საშუალებით განხორციელდეს, მაგალითად დედამ ახალშობილს არ მისცეს საკვები, რის შედეგადაც ახალშობილი მოკვდება ან არ უმკურნალოს, თუ ახალშობილს რაიმე სენი შეეყარა და ამით ის სიკვდილამდე მიიყვანოს.

სუბიექტური მხრივ, დანაშაულებრივი ქმედება ხასიათდება განზრახვი ბრალით. სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ განზრახვა ამ დროს შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი¹¹¹. ჩვენი აზრით, სერიოზული შესწავლა სჭირდება ამ საკითხს, შესაძლებელია თუ არა, რომ დედა, რომელიც ახალშობილს კლავს მშობიარობის დროს, მოქმედებდეს ევენტუალური განზრახვით. რაც შეეხება ევენტუალური განზრახვის საკითხს, ახალშობილის მკვლელობისას უმაღვე მშობიარობის შემდეგ, არც ეს უნდა იყოს ადვილი გადასაწყვეტი.

სსკ-ის 112-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლო-

110 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი

111 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2000., გვ.94.

ბა სპეციალური შემადგენლობაა. ამ დროს დედა იმყოფება განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაში. დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა მშობიარობისას შეიძლება იყოს აფექტში ჩადენილი. მაგრამ აფექტი აქ, სსკ-ის 111-ე მუხლისაგან განსხვავებით, არ არის ვიქტიმური, ესე იგი გამოწვეული დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით. მიუხედავად ამისა, დედა ამ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდეს, რადგან მას ამოძრავებს ახალშობილის მკვლელობის მიზანი და სხვა არაფერი.

მაგალითად, კესომ მშობიარობის შემდეგ თავისი ახალშობილი ცოცხალი ბავშვი ნაგავსაყრელზე გადაადგო, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალ ბავშვს გოჭებმა ხელის თითები მოაჭამეს.¹¹²

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება რომ მშობიარობის დაწყებამდე კესოს უკვე გადანყვებილი ჰქონდა ბავშვის მოშორება მისი დაბადების შემდეგ და იგი ამისათვის ემზადებოდა, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 112-ე მუხლით. ასეთი წინასწარ მოფიქრებული მკვლელობის განხორციელება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, როგორც არასრულწლოვანის მკვლელობა, რადგან კესოს ბავშვის მოშორების განზრახვა აღმოუცენდა არა მაშინ, როცა იგი შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, არამედ მაშინ, როცა სრული შერაცხადობის მდგომარეობაში იყო.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის მოტივს, იგი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: გაუთხოვარი ქალის სირცხვილი, შიში საზოგადოებრივი გაკიცხვის გამო. გარდა ამისა, თვით მშობიარობის პროცესს შეუძლია ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს მშობიარე ქალზე და ეს განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა ყურადსაღებია, ვინაიდან იგი დიდ ზეგავლენას ახდენს მშობიარე ქალის ნერვულ სფეროზე. ზემოაღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ყველა შემთხვევაში დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა სსკ-ის 112-ე

112 გაზეთი „პალიტრა“, 23-29 დეკემბერი, 2002.

მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. თუ დადგინდება, რომ, მაგალითად, ქალის მშობიარობა პირველი არ არის და მშობიარობა განსაკუთრებული განცდის გარეშე მიმდინარეობს და დედა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით კლავს ახალშობილს მასზე ზრუნვის თავიდან აცილების მიზნით, ცხადია, ეს ქმედება სსკ-ის 112-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება¹¹³

„ახალშობილი“ ნიშნავს ბავშვს, რომელიც ცოცხლად დაიბადა. დროის ხანგრძლივობას, როდესაც ბავშვი ახალშობილად მიიჩნევა, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. მაგალითად, პედიატრიაში ახალშობილად თვლიან ბავშვს დაბადებიდან ერთი თვის მანძილზე. მეანობაში ეს დრო ერთ კვირას უდრის, ხოლო სასამართლო მედიცინა ამ დროს ერთი დღე-ღამით განსაზღვრავს. საბოლოოდ მიჩნეულია, რომ ახალშობილია ბავშვი ერთი თვის ასაკში, ხოლო ბავშვის მკვლელობა უმაღლეს მშობიარობის შემდეგ გულისხმობს ერთ დღე-ღამეს. კანონი დედის ფსიქიკურ მდგომარეობას საშუალოდ მიიჩნევს ბავშვის დაბადებიდან მხოლოდ ერთი დღე-ღამის ვადაში.

შესაძლებელია ამ დანაშაულში თანამონაწილეობაც. თუმცა არ არის გამორიცხული ამ დანაშაულის (ბავშვის მამა, მეანი ქალი და სხვა) იმ შემთხვევაში, როცა ახალშობილის სიცოცხლის მოსპობა სხვა პირის მიერ ხდება (დედის თანხმობითა და უფრო მეტიც, მისი თხოვნით). ასეთი შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 112-ე, არამედ სსკ-ის 108-ე მუხლით. შეიძლება დედამ თვითონ ვერ მოკლას ახალშობილი და ამისათვის დახმარება სთხოვოს სხვას. ამის საუკეთესო ნიმუშია გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში მომხდარი ე.წ. სააბაზანოს შემთხვევა. ქალმა შობა უკანონო შვილი და გადანყვითა მისი მოკვლა. მაგრამ პირადად ეს ვერ შეძლო და დახმარება სთხოვა თავის დას. დეიდამ ბავშვი აბაზანაში დაახრჩო.¹¹⁴

თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის მიხედვით,

113 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2014., გვ.62.

114 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ., 2000, გვ.95.

გერმანიის საიმპერიო სასამართლომ ბავშვის დეიდა ცნო დამხმარედ, ხოლო დედის მოქმედება დააკვალიფიცირა ამსრულებლობად (ინტერესის თეორია). ჩვენი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში დეიდა არის მკვლელობის ამსრულებელი, ხოლო დედა თანამონაწილე (ნამქეზებელი). დედის მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე და 112-ე მუხლებით, ხოლო დეიდა პასუხს აგებს კოდექსის 108-ე მუხლით, თუ არ არის რაიმე დამამძიმებელი გარემოება.¹¹⁵

თუ დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას თან ახლავს ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომლის შესახებაც აღნიშნულია სსკ-ის 109-ე მუხლის სამივე ნაწილის რომელიმე პუნქტში (მაგალითად, არაერთგზის, განსაკუთრებული სისასტიკით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში დამამძიმებელ და პრივილეგირებულ შემადგენლობათა თანაფარდობით, საერთო წესიდან გამომდინარე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 112-ე მუხლით. მეცნიერული ტერმინოლოგიებით თუ ვიმსჯელებთ, იმ შემთხვევაში, როცა შეიმჩნევა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ შემადგენლობათა კონკურენცია, მაშინ კვალიფიკაციის წესების შესაბამისად, უპირატესობა ეძლევა პრივილეგიურ შემადგენლობას, ესე იგი, ისეთს, რომელიც უფრო სრულად და ზუსტად შეიცავს პრივილეგირებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტების აღწერას.

ორი ან მეტი ახალშობილის მოკვლა დედის მიერ არ იწვევს კვალიფიკაციის შეცვლას.

ეს დანაშაული, როგორც ვთქვით, სუბიექტური მხრივ, შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მიუხედავად ამისა, ამ დანაშაულის მომზადება ისევე, როგორც სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული აფექტური მკვლელობისა, არ შეიძლება (თუმცა მე-12 მუხლის საფუძველზე, ამ დანაშაულთა მომზადება არ ისჯება), მაგრამ სავსებით შესაძლებელია მათი მცდელობა.

115 ავტორთა კოლექტივი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002., გვ. 71-72.

4.4. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (მუხლი 113-ე)

მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას გულისხმობს. იქ, სადაც არ არის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, არ შეიძლება მოხდეს მისი ფარგლების გადაცილება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან“.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ „თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა“ „თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან“ ნიშნავს თავდაცვისა და თავდასხმის ინტენსივობის დარღვევას. რა ინტენსივობისაც არის თავდასხმა, იმ ინტენსივობის უნდა იყოს თავდაცვა. მაგალითად, თუ თავდასხმელის მოცილება ხელის კვრითაც შეიძლება, დაუშვებელია მისი ჯანმრთელობის დაზიანება და სხვ.

ამ თანაფარდობის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს თავდასხმისა და თავდაცვის საშუალებათა შეუსაბამობაში. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ვითარება, როცა თავდამსხმელი შეიარაღებულია, ხოლო მომგერიებელი უიარაღოა. ასეთ დროს აშკარად დარღვეულია თავდასხმის და თავდაცვის ინტენსივობა თავდამსხმელის სასარგებლოდ. თავდამსხმელი აშკარად მომგებიან მდგომარეობაშია. მაგრამ თუ მოხდება ისე, რომ მომგერიებელი წაართმევს იარაღს თავდამსხმელს, მაშინ წონასწორობა დაირღვევა მომგერიებლის სასარგებლოდ. ამიტომ ტიპურად თავდასხმა წყდება და მოგერიების უფლებაც აღარ არის. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა ასეთ დროს მომგერიებელი პასუხს აგებს ხოლმე მოგერიების გადამეტებისათვის.

კაზუსის სასამართლო პრაქტიკიდან: თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2001 წ. 5 ივლისის განაჩენით, ავთოს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამ-

ართლის კოდექსის 113-ე მუხლით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისათვის და მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ავთოს და მის მეგობარს უსიამოვნება მოუვიდათ ბესოსა და დავითთან. ამის გამო ისინი საქმის გასარკვევად მივიდნენ ავთოსთან სახლში. როგორც კი ავთოს მეგობარმა იგრძნო, რომ ცუდად იყო საქმე, მაშინვე გაეცალა იქაურობას. ბესომ და დავითმა კი ცემა დაუწყეს ავთოს. ერთ-ერთმა მას დანა მოუქნია. ავთომ მოახერხა მისთვის ხელის ჩავლება და ჭიდაობის დროს დანის წართმევა. მაგრამ ბესო კვლავ იწევდა მისკენ. ავთომ თავდაცვის მიზნით დაიწყო დანის აქეთ-იქით ქნევა. დანა მოხვდა ბესოს. იგი დაიჭრა და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სააპელაციო პალატის განაჩენში ნათქვამია: სასამართლოს მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ბესოს წაართვა დანა, მას აღარ აქვს არავითარი იარაღი, ამდენად ბესოს მხრიდან აღარ იყო იმ ინტენსივობის თავდასხმა, რომ ავთოს გამოეყენებინა დანა. ამიტომ თავდასხმა და თავდაცვა აშკარად არ შეესაბამება ერთმანეთს. სასამართლო თვლის, რომ ავთომ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და მოკლა ბესო.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს იარაღის წართმევა მომგერიებლის მხრიდან აუცილებლად მოასწავებს თავდასხმის დასასრულს. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში იარაღის წართმევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოგერიება დასრულებულია, რადგან თავდამსხმელმა შეიძლება ისევ დაიბრუნოს ის. მითუმეტეს, თუ ფიზიკურად მომგერიებელი ძლიერია ან მას ჰყავს გვერდით დამხმარეები. შესაძლოა, თავდამსხმელი კვლავ აგრძელებდეს ძალადობას სხვა მოტივით და ა.შ. ამიტომ ეს საკითხი უფრო ფაქიზ მიდგომას საჭიროებს.

სააპელაციო პალატის ზემოთ მოტანილი განაჩენიც, ვფიქრობ, უფრო საფუძვლიან დასაბუთებას მოითხოვდა. მაგალითად, განაჩენში დადგენილადაა მიჩნეული, რომ ბესო კვლავ აგრძელებს თავდასხმას, ცდილობს დაარტყას ავთოს, რადროსაც ავთო თავდაცვის მიზნით იქნევს დანიან ხელს და

ურტყამს დანას ბესოს.

თუკი „ბესო კვლავ აგრძელებს თავდასხმას“ და „ცდილობს, დაარტყას“ ავთოს, მაშინ როგორ უნდა მოქცეულიყო ავთო, უნდა შეეშვირა თავი თავდამსხმელისთვის, დამარტყიო? თუ ავთო დანას არ მოიქნევდა, რა გარანტია ჰქონდა მას, რომ ბესო გაჩერდებოდა? სასამართლოს მტკიცება: „ბესო კვლავ აგრძელებს თავდასხმას, ცდილობს დაარტყას ავთოს...“ უკვე იმას ნიშნავს, რომ თავდასხმა გრძელდებოდა დანის წართმევის შემდეგაც და ავთო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა.

აქ თავისთავად დგება იარაღთა თანაფარდობის საკითხი აუცილებელი მოგერიების დროს. შეიძლება თავდასხმა ხდებოდეს უიარაღოდ, ხოლო მოგერიება იარაღით. თუ რაიმე სხვა პირობა არ არის დარღვეული, ამ დროს შეიძლება მომგერიებელი მოქმედებდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

არა აქვს აგრეთვე მნიშვნელობა იმას, იარაღს მომგერიებელი კანონიერად ატარებდა თუ უკანონოდ. თუ სხვა პირობა არ დარღვეულა, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაითვლება მოგერიება ისეთი იარაღითაც, რომელსაც მომგერიებელი უკანონოდ ატარებდა. მომგერიებელს ასეთ შემთხვევაში არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თავდამსხმელის დაზიანების გამო. იგი პასუხს აგებს მხოლოდ იარაღის უკანონო ტარებისათვის.

ისევე როგორც იარაღთა და საშუალებათა თანაფარდობა არ არის სავალდებულო აუცილებელი მოგერიების დროს, ასევე, არ არის აუცილებელი აგრეთვე დაზიანებათა თანაფარდობაც. მომგერიებელმა შეიძლება ნაკლები სიკეთე გადაარჩინოს და მეტი დააზიანოს, მაგალითად, იქნება თუ არა აუცილებელი მოგერიების გადამეტებით მკვლევლობა იმ შემთხვევაში, როცა ყაჩაღისაგან წართმეული ქონების უკან დასაბრუნებლად მომგერიებელი კლავს თავდამსხმელს?

აქ მხედველობაში გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ნორმა, რომლის მიხედვით, ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა

სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და, თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა“.

როგორც ვხედავთ, 28-ე მუხლში ლაპარაკია, ერთი მხრივ, ქონების ან სხვა სიკეთის“ წართმევაზე თავდამსხმელის მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ, მომგერიებლის მხრიდან თავდამსხმელის დაზიანებაზე. „სხვა სიკეთეში“ შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანი, ვთქვათ ბავშვი, რომელიც გაიტაცეს თავდამსხმელებმა. რაც შეეხება სიტყვა „დაზიანებას“, აქ დგება მისი მოცულობის საკითხი. როცა კანონმდებელი იყენებს სიტყვა „დაზიანებას“ და არ განსაზღვრავს მის მოცულობას (ვთქვათ, ჯანმრთელობის დაზიანება“, და ა.შ.), უნდა ვთქვათ, რომ აქ იგულისხმება ადამიანის, ამ შემთხვევაში თავდამსხმელის ყოველგვარი დაზიანება სრული მოცულობით, თუნდაც მისი მოკვლა.

ერთი სიტყვით, მომგერიებელმა წართმეული ქონება შეიძლება დაიბრუნოს თავდამსხმელის მოკვლის გზითაც. მაგალითად, ყაჩაღმა გაიტაცა ძვირფასეულობა ან ოჯახის მარჩენალის ერთადერთი მანქანა. ამ დროს მომგერიებელმა შეიძლება გამოიყენოს იარაღი და ესროლოს ყაჩაღს. ამ შემთხვევაში არ შეიძლება მომგერიებელს ვინმემ მოსთხოვოს, რომ არ მოკლას თავდამსხმელი და მხოლოდ დააზიანოს. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მომგერიებელი ხელფეხშეკრული აღმოჩნდება შეცდომის შიშით, ვაი თუ თავდამსხმელი შემომაკვდეს და დამსაჯონო. ასე რომ, სიკეთეთა თანაფარდობის დარღვევა არ ნიშნავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას. თუკი აუცილებელი მოგერიება განხორციელდა დამთავრებული ხელყოფის შემდეგ, მაგრამ საქმის გარემოებიდან გამომდინარე, ეს მომგერიებლისათვის ნათელი არ იყო, მაშინ სახეზე გვექნება მისატყვევებელი შეცდომა, რაც ბრალს გამოორიცხავს.¹¹⁶

მაგრამ, მეორე მხრივ, სიკეთეთა თანაფარდობა არ უნდა იყოს აშკარად დარღვეული. არ შეიძლება, რომ უმნიშვნელო

¹¹⁶ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბ., 2014., გვ.64.

სიკეთის დაცვისათვის დაზიანდეს აშკარად მნიშვნელოვანი სიკეთე, „თუ ხელყოფის ობიექტის ღირებულება უმნიშვნელოა, - ამბობს თ. შავგულიძე, - თავდამსხმელის მოკვლა არ განიხილება აუცილებელი მოგერიების მართლზომიერ აქტად, თუნდაც სხვა საშუალებით ამ ობიექტის დაცვა შეუძლებელი ყოფილიყო (მაგალითად, მეზღვე მოკლა ბავშვი, რომელიც მისი ბალიდან ხილს იპარავდა)“¹¹⁷

აქ უთუოდ ინტერესს იწვევს ეგრეთ წოდებული არადროული მოგერიების პრობლემა. არადროულს უწოდებენ ისეთ მოგერიებას, რომელიც გულისხმობს თავდამსხმელის დაზიანებას თავდასხმის დაწყებამდე. არადროული იქნება ისეთი მოგერიებაც, რომელიც თავდასხმის დამთავრების შემდეგ ხდება. სიტყვა მოგერიება აქ უნდა გამოვიყენოთ თავდამსხმელის დაზიანების მნიშვნელობით.

როცა თავდამსხმელის დაზიანება ხდება თავდასხმის დაწყებამდე, ტიპურად აქ არ შეიძლება იყოს აუცილებელი მოგერიების გადამეტება. როგორც ცნობილია, მოგერიება ამნუთიერი უნდა იყოს, ესე იგი ის ახლა უნდა ხდებოდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომგერიებელი უნდა დაელოდოს როდის დაიწყება თავდასხმა და მხოლოდ მაშინ დაიწყოს მოგერიება. ეს იდეა კარგად იყო გამოხატული პეტრე პირველის „სამხედრო არტიკულში“. „თავდამცველი პირველ დარტყმას არ უნდა ელოდოს, თორემ შეიძლება ისეთი მოხვდეს, რომ წინააღმდეგობის თავიცი აღარ ექნესო“.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო ერთი ასეთი შემთხვევა: ავთოს ღამით კარზე დაუკაკუნეს. როცა კარი გააღო, სამი მამაკაცი შემოვიდა ოთახში, სადაც ავთოსთან ერთად იყო ორი ქალი: მისი და და ცოლი. მოსულებმა ავთოს უთხრეს, რომ მოვიდნენ მისი დის წასაყვანად. როდესაც ავთო შეეცემანდა, ერთ-ერთმა წინ ნაბიჯი გადადგა და ხელი ჯიბეში ჩაიყო. ავთომ მოასწრო და სანადირო თოფით მოკლა იგი, დანარჩენები გაიქცნენ.

სასამართლომ ეს ქმედება სწორად დააკვალიფიცირა

117 თ. შავგულიძე, ლ. სურგულიძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988., გვ. 149.

მოგერიებად და არ ჩათვალა ის მოგერიების ფარგლების გადაცილებად.

არადროული მოგერიების ეს შემთხვევა ასე იმიტომ კვალიფიცირდება, რომ თავდამსხმელმა ვერ მოასწროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, ხოლო მომგერიებელს მიეცეს მყარი გარანტია თავდასხმის მოსაგერიებლად. ავთოს შემთხვევაში მოგერიება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, მაგრამ ის-ის იყო იწყებოდა. იმ წამებში წყდებოდა, თუ ის დროზე არ იმოქმედებდა, მერე მოგერიება შეუძლებელი იქნებოდა.

ასევე უნდა გადაწყდეს არადროული მოგერიების ის შემთხვევა, როცა თავდასხმა შეწყდა. თუმცა ეს უკვე მოგერიებაც აღარ არის და მას მხოლოდ სიმბოლურად შეიძლება ეწოდოს „მოგერიება“. თავდასხმის შეწყვეტა ორგვარია: 1) როცა საფრთხემ გაიარა, ვთქვათ, თავდამსხმელი შეიპყრო პოლიციამ; 2) როცა სამართლებრივი სიკეთის დაცვა შეუძლებელია (ვთქვათ, კაცი, რომელსაც თავს ესხმოდნენ, უკვე მოკვდა).

ამ დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა არსებითად არ განსხვავდება მკვლელობის სხვა შემადგენლობისაგან. ობიექტური მხარე ამ დანაშაულისა გულისხმობს მოქმედებას (მოქმედება ან უმოქმედობა), შედეგს (თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობა) და მიზეზობრივ კავშირს. ობიექტურ მხარეში შევა აგრეთვე ვითარება, რაც გულისხმობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას. ერთი სიტყვით, უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა რაიმე სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. ობიექტური მხრივ, მოგერიებისათვის გამოყენებული უნდა იყოს ისეთი ხერხები და საშუალებები, რომლებიც „აშკარად“ არ შეესაბამება თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას. სიტყვა „აშკარა“ მიგვანიშნებს იმას, რომ შეუსაბამობა თავდასხმისა და თავდაცვის ინტენსივობას შორის უნდა იყოს ნათელი, ყველასათვის ცხადი.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის სუბიექტური მხარე. მაგალითად, თ. შავგულიძე მიიჩნევდა, რომ ქმედების შემადგენლობა ამ დანაშაულისა არ შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განზრახვით. მისი აზრით,

თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, შეიძლება მოხდეს ევენტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებლობით.¹¹⁸

თანამედროვე რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება ბრალით პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვის სახით¹¹⁹ გაუფრთხილებლობით მოგერიებით ფარგლების გადამეტებაზე აქ არაფერია ნათქვამი. როგორც ვხედავთ, აქ დასახელებული ავტორები ბრალს ქმედების სუბიექტურ მხარესთან აიგივებენ.¹²⁰

რაც მთავარია, ამ საკითხის სწორად გადანიშნულებას ხელს უშლის ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც დღესაც არც თუ ისე იშვიათად თავს იჩენს ქართულ სისხლის სამართალში. პრაქტიკაში კი დანაშაულის სუბიექტური მხარე მექანიკურად აქვთ გაგებული, რაც ხელს უშლის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი მკვლელობის სუბიექტური მხარის ზუსტად განსაზღვრას. მარტო იმის გათვალისწინება, თუ რა ზიანს ისახავდა მომგერიებელი, როცა თავს იცავდა თავდამსხმელისაგან, საკმარისი არ არის ამ საკითხის სწორად გადანიშნულებისათვის. აუცილებელია იმის მხედველობაში მიღება, რა ვითარებაში იყო მომგერიებელი და რატომ ისახავდა იგი მიზნად შესაბამისი სიკეთის დაზიანებას.

ზოგჯერ სასამართლოები აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილ მკვლელობას შეცდომით აკვალიფიცირებენ მკვლელობად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ამის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ავთოს საქმე, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 19 მარტის განაჩენით, ავთოს მსჯავრი დაედო

118 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988., გვ. 149.

119 Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, м., 2014., с. 245.

120 ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. ნერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980., გვ. 52-53

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით.

2000 წ. 28 დეკემბერს ავთო მივიდა თავის მეზობელ კოტესთან, თან მიიტანა ორი ბოთლი ღვინო და მესამე სართულის აივანზე დაიწყეს ღვინის სმა. მათ შეუერთდათ აგრეთვე მეგობარი ვანოც. ქეიფის დროს ვანოს კამათი მოუვიდა ავთოს დედასთან. მათი შელაპარაკებისას აივანზე გამოვიდა ავთოც, რომელმაც ვანოს უთხრა, რომ ის ნასვამი იყო და მეორე დღისათვის გადაეტანათ ეს საუბარი. ვანომ ისიც შეურაცხყო. ამ დროს კამათში ჩაერია სხვებიც. ავთო გაიხმეს ეზოში და იქ გააგრძელეს კამათი, რაც ვანოს, ავთოსა და კოტეს შორის ჩხუბში გადაიზარდა.

ვანომ ავთო წააქცია და წაქცეულს ზევიდან დაუწყო ცემა. ავთომ იმის გამო, რომ ვერ აწევდა თავს „ბაბოჩკა“ დანით დაჭრა ვანო. დაჭრილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ ავთოს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით დააკვალიფიცირა (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით), მაგრამ განაჩენში ერთი სიტყვითაც არ არის ნათქვამი, რატომ არის ეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი მკვლელობა და რატომ არ მოქმედებდა ავთო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. სასამართლო ვალდებული იყო განაჩენში დაესაბუთებინა, რით გადაამეტა განსასჯელმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული იყო ქმედება აუცილებელ მოგერიებად დაეკვალიფიცირებინა.

ავთო ვანომ წააქცია, ზევიდან მოექცა და ცემდა. ავთო ვერ იცილებდა ვანოს და ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა, რადგან საქმის მასალების მიხედვით, ვანო მასზე გაცილებით ძლიერი იყო. თანაც, კამათისა და ჩხუბის ინიციატივა ვანოსაგან მოდიოდა. სწორედ მათ ავთო ძალით ჩაიყვანეს ეზოში და ჩაითრიეს ჩხუბში.

მაშასადამე, თავდასხმის ინტენსივობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ავთოს არ ჰქონდა სხვა საშუალება ვანოს მოგერიე-

ბისა და მას არაფერი არ გადაუჭარბებია, აუცილებელი მოგერიების ფარგლებისათვის არ გადაუცილებია.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვარწმუნებს, რომ სასამართლოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ არა აუცილებელი მოგერიების ვითარებას, არამედ აუცილებელი მოგერიებისა და ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლევლობას, რაც ზოგჯერ იწვევს უსამართლო და დაუსაბუთებელი განაჩენების გამოტანას. ჩვენს სასამართლო ორგანოებში წლების განმავლობაში ტრიალებდა ავთოს საქმე, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, საბოლოოდ სწორად მაინც ვერ გადაწყდა.

მკვლევარ-იურისტებს ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ შესწავლილი ეს საკითხი. ამიტომ ძნელი გასარკვევია, მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით შემცირებული შერაცხადობის შემთხვევაა, ე.ი. ბრალის ხარისხია შემცირებული ამ დროს, თუ საზოგადოებრივი საშიშროების. თ. შავგულიძეს მიაჩნდა, რომ დაზიანება „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროსაც მიმართულია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის წინააღმდეგ და მომგერიებელი სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მოქმედებს, ამცირებს ამ ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას“¹²¹

მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს თავისი ობიექტური საშიშროებით არაფრით არ განსხვავდება განზრახ მკვლევლობის იმ შემთხვევისაგან, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით კვალიფიცირდება. მართლსაწინააღმდეგო მკვლევლობა, ბრალეულად იქნება ჩადენილი ის თუ ბრალის გარეშე, ობიექტურად საშიშია. ამიტომ პასუხისმგებლობის შემსუბუქება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლევლობისათვის, ემყარება ბრალის შემცირებულ ხარისხს, იმას, რომ ასეთი უმართლობა მის ჩამდგენს შემცირებულად შეერაცხება. **პრობლემურია მოჩვენებითი**

121 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988., გვ. 132.

მოგერიების დროს ქმედების სამართლებრივი შეფასების საკითხი. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოდან გამოსულ ავთოს მიუახლოვდა ნიღბიანი ახალგაზრდა იარაღით ხელში და ფული მოსთხოვა. იგი სინამდვილეში მისი მეზობელი იყო და ბიჭის მხოლოდ შეშინება უნდოდა. ავთომ იგი რეალურ თავდამსხმელად მიიჩნია და მოგერიების მიზნით, მუცელში დანის ჩარტყმით სიცოცხლე მოუსპო, მისი წარმოდგენით, თავდამსხმელს. ავთო დარწმუნებული იყო, რომ პიროვნება მასზე რეალურ თავდასხმას ახორციელებდა.

დასჯადია თუ არა ავთოს მოქმედება?

ამოხსნა:

-პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, ავთომ მეზობლისთვის მუცელში დანის ჩარტყმით განახორციელა განზრახ მკვლევლობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

-ქმედების შემადგენლობა:

ქმედების შემადგენლობა მოიცავს ქმედების ობიექტურ და ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, ვინაიდან, ავთოს მოქმედებით დადგა სასიკვდილო შედეგი. **კაზუსის ამოხსნა უნდა დავიწყოთ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვით.**

ქმედების ობიექტური შემადგენლობა მოიცავს ქმედების სუბიექტს, ქმედების ობიექტს, ქმედების შედეგს, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის, ობიექტურ შერაცხვას და ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტურ ნიშნებს. განვიხილოთ ეს ნიშნები:

ა) ქმედების სუბიექტი ამ შემთხვევაში არის ავთო;

ბ) ქმედება - ზოგადი ცნებაა და, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც მოქმედებას ისე უმოქმედობას. ავთომ მუცელში დანის ჩარტყმით განახორციელა სს კოდექსით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება).

გ) ქმედების ობიექტია ადამიანი, რომლის სიცოცხლე სს კანონით დაცულ ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს.

დ) შედეგი. ამ კაზუსში შედეგი გამოიხატა ავთოს მეზობლის სიკვდილში. გამომდინარე აქედან, განხორციელდა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ე) მიზეზობრივი კავშირი არის მაშინ, როდესაც პირობის აზრობრივ გამორიცხვას შედეგის გამორიცხვაც მოსდევს. აქედან გამომდინარე, ავთოს ქმედების აზრობრივი გამორიცხვით გამოირიცხება მისი მეზობლის სიკვდილიც, ამიტომ ავთოს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

ვ) გარდა ამისა, ავთოს ქმედება ობიექტურად უნდა შეერაცხოს, ვინაიდან, მან შექმნა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, რომელიც კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზებული. კერძოდ, მეზობლის სიკვდილში. ამიტომ მას მეზობლის სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენას. განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ცოდნასა და ნებელობას. ავთომ იცოდა, რომ იგი ადამიანს კლავდა და სურდა ამ ქმედების განხორციელება. რაც შეეხება განზრახვის მესამე კომპონენტს-მართლწინააღმდეგობის შეგნებას, მას ბრალის ეტაპზე ვადგენთ, რადგან მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით ბრალის ნიშანია.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, განზრახვა არ წარმოადგენს ბრალის ფორმას. იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და ნებელობის სახით (ბუნებრივი განზრახვა), ხოლო, რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელიც ასევე განზრახვის კომპეტენციაა, ბრალის ეტაპზე დგინდება და აქ განზრახვა უკვე ბოროტ განზრახვად გადაიქცევა.

-მართლწინააღმდეგობა

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ ქმედების შემადგენლობის ნიშნები. გადავდვივართ დანაშაულის მეორე ელემენტის

მართლწინააღმდეგობის არსებობის განხილვაზე. შესაძლებელია, რომ ავთო მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 28-ე მუხლით, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება. აუცილებელი მოგერიების დროს პირი აზიანებს ხელმყოფს, რომელმაც თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების რამდენიმე პირობა, კერძოდ: ხელყოფა უნდა იყოს მართლწინააღმდეგო და რეალური; ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი; ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი.

იმისათვის, რომ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერება დადგინდეს, საჭიროა, ყველა ეს პირობა კუმულაციურად არსებობდეს.

ხელყოფის მართლწინააღმდეგობა და რეალურობა არსებობს მაშინ, როდესაც იგი კულტურის ნორმებს ობიექტურად ეწინააღმდეგება. ხელყოფის მართლწინააღმდეგობა შესაძლებელია გამოირიცხოს არა მხოლოდ სს კოდექსში კონკრეტულად მითითებული, არამედ მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი ზეგანაკვეთური დაუნერელი გარემოებით (სსკ-ის 32-ე მუხლი). მართლწინააღმდეგობის ხელყოფა ყოველთვის საფრთხეს უნდა უქმნიდეს სისხლის სამართლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. კაზუსის მიხედვით, ავთოს თავს დაესხა მისი მეზობელი, ამიტომ ერთი შეხედვით, მის მიმართ მართლწინააღმდეგო ხელყოფა განხორციელდა, თუმცა, როდესაც მართლწინააღმდეგო ხელყოფაზე ვსაუბრობთ, საჭიროა, ხელყოფა ობიექტურად არსებობდეს და არა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში. ავთოს ეგონა, რომ მასზე რეალური თავდასხმა ხორციელდებოდა, სინამდვილეში კი, თავდამსხმელი მისი მეზობელი იყო და მხოლოდ ავთოს შეშინება უნდოდა. ასეთი შემთხვევა აუცილებელ მოგერიებას არ წარმოადგენს და მას ე.წ. მოჩვენებით მოგერიებას უწოდებენ. ვინაიდან, თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური და მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა.

გამომდინარე აქედან, ავთო არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

-ბრალი

ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ გადავდივართ დანაშაულის მესამე ელემენტის - ბრალის დადგენაზე და ვამოწმებთ, იყო თუ არა ავთოს ქმედება ბრალეული.

ავთოს ბრალუწინააღმდეგობა არ იწვევს ეჭვს, ხოლო ბრალის გამომრიცხველი საპატივებელი გარემოებების შემოწმების არავითარი საფუძველი კაზუსის მიხედვით არ არსებობს, რის გამოც, გასარკვევია მხოლოდ ერთი საკითხი: არსებობს თუ არა განზრახვის მესამე კომპონენტი: მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით.

მართლწინააღმდეგობის შეგნება, ანუ განზრახვის ელემენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალის ეტაპზე მოწმდება იმისათვის, რომ ქმედება იყოს განზრახ ჩადენილი. პირს უნდა ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება. ამ შემთხვევაში კი, ავთო ფიქრობდა, რომ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ანუ მართლზომიერად, ე.ი. მას საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა შეგნებული არ ჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაუშვა შეცდომა. იმ შემთხვევაში, როცა პირი შეცდომას უშვებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, როგორ უნდა გადაწყდეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი ეხება შეცდომის შემთხვევას, როგორც ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას, მაგრამ კანონმდებელი აქ საუბრობს მხოლოდ აკრძალვაში შეცდომაზე და არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებულ შეცდომაზე. შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მუხლი ანალოგიით იქნას გამოყენებული.

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უპირველესი პრინციპის, კერძოდ, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხ-

ლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, მაგრამ უშვებს მის სასარგებლოდ. თუ ანალოგიის პრინციპს ავთოს მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად გამოვიყენებთ, მაშინ მსჯელობა უნდა წარიმართოს სსკ-ის 36-ე მუხლის ფარგლებში. კერძოდ, შესაძლებელია ავთოს მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილებადობა გაუფრთხილებლობის ფარგლებში.

გამომდინარე აქედან, მისატყვევებელია, თუ არა ავთოს მიერ დაშვებული შეცდომა, ეს განზრახვი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ფარგლებში მსჯელობის საგანი არ არის, ვინაიდან, შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების-აუცილებელი მოგერიების არსებობის შესახებ, გამომრიცხავს განზრახვის ბრალს.

შეზღუდული ბრალის თეორიიდან გამომდინარე, ავთო არ მოქმედებდა ბოროტი განზრახვით.

-შუალედური დასკვნა

მეზობლისათვის სიცოცხლის მოსპობით ავთოს არ ჩაუდენია სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, კერძოდ, განზრახ მკვლელობა.

მე-2 ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, ავთომ მეზობლისათვის მუცელში დანის ჩარტყმით განახორციელა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

-ქმედების შემადგენლობა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა)წინდახედულობის ნორმის დარღვევა ობიექტურად

ქმედება ობიექტურად გაუფრთხილებელია, თუ არსებობს წინდახედულობის სპეციალური ნორმა, რომელიც პირმა დაარღვია და ეს ქმედება კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. აქედან გამომდინარე, ავთოს მხრიდან ობიექტურად წინდახედულობის ნორმის დარღვევა სახეზეა და, ამასთან, ეს დარღვევა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება.

ბ)შედეგის დადგომა

ქმედების შედეგი სახეზეა, ვინაიდან, ავთოს მეზობელი

გარდაიცვალა.

გ) მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და შედეგს შორის არსებობს. ვინაიდან, ავთოს მიერ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაში შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

დ) ობიექტური გაუფრთხილებლობა

ობიექტური გაუფრთხილებლობა შედგება ორი მომენტი-საგან: შედეგის დადგომის გათვალისწინების და შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.

ობიექტურად ავთოს წინდახედულობის ნორმის დაცვა არ შეეძლო, ვინაიდან, კაზუსიდან გამომდინარე, ნებისმიერი საშუალო ინტელექტის ადამიანი ამ ვითარებაში, რომლიც ავთო იმყოფებოდა, წინდახედულობის ნორმის დარღვევას თავიდან ვერ აიცილებდა.

ე) ობიექტურად შერაცხვის საკითხი არ დადგება დღის წესრიგში, თუ წინასწარ ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობა გამოირიცხება.

-მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის საკითხი არ დადგება დღის წესრიგში, თუ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობა გამოირიცხება.

-ბრალი

გაუფრთხილებლობის ორმაგი ფუნქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, ბრალის ეტაპზე თუ დადგინდება, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობის არსებობის მიუხედავად, ბრალის დადგენის დროს ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის არარსებობა.

-შუალედური დასკვნა

ავთოს მეზობლის მოკვლით არც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ჩაუდენია, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

-საბოლოო დასკვნა

ამრიგად, ავთოს არ ჩაუდენია დანაშაული, რის გამოც, იგი სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

4.5. მკვლელობა დამნაშავის შეპრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 114-ე)

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობით ცალკე მუხლად გამოყოფილი არ იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ისეთი მკვლელობისათვის, რომელიც დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით იქნებოდა ჩადენილი. ამგვარი ქმედება მაშინ განიხილებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას ჩადენილი მკვლელობის ერთ-ერთ სახედ. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ცალკე სსკ-ის 114-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

ჩადენილი ქმედების სსკ-ის 114-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის თავდაპირველად უნდა დავადგინოთ, თუ როდის ითვლება დამნაშავის შეპყრობისას მიყენებული ზიანი მართლზომიერად. ამ საკითხის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიხელმძღვანელოთ სს კოდექსის 39-ე მუხლით, რომელიც 2 ნაწილისაგან შედგება: 1-ლი ნაწილის მიხედვით, მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.

ზემოაღნიშნული ზოგადი დებულებიდან გამომდინარე, მკვლელობის სსკ-ის 114-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა დამნაშავე დანაშაულის ჩამდენი პირის შეპყრობის სიტუაციაში¹²²

ამ ნორმით გათვალისწინებული შეპყრობის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელება იმ პირის მიმართ, რო-

¹²² ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.65-66.

მელმაც დანაშაული ჩაიდინა, ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის აღკვეთა, სასჯელის აღსრულება იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია, დანაშაულის ჩადენის გამო. **რაც შეეხება შეპყრობის მართლზომიერების პირობებს, იგი 2 ჯგუფად იყოფა:**

1. პირობები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის ფაქტს განეკუთვნებიან;

2. პირობები, რომლებიც ახასიათებდნენ თავად შეპყრობის ფაქტს.

შეპყრობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც დამთავრებული დანაშაული, ისე დანაშაულის მომზადება ან მცდელობა. ამასთან, აუცილებელია, რომ შესაპყრობ პირს უკვე ჩადენილი ჰქონდეს დანაშაულის ცალკეული სტადიის შემადგენელი ქმედება და ამის შემდეგ შეეცადოს მიმალვას, რომ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას.

აქვე საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ბრალდებულისა და არა დამნაშავის შეპყრობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შემპყრობს აქვს საამისო უფლება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შესაპყრობმა ჩაიდინა დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება, შეიქმნა გაქცევის რეალური საფრთხე, ასევე, არსებობს მისი შეპყრობის აუცილებელი მიზანი და ა.შ.

შეპყრობისას შეიძლება არსებობდეს სამნაირი ვითარება: 1. ბრალდებული იმალება; 2. დამნაშავე წინააღმდეგობას უწევს შემპყრობს; 3. დამნაშავე არ ცდილობს დამალვას და არ უწევს წინააღმდეგობას.

პირველ ვითარებაში დამნაშავის შეპყრობისას მისი მკვლელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მან ჩაიდინა მკვლელობა, ბანდიტიზმი, ტერორიზმი, ყაჩაღობა, გაუპატიურება, გაიტაცა ადამიანი და სხვა მძიმე დანაშაული, ე. ი. უპირატესად მისი ქმედება ძალადობითი ხასიათისაა. ამასთან, აუცილებელია, დაცულ იქნას შესაპყრობად გამოყენებული ზომის მართლზომიერების სხვა პირობებიც. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი პირი წინააღმდეგობას არ უწევს და არ ცდილობს დამალვას, ასეთ ვითარებაში მათზე განხორციელებული მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხ-

ლით (განზრახ მკვლელობა), ან აფექტის შემთხვევაში-111-ე მუხლით (განზრახი მკვლელობა, უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი).¹²³

სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლი არ განასხვავებს პასუხისმგებლობას იმის მიხედვით, თუ ვინ ჩაიდინა ხსენებულ მუხლში აღწერილი ქმედება. ჩვენი აზრით, ამ მხრივ სწორადაა გადანყვეტილი სუბიექტების საკითხი ლატვიის სს კოდექსის 122-ე მუხლით. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის ტექსტი ისეთივეა, როგორც სს კოდექსის 114-ე მუხლისა, ხოლო მისი მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამნაშავის შეპყრობისას აუცილებელი ზომის გადაცილებით, რაც ჩაიდინა სახელმწიფო თანამდებობის პირმა.

მართლაც, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს უფრო მეტი მოეთხოვა დამნაშავის შეპყრობისას. ეს მოთხოვნა დაკონკრეტებულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ სს კოდექსის 114-ე მუხლს ჩაემატება მე-2 ნაწილი ასეთი შინაარსით: იგივე ქმედება, ჩადენილი სამართალდამცავი მუშაკის, შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურის, მესაზღვრის ან სხვა პირის მიერ, რომლებიც ასრულებენ დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავის დაკავების სამსახურებრივ მოვალეობას.

¹²³ ზ. ნულაია, სისხლის სამართალი-კერძო ნაწილი, გამომცემლობა "ინტელექტი", თბ., 2000., გვ. 104.

საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკა

ავთოს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით. 2000 წლის 28 მაისს საღამოს 18:00 საათზე ბესომ თავის მეზობელ ავთოს ქვევიდან შესძახა, ჩასულიყო და მისთვის ტელევიზორი შეეკეთებინა. ავთომ უარით უპასუხა. ამ ნიადაგზე მათ შორის წარმოიშვა უსიამოვნება. ბესოს ეწყინა უარი და ის, რომ ავთომ ურჩია სხვა ხელოსანი მოეძებნა. ბესომ ამის გამო ავთოს შეაგინა, ავიდა მასთან ბინაში და დაუწყო ჩხუბი. ავთოსთან ბინაში იყო მისი მეგობარი თედო. ორივენი თავს იცავდნენ მომხდურისაგან. ავთომ აიღო სამზარეულოს დანა და იქნევდა, რომ ბესო ფიზიკურად არ შეხებოდა“.

ავთოს ჩვენება დაადასტურა თედომაც, რომელიც ოთახში ტელევიზორს აკეთებდა, როცა ავთო აივანზე იყო და სიგარეტს ეწეოდა. თედოს შემოესმა ავთოს განერვიულებული საუბარი. როცა ავთო ოთახში შემოვიდა, კარზე ატყდა ბრაზუნნი. კარი გაიღო და გამოჩნდა ბესო, რომელიც მთელი ძალით იწევდა ოთახში შემოსასვლელად. ის შეეცადა არ შემოეშვა მომხდური, მაგრამ ავთომ დაუძახა შემოუშვიო. ბესო შემოვარდა ოთახში და ავთოს ჩხუბი დაუწყო. თედომ დაინახა, რომ ავთო წაიქცა. მას ბესო ზემოთ ეჯდა.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის განაჩენით სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ავთომ ბესო დაჭრა და ამით მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, მაგრამ სასამართლოს არ მიაჩნია დადგენილად, რომ ავთოს ბესოს მოკვლის მიზანი ჰქონდა. მართალია, საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ ავთომ დაზარალებულის მოკვლა „შურისძიების ნიადაგზე განიზრახა“, მაგრამ არ არის დასაბუთებული, რისთვის უნდა ეძია შური განსასჯელს. საქმის მასალებითაც არ მტკიცდება, რომ ავთოს ბესოს მიმართ შურისძიება ამოძრავებდა.

განაჩენში ნათქვამია: „განსასჯელი რომ დანას იქნევდა, ეს ფაქტი დადგენილია მოწმე თედოს ჩვენებითაც. აღნიშნული მოწმე განმარტავს, რომ ის აშველებდა მოჩხუბრებს და ამ დროს დაიჭრა ხელში ბრალდებულის დანით. ბრალდებული რომ თავის მეგობარ თედოს განზრახ არ დაჭრიდა, ეჭვს არ იწვევს, ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ დანის ქნევის დროს“.

„დადგენილია, რომ განსასჯელი კი არ მისულა დაზარალებულთან საჩხუბრად, არამედ პირიქით, დაზარალებული ავარდა ბინაში. ეს გარემოებაც გამორიცხავს ბრალდებულის მხრიდან მკვლელობის განზრახვას, რაც მთავარია, საქმის მასალებით მკვლელობის მოტივი არ არის დადგენილი, რადგან ასეთი მოტივი არ არსებობს“.

მიუხედავად ასეთი მსჯელობისა, სასამართლო საბოლოოდ მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ავთომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და მისი ქმედება სსკ-ის 105-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 110-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სსკ-ის 1969 წლის რედაქციით).

სასამართლოს მთელი მსჯელობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აქ უნდა იყოს აუცილებელი მოგერიება.

განაჩენიდან ისე გამოდის, თითქოს მოტივის დადგენა სასამართლოს მხოლოდ განზრახი მკვლელობის დროს მოეთხოვება. რაც შეეხება ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას, აქ თითქოს მოტივის დადგენას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. სასამართლო გამორიცხავს მკვლელობის მცდელობას ავთოს ქმედებაში იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ არ არის დადგენილი მკვლელობის მოტივი. მაგრამ გადადის სსკ-ის 110-ე მუხლზე ყოველგვარი მოტივის დადგენის გარეშე, თითქოს ამ შემთხვევაში მისი დადგენა აუცილებელი არ იყოს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, 2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
4. ვ. მაყაშვილი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი., 1960;
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 4, თბილისი., 1979;
6. ვ. მაყაშვილი, თ. წერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბილისი., 1980;
7. თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი., 1988;
8. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ლექციები, თბილისი., 1996;
9. ზ. მჭავანაძე, სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
10. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბილისი., 2000;
11. ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, №4, თბილისი., 2001;
12. ავტორთა კოლექტივი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბილისი., 2002;
13. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბილისი., 2002;
14. შ.ფაფიაშვილი, მკვლევლობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდის პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004;
15. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2006;
16. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2007;
17. ი. ბურდული, ე. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი., 2013;
18. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი., 2013;
19. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2013;
20. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2014;
21. ო. გამყრელიძე, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი., 2015;
22. ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები, სახელმძღვანელო იურისტებისათვის), თბილისი., 2015;
23. ავტორთა კოლექტივი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
24. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
25. ბაჩანა ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
26. ა. გიორგიძე, შეზღუდული შერაცხადობა, (სისხლის სამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბილისი., 2014;
27. Бородин С.В., Ответственность за убийство: Квалификация и наказание по Российскому праву, М., 1994;
28. Аргашева Н. А., Российский юридический журнал, м., 1996;
29. Уголовное право Российской Федерации(особенная часть), М., 1997;
30. Г. Шишпин. Кто он доктор Смерть? // Эхо планеты, 1999, Февраль №8;
31. Варжапетян В. Легкость небытия // Новое время, 1999;
32. В. Флоря Уголовная ответственность за врачебные

- преступления (медицина и право) Кишинёв, 2004 г;
33. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, м., 1998;
34. Сидоров Б.В. Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение. Казань, 1978;
35. О.Д. Ситковская Конышева Л.П. Коченов М.М. Новые направления судебно-психологической экспертизы М., 2000;
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

თავი V
დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ
თვითმკვლელობამდე მიყვანა,
სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მართალია, თვითმკვლელობა დამოუკიდებელი სახის დასჯად ქმედებად არაა აღიარებული, მაგრამ იგი დასაგმოვ ქმედებადაა მიჩნეული საეკლესიო და საერო მართლშეგნების თვალთახედვით. ქართული ქრისტიანული სარწმუნოება გმობს რა თვითმკვლელობას, კრძალავს თვითმკვლელობით ჩადენილი პირის გვამის სულის განწმენდას, მის კურთხევას. ასევე დასაგმოვია და გასაკიცხია ამგვარი ქმედება საერთო მორალური თვალთახედვითა და მართლშეგნებით.

ჯერ კიდევ ადრე, დიდი შოთა რუსთაველი თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ წერდა: „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსა“. მიუხედავად ამისა, ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში ამგვარ შემთხვევებს და თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტებს არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით და უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში მათი რიცხვი უკანასკნელ წლებში, სამწუხაროდ, თითქმის ყოველწლიურად მატულობს¹²⁴

თვითმკვლელობის რიცხვის ზრდა, უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია სოციალური მიზეზებით. თვითმკვლელობის განმზრახველ მოტივთა შორის უპირატეს როლს ასრულებს უაღრესად მძიმე ოჯახური პირობები და მატერიალური გაჭირვება. ამ მოტივით თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა ჩაიდინა თითქმის 48%-ზე მეტმა. სხვა მოტივებიდან აღსანიშნავია მძიმე ავადმყოფობა, მძიმე ოჯახური კონფლიქტი და სხვა.

თვითმკვლელობის ცნება საერთაშორისო კანონმდებლობასა და ლიტერატურაში მოხსენიებულია „სუიციდების“ სახელწოდებით. თუმცა, ზოგჯერ ქართულ იურიდიულ ლიტერა-

¹²⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), სახელმძღვანელო, თბ, 2013, გვ.144-145,

ტურაში იგი კიდევ უფრო შელამაზებული ტერმინით „დევი-აციის“ სახელწოდებით გვევლინება.

მაგალითად, თვითმკვლელობისადმი მიძღვნილ საინტერესო ნაშრომს ზურაბ ტაბლიაშვილმა და მიხეილ მამნიაშვილმა უწოდეს „დევიაცია - თვითმკვლელობა“¹²⁵

თვითმკვლელობამდე მიყვანა არის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული, იგი არ არის მკვლელობის სახე, რადგანაც აქ ადგილი არა აქვს შუამდგომლობით ამსრულებლობას¹²⁶

თვითმკვლელობა და თვითმკვლელობის მცდელობა თავისთავად, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ისჯება. ამგვარ დასჯად ქმედებად სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიჩნეულია „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა“, რაც თავისი იურიდიული შემადგენლობით არსებითად განსხვავდება ზემოთ განხილული განზრახ მკვლელობისაგან. რაც შეეხება სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით, ის მკვლელობად საერთოდ არ იწოდება. იგი ითვლება სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სახესხვაობად.

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის. მისი საშიშროება განსაზღვრულია არა იმდენად ქმედების საშიშროებით, რამდენადაც დამდგარი შედეგით-ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება განხორციელდეს როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის სახით. სსკ-ის 116-ე მუხლის სანქცია არ ასხვავებს იმას, გაუფრთხილებლობის რა სახით მოუსპო პირმა სიცოცხლე მსხვერპლს. ზემოაღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი არღვევს საყოველთაოდ სავალდებულო წესებს თუ წინდახედულობის ნორმებს, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს (მაგალითად, საყოფაცხოვრებო სფეროში

125 ზ. ტაბლიაშვილი, მ. მამნიაშვილი, „დევიაცია, თვითმკვლელობა“, თბ., 2000., გვ. 145

126 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ. 93-94.

ცეცხლთან, ქიმიურ და შხამიან ნივთიერებებთან დაუდევარი მოპყრობა)¹²⁷

5.1. თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 115-ე)

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით ერთობ შეზღუდული იყო იმ პირთა წრე, რომლებიც პასუხს აგებდნენ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის. ასეთებად მიჩნეული იყვნენ დამნაშავისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულნი. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით ამ დანაშაულის სუბიექტთა ასეთი შეზღუდვა აღარაა გათვალისწინებული. ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს მოხსენიებულ სუბიექტთა პასუხისმგებლობას, პირიქით, მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. თუმცა უკეთესი იქნებოდა კანონმდებელს გაეთვალისწინებინა სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარების ავტორთა მოსაზრება და ამ მუხლისთვის დაემატებინა მეორე ნაწილი, რომელშიც გაითვალისწინებდა ჩადენილი ქმედებისათვის იმ პირთა მკაცრ პასუხისმგებლობას, რომლებზეც დაზარალებული მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული არის.

კანონი არ ითვალისწინებს თვითმკვლელობამდე მიყვანისას დაზარალებულის პიროვნების რაიმე თავისებურებას, მაგრამ თუ ეს ბრალეული ქმედება ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ, ქმედების საშიშროება უფრო მეტია. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას.

თვითმკვლელობამდე მიყვანა გამოიხატება იმ მოქმედების ჩადენით, რამაც დაზარალებულს გადააწყვეტინა ხელი აელო საკუთარ სიცოცხლეზე.

სსკ-ის 115-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებ-

127 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბ., 2014., გვ. 70.

ბელია, რომ მუქარამ ან სასტიკმა მოპყრობამ, ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატურმა დამცირებამ გამოიწვიოს თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა. დაზარალებულის მოქმედებას, რაც გამოიხატა თვითმკვლელობის მომზადებაში, არ აქვს დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ კანონი ასეთ მომზადებას არ ითვალისწინებს.

თავისთავად მუქარა ან სასტიკი მოპყრობა, ანდა პატივისა და ღირსების დამცირება სხვადასხვა ფორმით, ცალკე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, რადგან ეს სისხლის სამართლის კანონშია დამოუკიდებელ შემადგენლობებად ფორმულირებული.

განსახილველი დანაშაულებრივი ქმედების ობიექტია იმ პირის სიცოცხლე, რომელიც მუქარით, სასტიკი მოპყრობით, ანდა მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით მივიდა თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე.

დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ორივე შემთხვევაში გამოიყენება მოცემული ქმედებისათვის დამახასიათებელი ის სპეციფიკური ხერხები, რომლებიც მითითებულია სსკ-ის 115-ე მუხლის დისპოზიციაში. თითოეული ეს ხერხი შეიძლება იყოს პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და პატივის საწინააღმდეგო დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედების შემადგენელი ელემენტი. მაგრამ სსკ-ის 115-ე მუხლის შერაცხვისას, ამ ხერხების გათვალისწინებით დამატებითი კვალიფიკაცია არ ხდება, რადგან ესენი ამ მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციულ ნიშანს წარმოადგენენ. ესენია: ა) მუქარა; ბ) სასტიკი მოპყრობა; გ) პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირება.

მუქარას შინაარსის მიხედვით სხვადასხვა სახე აქვს. ქმედების თვითმკვლელობამდე მიყვანად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რით იმუქრება ბრალეული ქმედების ჩამდენი: სიკვდილით ან ჯანმრთელობის დაზიანებით; იმ ცნობების გახმაურებით, რომლის გამჟღავნება არ

სურს დაზარალებულს; სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნით, ბავშვის მოტაცებით ან გამოსახლებით და ა.შ. მუქარის თვითმკვლელობამდე მიყვანის საშუალებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო მის შინაარსს, არამედ მის ხანგრძლივობასაც. გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორ აღიქვამს დაზარალებული ამ მუქარას. ამრიგად, მუქარა მიღებულ უნდა იქნას, როგორც ისეთი ფსიქიკური ზემოქმედება მსხვერპლზე, რომელიც მამოძრავებელი მოტივი გახდა მისი თვითმკვლელობამდე ან ასეთის ცდამდე მიყვანის.

სასტიკი მოპყრობა ნიშნავს დაზარალებულისადმი ბრალდებულის უსულგულო, უხეშ დამოკიდებულებას, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს. სასტიკი მოპყრობა ფართო მოცულობის შეფასებითი ცნებაა. იგი მოიცავს სხვადასხვა ქმედებას, რომელიც დაზარალებულს ფიზიკურად და ფსიქიკურად ტანჯავს (ცემა, გვემა). ცხოვრების საარსებო საშუალებების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა, სახლიდან განდევნა და ა.შ. იყო თუ არა მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მოპყრობა სასტიკი, საბოლოოდ სასამართლოს მიერ უნდა იყოს გადამწყვეტილი. თუმცა, კანონი მოითხოვს სისტემურობას მხოლოდ დაზარალებულის პირადი ღირსების დამცირების მიმართ, მაგრამ სასტიკი მოპყრობაც, როგორც წესი, სისტემატურ ხასიათს გულისხმობს. ცემის ცალკეული შემთხვევა არ შეიძლება ჩაითვალოს სასტიკ მოპყრობად, რომლის შედეგიც იყო თვითმკვლელობა.

ცოლ-ქმარი დათო და მაიკო ხშირად ჩხუბობდნენ. უკანასკნელი უსიამოვნების შემდეგ, როდესაც ქმარმა არ მოინდომა ცოლთან შერიგება, ამ უკანასკნელმა დანით თავი მოიკლა. ქმედების სსკ-ის 115-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის - დაზარალებულის სასონარკვეთილებამდე მიყვანა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა - საჭირო იყო სასტიკი მოპყრობისა და მისი ღირსების დამამცირებელი ისეთი თემატური ფაქტის დადგენა, რომელიც გამოირჩეოდა ხასიათისა და მოტივების ერთიანობით.

გაირკვა, რომ ცოლ-ქმარს შორის მომხდარ უსიამოვნებას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. ისინი ერთმანეთს ხშირად

აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, მაგრამ მალე რიგდებოდნენ. მათ უყვარდათ ერთმანეთი და დათო სათანადო მზრუნველობას იჩენდა მაიკოს მიმართ.

სსკ-ის 115-ე მუხლის დისპოზიციაში მითითებული პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირება შეიძლება გამოიხატოს გამუდმებულ შეურაცხყოფაში, ცილისწამებაში, დაზარალებულის ფიზიკური ნაწილის ცინიკურ დაცინვასა და სხვა ისეთ ქმედებაში, რომელიც აკნინებს დაზარალებულის პატივსა და ღირსებას.

რაც შეეხება თვითმკვლელობის, ან მის ცდამდე მიყვანის ჩამოთვლილ სხვადასხვა ხერხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულ პროცესში ეს ხერხი შეიძლება შეფასდეს, როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა საკითხი სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების გამიჯვნისა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისაგან. მაგალითად, ისმის კითხვა: სასტიკი მოპყრობა, რომელიც წამებაში გამოისახა, სრულად არის მოცემული სსკ-ის 115-ე მუხლში? თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანა ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ხორციელდება. იგი დანაშაულებრივი ქმედების ნაწილია და სხვა მუხლებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელმაც დაზარალებული თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიიყვანა, სისხლის სამართლის კოდექსით უფრო მკაცრად ისჯება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანის ჯანმრთელობის უფლებისა და თავისუფლების, სქესობრივი ხელშეუხებლობისა თუ სხვა სათანადო ხელყოფის გამო.

თვითმკვლელობამდე მიყვანისას თავად დაზარალებულის მოქმედების ხასიათი შესაძლებლობას იძლევა გადავწყვიტოთ ის საკითხი, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი ბრალდებულის მოქმედებასა და თვითმკვლელობას შორის. ასეთი მოქმედება წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის შე-

მადგენელ რგოლს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ თვითმკვლელობა ან მისი მცდელობა შედეგია ამ ბრალდებულის სუბიექტის მოქმედებისა.

სუბიექტური მხრივ, თვითმკვლელობამდე მიყვანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განზრახვის ფორმით. ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, პირდაპირი განზრახვით დაზარალებულის თვითმკვლელობამდე მიყვანა უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობად. 1988 წელს გამოცემული რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კომენტარის ავტორთა აზრით, ასეთი მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე განსხვავდება განზრახი მკვლელობისათვის დამახასიათებელი ობიექტური მხარისაგან. სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას დამნაშავე უშუალოდ არ ჩადის მოქმედებას, რომელიც დაზარალებულის სიკვდილს იწვევს, სიცოცხლეს უშუალოდ ისპობს თავად დაზარალებული, თუ დამნაშავემ იცის და სურს კიდევ, რომ სისტემატური შეურაცხყოფით მსხვერპლს თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიიყვანს და ეს გამოუვა, მისი სსკ-ის 115-ე მუხლით დასჯა იქნებოდა გაუმართლებელი პრივილეგია. ამიტომაც, აღნიშნული მუხლის სუბიექტურ მხარეში არაპირდაპირი განზრახვა უნდა მოვიაზროთ¹²⁸

უფრო კონკრეტულად, მკვლელობისაგან განსხვავებით, თვითმკვლელობამდე მიყვანის დროს დაზარალებული თვით უსპობს თავის თავს სიცოცხლეს ან ცდილობს თავი მოიკლას, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებს, რომ დამნაშავე მას ცუდად ეპყრობა. თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც უნარი აქვს გაიგოს, თავისი მოქმედების არსი და მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს თავის თავს. იმ პირის მიყვანა თვითმკვლელობამდე, ვისაც ასეთი უნარი არა აქვს მცირეწლოვნების ან სულით ავადმყოფობის გამო, დაკვალიფიცირდება არა სსკ-ის 115-ე მუხლით, არამედ როგორც

128 არ იზიარებს ამ მოსაზრებას გ.ტყეშელაძე კომენტარში; ო. გამყრელიძე და სხვები, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გვ. 93.

განზრახ მკვლელობა.

მართალია, დაზარალებულის თვითმკვლელობამდე მიყვანა შესაძლებელია გაუფრთხილებლობითაც, მაგრამ სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის ძალით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის შემთხვევაში სსკ-ის 115-ე მუხლით ვერ დადგება, ვინაიდან, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულებრივ ქმედებად, თუ ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია შესაბამის მუხლში, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

შეურაცხადის თვითმკვლელობაზე დაყოლიება განიხილება, როგორც შუალობითი ამსრულებლობა და დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით განზრახ მკვლელობად. ვინაიდან, მას არა აქვს უნარი სწორად განსაჯოს თავისი მოქმედება ან განაგოს იგი, ამდენად, ასეთი პირი წარმოადგენს ბრმა იარაღს დამნაშავეს ხელში.

თვითმკვლელობამდე მიყვანის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ის, ვისთანაც დაზარალებული იმყოფებოდა სამსახურებრივ, მატერიალურ ან სხვაგვარ დამოკიდებულებაში, ისე სხვაც.

ავთო ლოთობდა, სასტიკად ეპყრობოდა, ცემდა და სისტემატურად შეურაცხყოფას აყენებდა თავის ცოლს. უკანასკნელმა ველარ მოითმინა და სანამლავი დალია. ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. სასამართლომ ავთო დასაჯა ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის. ცოლ-ქმრული ურთიერთობა გახდა ერთ-ერთი პირობა ავთოს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

თუ დაზარალებული თავს იკლავს სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მართლზომიერი მოქმედების საპასუხოდ (მაგალითად, მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ ან დანაშაულებრივი ქმედების გამომჟღავნების მუქარის გამო), დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს.

თვითმკვლელობამდე მიყვანის ზემოაღნიშნული მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეები იშვიათად გვხვდება

და ვფიქრობთ, ეს გამოწვეულია იმით, რომ თვითმკვლელობის უმეტესი შემთხვევები ჩადენილია ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე და დაზარალებულის ახლობლები ცდილობენ თავი აარიდონ, ასეთ დროს გამოძიებაც ზოგჯერ, შესაძლოა, თავს არიდებს ოჯახური კონფლიქტების გაღვივებას და ღრმად აღარ წვდება მომხდარი თვითმკვლელობის ჩადენის ფაქტების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, ვერ იჩენს პრინციპულობას და ვერ მიდის დაზარალებულის ახლო ნათესავეების ნების საწინააღმდეგოდ, ვერ ადგენს თვითმკვლელობის ჩადენის ნამდვილ მიზანს მაშინაც კი, როცა იგი სახეზეა, რაც არასწორი და დაუშვებელია.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

საქმეში არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ ავთომ თავისი საცხოვრებელი ბინის სათონეში თავი ჩამოიხრჩო იმის გამო, რომ მას თავისი ბიძაშვილის ცოლთან ინტიმურ ურთიერთობას აბრალებდნენ და ამასთან დაკავშირებით მისი ახლო ნათესავეები მისი საქმის გარჩევასაც შეეცადნენ. ამის გამო შეურაცხყოფილმა ავთომ გადაწყვიტა თავის მოკვლა და იგი სისრულეშიც მოიყვანა მან თავისი ოჯახისა და ახლო ნათესავეებისადმი გამოსათხოვარი შემდეგი შინაარსის წერილი დატოვა:

„მე ამდენ ცრუ ჭორებს ვერ ავიტან, მე ჩემი თავმოყვარეობა გამაჩნია, მე ამის მერე როგორ შემომხედავს ხალხი. ჩემი შვილების ცოდო ატაროს, ვინც ასეთ გზაზე დამაყენა. ეს გზა იმიტომ ავირჩიე, რომ ცხოვრებაში მაინც უბედური ვარ, მე არაფერში გამიხარია. ხან კაცის მკვლელობას მაბრალებდნენ, ახლა ბიძაშვილის საყვარლობას. მე მაინც ვერავის დავუმტკიცებ, რომ არავის მიმართ ცუდი განზრახვები არ მქონია. ჩემი ცხედარი იკმარეთ, ტყუილად კესოსაც თავს მოაკვლევინებთ, დაიჯერეთ, რომ ჩვენ არაფერში არ ვტყუივართ. ბესო შენ მეუღლეს არასოდეს არ უღალატია შენთვის, რაც მე შენთან ვარ ახლოს. კესოსაც ყოველთვის უყვარდი და უყვარხარ. გთხოვ, გაუგე, შენი ცოლი წმინდაა შენს წინაშე, მშვიდობით საყვარელო ოჯახო“ (სტილი დაცულია სახელე-

ბის გარდა)

შემდეგ გამოძიების მიერ მოცემულ „თვითმკვლელობის“ ფაქტზე გამოძიების შეწყვეტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „მასალების შემონახვით დადასტურდება, რომ ავთომ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე და კონკრეტული პირის (პირების) მხრიდან მის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტს ადგილი არ აქვს¹²⁹“

გამოძიების მიერ ასეთი დადგენილების გამოტანა, ჩვენი აზრით, ნაადრევია, რადგან საქმის მასალები საერთოდ არაა შემონახული. წერილში მოხსენიებულ კესოსაც, ბესოსაც და სხვებს ახსნა-განმარტებებიც კი არ აქვთ ჩამორთმეული. გამოკვლეული და დადგენილი არ არის, თუ ვინ უვრცელდება მას ასეთ ჭორებს და ვინ მიიყვანა იგი თვითმკვლელობამდე. ამ მიმართებით გამოძიებელმა არავითარი საქმიანობა არ აწარმოა და არ დაინტერესდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით, რაც არასწორი და დაუშვებელია. სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტები ქართულ საგამოძიებო პრაქტიკაში იშვიათობას არ წარმოადგენს.

კანონმდებელი სწორად მოიქცა, როდესაც განსახილველი მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაანესა თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობისათვის. ადრე მოქმედ კოდექსში დასჯადი იყო მხოლოდ თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი. მაგალითისათვის განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:

ანა მუშაობდა ერთ-ერთ კერძო კომპანიაში კარგად ანაზღაურებად პოზიციაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელი ბესო აიძულებდა მას ყოველდღე სამსახურში დარჩენილიყო ზეგანაკვეთურად და დამატებით ემუშავა ანაზღაურების გარეშე. ასევე ხშირად შაბათ-კვირასაც იბარებდა სამსახურში სამუშაოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან განთავისუფლებით ემუქრებოდა. ანა ვერ ტოვებდა სამსახურს, რადგან მას ბანკში იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე ყოველთვიურად თანხა უნდა შეეტანა. ასევე ის ერთადერთი შემომტანი იყო ოჯახში და მის კმაყოფაზე ოჯახის სამი წევრი

129 დუშეთის რაიონის პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან. მასალები 15/47

იმოფებოდა. ამის შესახებ ბესომ იცოდა. ამასთან, ანას არაერთხელ უთქვამს მისთვის, რომ უკვე ვერ უძლებდა ასეთ სამუშაო პირობებს და ასე გაგრძელებას სიკვდილი ერჩივნა. რამდენიმეთვიანი გაუსაძლისი სამუშაო პირობების და ბესოს მხრიდან მუდმივად სამსახურიდან განთავისუფლების მუქარის გამო ანამ გადაწყვიტა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. მან რამდენიმე ათეული ცალი საძილე აბი დალია და დაიძინა. ანას მეუღლემ შეამჩნია საძილე აბების ცარიელი ყუთი და იეჭვა თვითმკვლელობაზე, გამოიძახა სასწრაფო დახმარება, ექიმებმა შეძლეს მისი გადარჩენა.

დააკვალიფიცირეთ ბესოს ქმედება.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი- სუბიექტად გვევლინება ბესო.

-ქმედების ობიექტი - ანას სიცოცხლე.

-ქმედება - ბესომ განახორციელა მსხვერპლისადმი მუქარა და სასტიკი მოპყრობა, რაც გამოიხატა გაუსაძლისი სამუშაო პირობებში, ყოველდღიური ზეგანაკვეთური არაანაზღაურებადი სამუშაოს სახით ასევე, უქმე დღეებში სამსახურში მოსვლის მოთხოვნაში და ანას მიმართ სამსახურიდან დათხოვნის მუდმივი მუქარით, იმის გათვალისწინებით რომ ბესომ იცოდა ანას რთული ფინანსური მდგომარეობის შესახებ და იმის თაობაზეც, რომ ანა სამსახურს ვერ დატოვებდა.

-შედეგი. ანამ რადგან ვერ გაუძლო მუდმივ სამსახურიდან დათხოვნის მუქარას და გაუსაძლისი სამუშაო რეჟიმს სცადა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე, რისთვისაც დალია ათეულობით საძილე აბები და, რომ არა ქმრის ყურადღება და დროული სამედიცინო დახმარება, ის დაიღუპებოდა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ეჭვს არ იწვევს, რომ ანას თვითმკვლელობის მცდელობა გამოწვეული იყო მის მიმართ ბესოს მუქარითა და სასტიკი მოპყრობით.

-ობიექტური შერაცხვა. ბესოს შედეგი ობიექტურად შე-

ერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. კაზუსიდან აშკარად ჩანს და სადავო არ არის, რომ ანამ თვითმკვლელობა სცადა ბესოს მხრიდან მის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

გაზრახვა, გაუფრთხილებლობა. ბესოს გაზრახვა ანას მიმართ მისი თვითმკვლელობამდე მიყვანის მხრივ არის არაპირდაპირი, რადგან კაზუსიდან ჩანს, რომ ბესო შეგნებულად აყენებდა მას გაუსაძლის მდგომარეობაში. ასევე ემუქრებოდა ანას სამსახურიდან გაშვებით და აცნობიერებდა ამ ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს. ხოლო შედეგის მიმართ თვითმკვლელობამდე მიყვანასთან დაკავშირებით, გულგრილობას იჩენდა. ანამ ის არაერთხელ გააფრთხილა თავისი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ შესაძლო შედეგზე არც უფიქრია.

-მართლწინააღმდეგობა

ბესო მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ბესო მოქმედებდა ბრალეულად.

-დასკვნა: ამრიგად, ბესოს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-115-ე მუხლით, თვითმკვლელობამდე მიყვანა, რადგან მან ანა ჩააყენა გაუსაძლის მდგომარეობაში სასტიკი მოპყრობითა და მუდმივი მუქარით, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა სცადა თვითმკვლელობა.

5.2.სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხლი 116-ე)

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში „მკვლელობის“ და „მკვლელის“ ცნებებს უკავშირებენ სიკვდილის განზრახ გამოწვევას. ეს იმას ნიშნავს, რომ მკვლელობა შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნას ჩადენილი. ამის გამო კანონმდებელმა მკვლელობის შემადგენლობისაგან გამიჯნა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. კანონმდებელმა მკვლელობა სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტურად განზრახვასთან დააკავშირა და ის გასაკიცხაობის უფრო მაღალი ხარისხით გამოარჩია¹³⁰

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით შეიძლება მოხდეს როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. აღნიშნული მუხლით, პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი არღვევს საყოველთაოდ სავალდებულო წესებს, თუ წინდახედულობის ნორმებს, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს. სიცოცხლის მოსპობა თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მის მართლსაწინააღმდეგოდ არსს და შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებულია დიფერენცირებული პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის ხსენებული სახეების მიხედვით. თუმცა, სხვა თანაბარი პირობების არსებობისას სიცოცხლის მოსპობა თვითიმედოვნებით უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე დაუდევრობით ჩადენილი ასეთივე ქმედება.

საზოგადოდ სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით უხეში უდისციპლინობის, უყურადღებობისა და წინდაუხედაობის შედეგია. რასაკვირველია, ასეთი ბრალეული ქმედების საშიშროება უფრო ნაკლებია განზრახ მკვლელობასთან შედარებით, მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა იმის საფუძ-

¹³⁰ მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2014., გვ.69

ველს, რომ ჯეროვნად არ შეფასდეს გაუფრთხილებლობის შედეგად გამონვეული სიკვდილის საშიშროება.

თვითიმედოვნების დროს სუბიექტი ითვალისწინებს მისი მოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობის აბსტრაქტულ საფრთხეს, გაცნობიერებული აქვს, რომ საზოგადოდ შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი, მაგრამ იმავდროულად დარწმუნებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში ასეთი შედეგი არ დადგება. მისი ასეთი რწმენა ემყარება ისეთ გარემოებას, რომლებმაც, მისი ვარაუდით, უნდა ააცდინონ მავნე შედეგი. სუბიექტის ასეთი უსაფუძვლო რწმენა შეიძლება შეპირობებული იყოს იმით, რომ იგი გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ ძალებს და ნიჭს, ანდა იმით, რომ არასწორად აფასებს ბუნების ძალებისა და მესამე პირთა მოქმედებას.

თვითიმედოვნებით გამონვეული სიკვდილი უნდა განვასხვავოთ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობისაგან. ამისათვის სათვალავში უნდა ვიქონიოთ ის, რომ:

ა) თვითიმედოვნებისას ბრალდებული ითვალისწინებს სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას ანალოგიურ და არა კონკრეტულ შემთხვევაში. არაპირდაპირი განზრახვისას კი ბრალდებული ითვალისწინებს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას სწორედ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

სიკვდილს არ ეკიდება გულგრილად, პირიქით, მას იმედი აქვს იმისა, რომ თავისი ძალების, უნარის, მოხერხებულობის, პროფესიონალიზმის გამოყენებითა და ასევე სხვა ძალების დახმარებით, თავიდან აიცილენ სასიკვდილო შედეგს. არაპირდაპირი განზრახვისას კი ბრალდებული ითვალისწინებს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, უფრო მეტიც, შეგნებულად უშვებს ასეთ მავნე შედეგს, გულგრილად ეკიდება მას, არავითარ მოქმედებას არ მიმართავს ასეთი შედეგის დადგომის თავიდან ასაცილებლად.

თვითიმედოვნებით მოქმედ ბრალდებულს შეიძლება შედეგის თავიდან ასაცდენად ერთბაშად რამდენიმე ფაქტორის

იმედი ჰქონდეს. კერძოდ, ერთი მხრივ, საკუთარი დახელოვნებისა და გამოცდილების, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალე-ბულის მოქმედებისა.

ავთო სტუმრად იყო ბესოსთან. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, იმ ხანებში ნანახი კინოსურათის ზეგავლენით, გადაწყვიტეს ნერვების გამოსაცდელი ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ. ამ მიზნით ავთო დაჯდა სკამზე კედელთან და ბესომ მოწინააღმდეგე მხრიდან ორჯერ გაისროლა მისი მიმართულებით მცირეკალიბრიანი შაშხანა. შემდეგ მათ ადგილები შეიცვალეს და გაისროლა უკვე ავთომ. ტყვია თვალში მოხვდა ბესოს, რომელიც იქვე მკვდარი დაეცა. ავთო არ უშვებდა ბესოს სიკვდილის შესაძლებლობას, მას არ ჰქონდა ასეთი შედეგის განხორციელების ევენტუალური განზრახვა, რადგან იმედი ჰქონდა თავისი უნარისა და გამოცდილებისა (კარგი მსროლელი იყო); ამავდროს საკვებით დარწმუნებული იყო, რომ ბესოც ისეთსავე თავდაჭერილობას გამოიჩინდა, როგორც მან გამოიჩინა და ბესო ტყვიის გასროლის მომენტში არ გაინძრეოდა. მაგრამ ავთოს ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა, ავთომ უხეშად დაარღვია გამაფრთხილებელი წესები¹³¹

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ უძნელდებათ ისეთი შემთხვევის (ქმედების) კვალიფიკაცია, როცა ერთი პირი დაარტყამს მეორეს, ეს უკანასკნელი კი კვდება (ჩვეულებრივად ეს ჩხუბში ხდება ხოლმე). ასეთ შემთხვევაში სიკვდილი შეიძლება უშუალოდ იყოს გამონვეული დარტყმით (მაგალითად, თავში მუშტის ძლიერი ჩარტყმით) ან დაცემით, რის შემდეგაც დაზარალებულმა თავი დაკრა კიბის საფეხურს. ზემოხსენებულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ზოგჯერ ძნელია ბრალეულობის დადგენა. ამაზე კი დამოკიდებულია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. ქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც გაუფრთხილებლობითი მკვლევლობა, თუ დამნაშავეს, რომელმაც განზრახ დაარტყა, შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პირმა

131 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“ თბ., 2002., გვ. 95.

პასუხი უნდა აგოს ადამიანის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებრივი ქმედებისათვის. იმ საკითხის გადასაწყვეტად, აქვს თუ არა პირს გაუფრთხილებლობითი ბრალი ადამიანის სიკვდილის მიმართ, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმის კონკრეტული გარემოებანი; დარტყმის სიძლიერე, დამნაშავესა და დაზარალებულის ფიზიკური მონაცემები. დანაშაულის ჩადენის ვითარება და ა.შ. (მაგალითად, თუ სპორტსმენი-ბოქსიორი შეგნებულად მიმართავს ისეთ ილეთს, რომელმაც შეიძლება მძიმე შედეგი გამოიწვიოს ან დამნაშავე განზრახ ძლიერად დანას ჩასცემს დაზარალებულს სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოში). ასეთ შემთხვევაში, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით გვექნება განზრახ მკვლელობა ან ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია.

გაუფრთხილებლობით ბრალის მეორე სახის - დაუდევრობის დროს ბრალდებულის წინაშე არ წარმოიშობა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობის საკითხი. დაუდევრობისას პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა, რომ მის ქმედებას შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა დაზარალებულის სიკვდილი. მაგალითად, ექთანი ყურადღების მოღუწების გამო ავადმყოფს წამლის ნაცვლად ძლიერ მოქმედ შხამს აძლევს. პირი რევოლვერს წმენდს, არ შეამოწმა იგი, ამის შედეგად მოხდა გასროლა, რამაც სხვა ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ ბრალდებულს, რომელსაც ბრალი მიუძღვის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაში ხელი შეუწყოს დაზარალებულის მოქმედებამ. რასაკვირველია, ამ გარემოებას სასამართლო გაითვალისწინებს დამნაშავე-სათვის სასჯელის დანიშვნისას.

ზოგჯერ დაზარალებულის გაუფრთხილებლობას ისეთი ხასიათი აქვს, რომ პირის მოქმედებასა და დაზარალებულის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინება და შედეგის აცდენა შეუძლებელია. აქ იგულისხმება დაზარა-

ლებულის უხეში გაუფრთხილებლობა. ასეთ ვითარებაში დაზარალებულის სიკვდილისათვის პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მიზეზობრივი კავშირის არსებობა აუცილებელია, როდესაც დაზარალებულს სიცოცხლეს უსპობენ ცემით ან ჯანმრთელობის დაზიანებით, აგრეთვე დაზარალებულის სიკვდილისას, რაც გამოიწვია თავში მუშტის ძლიერად ჩარტყმამ ან დაცემამ. რის გამოც დაზარალებულმა თავი დაჰკრა, მაგარ საგანს (ასფალტს ან ქვიან გრუნტს, კიბის საფეხურს და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ რთულდება ბრალის ფორმის დადგენა და, შესაბამისად, ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია. ქმედება ჩაითვლება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად, თუ დამნაშავეს განზრახ დარტყმისას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობა. თუ მითითებული გაუფრთხილებლობის სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობს, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ განზრახ ძალადობისთვის.

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა უნდა გავმიჯნოთ სიკვდილის შემთხვევით გამოწვევისაგან. სიკვდილისათვის პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა, თუ პირი ითვალისწინებდა სხვა ადამიანის სიკვდილის გამოწვევის შესაძლებლობას, არ სურდა ეს და მიიღო ყველა ზომა სიკვდილის თავიდან ასაცილებლად. ამის მიუხედავად, სასიკვდილო შედეგი მაინც დადგა, მაგრამ ეს შედეგი განხორციელდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასევე არ დაეკისრება პირს პასუხისმგებლობა, თუ იგი არ ითვალისწინებდა, არ შეეძლო და არც უნდა გაეთვალისწინებინა სხვა ადამიანის სიკვდილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ობიექტური (უნდა გაეთვალისწინებინა) და სუბიექტური (შეეძლო) კრიტერიუმის არსებობა ამ ქმედების შესაფასებლად შესაძლებელს ხდის სწორად გავმიჯნოთ სიცოცხლის მოსპობა დაუდევრობით და სიკვდილის შემთხვევით გამოწვევა.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით შეიძლება ისეთ მოქმედებასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც თვით

არის სისხლის სამართლის კანონით დასჯადი. საამისოდ ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება. ეს მუხლი ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შერეულ ბრალთან და შესაბამისად, ორ შედეგთან - ძირითადი შედეგი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება) და დამატებითი შედეგი (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა).

სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. ამდენად, ორმაგი ბრალით ჩადენილი დანაშაულები, სუბიექტური მხრივ, განზრახ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება.

ამ მუხლით პასუხისმგებლობა უფრო მკაცრია, ვიდრე სსკ-ის 116-ე მუხლით. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის დამნაშავე უნდა დაისაჯოს სსკ-ის 117-ე ან 118-ე მუხლით. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, როდესაც საქმე ეხება უკანონო აბორტს, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 133-ე მუხლის მესამე ნაწილი), ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ა.შ. საერთოდ, სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საჭიროა გავმიჯნოთ სხვა დანაშაულთაგან, რომლის ერთ-ერთი შესაძლებელი შედეგია სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით სპეციალური წესების, მაგალითად, საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო საშუალებით ექსპლუატაციის წესების დარღვევით¹³².

ქმედების სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებით კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჯანმრთელობის მძიმე

132 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, რედაქტორი, ო.გამყრელიძე, თბ., 2002., გვ.96-97.

მე, ნაკლებად მძიმე დაზიანებასა და დამდგარ შედეგს შორის. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო შედეგის (სიკვდილის) აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი (სიკვდილი) არ განხორციელდებოდა.

მაგრამ, მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის ქმედების სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებით კვალიფიკაციისათვის არაა საკმარისი. აუცილებელია სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებლობის დადგენა. კერძოდ, იმის დადგენა, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებისას დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით იმედოვნებდა, რომ სასიკვდილო შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული (დაზარალებულს დროულად ჩაუტარებდნენ სათანადო მკურნალობას). ანდა, მართალია, სიკვდილის დადგომას არ ითვალისწინებდა, მაგრამ მიყენებული ზიანის სიმძიმედან ან სხვა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, მას შეეძლო მისი სიკვდილის გათვალისწინება და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა იგი.

ზოგჯერ რთულია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი სასამართლო პრაქტიკიდან.

2015 წლის 18 აპრილს სალამოს საათებში სუფრაზე მომხდარი კამათის გამო ავთომ ბესოს ერთხელ შემოარტყა ხელი სახეში. ბესო გადავარდა და თავით ხეს დაეჯახა, რის შემდეგაც მან გონება დაკარგა. თუმცა რამდენიმე წუთში მოვიდა გონს და თავისი ფეხით წავიდა სახლში. სახლში მისვლისას მან თავი შეუძლოდ იგრძნო, ოჯახის წევრებმა ბესო მეზობლის მანქანით წაიყვანეს ქარელის რაიონის საავადმყოფო-

ში. ბესო 2015 წლის 29 აპრილს გარდაიცვალა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ავთოს მსჯავრი დაედო სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა).

სწორია თუ არა აღნიშნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

კაზუსიდან ორი წინასწარი ვერსია- ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაყენოთ, კერძოდ, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა და სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ამოხსნა:

1-ლი ჰიპოთეზა (პირველი სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ავთომ ჩაიდინა სსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (ბესოს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა).

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედება და შედეგი

სუფრაზე მომხდარი კამათის გამო ავთომ ბესოს ერთხელ შემოარტყა ხელი სახეში შედეგად ეს უკანასკნელი გადავარდა და ხეს დაეჯახა, რის გამოც დაკარგა გრძნობა სსკ-ის 117-ე ბესოს სიკვდილთან. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან არ შეიქმნებოდა კონკრეტული საფრთხე. მიზეზობრივ პირობათა ტოლფასოვნების თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბებული (კონდინციოს) ფორმულის მიხედვით, ავთოს ხელი რომ არ გაერთყა, ბესო არ გადავარდებოდა და ხეს არ მიატყვამდა თავს, არ დაშავდებოდა და არ დაიღუპებოდა. ავთოს ქმედების გამორიცხვით გამოირიცხება ბესოს სიკვდილი. მა-

შასადამე, ავთოს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ბესოს სიკვდილთან. ავთოს ობიექტურად შეერაცხება ბესოს სიკვდილი.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა-გაუფრთხილებლობა

ამ ეტაპზე განხილულ უნდა იქნას: ქმედების ჩადენისას ავთომ მოქმედებდა განზრახ თუ განზრახვის გარეშე. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ქმედების ჩადენისას ავთოს არ გამოუყენებია სპეციალურად სხეულის დასაზიანებლად მომარჯვებული რაიმე მჭრელი, მჩხვლეტავი ან სხვა ისეთი მყარი საგანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანისათვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება, რაც შეეხება ავთოს მიერ გაშლილი ხელის დარტყმას ბესოსათვის ძნელად სავარაუდოა, რომ ეს განზრახვა შედეგის სახით მოიცავდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას. უფრო მეტიც, არ არის საფუძველი ვარაუდისა, რომ ქმედების ჩადენისას ავთომ შეგნებულად უშვებდა ან შეცნობილი ჰქონდა გაშლილი ხელის სახეში დარტყმით ისეთი შედეგის დადგომა, როგორცაა სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ავთოს დარტყმის ძალა საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ იმისათვის, რომ წონასწორობა დაეკარგა და გადავარდნილიყო ხის მიმართულებით.

ამდენად მძიმე დაზიანება, რომელმაც საბოლოოდ ბესოს სიკვდილი გამოიწვია, უნდა განვიხილოთ როგორც ხეზე დაჯახების შედეგი, რაც, თავის მხრივ, მიზეზობრივ კავშირშია ავთოს ქმედებასთან. თუმცა საქმეში არ არსებობს რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, რომ ქმედების ჩადენისას ავთომ ითვალისწინებდა ხსენებული მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში იმის ვარაუდი, რომ ავთოს მოსალოდნელი შედეგის მიმართ შეიძლება ჰქონოდა განზრახვა ან თვითიმედოვნებით დამოკიდებულება, უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ, რადგან საქმეში არ მოიპოვება ასეთი ვარაუდის დასაბუთებული საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ პირ-

ველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული. კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო არა დამდგარი შედეგიდან, არამედ შექმნილი საფრთხიდან გამომდინარე. ამასთანავე, სასურველი იქნებოდა სიცოცხლის მოსპობაზე გაუფრთხილებელი მსჯელობაც. სამწუხაროდ, არცერთი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ჩანს, თუ რატომ მოხდა აქცენტის გადატანა ჯანმრთელობის მიმართ დაზიანებაზე, მაშინ როდესაც გადამწყვეტია ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ. ასევე, რეალურად ავთოს ხელის გარტყმა სახეში არ ნიშნავს ავტომატურად, რომ განზრახ მოქმედებდა. შესაბამისად, განზრახი ქმედება კვალიფიკაციიდან უნდა ამოირიცხოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავთოს განზრახ დანაშაული არ ჩაუდენია.

-დასკვნა: ავთოს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება- ბესოს ჯანმრთელობის განზრახ მიძიმედ დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია, ავთომ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება - სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ავთოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ხელის გარტყმას შეიძლება მოჰყოლოდა მიძიმე შედეგი. მიზეზობრივი კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და შედეგს შორის არსებობს. ვინაიდან, ავთოს მიერ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაში შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტურად შერაცხვის საკითხი დადგება დღის წესრიგში. რაც იმას ნიშნავს რომ ავთოს ბესოს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა-გაუფრთხილებლობა

წინდახედულობის ნორმის დარღვევა სახეზეა. ავთოს

უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ხელის გარტყმას შეიძლება მოჰყოლოდა მიძიმე შედეგი, თუმცა, შესაძლო დამდგარი შედეგის მიმართ ავთოს მოქმედება ატარებდა შეუცნობელ ხასიათს. მას გაცნობიერებული არ ჰქონდა თავისი ქმედების საშიში ხასიათი, ვერ ითვალისწინებდა მოსალოდნელი მიძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა. უფრო მეტიც, თავიდან აცილებინა იგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავთომ გამოიჩინა უპატივცემლობა, უყურადღებობა და წინდაუხედაობა, რასაც შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.

-მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არაა ნახსენები.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არ არის მოცემული.

პასუხი. ავთომ ჩაიდინა სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

კანონმდებელმა სსკ-ის 116-ე მუხლის მეორე ნაწილით ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია ქმედების ჩადენა ორი ან მეტი პირის მიმართ - ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხოლო მეორის ჯანმრთელობის ნაკლებად მიძიმე ან მიძიმე დაზიანება (ორივე შემთხვევაში გაუფრთხილებლობით), რომელიც დაკვალიფიცირდება სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 124-ე მუხლის ერთობლიობით.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც სიკვდილს იწვევს თვითონ დაზარალებულის მიერ სპეციალური გამაფრთხილებელი წესების უხემად დარღვევა.

ქ. ბათუმის ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი სანარმოს ტერიტორიაზე თოფით ხელში ფრინველებზე ნადირობდა. მის მძღოლსაც მოუწია გართობა და სთხოვა მას იარაღი. დირექტორმა უარი უთხრა. მან მოულოდნელად ხელი სტაცა თოფის ლულას და თავისკენ მისწია. გაისმა თოფის ხმა და

მძლოლი ადგილზევე გარდაიცვალა. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ქარხნის დირექტორი გაუფრთხილებლობით მკვლელობაში. ზემდგომი სასამართლო არ დაეთანხმა ქარხნის დირექტორის ქმედების ასეთ კვალიფიკაციას. მათი აზრით, მძლოლის სიკვდილი მისივე გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, რადგან თვით მან უხეშად დაარღვია ცეცხლსასროლი იარაღის ხმარების წესები. ამიტომ დირექტორი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლო პრაქტიკა მტკიცედ იცავს იმ შეხედულებას, რომ თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით მკვლელობაში შეუძლებელია. ავთომ და ბესომ რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ბუჩქებს უკან დათვი მოძრაობს, ერთნაირი-16 კალიბრიანი თოფები გაისროლეს ბუჩქების მიმართულებით. ერთ-ერთი მათგანის ტყვია მოხვდა ადამიანს, რომელიც მათ დათვი ეგონათ. გამოძიებამ ვერ დაადგინა, თუ რომლის ტყვიამ მოკლა კაცი. სასამართლომ შესაძლებლად სცნო მათი მოქმედების კვალიფიკაცია, როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობაში თანამონაწილეობისა (თანაამსრულების სახით). ზემდგომმა სასამართლომ ასეთი კვალიფიკაცია არასწორად ჩათვალა, ვინაიდან, „თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ განზრახ და არა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში“.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს, ორი ან მეტი პირის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასთან ერთად, სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით, რომელიც ჩადენილია პირის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით. ასეთებად მიჩნეულია: ექიმები და მედიცინის დარგის სხვა მუშაკები, მასწავლებლები, საბავშვო დაწესებულებათა აღმზრდელები, მწვრთნელები, ასევე ის პირები, რომელთა პროფესიაც დაკავშირებულია მომეტებული საფრთხის წყაროსთან (ელექტრო მონიტორები, ლიფტორები) და სხვა¹³³

133 Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, м. 2014., с. 154.

კარგი იქნებოდა თუ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მეორე ნაწილი გაითვალისწინებს ზემოაღნიშნული სახის დამამძიმებელ გარემოებას.

განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, განზრახ მკვლელობისაგან და, მეორე მხრივ, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისაგან, რასაც მოჰყვა სიკვდილი. მკვლელობისაგან განსხვავებით, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენს ამ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობის მიმართ არ ამოძრავებს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით მკვლელობად არ იწოდება. იგი ითვლება სიცოცხლეზე დანაშაულებრივი ხელყოფის სახესხვაობად. რაც შემთხვევაში, ძნელია თვითიმედოვნებით სიცოცხლის მოსპობის გამიჯვნა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობისაგან. არცერთ შემთხვევაში ბრალდებულს არ სურს მძიმე შედეგის დადგომა. არაპირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური მომენტი ხასიათდება პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებით, მავნე შედეგის დადგომის რეალური გათვალისწინებით, ხოლო თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს თავისი ქმედების მძიმე შედეგის დადგომის აბსტრაქტულ შესაძლებლობას. მე-2 განსხვავება ნებელობით მომენტშია. არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. დასკვნა იმის შესახებ, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებელი იყო თუ შემთხვევითი, უნდა აიგოს პროვინებისა და მთელი სიტუაციის გულდასმით შესწავლის შედეგად.¹³⁴

განსახილველი დანაშაული ძირითადად მიხედვით განსხვავდება სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებისაგან. ბრალდებულის განზრახვა არაა მიმართული სხვისი ჯანმრთელობის დაზიანებისაკენ (როგორც ამას ადგილი აქვს სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებში), არამედ პირის თვითიმედოვ-

134 Бюллетень ВС РФ, 1994 №4, с. 3-4.

ნებით ან დაუდევრობით ჩადენილი ქმედების გამო დგება სხვისი სიკვდილი. კანონმდებელს სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებში რომ არ გაეთვალისწინებინა ეს დამამძიმებელი გარემოება, ქმედება ასეთ შემთხვევაში დაკვალიფიცირდებოდა დანაშაულთა ერთობლიობით სსკ-ის 116-ე და 117-ე მუხლებით ან 118-ეთი.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა

2012 წლის 17 მაისს, ღამით, დაახლოებით პირველ საათზე, დავითმა ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ტერიტორიაზე, - უბანში, მკვრივი, ბლავი საგნის გამოყენებით სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის უბნის უფროს რეინჯერ მერაბს, მის სამსახურეობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიღებული დაზიანებების შედეგად მერაბი ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულებრივი კვალის დაფარვისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, იმავე ღამეს დავითმა მერაბის გვამი გადაიტანა საფეხმავლო გზიდან მოშორებით, რათა იგი შეუმჩნეველი ყოფილიყო სხვა პირთათვის.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განაჩენით დავითი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში-მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დავითმა და მისმა ადვოკატმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის

საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დავითი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 მაისის განაჩენის გაუქმებას და გამართლებას. ადვოკატი კი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არც ერთი მტკიცებულება არათუ პირდაპირ, არამედ ირიბადაც კი არ ადასტურებს დავითის შემხებლობას მერაბის მკვლელობასთან. სააპელაციო სასამართლომ დავითის ქმედება უნდა დაკვალიფიციროს მაქსიმუმ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით.

გარდა აღნიშნულისა, კასატორები აღნიშნავენ, რომ დავითი ფაქტობრივად 2012 წლის 18 მაისს, 21 საათზე, მიიყვანეს ხარაგაულის პოლიციაში და ამის შემდეგ მას შეზღუდული ჰქონდა თავისუფლად გადაადგილების საშუალება, რაც, საქართველოს სსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირის დაკავებას ნიშნავს. კანონის თანახმად, დავითს ბრალი უნდა წარდგენოდა 2012 წლის 20 მაისს, რისი დარღვევის გამოც, სსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, თუნდაც კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დავითი და მისი ადვოკატი ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის გამართლებას.

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებული დავითისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, მსჯავრდებული დავითის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტიდან (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან ან საზო-

გადოებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით) უნდა გადაკვალიფიცირდეს 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება, დავითის მიერ განზრახ მკვლელობის ფაქტი. ამ მიმართებით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნა წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს და არ ეფუძნება მტკიცებულებათა ერთობლიობას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვისათვის აუცილებელია დადგინდეს პირის განზრახვა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაკენ და მოტივი, რომ აღნიშნულს ის აკეთებს მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. განზრახვის დაუდგენლობა თავისთავად გამორიცხავს მოტივს და, შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ფაქტი იმის შესახებ, რომ დავითმა გაუფრთხილებლობით მოუხსპო სიცოცხლე მერაბს (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით გადაიტანა გვამი კლდის პირას, რათა მოეწყო უბედური შემთხვევის იმიტაცია.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ გა-

ნაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

დავითი ცნობილ იქნას უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დავითი ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, 2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი-2018 წლის მდგომარეობით;
4. ვ. მაყაშვილი, თ. ნერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბილისი., 1980;
5. ზ. მყავანაძე, სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, თბილისი, 2000;
6. ზ. ნულაია, სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
7. ზ. ტაბლიაშვილი, მ. მამნიაშვილი, „დევიაცია, თვითმკვლელობა“, თბილისი, 2000;
8. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, „დანაშაული ადამიანის წინა-

- აღმდეგ“ თბილისი, 2002
9. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, რედაქტორი, ო. გამყრელიძე, თბილისი, 2002;
 10. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - თბილისი., 2006;
 11. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი., 2007;
 12. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი., 2010;
 13. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი., 2011;
 14. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2014;
 15. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი., 2014;
 16. ირაკლი დვალაძე, გიორგი თურმანიშვილი, ნინო გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბილისი., 2015;
 17. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016;
 18. ბაჩანა ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2016;
 19. Бородин С.В., Ответственность за убийство: квалификация и наказание по Российскому праву, М., 1994;
 20. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М., 2000;
 21. Уголовному праву Российской Федерации (Особенная часть), практикум, под. Ред. А. Рагога и м., 2014;
 22. Бюллетень ВС РФ, 1994, №4;
 23. Бородин С.В., Ответственность за убийство: Квалификация и наказание по Российскому праву, М., 1994;
 24. Аргашева Н. А., Российский юридический журнал, м., 1996.

თავი VI

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება, სახეები და მათი ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება

მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ზოგადად მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა - ესაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, მეცნიერული, სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ხასიათის ღონისძიებათა ერთობლიობა, რაც მიმართულია ყველა ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და დღეგრძელი აქტიური სიცოცხლის შენარჩუნებისაკენ.¹³⁵

სისხლის სამართლის კოდექსით ამ ჯგუფის დანაშაულები სხეულის დაზიანებად იწოდებოდა. დღეს მოქმედი კოდექსით კი „სხეულის დაზიანება“ შეიცვალა „ჯანმრთელობის დაზიანებით“, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ამ თავში მოცემული დანაშაულებრივი ქმედებებიდან ზოგიერთი სულაც არ აყენებს ზიანს ადამიანის სხეულს მისი პირდაპირი გაგებით. მაგალითად, ფსიქიკური ავადმყოფობა, ან კიდევ ძალადობა, რომელიც იწვევს დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვას. ამდენად, „ჯანმრთელობის დაზიანება“ უფრო ფართო ცნებაა.

ჯანმრთელობას, როგორც ადამიანის ხელშეუვალ უფლებას, უპირველეს ყოვლისა, იცავს საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისთვის.

2008 წლის 28 აპრილის კანონით პარლამენტმა მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. ადრე სსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილი მოიცავდა დამამძიმებელ გარემოებებს მთლიანად. ახალი

¹³⁵ ზ. ნულაია, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2000., გვ. 112.

კანონით კი სსკ-ის 117-ე მუხლი 8 ნაწილისაგან შედგება და შესაბამისად დამამძიმებელი გარემოებები სხვადასხვა ნაწილშია დაჯგუფებული. ამასთან, ყოველი მომდევნო ნაწილი უფრო მძიმე სანქციითაა აღჭურვილი, თუმცა გაუგებარია რატომაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება დანაშაულის დაფარვის ან გაადვილების მიზნით ნაკლებად საშიში, ვიდრე მისი ჩადენა არაერთგზის ?!

რაც შეეხება სსკ-ის 119-ე მუხლს (ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით), იგი ამ კოდექსიდან ამოღებულია, ხოლო სასიკვდილო შედეგი ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების დროს მაკვალიფიცირებელ გარემოებადაა გათვალისწინებული თავად სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლების შემადგენლობაში.

განსახილველი დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია სხვისი ჯანმრთელობა. საკუთარი ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება აბსოლუტურად, უმრავლეს შემთხვევაში, დანაშაულად არ ითვლება. ჯანმრთელობა ადამიანის კუთვნილი სიკეთეა და მას უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი. გამონაკლისს წარმოადგენს სსკ-ის 390-ე მუხლი (სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით ან სხვაგვარი მოტყუებით).

ამ ჯგუფის დანაშაულთა შემადგენლობები - მატერიალურია. პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის საჭიროა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს (ანუ დაზიანებას) შორის. მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ დანაშაულებრივ ქმედებად, თუ იგი ჩადენილია მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად. სხვა პირისათვის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება აუცილებელი მოგერიების, დამნაშავის შეპყრობისა და უკიდურესი აუცილებლობის პირობებში დანაშაულად არ ითვლება. ანალოგიურად უნდა გადანყდეს საკითხი თუ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას ჰქონდა ადგილი მართლზომიერი რისკის დროს.

ობიექტური მხრივ, ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენა ხდება, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მაგალითად, პირი რომელიც ვალდებულია მოუაროს ავადმყოფს, არ აძლევს მას საკვებს, რის შედეგადაც ავადმყოფის ჯანმრთელობა უარესდება. პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებულია ამ სახის დანაშაულის ჩადენა მოქმედებით.

სუბიექტური მხრივ, განსახილველ დანაშაულებრივ ქმედებათა უმრავლესობის ჩადენა ხდება ბრალის ორივე ფორმით - პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედებით ზიანს აყენებს სხვა ადამიანის ჯანმრთელობას და სურს იგი ან შეგნებულად უშვებს შედეგს (ანუ ჯანმრთელობის დაზიანების) დადგომას.

ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვაგვარი მოქმედებით. კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ხასიათის მოქმედებას მიმართა დამნაშავემ - მექანიკურ, თერმულ, ქიმიურ თუ ფსიქიკურ და ა.შ. ზემოქმედებას. დანაშაულის ჩადენის საშუალებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მხოლოდ სასჯელის ზომის განსაზღვრაზე. როგორც წესი, სასამართლოები ნაკლებად მკაცრ სასჯელს მიმართავენ მაშინ, როცა დაზიანება მოხდა ხელის, მუშტის, ქვის ჩარტყმით. იგივე ხარისხის დაზიანება ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენებით უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს¹³⁶.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯანმრთელობის დაზიანება გამორიცხული არ არის უმოქმედობით. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი უმოქმედობის მიზეზობრიობის თავისებურებათა გათვალისწინებით გადანყდება. უმოქმედობა მაშინ არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა. მისი სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. შვილი,

¹³⁶ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2002., გვ. 101.

რომელიც რამდენიმე დღით მიატოვებს მოხუც და ავადმყოფ დედას მარტო, რასაც მოხუცის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება მოჰყვება, პასუხს აგებს არა განსაცდელში მიტოვებისათვის, არამედ ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. თუ პირმა ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება მოუაროს ავადმყოფს, ატაროს უსინათლო და შემდეგ არ შეასრულა ეს მოვალეობა, მისი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

მოტივი და მიზანი შეიძლება მრავალგვარი იყოს. უმეტეს შემთხვევაში მათ არა აქვთ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, მაგრამ ზეგავლენას ახდენენ სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე. მოტივისა და მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ქმედება ჩადენილია: ანგარებით ან შეკვეთით; ხულიგნური ქვენაგრძობით; სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით.

ჯანმრთელობის დაზიანების ხერხებსა და საშუალებებს უმეტეს შემთხვევაში არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. მათი დადგენა აუცილებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციის მიზნით. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანების ხერხი და საშუალება ზეგავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" და მე-7 ნაწილის "ა" პუნქტები. (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას).

6.1. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება და სახეები

ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საკმაოდ გავრცელებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა. ჯანმრთელობის დაზიანება ხშირად მორალურ და მატერიალურ ზიანსაც იწვევს. კანონმდებლობამ ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანება გამოყო და ჩამოთვალა. დაზიანების ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრა ხდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური დებულების მიხედვით, რომელიც დაზიანების ხარისხს ადგენს მისი ხასიათისა და საშიშროების შესაბამისად. ჯანმრთელობის დაზიანებაში იგულისხმება ანატომიური მთლიანობის დარღვევა, ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლა და სხვა, რომელიც წარმოიშობა მასზე ფიზიკური ზემოქმედებით: ცემით, ბლაგვი, ბასრი ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და ა. შ..

ჯანმრთელობის დანაშაულებრივი ხელყოფა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, თუ მან უკვე გამოიწვია მავნე შედეგი, ხოლო მისი ხარისხი დადგინდება დაზიანების სიმძიმის მიხედვით.

ჯანმრთელობის დაზიანება, სუბიექტური მხრივ, ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ირიბი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით.

ხშირ შემთხვევაში, პიროვნება განზრახვის დროს ვერ ითვალისწინებს დაზიანების ხარისხს, ე.ი. ვერ საზღვრავს, რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას, არადა დანაშაულებრივი მოქმედება მიმართულია დაზარალებულის ფიზიკური ვნებისაკენ. მაგალითად: ბრალდებული ქვას ესვრის გაქცეულს, სურს, რომ მოახვედროს მას და ავნოს, მაგრამ თავში მოხვდება თუ ფეხზე ეს არ იცის. მოტეხავს ფეხს თუ დაუზიანებს, ამის გათვალისწინების საშუალება არ აქვს, არ ფიქრობს ამაზე, ე.ი. ბრალდებულს თავისი მოქმედების შედეგი დაკონკრეტებული არ აქვს და მოქმედების კვალიფიკაცია განისაზღ-

ვრება ფაქტობრივი ზიანის მიხედვით.

კვალიფიკაცია რომ კანონიერი იყოს, აუცილებელია სამი მნიშვნელოვანი მომენტის შეფასება და ანონ-დანონ-ვა:

1) განზრახვა

2) იარაღის სახეობა

3) დაზარალებულის სხეულის ნაწილი.

მაგალითად, თუ ბრალდებული ცეცხლსასროლ იარაღს ფეხის არეში ესვრის, მოქმედება დაკვალიფიცირდება ფაქტური ზიანის მიხედვით, მაგრამ თუ თავის ან გულმკერდის არეში ესვრის, მაგრამ დამნაშავესგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაზარალებული მიიღებს მსუბუქ დაზიანებას, მოქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობად. ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში სუბიექტის მიზანი და მოტივი ყოველთვის არ არის ერთადერთი და აუცილებელი ნიშანი კვალიფიკაციის განსაზღვრისთვის. მაგალითად, შელაპარაკების ნიადაგზე გაქცეულ დაზარალებულს ქვა ესროლა რა დამნაშავემ, იგი მხარში მოხვდა მას და გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ასეთ ვითარებაში თქმა იმისა, რომ დამნაშავეს სურდა, ქვის მოხვედრით მძიმე ზიანის გამოწვევა, არ იქნება სამართლებრივი. ამიტომ აქ მიზნის დაკონკრეტებას ყურადღება არ ექცევა (როგორი ზიანი სურდა) და კვალიფიკაცია განისაზღვრება ფაქტობრივი დაზიანების მიხედვით. ვერც იმას ვიტყვით, რომ ქვის სროლით ბრალდებულის მიზანი იყო, თავში მოხვედროდა იგი დაზარალებულს და მოეკლა, მაგრამ რადგან გადარჩა, მისი მოქმედება მკვლელობის მცდელობით დავაკვალიფიციროთ. ასე რომ, ჯანმრთელობის დაზიანების დროს განზრახვამ, იარაღის სახეობამ, მისი გამოყენების ინტენსიურობამ, რეალურმა საშიშროებამ, შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობამ, ობიექტურმა შედეგმა ურთიერთშეთანაწყობის კვალობაზე უნდა მოგვცეს იმ გარემოების სწორი შეფასება, რომელიც განაპირობებს ქმედების სწორ კვალიფიკაციას.

ადამიანის განზრახ დაზიანების დროს წამოჭრილი კვალიფიკაციის პრობლემა. თუ დადგინდება, რომ ადამიანის

ჯანმრთელობისათვის დაზიანების მიყენების დროს პირი ითვალისწინებდა, რომ მის ასეთ ქმედებას შეიძლება მოჰყოლოდა ადამიანის სიკვდილი და სურდა იგი, ან ითვალისწინებდა, რომ მის ასეთ ქმედებას შეიძლება მოჰყოლოდა ადამიანის სიკვდილი და სურდა იგი, ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას, ან თუმცა არ სურდა ასეთი შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა ამ შედეგის დადგომას, მაშინ პირის მიერ ჩადენილი ეს ქმედება უდავოდ შეიცავს განზრახ მკვლელობის ან ასეთის მცდელობის ნიშნებს და იგი აუცილებლად დაკვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც განზრახ მკვლელობა და, თუ შედეგი არ დადგება, მაშინ როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა.

მოცემული საკითხის სწორად გარკვევისა და ამ მიმართებით მოსალოდნელი ახალი ვერსიების წამოყენების თავიდან აცილების მიზნით, გამოძიების პროცესში სრულყოფილად უნდა მოხდეს იმის დადგენა თუ სად, როდის, რა გარემოებაში, სხეულის რა ნაწილზე და რა საშუალებით (დანაშაულის ჩადენის საგანი), როგორ, რამდენჯერ და რა თანმიმდევრობით მიაყენა პირმა დაზარალებულს ჯანმრთელობის დაზიანება, რა მიმართულებისაა სხეულზე მიყენებული ჭრილობები და სხვა.

მაგალითად, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადრე სხვადასხვა დანაშაულისათვის არაერთხელ ნასამართლევმა ბესომ, ურთიერთშელაპარაკების დროს განზრახ მოკვლის მიზნით ავთოს სამჯერ დაარტყა დანა წელისა და გულმკერდის არეში. ბეჭის არეში დარტყმის დროს დანა ჩაუტყდა და დანის პირი სხეულში ჩარჩა. მისი ეს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით, რადგან დროული სამედიცინო დახმარებით ავთო სიკვდილს გადაურჩა. გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბესომ წამოაყენა ვერსია, რომ იგი მოქმედებდა არა ავთოს განზრახ მოკვლის მიზნით, არამედ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სა-

სამართლო პალატამ არ გაიზიარა. ბესოს მიმართ გამოტანილი განაჩენი ცნო სწორად და 2002 წლის 1 ოქტომბრის განჩინებაში მართებულად მიუთითა: „საქმეში არსებული მასალების სწორი, საფუძვლიანი განზოგადების შედეგად საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ავთოს მხრიდან ადგილი არ ჰქონდა ბესოზე თავდასხმას. პირიქით, ურთიერთშელაპარაკების დროს განაწყენებულმა ბესომ გაიყვანა გვერდზე ავთო და მოკვლის მიზნით, მოულოდნელად, სამჯერ დაარტყა დანა და მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება; და, რომ ამ დაზიანებების განლაგება და ჭრილობების მიმართულებები შეესაბამება დაზარალებულ ავთოს მიერ აღწერილ გარემოებაში მიყენებული ჭრილობების მიმართულებებს და ეს დადასტურებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით, ფიზიო-ტექნიკური ექსპერტიზითა და თვითონ დაზარალებული ავთოს ჩვენებით.

6.2. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117-ე)

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება საკმაოდ საშიში მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებაა. იგი მწვავედ ხელყოფს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას.

მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: “ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა, რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის ნარუმბული დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრო-

მისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან”¹³⁷

ობიექტური მხარე გამოიხატება ჯანმრთელობის მართლსაწინააღმდეგო დაზიანებით, რომელიც მოიცავს: მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (ან უმოქმედობას). დანაშაულებრივ შედეგს ადამიანის მძიმე დაზიანების სახით.

დანაშაულებრივ მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას.

ჯანმრთელობის დაზიანება ხასიათდება მრავალი ნიშნით, რომელიც ჩამოთვლილია კანონის დისპოზიციისაში. მათგან ერთის არსებობაც კი საკმარისია, რათა მუხლი გამოყენებულ იქნას კვალიფიკაციისთვის. ამ საქმეთა გადანყვეტა აუცილებლად საჭიროებს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.

განვიხილოთ სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების სახეები: ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება.

ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ ქმედებად ითვლება ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც სიკვდილით ემუქრება დაზარალებულის სიცოცხლეს ან სიკვდილით მთავრდება.

სიცოცხლისთვის საშიშს მიეკუთვნება ისეთი დაზიანება, როგორც არის თავის ქალაში შემავალი ჭრილობა ან მისი ღია და დახურული მოტეხილობა, თავის ტვინის მძიმე და ნაკლებად მძიმე შეწყვეტა, გულმკერდისა და მუცლის არეში შემავალი ჭრილობა, სისხლის მიმოქცევის არტერიების დაზიანება, დიდი ოდენობით სისხლის დაკარგვა, მე-3 და მე-4 ხარისხის დამწვრობა, თუ მან სხეულის ზედაპირის 15% მოიცვა და ა.შ. ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის, დაკვალიფიცირდება როგორც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მიუხედავად იმისა, გამოიწვია თუ არა მან შრომის უნარის ხანგრძლივი დაკარგვა, დროული სამედიცინო ჩარევის გამო, რადგან ზიანის საშიშროება იზომება არა მკურნალობის შემდეგ, არამედ დაზიანების საწყისში.

¹³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი.

დაზიანება, რასაც მოჰყვება მხედველობის, სმენის, მეტყველების ანდა რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა.

მხედველობის დაკარგვა გულისხმობს ორივე თვალის მხედველობის სრულ მოშლას ან ისეთ დაკარგვას, როცა თითო ერთი მეტრიდან ხედავს.

სმენის დაკარგვა დაკვალიფიცირდება მძიმე დაზიანებით, როდესაც სრულად დაიხშობა სმენა ან ხმის გაგონება შეძლებს ჩვეულებრივი საუბრის დროს ყურის ნიჟარიდან 3-5 სმ-ის მოშორებით.

მძიმე დაზიანებას მიეკუთვნება სხეულის ზოგიერთი ნაწილის ფუნქციის მოშლა ან ამავე ნაწილის დაკარგვა. ასეთ ნაწილებად ითვლება ორგანო, რომელიც ასრულებს რამდენიმე ფუნქციას და აქვს ადამიანისათვის არსებითი მნიშვნელობა. დაზიანება რასაც მოჰყვება ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, აგრეთვე სახის წარუშლელი დამახინჯება. სულიერი ავადმყოფობა ჩაითვლება მძიმე დაზიანებად მიუხედავად იმისა, ეს დაავადება მუდმივი და განუკურნებელია თუ დროებითი. სულიერი ავადმყოფობა მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ბოროტმოქმედის მოქმედებასთან. ეს მოქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ფიზიკურ ზემოქმედებაში ადამიანზე, ასევე ფსიქიკურ ზემოქმედებაში. საგამოძიებო და სასამართლოში პრაქტიკა ასეთად მიიჩნევს დაზარალებულის ეუცარ შეშინებას და ა.შ. მძიმე დაზიანებაში შედის ფსიქიკური სიმყარის მოშლა, რომელიც გამონვეული იყო ფიზიკური ან ფსიქოტრამვით, ინფექციის შეჭრით, მონამვლით და სხვა.

ფსიქიკური ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 117-ე მუხლით, როდესაც ბრალდებული ითვალისწინებდა, რომ მის მოქმედებას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა, რაც შეეხება ორსულობის შეწყვეტას ეს უკანასკნელი, მიუხედავად ორსულობის ვადისა, განიხილება როგორც განზრახი მოქმედების შედეგი. იგი მიმართულია ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანების მისაყენებლად და გამოიხატება ცემაში, ჭრილობებისა და სხვადასხვა ტრამვების მიყენებასა და მომნამვლელი ნივთიერებების გამოყენებაში და ა.შ. სწორედ

ეს მომენტი განასხვავებს ამ დანაშაულს უკანონო აბორტებისაგან. იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით აუცილებელია დადგინდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ტრავმების მიყენებასა და ორსულობის შეწყვეტას შორის. რაც შეეხება სახის წარუშლელ დამახინჯებას. ეს განიხილება როგორც ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანების მიყენების დამოუკიდებელი ნიშანი. იგი იმდენად უარყოფითად მოქმედებს დაზარალებულის სულიერ განწყობაზე, რომ ზოგჯერ თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს იგი. სახის დამახინჯების საკითხს წყვეტს გამოძიება და სასამართლო, რომლებიც ორიენტაციას იღებენ სილამაზისა და სიმახინჯის საყოველთაოდ მიღებულ ესთეტიკურ ცნებაზე. მხედველობაში მიიღება სქესი, ასაკი, დაზარალებულის პროფესია, ფასდება სახის დამახინჯების ხარისხი. აუცილებელია აგრეთვე დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ბოროტმოქმედის მოქმედებასა და დამახინჯებას შორის.

ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება დაკავშირებული საერთო შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვასთან ერთი მესამედით ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ მოშლასთან. ამ შემთხვევაშიც კანონმდებელს მხედველობაში არ აქვს ისეთი დაზიანება, რაც სახიფათოა სიცოცხლისათვის. ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება მძიმე დაზიანებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც მან გამოიწვია საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა, სულ ცოტა ერთი მესამედით. საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვა მყარად ჩაითვლება, თუ იგი სამუდამოდ არის დაკარგული ან შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ აღდგეს მხოლოდ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ. ამრიგად, შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვად უნდა მივიჩნიოთ, როცა პირს არ შესწევს უნარი შეასრულოს რაიმე შრომითი ფუნქცია და არის I ან II ჯგუფის ინვალიდი. მძიმეს მიეკუთვნება ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვასთან. ეს მძიმე ვნება მაშინ ეთვლება დანაშაულს ბრალად, თუ მან იცოდა დაზარალებულის პროფე-

სია და დანაშაულებრივი ზემოქმედებით განზრახ მოუსპო შესაძლებლობა გაეგრძელებინა პროფესიული საქმიანობა. მაგალითად: პიანისტს მოაჭრეს თითები ხელზე. პროფესიული საქმიანობის დაკარგვის განსაზღვრა არ წარმოადგენს სასამართლო მედიცინის პრობლემას. ასეთი დაზიანება, სამედიცინო თვალსაზრისით, შეიძლება ნაკლებად მძიმე დანაშაულსაც არ მიეკუთვნებოდეს, სამართლებრივი მხრიდან კი რთული და მძიმეა იმდენად, რამდენადაც ადამიანმა სამუდამოდ დაკარგა პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობა. ეს უკვე მისი ჯანმრთელობის განსაკუთრებულ დაზიანებად ითვლება.

უნდა გავიმეოროთ პროფესორ მზია ლეკვეიშვილის მოსაზრება, რომ „შრომისუნარიანობის სიმძიმის შეფასების კრიტერიუმი სადავო საკითხია იურისტებისთვის, ზოგიერი მეცნიერი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს კრიტერიუმი ამოღებულ უნდა იქნას იმ მუხლიდან, რომელიც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს“¹³⁸

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, როგორც თვით კანონის შინაარსიდან ჩანს, ხასიათდება განზრახვი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თითქმის ყოველთვის დამნაშავეს განზრახვას ჯანმრთელობის დაზიანების დროს აქვს არაკონკრეტიზირებული ხასიათი. ე. ი. დამნაშავეს არ აქვს განზრახული ერთი დაზარალებული მძიმედ დააზიანოს, ხოლო მეორე ნაკლებად მძიმედ. დამნაშავე ესვრის, ძალადობს დაზარალებულზე იმისათვის, რომ შური იძიოს, გაბრაზება დაიოკოს. დაზიანების ხარისხი მის შეგნებაში არ არის. ამდენად, ქმედება განზრახ მოქმედების მავნე შედეგით კვალიფიცირდება. მოტივი ჩადენილი ქმედებისა მრავალგვარია (ეჭვიანობა, შურისძიება, სიძულვილი და ა. შ.).

რუსულ კანონმდებლობაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ ბრალეული ქმედების ჩამდენის მოქ-

¹³⁸ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ. 112.

მედების შედეგი დაზარალებულის ნაკლებად მძიმე დაზიანებაა, ხოლო გამოძიებით დადასტურდება, რომ დამნაშავეს მძიმე დაზიანება სურდა, მოქმედება დაკვალიფიცირდება ნაკლებად მძიმე დაზიანებით და მძიმე დაზიანების მცდელობით. ეს გამონათქვამი არ შეეფერება პრაქტიკულ ჭეშმარიტებას და ვფიქრობთ, არც არასოდეს იქნებოდა მსგავსი შემთხვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათანადო მოტივის არსებობის დროს, თუ ბრალდებულის მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდა მკვლელობის მცდელობად, იგი ყოველთვის ფაქტობრივი შედეგით კვალიფიცირდება, რადგან ბრალდებულს არასგზით არ შეუძლია თქვას ან განსაზღვროს მძიმე დაზიანების გამომწვევი დარტყმის მიყენება.

როცა ძირითადი შედეგი (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამონვეულია განზრახ, ხოლო თანამდევნი შედეგი (სიკვდილი) დადგა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მაგრამ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიკაციისთვის არაა საკმარისი. აუცილებელია სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებლობის დადგენა. კერძოდ, იმის დადგენა, რომ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით იმედოვნებდა, რომ სიკვდილი თავიდან იქნებოდა აცილებული. ანდა, მართალია, სიკვდილის დადგომას არ ითვალისწინებდა, მაგრამ მიყენებული ზიანის სიმძიმეიდან ან სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეეძლო მისი სიკვდილის გათვალისწინება და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა იგი.

სამწუხაროდ, ხშირად არ იმიჯნება აუცილებელი მოგერიება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაგან, რომელსაც სიკვდილი მოჰყვა და იქ, სადაც ჩვეულებრივი მართლზომიერი ქმედებაა, სასამართლოს განაჩენი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მუხლით გამოაქვს. **მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი.**

2012 წლის 1 მაისს ბესო “ჰონდას” მარკის ავტომანქანით, რომელსაც თვითონ მართავდა იმყოფებოდა მეგობრის იგო-

რის სახლთან. ბესოს გვერდით იჯდა იგორი, ხოლო ავტომანქანის უკანა სავარძელზე ბესოს ახლობელი ხატია, თავის შვილებთან ერთად. ამ დროს მათთან მივიდა მთვრალი ავტო, რომელიც შეეცადა ბესოს მანქანაში ჩაჯდომას, რისი ნებაც არ მისცეს ბესომ და იგორმა, რადგან მანქანაში ადგილი არ იყო. უარის გამო გაღიზიანებულმა ავტომ ბესოს დაუწყო ლანძღვა-გინება, სახეში ხელი გაარტყა და შეეცადა ავტომანქანიდან მის გადმოყვანას. ბესომ აიღო სახრახნისი და გადავიდა მანქანიდან. მან და ავტომ ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გადაიზარდა ჩხუბში, რომლის დროსაც ბესომ სახრახნისის გამოყენებით ავტოს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. მიყენებული ჭრილობების შედეგად ავტო 2012 წლის 4 ივნისს გარდაიცვალა. რაიონული და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ბესო ბრალეულად ცნეს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში.

სწორია თუ არა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები?

კაზუსიდან ორი წინასწარი ვერსია- ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაცენოთ, კერძოდ, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების, რასაც მოჰყვა სასიკვდილო შედეგი და აუცილებელი მოგერიების შესახებ.

კითხვა: დაისჯება თუ არა ბესო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის, რამაც გამოიწვია სასიკვდილო შედეგი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით?

ამოხსნა. 1-ლი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ბესოს ავტოსათვის სახრახნისის გამოყენებით მიყენებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შედეგად, რასაც მოჰყვა სასიკვდილო შედეგი, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის, რამაც გამოიწვია სასიკვდილო შედეგი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის მე-2 ნაწილით.

კაზუსის ამოხსნა იწყება დანაშაულის შემადგენლობის

პირველი საფეხურიდან. კერძოდ, ქმედების შემადგენლობის ნიშნების შემოწმებით (მოქმედება თუ უმოქმედობა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა, დამთავრებული დანაშაული თუ დანაშაულის მცდელობა).

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი- ბესო;

-ქმედების ობიექტი-ავტოს სიცოცხლე;

-ქმედება და შედეგი - სიკვდილი დადგა- ბესო მკვდარია.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის- სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის (კონდიციო ფორმულის) მიხედვით არსებობს, რადგან რომ არა კონფლიქტი ავტოსა და ბესოს შორის, რაც ჩხუბში გადაიზარდა, ბესო სახრახნისით არ გადმოვიდოდა მანქანიდან და არ მიაყენებდა ავტოს დაზიანებას.

-ობიექტური შერაცხვა

პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბესოს ქმედება გამოწვეული იყო მსხვერპლის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ავტოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რაც გამოიხატება ავტოს მიერ ბესოსთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში. უფრო მეტიც, ავტომ ბესო მანქანიდან გადმოათრია და დაუწყო ცემა. ამდენად ბესოს ავტოს სიკვდილი ობიექტურად არ შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა, გაუფრთხილებლობა - ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დავადგინოთ მოიცავდა თუ არა ბესოს განზრახვა ავტოსათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენებას და სასიკვდილო შედეგს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბესოს ქმედება გამოწვეული იყო მსხვერპლის, ავტოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რაც გამოიხატება ავტოს მიერ ბესოსათვის მიყენებულ სიტყვიერ და ფიზიკურ

შეურაცხყოფაში. ფაქტიურად, ბესო იცავდა თავს თავდამსხმელისაგან. ე.ი. მისი განზრახვა არ მოიცავდა ავთოსათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების სურვილს. ამდენად, ბესოს ქმედებაში არ არის გამოკვეთილი არც განზრახვისა და არც გაუფრთხილებლობის ნიშნები.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება ფაქტი იმის შესახებ, რომ ბესოს მიერ განხორციელებულმა ქმედებამ გამოიწვია იმ ხარისხის დაზიანება, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

ამიტომ, ვინაიდან არ დადგინდა მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტი.

ქმედების შემადგენლობის ნიშანი, ანუ პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ასეთი კავშირის დაუდგენლობის შემთხვევაში კი პირს არ შეიძლება დამდგარი შედეგი ბრალად შეერაცხოს, რადგან არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმული გამო-რიცხავს ბესოსთვის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებრივი შედეგის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

-მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის ვინც, საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით მიაყენებს დაზიანებებს მსხვერპლს, ე.ი. ბესოს ქმედება არ შეიცავს მართლწინააღმდეგობის ნიშნებს.

-დასკვნა:

ბესოს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

მე-2 ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია): შესაძლებელია ბესო მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

ამოხსნა:

-ქმედების შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედების სუბიექტი - ბესო.

-ქმედების ობიექტი-სხვისი ჯანმრთელობა.

-ქმედების შედეგი- ადამიანის სიკვდილი დადგა-ავთო მკვდარია.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის -სასიკვდილო შედეგი.

-ქმედების ობიექტური შერაცხვა:

ბესოს ობიექტურად შეერაცხება ავთოსათვის მიყენებული დაზიანების შედეგად გამოწვეული სასიკვდილო შედეგი იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ სწორედ ბესოს ჰქონდა ავთოს მოკვლის განზრახვა, მისმა ქმედებამ გამოიწვია ავთოს გარდაცვალება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა:

ბესო არ მოქმედებდა განზრახ, იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავს იცავდა და მოქმედებდა თავდაცვის მიზნით.

-დასკვნა :

ბესოს არ ჩაუდენია მართლწინააღმდეგოდ, ბრალეული ქმედება. ე.ი. მის მიერ ჩადენილი ქმედება არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს.

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" პუნქტი- დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ამ შემთხვევაში მსხვერპლად შეიძლება მოგვევლინოს ა)პირი, რომელიც ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, ბ)პირი, რომელიც ასრულებდა საზოგადოებრივ მოვალეობას და გ)მათი ახლო ნათესავი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გულისხმობს, როგორც კერძო ისე საჯარო სამსახურში გარკვეული თანამდებობრივი ფუნქციის შესრულებას, კანონის, წესდების, დებულების შესაბამისად. რაც შეეხება, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას, მასში იგულისხმება ვალდებულება, რაც პირს აკისრია ზნეობრივი ან სამართლებრივი ნორმებით საზოგადოებისა თუ ცალკეულ პირთა სასარგებ-

ბლოდ. მაგალითად, დამნაშავეის შეპყრობა, უკეთესია საუბარი იყოს ბოროტმოქმედის შეპყრობაზე, დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, სასამართლოზე მოწმის მიერ ჩვენების მიცემა, შეტყობინება დანაშაულებრივი ქმედების მზადების შესახებ და ა.შ.

ახლო ნათესავის ცნება კი მოცემულია სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნაში. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ჯანმრთელობის დაზიანება მოხდეს კონკრეტული მოტივით, პირის სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სამაგიეროს მიზღვისა ან ხელის შეშლისათვის. ამასთანავე, აუცილებელია, დაზარალებულმა კანონიერად შეასრულოს ეს მოვალეობა და ამ კანონიერი საქმიანობით უკმაყოფილო პირმა სამაგიეროს გადახდის მიზნით ჩაიდინოს სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება. მაგალითად, სანარმოს დირექტორმა კანონიერად დაითხოვა სამუშაოდან თანამშრომელი, რომელიც სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას. ამაზე განაწყენებულმა მუშაკმა ჯანმრთელობა დაუზიანა დირექტორს, მაგრამ თუ იგივე დირექტორი კანონიერი საფუძველის გარეშე დაითხოვს სამსახურიდან მუშაკს, ხოლო იგი სამაგიეროს გადახდის მიზნით ჯანმრთელობას დაუზიანებს მას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით¹³⁹. პრაქტიკაში შესაძლოა, პირმა შეცდომით ჯანმრთელობა დაუზიანოს არა იმას, ვინც კანონიერად შეასრულა (ან ასრულებდა) თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობა, არამედ სხვას. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, საქმე ხომ არა გვაქვს შეცდომასთან მსხვერპლის პიროვნებაში. თუკი ეს ასეა, მაშინ ასეთი ფაქტობრივი შეცდომა ზეგავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, რადგან სამართლებრივად ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ერთნაირად დაცულია.

ამ საკითხზე არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, პროფესორი მ. ტურავა თვლის, რომ ზემოხსენებული შეცდომის

139 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.131.

დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და არა მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ის ფაქტი, რომ პირს ეგონა, დანაშაულს ჩადიოდა მსხვერპლის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასჯელის დანიშვნისას, როგორც დამამძიმებელი გარემოება (დანაშაულის მოტივი და მიზანი-სსკ-ის 53-ე მუხლი)¹⁴⁰

ამასთანავე, ამგვარი შეცდომისას ქმედების დაკვალიფიცირება ამ დამამძიმებელ გარემოებაზე მითითებით შეუძლებელია იმ მიზეზის გამოც, რომ მოცემულ შემთხვევაში ქმედების მსხვერპლი არაა ის, ვინც ასრულებდა სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას და არც მისი ახლო ნათესავია. ეს კი აუცილებელია ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის შესამე ნაწილის „ა“ პუნქტით კვალიფიკაციისათვის.

”ბ“ პუნქტი - მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც უშუალოდ მძევლად ხელში ჩაგდების პროცესში, ისე მის შემდეგაც. იგი შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (მაგალითად, მსხვერპლისათვის საკვების მიუცემლობით) ამასთანავე, ჯანმრთელობა შეიძლება დაუზიანდეს არა მარტო მძევლად ხელში ჩაგდებულს, არამედ სხვა პირებსაც. მაგალითად, იმათ, ვინც ცდილობდა მათ გათავისუფლებას ან, ვინც ხელს უშლიდა პირის მძევლად აყვანას, თუ პირმა ჩაიდინა ორივე ქმედება- მძევლად ხელში ჩაგდება (ან მისი მცდელობა) და ჯანმრთელობის დაზიანება, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

გასაანალიზებელი დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარე მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში. ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ ადამიანს მძევლად იგდებს ხელში და სურს აღუკვეთოს გადაადგილების თავისუფლება. პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელი ატრიბუტე-

140 მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013., გვ.156.

ბის გარდა, სუბიექტის ნიშანი შეიცავს ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს - სპეციალურ მიზანს, რომლის არსიც ის არის, რომ აიძულოს სახელმწიფო, მისი ხელისუფლების ორგანოების სახით, ასევე მთავრობა კერძო დაწესებულებები ან ცალკეული პირი, შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავონ გარკვეული მოქმედების ჩადენისაგან, მაგალითად, გაათავისუფლოს რომელიმე დამნაშავე ან დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალდებული პირი, ამა თუ იმ პირს გამოუტანონ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი, გადაიხადონ გამოსასყიდი თანხა, უზრუნველყონ დამნაშავეები იარაღით, ტრანსპორტით ფულადი სახსრებით, შეცვალონ პოლიტიკური ხაზი, განახორციელონ ესა თუ ის ღონისძიება ან თავი შეიკავონ რაიმე პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური ხასიათის აქციის ჩატარებისაგან და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ ბრალდებულმა მძევლად ხელში ჩაიგდო ადამიანი, შემდეგ მას მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ორი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. მძევლად ხელში ჩაგდება და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციისათვის მიზანსა და მოტივს მნიშვნელობა არა აქვს. ვინაიდან სსკ-ის 144-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება დამთავრებულია პირის მძევლად აყვანისთანავე, რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზიანებას, ამისთვის საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის.

”გ” პუნქტი- ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

აქ პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის საშუალება. ბრალდებული ჯანმრთელობის დასაზიანებლად შეგნებულად ისეთ საშუალებას ირჩევს, რომელსაც შეუძლია დააზიანოს არა მარტო დაზარალებულის, არამედ სხვა პირთა ჯანმრთელობა ან სიცოცხლე. რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისია საფრთხე შეექმნას ორ პირს მაინც (საუბარია სხვა პირთათ-

ვის საფრთხის შექმნაზე). ამდენად, სახეზეა კონკრეტული საფრთხის დელიქტის სპეციალური გამოვლინება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისია საფრთხის შექმნა, არაა სავალდებულო ამგვარი საშუალების გამოყენებას შედეგად მოჰყვეს სხვა პირთათვის რეალური ზიანი. მაგალითად, ავთომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა კესოს, გასროლის დროს გარდა კესოსი იქ იმყოფებოდნენ სხვა პირებიც. ამ კონკრეტული ქმედების ჩადენის დროს ბრალდებულს სხვა პირთა სიცოცხლის მოსპობისა ან ჯანმრთელობის დაზიანების მიმართ აქვს არა გაუფრთხილებლობა, არამედ მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. თუ ამგვარი საშუალების გამოყენებამ გამოიწვია ასევე სხვა პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მაშინ სახეზეა დამამძიმებელი გარემოება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტებით- ორი ან მეტი პირისა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორივე ეს დამამძიმებელი გარემოება უნდა აისახოს ბრალდებაში, კვალიფიკაცია კი უნდა მოხდეს მხოლოდ მე-7 ნაწილზე მითითებით.

თუ ბრალდებული ამგვარ საშუალებას იყენებს იმიტომ, რომ სურს დააზიანოს რამდენიმე პირის ჯანმრთელობა (მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სროლის დროს - იქვე მყოფი ყველა პირის, დაბადების დღის აღნიშვნის სუფრაზე საჭმლის მონამღვის დროს სუფრის წევრების), მაგრამ თუნდაც მხოლოდ ერთი პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვეს, ქმედება მაინც ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით. ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება ორი ან მეტი პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობით (19, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტით) ხოლო, თუ ქმედების შედეგად ყველა პირთა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვა, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტით (ორი ან მეტი პირის მიმართ).

”დ” პუნქტი - სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარის ისეთი ნიშანი, როგორცაა მიზანი. ქმედების ამ ქვეპუნქტით კვალიფიკაციისათვის მთავარია, ბრალდებულს ამ ორიდან ამოძრავებდეს ერთ-ერთი მიზანი, მაგრამ არაა აუცილებელი რეალურად მიაღწიოს მას. შეიძლება სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით ბრალდებულმა ვერ მოახერხოს სხვა დანაშაულებრივი ქმედების დაფარვა ან მისი ჩადენის გაადვილება, მაგრამ ამას ქმედების ამ ქვეპუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ბრალდებულმა მალაზიის დარაჯს თავში ძლიერი დარტყმით გონება დააკარგვინა, მაგრამ მალაზია მაინც ვერ გაქურდა, რადგან კარი ვერ გააღო. როცა ბრალდებულმა სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით მართლაც გაიადვილა სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობით ჩადენილი ქმედების შესაბამისად.

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განსხვავებით ამ მუხლის მე-2 ნაწილისაგან, აქ სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა შედეგად მოსდევს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რაც ჩადენილი იყო სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში. მაგალითად, სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა გამოიწვია მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ჩადენილმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებამ.

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულია რამოდენიმე დამამძიმებელი გარემოება. ერთ-ერთი მათგანია - დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობით ორსული ქალისა;

აქ მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ დაზარალებული ნამდვილად ორსულადაა და ქალის ჯანმრთელობის დაზიანებით საფრთხე ექმნება ემბრიონის ნორმალურ განვითარებას. ბრალდებულმა უნდა იცოდეს ქალის ორსულობის

შესახებ ზუსტად და არა ვარაუდით.

აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება უნდა განვასხვაოთ ამ მუხლის პირველი ნაწილისაგან, როცა შედეგად დგება ორსულობის შეწყვეტა. სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით ორსულ ქალს უწყდება ორსულობა, (როგორც წესი, ილუპება ემბრიონი), ხოლო დედის ჯანმრთელობას კი ექმნება მძიმე დაზიანების საფრთხე. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - პირიქით, დედის ჯანმრთელობა ზიანდება მძიმედ, ხოლო ემბრიონის სიცოცხლეს კი საფრთხე ექმნება. როცა ბრალდებულს ჰგონია, რომ ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს ორსულ ქალს, მაგრამ ქალი არ აღმოჩნდება ორსული, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალი არაა ორსულად, ესე იგი სისხლისსამართლებრივი დაცვის მეორე ობიექტი სახეზე არ არის.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამძიმების საფუძველია დაზარალებულის ასაკი, მისი მდგომარეობა. ამასთანავე, ბრალდებულმა ზუსტად უნდა იცოდეს, რომ პირი ვისაც უზიანებს ჯანმრთელობას, 18 წელს მიუღწეველია. თუ მან ეს არ იცის, ამ პუნქტით ქმედების კვალიფიკაცია გამოირიცხულია. ქმედებას ამ პუნქტით ვერ დავაკვალიფიცირებთ მაშინაც კი, როცა ბრალდებულს ჰგონია, რომ ჯანმრთელობას უზიანებს არასრულწლოვანს, მაგრამ იგი სრულწლოვანი აღმოჩნდება, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არაა ის მსხვერპლი, რაც გათვალისწინებულია ამ დამამძიმებელ გარემოებაში. ამსრულებელი ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისა უნდა იყოს სრულწლოვანი, რადგან მას აკისრია უფრო მეტი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთან ურთიერთობის დროს.

რაც შეეხება უმწეო მდგომარეობას, იგულისხმება მსხვერპლის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არ შესწევს უნა-

რი, გააცნობიეროს, რა ქმედებას ჩადიან მის მიმართ, ან არ შეუძლია დაიცვას თავისი თავი. ამგვარი უმწეობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ასაკთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დაზარალებულის არასრულწლოვნობის ნიშნებით, რადგან არასრულწლოვნება მოიცავს მცირეწლოვნებასაც. სხვაგვარი უმწეო მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს მძიმე ავადმყოფობით და ა.შ. მთავარია, რომ პირი ბოროტმოქმედის ქმედებით არ უნდა იქნას მიყვანილი ასეთ მდგომარეობამდე. თუ ბრალდებულმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გაადვილების მიზნით პირი ჯერ მიიყვანა უმწეო მდგომარეობამდე (შეუკრა ხელ-ფეხი), ხოლო შემდეგ ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა, ქმედება განსხვავებული პუნქტით დაკვალიფიცირდება. ქმედების კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი არ იყენებს დაზარალებულის უმწეობას მისი ჯანმრთელობის დაზიანების გასაადვილებლად.

ხულიგნური ქვენაგრძნობა მორალურად მეტად გასაკიცხ ქვენაგრძნობათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. იგი დაკავშირებულია ბრალდებულის თავხედობასთან, საკუთარ თავსა და უფლებებზე გადამეტებულ წარმოდგენასთან, სხვისი პიროვნების უპატივცემლობასთან. ხულიგნური ქვენაგრძნობის საფუძველია დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის მისწრაფება. დაუმტკიცოს სხვებს მისი ყოვლისშემძლეობა. აღნიშნულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის არანაირი საბაბი არ მიუცია ბრალდებულისათვის. ასევე, დაზარალებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო საბაბს, რაც ნორმალურ ადამიანში შურისძიების გრძნობას არ უნდა იწვევდეს. თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ხულიგნური ქვენაგრძნობით თან ახლავს ხულიგნობის ჩადენაც (სსკ-ის 239-ე მუხლი), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა დაკავშირებულია სიძულვილსა და აუტანლობას-

თან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ დაზარალებულს ბრალდებულისათვის არ მიუცია იმის საბაბი, რაც შურისძიების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. უფრო მეტიც, შესაძლებელია, დაზარალებულის მხრიდან საერთოდ არ არსებობდეს არანაირი საბაბი. აღნიშნული ქმედება განსხვავდება ხულიგნური ქვენაგრძნობისაგან იმით, რომ ხულიგნური ქვენაგრძნობის დროს ბრალდებულს ამოძრავებს საზოგადოებისათვის თავისი ყოვლისშემძლეობის დემონსტრირების სურვილი, და არა ეროვნული, რელიგიური, რასობრივი ან ეთნიკური სიძულვილი. ამ ნიშნით პირთა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გენოციდის შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშანიცაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეთანხმებული გეგმის შესაბამისად მოქმედებენ. რაც იმას ნიშნავს, რომ გენოციდის დროს ადგილი აქვს გეგმის შემუშავებას, შემდეგ კი მას ახორციელებს სხვა პირი. უფრო მეტიც, გენოციდის აუცილებელი მიზანია მითითებული ნიშნით გაერთიანებულ პირთა მთლიანი ან ნაწილობრივად ამოწყვეტა.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჯგუფურად პუნქტი „ე“. ამ პუნქტით ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის ნაწილს ახორციელებდეს სულ მცირე ორი პირი. მოცემულ შემთხვევაში ორივე ითვლება ამსრულებლად. თანაც, არაა აუცილებელი, ისინი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. ამასთან, ჯგუფის ორივე წევრი უნდა იყოს შერაცხადი და პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული. თუ ამ მოთხოვნას მხოლოდ ერთი პირი აკმაყოფილებს, ქმედება არ ჩაითვლება ჯგუფის მიერ ჩადენილად. ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანებაა, მაგალითად, ავთო და ბესო ნაქცეულ კესოს ფეხებს ურტყამს და ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს, ანდა ავთო აკავებს კესოს, ხოლო ბესო დანით აყენებს მას ქრილობას ფეხის არეში. თუ მხოლოდ ერთი პირია ე.ი. ავთოა ამსრულებელი, ხოლო მეორე თანამონაწილე (მაგალითად, დამხმარე ავთოს გადასცა, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის იარაღი, დანა), მაშინ

ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 25-ე და 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

როცა ბრალდებულის მიზანია ორი ან მეტი პირისათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენება, მაგრამ შედეგად დადგა მხოლოდ ერთი პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება ამ დამამძიმებელი გარემოების მცდელობით სსკ-ის მე - 19, 117-ის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სსკ-ის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულია რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება. კერძოდ:

„ა“ - ორი ან მეტი პირის მიმართ: ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ამძიმებს ის, რომ ბრალდებული ჯანმრთელობას უზიანებს ორ ან მეტ პირს, თანაც ერთიანი განზრახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედება ჩადენილია, როგორც წესი, ერთდროულად ან ერთმანეთის მიყოლებით. თუმცა, არ არის გამორიცხული დროის მცირე მონაკვეთით მათი დაშორება.

როგორც წესი, ერთდროულად ორი ან მეტი პირის განზრახ ჯანმრთელობის დაზიანების სურვილი ბრალდებულს შეუძლია გაუჩნდეს როგორც ქმედების ჩადენამდე, ასევე მისი ჩადენის მომენტში. ორი ან მეტი პირის ჯანმრთელობის დაზიანება, განსხვავებით არაერთგზის ჯანმრთელობის დაზიანებისაგან, წარმოადგენს ერთიან დანაშაულს. დაზარალებულთა ჯანმრთელობის დაზიანება ხდება ერთდროულად ან დროში მცირეოდენი განსხვავებით. მთავარია, გამოიკვეთოს ორი ან მეტი პირის ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვის ერთიანობა და გამოიხატოს მხოლოდ პირდაპირ ან არაპირდაპირ განზრახვაში. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი ორივე პირის ჯანმრთელობის დაზიანება ერთი მოქმედებით იყოს ჩადენილი. შესაძლებელია ასეთი დანაშაულებრივი ქმედება რამდენიმე ერთმანეთზე მიყოლებული მოქმედებითაც იყოს განხორციელებული.

როცა ბრალდებულის მიზანია ორი ან მეტი პირისათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენება, მაგრამ შედეგად დადგა მხოლოდ ერთი პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება ამ დამამძიმებელი გარემოების მცდელობით სსკ-ის მე-19, 117-ის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. თუ ბრალდებულს განზრახული ჰქონდა მარტო ერთი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მაგრამ ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს იგი მოქმედებდა მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიმყენებელი საშიში საშუალებით, მაშინ ბრალდებულის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტით, არამედ 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. აუცილებელია, მსხვერპლის გარდა საფრთხე შეექმნას ორ პირს მაინც უფრო კონკრეტულად, საქმე გვაქვს კონკრეტული საფრთხის სპეციალურ შემთხვევასთან.

„ბ“ - განსაკუთრებული სისასტიკით. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სისასტიკის გამოვლინებაა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებულ სისასტიკეზე, როცა ბრალდებულს სიამოვნებას ჰგვრის ადამიანის ტანჯვა. მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენება საკვების ან წყლის მიუცემლობით, თვალების ამოწვა, ენის ამოჭრა და ა.შ. ამასთანავე, აუცილებელია ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ისეთი ხერხებისა და საშუალების შერჩევა, რომელიც დაზარალებულის ხანგრძლივ და ძლიერ ტანჯვას იწვევს. განსაკუთრებულ სისასტიკედ უნდა ჩაითვალოს ასევე მშობლის თვალნინ შვილის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ან პირიქით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია დაზარალებულის ახლობელთათვის მორალური ტანჯვის შეგნებულად მიყენებაში. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად უნდა მივიჩნიოთ მაშინ, როდესაც ქმედება ჩადენილი ბრალდებულის მიერ განსაკუთრებულ მწამებლურ ხასიათს ატარებს.

„გ“ - ანგარებით ან შეკვეთით. ანგარება ამ დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას ანგარებით ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ იგი არის ბრალდებულისათვის რაიმე გამორჩენის მიღების ან მატერიალური ვალდებულებისაგან გათავისუფლების საშუალება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ბრალდებული მიაღწევს თუ არა ანგარებით მიზანს - ამ პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას. ამას ძირითადად ადგილი აქვს ყაჩაღური თავდასხმის დროს, როცა ბრალდებული დაზარალებულს ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს პირდაპირი განზრახვით მისი წინააღმდეგობის დასათრგუნად, რადგან სხვა ხერხით მისი ქონების დაუფლება ვერ შეძლო. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით სსკ-ის 179-ე და 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ პუნქტით.

განსახილველი ქმედების ჩადენა შეკვეთით ანგარებითი დანაშაულებრივი ქმედების ნაირსახეობაა, მაგრამ გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, შეკვეთით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დროს ყოველთვის არის, სულ მცირე, ორი პირი: ერთი შემკვეთი და მეორე ამსრულებელი. შემკვეთი საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით შეიძლება იყოს როგორც ორგანიზატორი, ასევე ნამქეზებელი. ყველა შემთხვევაში, თუ იგი ამავდროულად არ იყო ერთ-ერთი ამსრულებელი, მისი ქმედება წარმოადგენს თანამონაწილეობას. ხოლო ამსრულებელია ის პირი, ვინც შემკვეთის საფუძველზე სხვას ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს.

„დ“ - დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარი გამოყენების მიზნით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფუძველია ბრალდებულის მიზანი - გამოიყენოს დაზარალებულის სხეულის რომელიმე ორგანო, ორგანოს ნაწილი ან ქსოვილი გადანერგვისათვის ან სხვაგვარად. ამ მიზნის მისაღწევად იგი წირავს სხვის ჯანმრ-

თელობას. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ქმედება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. კონკრეტულად საუბარია იმაზე, რომ დაზარალებულს მისი ნების გარეშე ამოაცალონ თირკმელი ან თვალი გადასანერგად. თუ ბრალდებულის მიზანია დაზარალებულის სხეულის ორგანოდან ამოღებული ორგანო ე.წ. „შავ ბაზარზე“ გაყიდოს ტრანსპლანტაციისათვის, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს „გ“ ქვეპუნქტით - ანგარებით. რაც შეეხება სხვაგვარად გამოყენების მიზანს იგულისხმება მოკვეთილი ან ამოღებული ორგანოს, ორგანოს ნაწილის გამოყენება რელიგიური რიტუალის შესასრულებლად ან კანიბალური მიზნით (ადამიანის ხორცის საკვებად გამოყენება) და სხვ.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობისა. მოცემული პუნქტით არაერთგზისად ჩაითვლება ყველა ის შემთხვევა, როცა პირს ადრე ჩადენილი აქვს სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება, ასევე, როცა მას ადრე ჩადენილი ჰქონდა მკვლელობის რომელიმე სახე გარდა სსკ-ის 110-ე და 114-ე მუხლებისა, როგორც ეს პირდაპირ მითითებულია მოცემულ პუნქტში (საუბარია განზრახ მკვლელობაზე სსკ-ის 108-ე, 109-ე და სხვა პუნქტებზე). ამასთან, აუცილებელია ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ბოროტმოქმედი ნასამართლევი იყოს. ნასამართლობა არ უნდა იყოს კანონის შესაბამისად მოხსნილი ან გაქარწყლებული. თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ამ ქმედებისათვის არ ყოფილა ნასამართლები, იგივე ქმედების კვლავ ჩადენის შემთხვევაში კვალიფიკაცია მოხდება არა ამ პუნქტით, არამედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების პირველი ნაწილით.

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება იმის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი ამ კოდექსის სსკ-ის 108-ე, 109-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობა. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირი

ადრე ჩადენილი მკვლევარობისათვის არაა ნასამართლები. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება როგორც სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, ისე განზრახვი მკვლევარობის შესაბამისი მუხლებით.

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

ბოლოს გვინდა მაგალითისათვის მოვიყვანოთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 227 აპ-16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გადააკვალიფიცირა განზრახვი მკვლევარობის მცდელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად და სამოტივაციო ნაწილში მოიყვანა ჩვენი აზრით სწორი და საინტერესო არგუმენტაცია. აღწერილობითი ნაწილი: 2015 წლის 11 მარტს დაახლოებით 21.40 საათზე, ...ში, კ-ის, ჭ-ს და ბ-ის ქუჩების გადაკვეთასთან, შსს ...ის რაიონული სამმართველოს შენობის მახლობლად, ნასვამმა ლ. მ-მა, განაწყენებულმა იმით, რომ იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე, შსს ...ის რაიონული სამმართველოს შენობაში ყოფნისას, არ მისცეს ამავე რაიონის სოფელ ...ის უბნის ინსპექტორ-გამომძიებელთან შეხვედრის საშუალება, ურთიერთშელაპარაკების დროს, შურისძიების მოტივით, ძირს დაანარცხა და საკუთარი დანის არაერთხელ დარტყმით ჩაიდინა შსს ...ის რაიონული სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის სპეციალისტის თ. რ-ის მკვლელობის მცდელობა, კერძოდ, მას მიაყენა: ყვრიმალ-ზედა ყბის და მარჯვენა მხარის ძვლის დამსხვრეული მოტეხილობები (სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება); ნაკვეთი ჭრილობები - მარჯვენა მხარის, გულ-მკერდისა და მუცლის მიდამოებში (სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება); ასევე - მარჯვენა თვალბუდის ნაგლეჯი ჭრილობა, ტრავმული ანოგთალმა და სუბკონიუქტივალური სისხლჩაქცევები (სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება). ლ. მ-მა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზის - დანაშაულის ჩადენის პროცესში შემთხვევის ადგილზე

მისული, შსს ...ის რაიონული სამმართველოს მუშაკების -ა. ქ -ას, თ. ჩ-სა და გ. შ-ის მიერ მისი განიარაღებისა და შეპყრობის გამო. თ. რ-ის სიცოცხლის შენარჩუნება მოხერხდა მისთვის დროულად განეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად. სამოტივაციო ნაწილი: ...საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია: ანუ ლ. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს განზრახვი მკვლელობის მცდელობას თუ ჯანმრთელობის განზრახვი მძიმე დაზიანებას.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ორი სამართლებრივი მოცემულობის გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინეწით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის - განზრახვის ელემენტი, რომლის (ანუ განზრახვის) მიმართულებაც განასხვავებს განზრახვი მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი, და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვა. ... ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო პალატა აღნიშნავს: მნიშვნელოვანია - როდის წარმოეჭა ლ. მ-ს მკვლელობის განზრახვა: თ. რ-სთან ურთიერთშელაპარაკებისას, მანამდე თუ ამის შემდეგ, მაშინ, როდესაც მის მიერ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის ეს გარემოება იქნეს ერთ-ერთ განმსაზღვრელ მნიშვნელობას. თუკი ლ. მ-ს მკვლელობის განზრახვა თავიდანვე (ურთიერთშელაპარაკებისას ან მანამდე) გააჩნდა, მაშინ რა უშლიდა ხელს, რომ დანიანი მუშტის მაგივრად დანა მჭრელი პირის მხრიდან ჩაერტყა, რათა მყისიერად აღესრულებინა დასახული მიზანი. ხოლო თუ მსჯავრდებულს განზრახვა ურთიერთშელა-

პარაკების და დანიანი მუშტის ჩარტყმის შემდეგ წარმოეშვა , რატომ ვერ მოახერხა საშუალო ფიზიკური შესაძლებლობის ახალგაზრდამ მსუბუქად მთვრალმა, რომელიც შეიარაღებული იყო 20 სმ სიგრძის დანით 2-5 წუთის განმავლობაში თავისი დანაშაულებრივი განზრახვის (მკვლელობის) სისრულეში მოყვანა მითუმეტეს ისეთი დაზარალებულის მიმართ, რომელსაც მარჯვენა ხელი არ უმუშავებდა და თვალიდან წამოსული სისხლის გამო მხედველობაც შეზღუდული ჰქონდა... ზემოთხსენებული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა გამორიცხავს ლ. მ-ის მიერ თ. რ-ის მკვლელობის მცდელობის განზრახვას და მკაფიოდ მიუთითებს მისთვის მხოლოდ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების მიზანზე. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში , თითქოს საქმე გვაქ შურისძიებასთან, მაგრამ სინამდვილეში სახეზეა უმნიშვნელო საბაბით განპირობებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მოტივი, რაც სამართლებრივად უნდა შეფასდეს, როგორ ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი ქმედება. მსგავს შემთხვევებში, დაზარალებულისადმი სამაგიეროს მიზღვევისკენ დამნაშავის სწრაფვა არ ეფუძნება რაიმე ანგარიშგასანევ, სერიოზულ საფუძველს (მაგალითად , დაზარალებულის მხრიდან შეურაცხყოფას, ანდა დამნაშავის ან მისი ახლობლის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობასა თუ სხვა უკანონო ქმედებას და ა.შ.), რის გამოც მისი ქმედების სუბიექტური შინაარსი, მოტივაციის თვალსაზრისით, შესაბამისად ფასდება ხულიგნურ ქვენაგრძნობად. სწორედ ამგვარი ვითარება დგინდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარე... ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცებულების სტანდარტად განიხილავს რა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“, განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთდაკავშირებული დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას. ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორცაა განზრახ მკვლელო-

ბა, აუცილებელია , რომ დანაშაულის სუბიექტი მოქმედებდეს განზრახვით, ჩაიდინოს მკვლელობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მიზანს, მოტივს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს. სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დასადასტურებლად პირდაპირი მტკიცებულებების არსებობა; მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით არ დასტურდება ლ. მ-ის მიერ მკვლელობის მცდელობის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. მ-მა ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.¹⁴¹

6.3. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118-ე)

ჯანმრთელობის დაზიანების სახეთა შორის ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში დაფიქსირდა სსკ-ის 118-ე მუხლით მსჯავრდების 138 შემთხვევა.

აღნიშნული ქმედება იმით განსხვავდება მძიმე დაზიანებისაგან, რომ იგი არ არის სიცოცხლისათვის სახიფათო და არც იმ შედეგს იწვევს, რაც ჩამოთვლილია სსკ-ის 117-ე მუხლში.

განსახილველი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამია-

141 უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე 227 აპ-16.

ნის ჯანმრთელობა. ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, დამდგარ შედეგსა და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა მატერიალური შემადგენლობა. ე.ი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა სსკ-ის 118-ე მუხლში ჩამოთვლილი მძიმე შედეგებიდან ერთ-ერთის დადგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების სპეციფიკურ ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ: ა)ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა (ადამიანის ისეთი მდგომარეობა), როცა მისი რომელიმე ორგანოს დაავადება ან მისი ფუნქციის დარღვევა გრძელდება სამ კვირაზე მეტს, ე.ი. როცა 21 დღეს ჭარბობს. ბ)საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად (დაზარალებულის ისეთ მდგომარეობა, როცა იგი კარგავს საერთო შრომისუნარიანობას მყარად 10-დან 33%-მდე ჩათვლით).

ეს ყველაფერი განისაზღვრება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას განეკუთვნება წვრილი ძვლების, ძვლის გაბზარვა ან მოტეხილობა. ერთ ყურში სმენის დაკარგვა, წვრილი სახსრების ღრძობა, ხელსა და ფეხზე თითის დაკარგვა, მსუბუქი ქსოვილების დაზიანება, მცირე ხარისხით ხერხემლის ფუნქციის მოშლა და სხვა. რაც ცხადია საშიში არ არის სიცოცხლისათვის და არ იწვევს სსკ-ის 117-ე მუხლით აღნიშნულ შედეგებს. თუ ხელსა ან ფეხზე თითის დაკარგვამ წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა გამოიწვია, მაშინ გვექნება არა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე დაზიანება.

1999 წლის 28 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათზე, მთვრალი ა.მ-იანი მივიდა მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მის ნაცნობ ლ.ა-ვასთან, რომელიც საღამოს საათებში ამ ადგილას პურს ყიდდა. პირადი ურთიერთობების გარკვევისას მათ შორის წამოიჭრა კამათი, რომელიც ჩხუბში

გადაიზარდა. მ-ინმა მკლავში ხელი ჩაავლო ა-ვას და ხელეზის გადატრიალება დაუწყო. თან ემუქრებოდა, რომ ხელეზს დაამტვრევდა. ა-ვა ცდილობდა თავი დაეღწია მისგან. ამ დროს მ-იანმა ორივე ხელით ძლიერად მოქაჩა ა-ვას მარჯვენა ხელზე, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს მხარი ამოუვარდა. გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო მ-იანს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.¹⁴²

სასამართლომ სწორად გადაწყვიტა, როგორც ქმედების კვალიფიკაციის, ასევე სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების საკითხი. საქმე განხილულ იქნა 2000 წლის 19 ივნისს, ე.ი. ახალი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს. სასამართლომ უკუქცევითი ძალა მისცა ახალი კოდექსის სსკ 118-ე მუხლს და ა-მიანს მსჯავრი დასდო ამ მუხლის I ნაწილით. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმას, რომ ახალი კანონი უფრო მსუბუქია, რადგან უფრო მეტ ალტერნატიულ სანქციას ითვალისწინებს, ვიდრე მისი შესაბამისი ძველი კანონი.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების საქმეთა განხილვისას სასამართლო პრაქტიკაში გამოიკვეთა ტენდენციები. რაც დაკავშირებულია ქმედების არასწორ კვალიფიკაციასთან.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

ოჯახური ურთიერთობების გარკვევის მიზნით მ.მ-შვილი მივიდა თავის ვაჟის ცოლთან ნ.ვ-შვილთან სახლში. საუბრისას ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მეუღლესთან დაბრუნებას აღარ აპირებდა. მაშინ მ.მ-შვილმა მოსთოვა იმ ბეჭდების დაბრუნება, რომელიც მან აჩუქა დაქორწინებისას. როდესაც ამაზე უარი მიიღო, მათ შორის დაიწყო ჩხუბი. მ.მ-შვილი სწვდა ხელში ნ-ვ-შვილს, რათა წაეძრო თითიდან მისი ნაჩუქარი ბეჭდები. ჩხუბის დროს მან ხელი ჰკრა ვ-შვილს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი წაიქცა და თავი დაარტყა საწოლის კიდეზე. ვ-შვილმა მიიღო თავის ტვინის შერყევა, რომელიც განისაზღვრა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებად

142 (საქმე №1/234-2000).

ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით.

მ-შვილის ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა, არასწორად უნდა ჩაითვალოს. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მ-შვილს არ ჰქონდა განზრახვა ჯანმრთელობა დაეზიანებინა რძლისთვის. როდესაც მას ხელი ჰკრა, იგი არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. თავისთავად მის მოქმედებას (ხელის კვრას) არ გამოუწვევია დაზარალებულის რაიმე სერიოზული დაზიანება. დამდგარი შედეგი-თავის ტვინის შერყევის მიზეზი იყო ის, რომ ხელის კვრის შედეგად ნ.ვ-შვილი წაიქცა და თავი დაარტყა სანოლის კიდეზე. ამიტომ მ-შვილმა არ შეიძლება პასუხი აგოს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისათვის. ამავე დროს, მას ევალეზობდა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა, რომ მის მოქმედებას შეიძლება ასეთი შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომ მ-შვილს პასუხი უნდა ეგო გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის (სსკ-ის 124-ე მუხლი).

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება ხასიათდება განზრახვი ბრალის ორივე ფორმით ე.ი. შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (ევენტუალური, ირიბი) განზრახვით. ამასთან პირდაპირი განზრახვა შეიძლება იყოს განსაზღვრული (როდესაც ბრალდებულს სურს მიაყენოს დაზარალებულს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება) და განუსაზღვრელი (როდესაც ბრალდებულს თავისი მოქმედებით სურს დაზარალებულს ჯანმრთელობას საერთოდ მიაყენოს დაზიანება, ცხადია, ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს კონკრეტულ შედეგს. ასეთ დროს ბრალდებულის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დამდგარი შედეგის მიხედვით).

სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი და კვალიფიცირებულია თანმდევი შედეგით, კერძოდ, - იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

აქ სახეზეა ე.წ. ბრალის რთული (ორმაგი) ფორმა. განზრახვა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობა სიკვდილის მიმართ. ამ

კონკრეტულ შემთხვევაში ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება არ არის სახიფათო სიცოცხლისათვის და არ იწვევს სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს. სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებლობის დადგენა ძნელია. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც პირი დაჭრილია და მას სჭირდება სათანადო მკურნალობის ჩატარება, მაგრამ თუ მკურნალობა დაგვიანდა ან არასწორ მკურნალობას აქვს ადგილი, შესაძლებელია დადგეს სასიკვდილო შედეგი. როგორც ზემოთ აღინიშნა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება არ უქმნის საფრთხეს სიცოცხლეს, მაგრამ არ არის გამოვლილი მძიმე შედეგით დამთავრდეს.

სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები უკვე განვიხილეთ სსკ 117-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებების განმარტებისას და ამდენად, მათზე აქ არ შევჩერდებით.

სსკ-ის 118-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაკუთრებულ დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევენ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

ქმედება განსახილველი მუხლით და კვალიფიცირდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება კუმულაციურად ორ ნიშანს მოიცავს: 1. იგი არ უნდა იყოს სახიფათო სიცოცხლისათვის და 2. მიყენებულმა ზიანმა უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ორივე ნიშანი ერთდროულად უნდა არსებობდეს. მაგალითისათვის განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი.

ავთო და ბესო კარის მეზობლები იყვნენ. მათ უკვე ხანგრძლივი კამათი ჰქონდათ ბესოს მიერ ჩატარებული ბინის რემონტის შემდგომ შემოსასვლელი კარის გაღების მიმართულების გამო, რომელიც ავთოს უშლიდა სახლიდან გამოსვლისას. ერთ საღამოს, როდესაც ავთო სახლში ნასვამი ბრუნდებოდა და ბესოს ბინის შესასვლელი კარი ღია დახვდა, რის გამოც მან ვერ შეძლო სახლში ნორმალურად შესვლა, გაბრაზდა. ხელში აიღო რემონტის შემდგომ დარჩენილი ფიცრის ნაჭერი,

რომელიც იქვე სადარბაზოში ეგდო და შევარდა ბესოსთან სახლში. ეს უკანასკნელი ტახტზე იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ავთო მივარდა მას და ფიცრის ნატეხი რამდენიმეჯერ ჩაარტყა ბესოს მხარსა და ფეხებში. ამის შედეგად ბესომ მიიღო მხრის ძვლის ამოვარდნა და ორივე ბარძაყის ძვლის გაბზარვა შესაბამისი რბილი ქსოვილების დაჟეჟილობით. მის მკურნალობას კი ორ თვეზე მეტი დრო დასჭირდა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ავთოს მიერ ბესოსთვის მიყენებული ზიანი შეფასდა, როგორც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება.

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ავთო მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობაში სსკ-ის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი - გვევლინება ავთო, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სსკ-ის 118-ე მუხლის მოთხოვნებს

-ქმედების ობიექტი - ბესოს ფიზიკური ჯანმრთელობა

-ქმედება - გამოიხატა ავთოს მიერ ბესოსთვის ჯანმრთელობის დაზიანების მიყენებაში ფიცრის ნატეხის რამდენიმეჯერ ჩარტყმის გზით კიდურებში, მხარსა და ორივე ფეხში.

-შედეგი მდგომარეობს - ბესოს მხრის ამოვარდნაში და ორივე ბარძაყის ძვლის გაბზარვაში. ასევე რბილი ქსოვილების დაჟეჟილობაში. როგორც ვხედავთ, ასეთი სახის დაზიანებები არ წარმოადგენენ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველს და არ შეუძლიათ ჩვეულებრივ შემთხვევაში სიკვდილის გამოწვევა. ასევე მკურნალობის ვადა 21 დღეზე მეტი. კონკრეტულ შემთხვევაში, ეს პროცესი გაგრძელდა 2 თვეზე მეტხანს, რომელიც სრულიად პასუხობს სსკ-ის 118-ე მუხლის მოთხოვნებს ნაკლებად მძიმე დაზიანების მიმართ, რაც დაადასტურა სასამართლო ექსპერტიზამაც.

-მიზეზობრივი კავშირის დადგენა პრობლემატური არ არის. ავთოს ქმედებას ფიცრის ნატეხის რამდენიმეჯერ ჩარტყმას მოჰყვა ბესოს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. პრობლემატური არაა ასევე ობიექტური შერაცხვის საკითხი.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - ავთო მოქმედებდა განზრახ, რადგან ის შეუვარდა ბესოს სახლში და დაუზიანა ჯანმრთელობა. რა თქმა უნდა, მას არ ჰქონდა დაკონკრეტებული ჯანმრთელობის როგორ დაზიანებას მიაყენებდა ბესოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ავთო ურტყამდა მსხვერპლს კიდურებში და არა სასიცოცხლო ორგანოებში, მეტყველებს, რომ მას არ უნდოდა ბესოს სიკვდილი. ამიტომაც, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მიყენებული დაზიანების ხარისხის მიხედვით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებაში გამოიხატა.

-მართლწინააღმდეგობა. კაზუსში მოცემული არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი. კაზუსში არ იკვეთება ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

დასკვნა: ავთო უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 118-ე მუხლით - ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. რადგან მან ბესოს მიაყენა კიდურებში ჩარტყმით სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათო არ იყო სიცოცხლისათვის არ გამოუწვევია სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები და მკურნალობას დასჭირდა მხოლოდ ორი თვე.

6.4. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (მუხლი 120-ე)

განსახილველი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია“.

ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ შრომის უნარი ნაწილობრივ შერყეულია და ეს გაგრძელდა ექვსი დღის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს ოცდაერთი დღისა.

ობიექტური მხრივ დანაშაული მდგომარეობს მასში, რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ადამიანის ჯანმრთელობა მსუბუქად დაზიანდა.

ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა, რომელიც 6 დღეზე ნაკლებ ხანს გრძელდება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი).

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა მსუბუქ დაზიანებას მიაკუთვნებს მხედველობისა და სმენის შესუსტებას, რაც დაკავშირებულია შრომის უნარის უმნიშვნელო ან არამყარ დაკარგვასთან, დაბეჭილობას, სისხლნაჟღენთებს, თითის დაკარგვას ხელზე (გარდა საჩვენებელი და ცერა თითისა); ცხვირის ყბისა და ყვრიმალის გაზზარვასა და სხვა.

მთელი რიგი ძალადობითი დანაშაულებრივი ქმედებები მოიცავენ ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას, როგორც არასავალდებულო, მაგრამ შესაძლო შედეგს და ამ დროს დამატებითი კვალიფიკაცია სსკ-ის 120-ე მუხლით არაა საჭირო. ვთქვათ, ძალადობით სქესობრივი დანაშაულები (137-ე, 138-ე

მუხლი) ნამება, ხულიგნობა, ყაჩაღობა და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში. კვალიფიკაციის დროს აუცილებელია იმის განსაზღვრა, დამნაშავეს განზრახვაში ხომ არ იყო სხვა უფრო მძიმე დაზიანების ან მოკვლის სურვილი.

პრაქტიკაში საკმაოდაა ისეთი ფაქტი, როცა ბრალდებულის მოქმედება, მიმართული მეორე მოქალაქის სიცოცხლის მოსპობისაკენ, გარეშე ძალების ზემოქმედების გამო მსუბუქი დაზიანებით მთავრდება. ასეთი ფაქტი ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს, მიუხედავად შედეგის სიმსიბუქისა, განსახილველი მუხლით დავაკვალიფიციროთ ბრალდებულის მოქმედება. მეტად გულდასმით მუშაობა სჭირდება გამოძიებასა და სასამართლოს, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს ბრალდებულის მიზანი, იარაღის სახეობა, სურვილი, მოტივი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით. რაც შეეხება მოტივს, იგი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. თუ ხულიგნური ქმედების ჩადენისას პირი ძალადობას იყენებს დაზარალებულის, ბრალდებულის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ხულიგნობა (სსკ-ის 239-ე მუხლი).

მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით არ იძლევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

სსკ-ის 120-ე მუხლში ლაპარაკია საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარ დაკარგვაზე. მაშასადამე, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მაშინ გვექნება, როცა ქმედებამ გამოიწვია შრომის უნარის უმნიშვნელო (10%-მდე), მაგრამ მყარი დაკარგვა და მაშინაც, როდესაც შრომის უნარის დაკარგვა მნიშვნელოვანია, მაგრამ არამყარი.¹⁴³

მაგალითისათვის განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:

ავთოს ქუჩაში შეხვდა მისი ძველი ნაცნობი ბესო, რომელზეც წყენა დიდი ხანია ჩადებული ჰქონდა გულში. მივიდა მასთან, გამოელაპარაკა და გაახსენა ძველი წყენის მიზეზი რის შემდეგაც, ძლიერ ჩაარტყა მუშტი ცხვირში. დარტყმის

¹⁴³ ავტორთა კოლექტივი-სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002., გვ. 146,

შედეგად ბესოს გაეზარა ცხვირის ძვალი. ბესოს მკურნალობამ, სრულ გამოჯანმრთელებამდე გასტანა 2 კვირა, რამაც შრომის უნარის მნიშვნელოვანი დაკარგვა გამოიწვია.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლოა ავთო მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის-ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი - ავთო.

-ქმედების ობიექტი - ბესოს ფიზიკური ჯანმრთელობა.

-ქმედება - გამოიხატა ავთოს მიერ ბესოსთვის მუშტის ცხვირში ძლიერ ჩარტყმაში, რამაც შედეგად გამოიწვია ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებად უნდა მივიჩნიოთ მუშტის ჩარტყმის შედეგად ცხვირის ძვლის გაბზარვა, რადგან კაზუსში ნახსენები არაა, რომ ამას სახის წარუშლელი დამახინჯება მოჰყვა და ასევე მკურნალობის დრო 2 კვირა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ დაზიანება მსუბუქია, რადგან არ აღემატება 21 დღიან ვადას.

-მიზეზობრივი კავშირის დადგენა პრობლემატური არ არის. ავთოს ქმედებას მუშტის ჩარტყმას მოჰყვა ბესოს ჯანმრთელობის მსუბუქად დაზიანება. პრობლემატური არაა ასევე ობიექტური შერაცხვის საკითხი.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - ავთო მოქმედებდა განზრახ, რადგან ის თვითონ მივიდა ძველი წყენის გამო ბესოსთან, გამოელაპარაკა მას და შემდგომ ჩაარტყა მუშტი.

-მართლწინააღმდეგობა. კაზუსში მოცემული არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი. კაზუსში არ იკვეთება ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-დასკვნა: ავთო უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 120-ე მუხლით - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რადგან მან ბესოს მიაყენა ცხვირში ჩარტყმის შედეგად ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.

6.5.ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, გაუფრთხილებლობით (მუხლები 121-ე, 122-ე, 123-ე, 124-ე)

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში-სსკ-ის 121-ე მუხლი. კანონის შინაარსი ასეთია: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე დაზარალებულის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“.

წინამდებარე მუხლში განიხილება პასუხისმგებლობა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, რომელიც პროვოცირებულია დაზარალებულის მიერ ბრალდებულისა ან მისი ახლობლისადმი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედებით.

მართლსაწინააღმდეგო, ამორალური საქციელისა და მძიმე შეურაცხყოფის ცნებებზე ჩვენ ვისაუბრეთ სსკ-ის 111-ე მუხ-

ლის განხილვის დროს. სსკ-ის 121-ე მუხლის გამოყენების პირობებიც იგივეა.

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით უეცარი ძლიერი სულიერი ალელვების დროს. მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების ხარისხის განსაზღვრის ირგვლივაც გვექონდა საუბარი სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებზე მსჯელობისას.

სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი და წარმოშობილი აფექტის გამო. ფიზიოლოგიური აფექტის რაობაზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. მოტივი ამ დანაშაულისა მართლაც რომ მრავალია. გამოძიებამ ისიც დეტალურად უნდა ახსნას, თუ რამდენად ჩააყენებდა ის გარემოება ბრალდებულს უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსახილველი დანაშაული განზრახვით, მისი ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. აფექტის მდგომარეობაში, არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. თუკი პირს უნარი გააჩნია შეგნებულად დაუშვას იგი, ანდა გულგრილი იყოს შედეგის მიმართ, გამოდის, რომ არც ყოფილა ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის ცნობიერება და ნება ფაქტიურად შეზღუდულია. **მაგალისთვის განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:**

ავთო და მისი არასრულწლოვანი შვილი ეზოში სპეციალურად მოწყობილ დასასვენებელ ადგილას ისხდნენ. ბავშვი მეზობელ კაცთან ნარდის თამაშს ცდილობდა. მამა ბავშვის მიმართ ზურგით იჯდა. ავთომ ცოტა ხანში მეზობლის გინების გამო მოიხედა მოთამაშეებისკენ რა დროსაც დაინახა, როგორ გააჩნა სილა კაცმა მის შვილს და სანამ მან შემობრუნება შეძლო, მეზობელმა კიდევ ორჯერ გაარტყა ბავშვს გაშლილი ხელი და სახეში შეაფურთხა. ამის დანახვაზე ავთო ჩავარდა ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში და ნარდი გადაამსხვრია მეზობელს თავზე. მეზობელმა დარტყმის შედეგად მიიღო ტვინის მძიმე შერყევა. ექსპერტიზის

დასკვნით ავთო ქმედების ჩადენის მომენტში იმყოფებოდა აფექტურ მდგომარეობაში.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება.

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

სავარაუდოდ ავთოს ქმედებაში იკვეთება სსკ-ის 121-ე მუხლის - ჯანმრთელობის განზრახვი მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში - ნიშნები, რადგან მაშინ, როდესაც ავთომ მეზობელს თავზე ნარდი გადაამსხვრია იმყოფებოდა ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში და მიაყენა მას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი არის ავთო, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სსკ-ის 121-ე მუხლის სპეციალურ მოთხოვნებს, იმყოფება ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში.

-ქმედების ობიექტი - მეზობელი კაცის ჯანმრთელობა.

-ქმედება - გამოიხატა ავთოს მიერ მეზობლისთვის თავზე ნარდის გადაამსხვრევაში

-შედეგი მდგომარეობს - მეზობელი კაცის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, რადგან მან ინციდენტის შედეგად მიიღო ტვინის მძიმე შერყევა, რაც სსკ-ის 117-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მიჩნეულია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად, რადგან ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

-მიზეზობრივი კავშირი. ამის დადგენა პრობლემატური არ არის. ავთოს ქმედებას, ნარდის მეზობლისთვის თავში ჩარტყმას, მოჰყვა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ობიექტური შერაცხვის საკითხიც აშკარაა და შედეგი შეერაცხება ავთოს.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - ავთო მოქმედებდა განზრახვი, მაგრამ გასათვალისწინებელია ორი მომენტი: ავთოს დანაშაულებრივი ქმედება გამონვეული იყო დაზარალებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფით, რაც განზ-

ორციელდა ამ უკანასკნელის მხრიდან მისი არასრულწლოვანი შვილის ცემით და სახეში შეფურთხებით. ამ ფაქტმა კი გამოიწვია ავთოს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა, რა დროსაც მიაყენა მან მეზობელს დაზიანება. აფექტური მდგომარეობის არსებობა მეზობელზე თავდასხმის მომენტში დაადასტურა ექსპერტიზამ.

-მართლწინააღმდეგობა. კაზუსში მოცემული არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი. კაზუსში არ იკვეთება ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-დასკვნა. ავთო უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 121-ე მუხლით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რადგან სახეზეა ძლიერი სულიერი აღელვება, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრიდან ავთოს ახლო ნათესავის (შვილის) მიმართ მძიმე შეურაცხყოფით, ასევე მეზობლისთვის მიყენებული ზიანი ტვინის მძიმე შერყევა წარმოადგენს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას.

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით - სსკ-ის 122-ე მუხლი. აღნიშნული მუხლი გამოიყენება იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც მოქმედებენ დაზარალებულის თავდასხმის მოსაგერიებლად, მაგრამ მოგერიებისათვის გამოიყენეს არა საჭირო, მეტად გადაჭარბებული საშუალებები თავისი სახეობით, მოქმედებით, გამოყენების ინტენსიურობით, რამაც მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

მუხლის დისპოზიციასში არსებული მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების განსაზღვრასა და მოგერიების ფარგლების გადაცილების რაობაზე საუბარი გვექონდა სსკ-ის 113-ე მუხლის განხილვის დროს, ამდენად, ამაზე აღარ შევჩერდებით.

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით, აუცილებელი მოგერიების საზღვრების გადაცილების ვითარებაში, ე.ი დაზარა-

ლებულისაგან თავდასხმის მოცულობისა და საშიშროების აშკარა შეუსაბამობით. მოგერიების აშკარა შეუსაბამობაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ კვლავ ვიმეორებთ, რომ ფარგლების გადაცილება ნიშნავს, როდესაც მომგერიებელი აშკარად გრძნობს, მის მიერ გამოყენებული იარაღი - საშუალება თვალნათლივ ზედმეტია და საჭირო არ არის თავდამსხმელის მოგერიებისათვის, მაგრამ იგი მაინც იყენებს მას, რითაც მძიმედ აზიანებს თავდამსხმელს, ან გრძნობს იმას, რომ დაზარალებულისაგან გამონვეული ვნება, რაც მის ქონებას ემუქრება, არ არის მნიშვნელოვანი ღირებულების, მაგრამ თვითონ მაინც მძიმედ ან ნაკლებად მძიმედ აზიანებს თავდამსხმელს, თუმცა აშკარად შეეძლო მისი მოგერიება იოლ ფორმებში.

მაგ: ავთო თავს დაესხა ბესოს, დაუნყო ქამრით ცემა, ამ უკანასკნელმა კი მოსაგერიებლად დანა გამოიყენა, თანაც ფიზიკურადაც აშკარად ძლიერი იყო თავდამსხმელზე და მძიმედ დააზიანა.

დანაშაულის სუბიექტური მხარე არაპირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, როდესაც ობიექტი გრძნობს მისი იარაღის ძალის უპირატესობას, იცის, რომ მძიმედ დააზიანებს თავდამსხმელს, მაგრამ უშვებს და გულგრილად ეკიდება ასეთი შედეგის დადგომას.

საკმაოდ რთულია, ჯანმრთელობის დაზიანებისას, სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, ქმედების კვალიფიკაციის სწორად გადანიშნვა. მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთო (ახალგაზრდა მამაკაცი) ქუჩაში სეირნობდა საღამოს, როდესაც პარკიდან მოესმა ქალის კივილის ხმა. ის წავიდა კივილის ხმაზე და რამდენიმე ათეული ნაბიჯის გარბენის შემდეგ დაინახა, რომ ერთ ქალს დაგდებული ჰყავდა მიწაზე მეორე ქალი და გამეტებით ურტყამდა ფეხებს მუცელში. ავთო მივარდა თავდამსხმელს და ისე რომ სხვა მეთოდით არ უცდია მისი შეჩერება, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ერთი მეტრის სიახლოვიდან სახეში რამდენჯერ ესროლა გაზის პისტოლეტიდან. შედეგად თავდამსხმელმა გაზის გა-

დაჭარბებული დოზის ზემოქმედების გამო მიიღო ზედა სასუნთქი გზების დამწვრობა და მხედველობის დროებითი დაქვეითება. სასუნთქი გზების მკურნალობას დასჭირდა ორი კვირა, ხოლო მხედველობის ნორმალურ დონეზე აღდგენას მკურნალობის შედეგად დასჭირდა ერთი თვე.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება
ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

სავარაუდოდ ავთოს ქმედებაში იკვეთება სსკ-ის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ავთოს სურდა დაეცვა დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი, მაგრამ აშკარად გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს თავდასხმის და თავდაცვის ინტენსივობის კუთხით, რადგან ყოველგვარი სხვა მცდელობის გარეშე რისი შესაძლებლობაც მას აშკარად ჰქონდა, ავთომ პირდაპირ სახეში რამდენიმეჯერ ესროლა თავდამსხმელს გაზის პისტოლეტი, თუმცა ამის გარეშეც ჰქონდა დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთის შესაძლებლობა. ავთომ თავდამსხმელ ქალს, როგორც კაზუსიდან ჩანს, მიაცენა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

-ქმედების შემადგენლობა
-ქმედების ობიექტური შემადგენლობა.

უპირველესად, უნდა განისაზღვროს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობა, რომელიც მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობას, რაც აშკარად სახეზეა, რადგან ავთომ დაინახა, რომ ერთი ქალი გამეტებით ურტყამდა მეორე ქალს, რომელიც მინაზე ეგდო. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სახეზე იყო. ასევე აშკარად იკვეთებოდა თავდასხმის იმნუთიერობა და აქტიური ხასიათი, რაც უქმნიდა ავთოს აუცილებელი მოგერიების შესაძლებლობას.

განხილვის მეორე საკითხს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიებისას ჩადენილი ქმედება. ავთო მოქმედებდა ბოროტმოქმედის წინააღმდეგ ანუ მისი ქმედება მიმართული იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ, რად-

გან ის ინტენსიური თავდასხმის მომენტში შეამჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედის შესაჩერებლად ავთოს ჰქონდა ძალადობრივი მოქმედების სამართლებრივი უფლება, მის მიერ გამოყენებული მეთოდი აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმის ინტენსივობასა და დანაშაულის სიმძიმესთან. ასევე, დანაშაულის აღკვეთისათვის მას შეეძლო გამოეყენებინა უფრო მსუბუქი წინააღმდეგობის მეთოდები. მიუხედავად ამისა, მან გამოიყენა გაზის პისტოლეტი და ერთი მეტრის სიშორიდან რამდენჯერმე სახეში ესროლა თავდამსხმელს, რისი აუცილებლობაც, კაზუსიდან გამომდინარე, არ არსებობდა. ავთოს ქმედებას მოჰყვა ბოროტმოქმედის ჯანმრთელობის დაზიანება. კერძოდ, ზედა სასუნთქი გზების ქიმიური დამწვრობა და მხედველობის დროებითი დაქვეითება, რომლის მკურნალობასაც დასჭირდა ერთი თვე. დაზიანების ხარისხი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი მივიჩნიოთ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებად, სსკ-ის 118-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე.

-სუბიექტური შემადგენლობა. ავთო აცნობიერებდა, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ ინტენსიურ ხელყოფას სამართლებრივად დასაცავ ობიექტზე, ამიტომაც ის ცდილობდა ბოროტმოქმედის შეჩერებას და ამისათვის გამოიყენა ძალა. ის მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით. მნიშვნელოვანია მიზანი, ბოროტმოქმედის შეჩერება და დანაშაულებრივი ხელყოფის აღკვეთა.

-დასკვნა: ავთოს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 122-ე მუხლით, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რადგან მან სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით და დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად, გამოიყენა აშკარად შეუსაბამო ხერხი, რითაც გამოიწვია ბოროტმოქმედის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით-სსკ-ის 123-ე მუხლი. საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის სსკ-ის 123-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის იმ ვითარებაში, როცა იგი ჩადენილია დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. ანალოგიურ მუხლს, ისევე როგორც სსკ-ის 114-ე მუხლის ანალოგიურ ნორმას (მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით), 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავდა.

შეპყრობა ნიშნავს პიროვნების ფიზიკურ შებოჭვას, თავისუფალ ნებაზე მოძრაობის აღკვეთას, ფიზიკურ დამორჩილებას. ეს მოქმედება განსახილველი მუხლის მიხედვით ხორციელდება დამნაშავეს მიმართ დანაშაულის ჩადენის მომენტში ან მის შემდეგ. დამნაშავეს შეპყრობის უფლებამოვალეობა გააჩნია სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო უფლება - ნებისმიერ მოქალაქეს.

შეპყრობის სცენა გულისხმობს დამნაშავეს ისეთ პირობებში დაჭერას, როცა იგი აქტიურად ცდილობს თავის დახსნას (ფიზიკურად, იარაღით, აშკარა გაქცევით, მიმალვით და ა.შ).

ობიექტური მხარე დანაშაულისა მდგომარეობს დაკავებულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში დაკავების საშუალებათა გამოყენების გადაჭარბებით, ე.ი როდესაც ასეთი დაზიანება აშკარად არ შეესაბამება დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და არც მისი დაკავების პირობებს. თუ როგორ შესაბამისობაში უნდა იმყოფებოდეს დამნაშავეს წინააღმდეგობის ძალასთან და საშუალებასთან დაკავების ძალა და საშუალება, განხილულია სსკ-ის 114-ე მუხლის განხილვის დროს.

შესაბამისობის განსაზღვრისას უნდა დაზუსტდეს დანაშაულის სიმძიმე, რომელსაც დამნაშავე ჩადის ან რომლის ჩადენისთვისაც იმალება, დამნაშავეს წინააღმდეგობა ან მოსალოდნელი ძალადობა, იარაღის გამოყენების შანსი ან მცდელობა, იარაღის სახეობა და ა.შ.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა ხასიათდება განზრახ-

ვით, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ არაპირდაპირი.

დაკავების დროს ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

მიზანი სუბიექტის მოქმედებისა - დააკავოს დამნაშავე, რომელიც მიმალვას აპირებს და წარადგინოს სამართალდამცავ ორგანოებში, სრულიად კანონიერია და სწორედ ეს არის შემამსუბუქებელი გარემოების საფუძველი.

დაკავებისას შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით ორი პირი დაზიანდა თუ მეტი, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოცემული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით. საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთო გვიან ღამით ბრუნდებოდა სახლში, როდესაც დაინახა, რომ მისი მეზობლის სახლის ფანჯრიდან ვიღაც უცხო პირი გადმოფოფხდა და თან ორი დიდი სავესე ჩანთა გადმოიტანა. მან იცოდა, რომ მეზობლები დასასვენებლად იყვნენ წასულები და უცხო პირი ქურდი უნდა ყოფილიყო, რომელიც მათ სახლში შეიპარა. ავთომ გადაწყვიტა ქურდის დაკავება და პოლიციისთვის მისი გადაცემა. მან აიღო იქვე დაგდებული რკინის არმატურა, მიეპარა ქურდს უკნიდან და მთელი ძალით ჩაარტყა მას ფეხებში. დარტყმის შედეგად ავთომ ქურდს გადაუმტვრია ორივე ფეხის ძვლები, ნაქცევის შედეგად კი მან თავი დაარტყა ასფალტს რის შედეგადაც, მიიღო ტვინის მძიმე შერყევა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ქურდისთვის მიყენებული ჯანმრთელობის ზიანი მძიმედ შეფასდა.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ავთომ ჩაიდინა სსკ-ის 123-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

უპირველესად, უნდა განისაზღვროს დამნაშავეს შეპყრობის მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ოთხ კომპონენტს: მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობას - რაც აშკარად სახეზეა, რადგან ავთომ დაინახა, რომ უცხო პირი ფანჯრიდან გადმოვიდა მეზობლის სახლიდან ორი სავსე ჩანთით ხელში გვიან ღამით. მან იცოდა, რომ მეზობლები დასასვენებლად იყვნენ წასული, რაც მისთვის იძლეოდა ლოგიკური დასკვნის საშუალებას, რომ ჩადენილია ქურდობა და ის ხედავს ბოროტმოქმედს, რომელიც ცდილობს მიმალვას; სისხლის სამართლის პროცესის დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობა - რადგან ქმედება, რომელიც ქურდობად შეიძლება შეფასებულიყო მოხდა ავთოს თვალწინ და ბოროტმოქმედი იმნუთას აპირებდა მიმალვას არ არსებობდა დანაშაულის პროცესუალური გამორიცხვის არანაირი წინაპირობა; სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ავთომ ხედავდა, რომ ბოროტმოქმედმა მეზობლის სახლი დატოვა ორი სავსე დიდი ჩანთით, რაც აძლევდა მას საფუძველს, რომ ეფიქრა დიდი ალბათობით ჩადენილი იყო ქურდობა; ხელყოფის დასრულება - ქურდობა დასრულებული იყო. ბოროტმოქმედმა დატოვა მეზობლის სახლი სავსე ჩანთებით ხელში და აპირებდა მიმალვას.

განხილვის მეორე საკითხს წარმოადგენს დამნაშავეს შესაპყრობად ჩადენილი ქმედება. ავთომ მოქმედებდა ბოროტმოქმედის წინააღმდეგ ანუ მისი ქმედება მიმართული იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ, რადგან ის შესაძლო დანაშაულის ჩადენისთანავე შეამჩნია. სავარაუდოდ დამნაშავეს შესაპყრობად მოქმედება გამართლებული იყო, რადგან ის აპირებდა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, მაგრამ ავთომ დამნაშავეს შესაპყრობად გამოიყენა აშკარად შეუსაბამო რადიკალური ქმედება, მიეპარა ქურდს და მთელი ძალით ჩაარტყა უკნიდან ფეხებში, რითაც მას მოსტეხა ორივე კიდური, ხოლო ვარდნის შედეგად კი ბოროტმოქმედმა მიიღო ტვინის შერყევა. მიყენებული დაზიანებები სამედი-

ცინო ექსპერტიზამ ჩათვალა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად. ამით მან გადააცილა დამნაშავეს შეპყრობისათვის საჭირო აუცილებელ ზომას. კერძოდ, ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, გამოყენებული იყო უფრო მეტი ზიანის მომტანი ქმედება, ვიდრე ჩადენილი სავარაუდოდ დანაშაული.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - ავთომ აცნობიერებდა, რომ სავარაუდოდ ჩადენილი იყო ქურდობა და მის წინაშე იდგა ქურდი, რომელიც მიმალვას აპირებდა, ამიტომაც ის ცდილობდა მის დაკავებას და ამისათვის გამოიყენა ძალა. ის მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით. მნიშვნელოვანია მიზანი, ბოროტმოქმედის ხელისუფლების ორგანოებისათვის გადაცემის სურვილი, ავთოს უნდოდა დაეკავებინა ქურდი და პოლიციისათვის გადაეცა.

დასკვნა: ავთოს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 123-ე მუხლით, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, რადგან მან ქურდის დაკავებისას მისი შემდგომი სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის მიზნით, გამოიყენა აშკარად შეუსაბამო ხერხი ბოროტმოქმედის დასაკავებლად, რითაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით-სსკ-ის 124-ე მუხლი.

ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის ხარისხი, რომლის შესახებაც საუბარია სსკ-ის 124-ე მუხლში, განისაზღვრება იმავე ნიშნებით, რაც დამახასიათებელია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების (მუხლი 117-ე) და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის (მუხლი 118-ე).

ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც არღვევს ქცევის წესებს და შეიძლება გამოიწვიოს სხვა ადამიანის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. ასეთ გარემოებებს უფრო ხშირად ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო და პროფესიული საქმიანობის წესების დაცვისადმი გაუფრთხილებლობით მოპყრობის დროს.

სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით, კერძოდ, წინდაუხედაობით ან დაუდევრობით.

წინდაუხედაობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს ამ მოქმედებით საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ წინდაუხედაობის გამო ვერ აკეთებს მისი თავიდან აცილების რეალურ ანალიზს, უსაფუძვლოდ სჯერა, რომ ამას არ მოჰყვება მძიმე შედეგი, ან თუ მოსალოდნელი გახდა, თავიდან აიცილებს მას.

მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევას დაუდევრობით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სუბიექტს გაცნობიერებული არა აქვს თავისი მოქმედების საშიში ხასიათი, ვერ ითვალისწინებს მოსალოდნელი საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა.

სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისაგან განსახილველი სსკ-ის 124-ე მუხლი განსხვავდება ბრალის ფორმით ე.ი. ეს უკანასკნელი უნდა იყოს გაუფრთხილებელი.

ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანების ის შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებში, პასუხისმგებლობას იწვევს არა სსკ-ის 124-ე მუხლით (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით), არამედ შესაბამისი მუხლებით, სადაც ჯანმრთელობის დაზიანება გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი, ან როგორც პასუხისმგებლობის დამაძიმებელი გარემოება.

გაუფრთხილებლობით მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უნდა განვასხვაოთ შემთხვევისაგან (ე.ი. ჯანმრთელობისათვის არაბრალეული დაზიანების მიყენებისაგან).

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით,

რამაც ბრალის ამ ფორმით დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 116-ე მუხლი).

თუ ბრალდებულის განზრახვაში შევიდა პირის ცემა, მაგრამ ამ ქმედებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სუბიექტს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 124-ე მუხლით.

პირი, რომელიც უგულვებელყოფს წინდახედულობის სტანდარტებს, უპასუხისმგებლოდ მოქმედებს. სწორედ ამაში გამოიხატება ბრალდებულის მხრიდან გაუფრთხილებლობა. ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 124-ე მუხლით. მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ანას, რომელიც მედდად მუშაობდა საავადმყოფოში შეეშალა წამალი და ბესოს გაუკეთა ინექცია, რომელმაც ამ უკანასკნელის სმენის სრული შეუქცევადი დაკარგვა გამოიწვია.

დააკვალიფიცირეთ ანას ქმედება

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

სავარაუდოდ ანას ქმედებაში იკვეთება სსკ-ის 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, ნიშნები, რადგან მან არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება, უგულვებელყო წინდახედულობის სტანდარტები, არ დააკვირდა თუ, რომელი წამალი შეუყვანა ბესოს ინექციით და ამით გამოიწვია მისი სამუდამო სმენის დაკარგვა, რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტს წარმოადგენს მედდა ანა.

-ქმედების ობიექტი - გვევლინება ადამიანის ჯანმრთელობა, კონკრეტულად ბესოს ნორმალური ფიზიკური მდგომარეობა.

-ქმედება გამოიხატა მედლა ანას მიერ წინდახედულობის სტანდარტების უგულვებლყოფაში, კერძოდ ის არ დააკვირდა, რომელი წამლის ინექციას უკეთებდა ბესოს, შედეგად - დადგა სამუდამოდ სმენის დაკარგვა, რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას (რადგან გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, პირველი ნაწილის შემადგენლობაში, როგორც სმენის დაკარგვა). ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი ეჭვს არ იწვევს, რადგან ანას ქმედებამ, შეცდომით სხვა წამლით ინექციის გაკეთებამ, გამოიწვია ბესოს სმენის სამუდამო დაკარგვა.

-ობიექტური გაუფრთხილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ანას უნდა და შეეძლო გადაემოწმებინა, თუ რომელი სამედიცინო პრეპარატი შეჰყავდა ინექციით ბესოს სხეულში და რომ გამოეჩინა წინდახედულობის ნორმები, მავნე შედეგი პაციენტის სმენის სამუდამო დაკარგვა, ანუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, არ დადგებოდა. და, რაც მთავარია, მას უბრალოდ კი არ შეეძლო, არამედ ვალდებულიც იყო გადაემოწმებინა პრეპარატი.

-ობიექტური შერაცხვა - მედლას ობიექტურად შეერაცხება დამდგარი შედეგი- პაციენტის სმენის სამუდამო დაკარგვა, რადგან ანას დაუდევარმა ქმედებამ შექმნა ბესოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შედეგი. ის იყო ამის ერთადერთი წინაპირობა, რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზებული.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა. დაუდევრობას სუბიექტური შემადგენლობა არ გააჩნია.

-მართლწინააღმდეგობა - კაზუსში მოცემული არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი - შექმნილ ვითარებაში, ანას შეეძლო და უნდა გადაემოწმებინა თუ რომელი წამალი შეჰყავდა ბესოსთვის ინექციით, მას ამის ვალდებულებაც გააჩნდა, მაგრამ წინდახედულობის ნორმების უგულვებლყოფით მან ეს არ გააკეთა. ანას ბრალეულობა იკვეთება ზუსტად იმაში, რომ ის არ აცნობ-

ბიერებს მისი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს, ასევე მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას. თუმცა, ჰქონდა ამის შესაძლებლობა და არ არსებობდა არანაირი ხელისშემშლელი პირობა, რომ ჯეროვნად შეესრულებინა ვალდებულება და თავიდან აეცილებინა დამდგარი შედეგი - ბესოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. კაზუსში არანაირი ბრალის გამომრიცხველი გარემოება არ იკვეთება.

-დასკვნა: ანას უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 124-ე მუხლით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, რადგან მან წინდახედულობის ნორმების დარღვევით არ შეამოწმა, თუ რომელი წამლის ინექცია შეჰყავდა ბესოს სხეულში, რამაც ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია - სმენის სამუდამო დაკარგვა.

6.6. ძალადობა, ოჯახში ძალადობა (მუხლები 126-ე, 126¹-ე)

ძალადობის მუხლმა 2016-2017 წლებში განიცადა მნიშვნელოვანი რედაქტირება. სისხლის სამართლის კოდექსიდან სსკ-ის 125-ე მუხლის ამოღების შემდეგ მან პრაქტიკულად მთლიანად გადაინაცვლა სსკ-ის 126-ე მუხლში, კერძოდ, მის პირველ და პირველ პრიმა ნაწილში. სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ პრიმა ნაწილს გარდა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ცემისა და მის მიმართ სხვაგვარი ძალადობისა, დაემატა ახალი დამამძიმებელი გარემოებები: ცემა ან სხვაგვარი ძალადობა უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ორსული ქალის მიმართ (სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ „ა“ პუნქტი), **ბ)ჯგუფურად, გ)ორი ან მეტი პირის მიმართ გ)არაერთგზის**. ხოლო რაც შეეხება თვითონ სსკ-ის 126-ე მუხლის ძველ რედაქციას ის მთლიანად პრაქტიკულად უცვლელად გადავიდა სსკ-ის 126-ე მუხლის 1² ნაწილში, მეორე ნაწილში კი მოთავსდა დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც 1² ნაწილით გათვალისწინებულ

ქმედებას მოყვება და დღეს ის ასე გამოიყურება: ამ მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა)ორი ან მეტი პირის მიმართ; ბ)დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; გ)დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; დ)დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან დადამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ; ე)მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ვ)შეკვეთით; ზ)რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; თ)სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ი)არაერთგზის; კ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ლ)ჯგუფურად; მ)იარაღის გამოყენებით.

განვიხილოთ მოცემული მუხლი დეტალურად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცემის ან სხვაგვარი ძალადობისათვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ცემა ძალადობის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს სხვა პირის სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას, რომელიც დაზარალებულის ფიზიკურ ტანჯვას იწვევს. მსუბუქი დარტყმები, რასაც არ მოჰყოლია ფიზიკური ტკივილი, ცემად არ განიხილება. ასევე, ცემად არ განიხილება ერთი დარტყმა, თუნდაც მან ძალიან დიდი ფიზიკური ტკივილი გამოიწვიოს. ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი ადამიანის ჯანმრთელობაა.

სხვაგვარი ძალადობა იმით განსხვავდება ცემისგან, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს ერთჯერადი ძალმომრეობით აქტში (ხელის დარტყმა სახეში) ან საერთოდ არ იყოს დაკავშირებული დარტყმასთან (თმით თრევა, ხელების გადაგრეხვა და სხვა). აქაც აუცილებელია დაზარალებულმა განიცადოს ტკივილი. როგორც ცემის ისე სხვაგვარი ძალადობისათვის აუცილებელია, რომ მას შედეგად არ მოჰყვეს

ჯანმრთელობის დაზიანება რომელიმე ფორმით. თუ მას ასეთი შედეგი მოჰყვა, მაშინ იგი დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით და არა სსკ-ის 126-ე მუხლით. ცემის ან სხვაგვარი ძალადობის კვალი 6 დღემდე უნდა გაქრეს. როდესაც ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არის რომელიმე სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის (მაგ: გაუპატიურების შემადგენელი ნაწილი, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ-ის 126-ე მუხლით, არამედ სსკ-ის 137-ე მუხლით (გაუპატიურება), რომლის შემადგენელი ნაწილიცაა ცემა ან სხვაგვარი ძალადობა. თუ ცემას ადგილი ჰქონდა ყაჩაღური თავდასხმის დროს, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაცია საჭირო არ არის. პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით.

სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვაგვარი ძალადობა თან ერთვის ქონების გამოძალვისაკენ მიმართულ მოქმედებას. გამოძალვისას ადგილი აქვს ძალადობის გამოყენების მუქარას, რომელიც მიმართულია მომავლისაკენ და რეალიზებული იქნება იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულს მოთხოვნა არ შეუსრულდება. თუკი ძალადობის აქტი განხორციელდა, ე.ი. მუქარა სისრულეში იქნა მოყვანილი, მაშინ ასეთი ქმედება სცილდება გამოძალვის შემადგენლობის ფარგლებს და ბრალდებულმა პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით გამოძალვისა და სსკ-ის შესაბამისი მუხლებით, მაგალითად, ძალადობის, ჯანმრთელობის დაზიანებისათვის და ა.შ. ხშირად ცემა თან ერთვის ხულიგნურ ქმედებას. ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა შეცვალა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ხულიგნობის ცნება. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი, სისხლის სამართლის წესით ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ძალადობის ქვეშ იგულისხმება ცემა, დარტყმა, ასევე ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. მაშასადამე, ხულიგნობის შემადგენლობა მოიცავს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილით (ასევე სსკ-

ის 120-ე მუხლს) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ პუნქტი გვაქვს მაშინ, როდესაც ქმედება ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ. ამ ჩამონათვალში შესულია ისეთ პირთა კატეგორია, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას ძალადობისაგან მათი სპეციალური სტატუსიდან ან მდგომარეობიდან გამომდინარე. მთავარია, რომ ბოროტმოქმედს წინასწარ შეცნობილი ჰქონდეს ეს სპეციალური მდგომარეობა ან სტატუსი. რაც შეეხება ამ ნაწილის სხვა დამამძიმებელ გარემოებებს ბ)ჯგუფურად; გ)ორი ან მეტი პირის მიმართ; დ)არაერთგზის, მათ შესახებ არაერთხელ გვექონდა საუბარი სხვა მუხლების განხილვისას, ამიტომ ახლა მათზე არ შევჩერდებით უბრალოდ ვიტყვი, რომ სსკ-125-ე მუხლი მათ არ შეიცავდა, ისინი მხოლოდ სსკ-ის 126-ე მუხლის ახალ რედაქციაში გამოჩნდა.

სსკ-ის 126-ე მუხლის 1² ნაწილი შემდეგი რედაქციითაა წარმოდგენილი: სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

განსახილველი დანაშაული წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის დაზიანების მიყენების სპეციფიკურ ხერხს და გამოიხატება დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვაში, რაც სისტემატური ცემის ან სხვაგვარი ძალადობის გამოყენებით ხდება. კერძოდ, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის შემადგენლობაში მოცემულია ძალადობის ორი ხერხი: 1. სისტემატური ცემა, რაც ჩადენილია სამჯერ მაინც, თანაც დროის ხანმოკლე ინტერვალის პერიოდში. 2. სხვაგვარი ძალადობა- რაშიც იგულისხმება თმებით თრევა, ჩქმეტა, ანთებული სიგარეტით ზემოქმედება. სხვაგვარი ძალადობა შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც. მაგალითად,

პირი ღამით სახლის კარებს არ უღებს ოჯახის წევრებს, ტოვებს გარეთ და ამას ადგილი აქვს სისტემატურად. იშვიათ შემთხვევაში, სხვაგვარი ძალადობა შეიძლება იყოს, ერთჯერადი ხასიათის, მაგალითად, ფრჩხილის ამოძრობა, ანთებული სიგარეტის კანზე მიწვა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის არაა სავალდებულო დამნაშავემ მიმართოს ძალადობის მხოლოდ რომელიმე ერთ ხერხს (მაგალითად, სისტემატურ ცემას). შესაძლებელია პირმა გამოიყენოს სხვადასხვა ხერხი. მაგალითად, იგი ხან სცემს დაზარალებულს, ხანაც თმებით ათრევს, ზემოქმედებს ანთებული სიგარეტით, ელექტროშოკით¹⁴⁴

ძალადობა მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. ყველა შემთხვევაში საჭიროა მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

იმ შემთხვევაში თუ ძალადობის გზით მიყენებულია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ბრალდებულის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) ან სსკ-ის 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება).

ძალადობის ხერხები გამოიხატება ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის ძალმომრეობით მიყენებაში. სასამართლოსამედიცინო ექსპერტი ტანჯვას კვალიფიკაციას არ აძლევს, რადგან ამ საკითხის გადანყვეტა საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს კომპეტენციაა. თუ დაზარალებულის სამედიცინო შემონიშნებისას აღმოჩნდება დაზიანებათა სხვადასხვა წარმოშობა, მაშინ საჭიროა დადგინდეს, თუ რით არის მიყენებული ყოველივე მათგანი.

მტანჯავ მოქმედებად ითვლება საჭმლის, წყლის და სითბოს განზრახ ხანგრძლივი ვადით მიუცემლობა, დაზარალებულის მოთავსება ან დატოვება ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებიან ადგილებში და სხვა.

რაც შეეხება სსკ-ის 126-ე მუხლის მეორე ნაწილს, ის და-

¹⁴⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ. 162-163.

მამძიმებელი გარემოებების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს შეიცავს: ა)ორი ან მეტი პირის მიმართ; ბ)დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; გ)დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; დ)დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან დადამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ; ე)მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ვ)შეკვეთით; ზ)რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; თ)სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ი)არაერთგზის; კ)არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ლ)ჯგუფურად; მ)იარაღის გამოყენებით.

გვინდა ორიოდ სიტყვით ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ მეორე ნაწილის „კ“ პუნქტზე (სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ). აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ბოროტმოქმედი სისტემატურად ცემს ან სხვაგვარად ძალადობს არასრულწლოვნის წინაშე მისი ოჯახის წევრზე, მაგალითად, მამაზე, დედაზე, მის ძმას ან დაზე. მოცემულ შემთხვევაში მოძალადე არ უნდა იყოს არასრულწლოვნის ოჯახის წევრი, რადგან მაშინ საქმე გვექნება არა სსკ-ის 126-ე მუხლთან - ძალადობა, არამედ სსკ-ის 1261-ე მუხლთან- ოჯახში ძალადობა.

ობიექტური მხრივ ძალადობა გამოიხატება ქმედებაში (ცემაში, სისტემური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), შედეგში (დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი, ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა) და მიზეზობრივ კავშირში მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სუბიექტური მხრივ ძალადობა განზრახი დანაშაულია და შეიძლება ჩადენილი იყოს, როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვით. მოტივს და მიზანს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის სუბიექტია სისხლისსამართლებრივ ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი.

მხოლოდ მეორე ნაწილის „თ“ პუნქტში (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) არის სპეციალური სუბიექტის მოთხოვნა ანუ პირი აღჭურვილი უნდა იყოს გარკვეული სამსახურებრივი პრივილეგიით, რაც მას უადვილებს დანაშაულის ჩადენას (პირი რომელიც ასრულებს პროფესიულ და არა თანამდებობრივ უფლებამოსილებას). ასეთად არ შეიძლება მოგვევლინოს საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

ძალადობას თუ არ გამოუწვევია სსკ-ის 117-ე ან 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, როგორი ტანჯვის (ფიზიკური ან ფსიქიკური) გამომწვევიც არ უნდა იყოს ბრალდებულის ქმედება, იგი მაინც უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 126-ე მუხლით, რაც ნათლად წარმოჩენილია შემდეგ კაზუსში:

ავთო, რომელიც ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის იყო, თავის მეზობელ ბესოს, რამდენჯერაც შეხვებოდა სახლის ეზოში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაიჭერდა, მინაზე დააგდებდა და მოკიდებულ სიგარეტს ხელებზე უჭრობდა, რაც მცირე თერმულ დამწვრობას იწვევდა მის კანზე. ასეთი ქმედება ავთოს მხრიდან სისტემატურად გრძელდებოდა, რაც ბესოს ფიზიკურ ტკივილს და სულიერ ტანჯვასაც იწვევდა, რადგან ის ავთოს ფიზიკური სიძლიერის გამო წინააღმდეგობას ვერ უწევდა, თან ვერ ხვდებოდა რატომ ექცეოდა მეზობელი ასე. ავთოს რამდენიმე კვირიანი მსგავსი საქციელის გამო ბესომ მიმართა პოლიციას და ეს უკანასკნელი დაკავებულ იქნა.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება ამოხსნა:

-ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია) :

შესაძლებელია ავთომ ჩაიდინა სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება- ძალადობა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი. ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა, კონკრეტულად ბესოს ნორმალური ფიზიკუ-

რი მდგომარეობა.

-ქმედების სუბიექტი - ქმედების სუბიექტია ავთო, რაც არ ინვეს ეჭვს.

-ქმედება - ავთოს ქმედება გამოიხატა რამდენიმე კვირის განმავლობაში ბესოს მიმართ ძალადობრივი მოქმედების განხორციელებაში. კონკრეტულად, ის სახლის ეზოში იჭერდა მეზობელ ბესოს და აქრობდა მას ხელზე მოკიდებულ სიგარეტს, რაც კანზე მცირე სახის დამწვრობით ფიზიკურ ტკივილს იწვევდა.

-შედეგი - მდგომარეობს იმ ფიზიკურ ტანჯვაში, რაც მიადგა ბესოს, მის ხელზე მოკიდებული სიგარეტის მიწვისაგან, რამაც თერმული დაზიანება მიაყენა კანზე, მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანება არ ქმნის სსკ-ის 117-ე, 118-ე, და 120-ე მუხლების შემადგენლობას.

-მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. რადგან ძალადობა მატერიალური შემადგენლობის მქონეა, აუცილებელია, დადგინდეს კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ეჭვს არ ინვეს, რომ ავთოს ძალადობრივმა ქმედებამ კერძოდ მოკიდებული სიგარეტის ბესოსთვის ხელზე არაერთგზისმა მიწვამ გამოიწვია ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი. შესაბამისად, ეს შედეგი მას ობიექტურად შეეცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა- მოცემული კაზუსიდან ჩანს, რომ ავთო მოქმედებდა განზრახ, ითვალისწინებდა და გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ის თავისი ქმედებით ჩადიოდა ძალადობას, ხელზე მოკიდებული სიგარეტის არაერთხელ მიწვით. ის რომ ძალადობა მრავალჯერადი აქტია, მონიშნავს იმ ფაქტზე, რომ ავთოს სრულად გაცნობიერებული ჰქონდა ქმედება და შედეგი, რომელიც მას მოჰყვებოდა, რაც პირდაპირ მიუთითებს განზრახვაზე.

-მართლწინააღმდეგობა

ავთოს ქმედებაში სახეზეა მართლწინააღმდეგობის ფაქტი, მან ფიზიკური ტანჯვა მიაყენა ბესოს, რითაც დააზიანა მისი ჯანმრთელობა (ოღონდ ასეთი ჯანმრთელობის დაზიანება არ უნდა იწვევდეს სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლების შემადგენლობას).

ნება არ უნდა იწვევდეს სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლების შემადგენლობას). კაზუსში არ ჩანს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

-დასკვნა: ავთოს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 126-ე მუხლით, ძალადობა, რადგან მან საკუთარი მეზობლის ბესოსთვის არაერთხელ დაჭერით და ხელზე მოკიდებული სიგარეტის მიწვით, მიაყენა მას კანზე ისეთი თერმული დაზიანება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ გამოუწვევია ჯანმრთელობის დაზიანება გათვალისწინებული სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლებით.

ოჯახში ძალადობა- სსკ-ის 126¹ -ე მუხლი სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 2012 წელს. აღნიშნული კანონით ახალი ნორმა შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ზოგად (მე-111მუხლს), ისე კერძო ნაწილში (126¹ მუხლი). ზოგადი ნაწილის 111-ე მუხლით დაწესდა, რომ ოჯახში ძალადობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სსკ-ის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით (მაგალითად, სსკ-ის 111, 108-ე მუხლი). ამდენად, სსკ-ის ზოგად ნაწილში 111 -ე მუხლის შემოღებას მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მასში ჩამოთვლილია იმ დანაშაულებრივ ქმედებათა სახეები, რისი ჩადენაც ოჯახის წევრებს შორის ითვლება ოჯახში დანაშაულად.

განსახილველი მუხლისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, მათი უფლება, პატივი და ღირსება. ამსრულებელი მხოლოდ ოჯახის ბრალუწარიანი წევრია, რომელიც პასუხისმგებლობის ასაკსაა მიღწეული, რაც შეეხება დაზარალებულს, ისიც უნდა იყოს ოჯახის წევრი. სხვა შემთხვევაში ქმედებას ამ მუხლით ვერ დავაკვალიფიცირობთ. ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა და სხვა პირები (რაც ამომწურავადაა

ჩამოთვლილი ამ მუხლის შენიშვნაში). აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრად ითვლება ყოფილი მეუღლეც. იმის მიუხედავად, ცხოვრობენ თუ არა ისინი ერთად (სამართლებრივი ფიქცია). მაგრამ ასეთ დათქმას კანონმდებელი აკეთებს მხოლოდ მეუღლეების მიმართ და არა ოჯახის სხვა წევრების მიმართ. ამდენად, არ ჩაითვლებიან ოჯახის წევრად ყოფილი რძალი და დედამთილი, ანდა ყოფილი სიძე და სიმამრი. მაგალითად, ოჯახური კონფლიქტის გამო ყოფილმა რძალმა თმებით ათრია დედამთილი, რამაც შედეგად გამოიწვია ფიზიკური ტკივილი.

განსახილველმა ნორმამ შეურაცხყოფისათვის შემოიღო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუკი ის ჩადენილია ოჯახში და სისტემატური ხასიათისაა. შეურაცხყოფა სისტემატურია მაშინ, თუკი იგი ჩადენილია სამჯერ მაინც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ და თანაც დროის მცირე ინტერვალის დაშორებით. ასევე, საუბარია შანტაჟზე, რაც გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ იმის მუქარას, რომ, თუ მას არ დაემორჩილება გაუვრცელებს სახელის გამტეხ ინფორმაციას. იგივე შეიძლება ითქვას დამცირებაზე, თუმცა, მისი გამიჯვნა შეურაცხყოფისაგან ძნელია, რადგანაც შეურაცხყოფა გულისხმობს დამცირებასაც. რაც გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის გარიყვაში. უფრო მეტიც, ექცევა ისე, როგორც მოსამსახურეს. კანონში არაა მითითებული, რომ დამცირება უნდა იყოს სისტემატური, მაგრამ ერთჯერადად მისი ჩადენა არ უნდა შეფასდეს ოჯახში ძალადობის იმ გამოვლინებად, რამაც გამოიწვიოს პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება განსახილველი მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს (ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა), იგი ისე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ-ის 126-ე მუხლშია.

სუბიექტური მხრივ მოტივი და მიზანი არ არის მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობის, თუმცა უფრო გავრცელებულია მისი ჩადენა შურისძიების, ეჭვიანობისა და სიძულვილის მოტივით.

დამამძიმებელ გარემოებასთან გვაქვს საქმე, თუ იგივე

ქმედება ჩადენილია წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ. ორსული ქალი აუცილებლად უნდა იყოს ამ ოჯახის წევრი. ასევე დამამძიმებელია იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ.

რაც შეეხება ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როგორცაა იგივე ქმედება ჩადენილი, ორი ან მეტი პირის მიმართ, ასევე ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, აუცილებელია, რომ დაზარალებული ისე ბრალდებული იყვნენ ოჯახის წევრები.

სამწუხაროდ, დღემდე ოჯახში ძალადობა საქართველოში ე.წ. „ოჯახურ“ პრობლემად ითვლება, რომელშიც ჩარევისგან თავს იკავებს არა მარტო საზოგადოება, არამედ ზოგჯერ სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებიც. ქართულ საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპებით განპირობებული ქართული რეალობის ბოლო წლების ზოგადი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გამოკითხული მოსახლეობის 78.3% მიიჩნევს, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახში უნდა განიხილებოდეს. 52,1%-ის აზრით, თუ მამაკაცი მეუღლეს ცუდად ექცევა, ოჯახის სხვა წევრები არ უნდა ჩაერიონ; ხოლო 30.7%-ის აზრით, ოჯახში ძალადობა პირადული საკითხია და დაუშვებელია მასში კანონის ჩარევა¹⁴⁵ ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული სტრატეგიის მიუხედავად, პროგრესი მაინც ნელა მიმდინარეობს.

ცალკე პრობლემას ქმნის თავად ძალადობის მსხვერპლი ქალების დამოკიდებულება საკითხისადმი. ძირითადი მიზეზი, რის გამოც მსხვერპლები დასახმარებლად არ მიმართავენ - სირცხვილი და ოჯახის „ცუდი“ რეპუტაციაა. მიუხედავად კანონის მიერ ოჯახში ძალადობის კრიმინალად აღიარებისა, ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარადაა ფესვგადგმული მოსაზრება, რომ ოჯახში კონფლიქტი ოჯახშივე უნდა გვარდებოდეს და იქვე რჩებოდეს. კვლევები გვიჩვენებს, რომ მსხვერპლთა უმრავლესობა თავს არიდებს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვას.

¹⁴⁵ სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016., გვ. 234.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, სამწუხაროდ, ხშირად, არიან არასრულწლოვნებიც. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა არასრულწლოვანი თავად განიცდის ძალადობას თუ ძალადობის ფაქტის შემსწრეა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი ოჯახში ძალადობის მხოლოდ მონმე ან მსმენელია, დიდია ალბათობა იმისა, რომ მისი შემდგომი ცხოვრება მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ძალადობასთან.

ძალადობრივ ოჯახში ცხოვრება კი ბავშვების ერთგვარი აგრესიულობის სკოლაა. თუმცა, ბავშვები ოჯახში ძალადობის მხოლოდ პასიური დამკვირვებლები/მსმენელები როდი არიან, ძალადობა ასევე მიმართულია ბავშვების წინააღმდეგ. საქართველოში ბავშვების დასჯა ჩვეულებრივი მოვლენაა.

საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველ მესამე ოჯახში ბავშვებს ფიზიკურად სჯიდნენ. მართებულად აღნიშნავს პროფ დ. ჭულუხაძე, ძალადობა მით უმეტეს ოჯახში ჩადენილი, წარუშლელ კვალს ასვამს არა მარტო ამ დანაშაულის უშუალო მსხვერპლს, არამედ ოჯახის სხვა წევრებსაც. განსაკუთრებით კი ბავშვებს, რომლებიც ძალადობის თვითმხილველნი ან/და არც თუ იშვიათად, ძალადობის მსხვერპლნი არიან¹⁴⁶.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცვლილებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წინგადადგმული ნაბიჯია ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით, თუმცა, გაურკვეველია თუ რა დატვირთვას ატარებს სსკ-ის 111-ე მუხლი, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, იგი არ ავალდებულებს სასამართლოს, სსკ-ის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენით სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ ბრალდებული და მსხვერპლი ერთი ოჯახის წევრები არიან და ამ საფუძვლით ბრალდებულს დაუმძიმოს ან შეუმსუბუქოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. უფრო მეტიც, ორივე ამ მუხლს შენიშვნაც იდენტური აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსგავსი ნორმის შეტანა, მხედველობაში გვა-

146 დ. ჭულუხაძე, ოჯახური დანაშაული და ოჯახში ძალადობა, თბ., 2015., გვ.111.

ქვს სსკ-ის 111¹-ე მუხლი, სისხლის სამართლის კოდექსში გაუმართლებელია.

დღეისათვის, როდესაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ზრდის ტენდენცია აღინიშნება და იგი სულ უფრო აგრესიულ სახეს იღებს, ბუნებრივად ისმის კითხვა, რატომ არ უნდა იყოს ჩვეულებრივ მკვლელობაზე უფრო მაკვალიფიცირებული (დამამძიმებელი), ვთქვათ, შვილის მიერ მამის მკვლელობა ან პირიქით, ქმრის მიერ ცოლის (ყოფილი ცოლის) მკვლელობა და ა.შ.

ჩვენი ეს მოსაზრება, ჯერ ერთი, ემყარება ამ სახის დანაშაულთა სტატისტიკურ მონაცემებს, მის დინამიკას, რაც აშკარად ყოველწლიურად მატებისკენაა მიმართული და რეალურად ადგილი აქვს ჩვენს საზოგადოებაში და მეორეც, ამ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობები სწორედ სოციალურად მომეტებული საშიშროებით გამოირჩევა სხვა დანაშაულებრივი ქმედებებისგან და ეს გარემოება, ვფიქრობთ, საჭიროა აისახოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობები მივიჩნიოთ განზრახ მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად და იგი დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილს ცალკე პუნქტად, როგორც განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა. მიგვაჩნია, რომ ეს სხვა ღონისძიებებთან ერთობლივ კომპლექსში ერთ-ერთი საუკეთესო ზოგადპრევენციული და ზნეობრივი საშუალება იქნება ამგვარ დანაშაულებრივ ქმედებათა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.

ოჯახში ძალადობას შესაძლებელია საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვლინება ჰქონდეს. ზოგჯერ მარტივი სიტუაციაც შეიძლება გადაიზარდოს ოჯახში ძალადობაში. უფრო მეტიც, გამოიწვიოს მძიმე შედეგი. მაგალისთვის განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:

ავთომ თავის მეუღლე ბელას დაუნესა სამსახურიდან და-

ბრუნების ვადა სალამოს შვიდი საათი, რომლის გადაცილების ყოველ ხუთ წუთს მოყვებოდა სახეში ერთი სილის განწნა. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში, რასაც ძალიან განიცდიდა ბელა და სულიერად იტანჯებოდა ქმრის ქცევის გამო. იგი ყოველთვის ცდილობდა დადგენილ დრომდე დაბრუნებულიყო სახლში და საბაბი არ მიეცა ავთოსთვის. ერთ დღესაც ბელა სახლში ტრანსპორტის დაგვიანების გამო ერთი საათით გვიან დაბრუნდა, რის გამოც ავთომ გარდა სილის არაერთი განწნისა განსაკუთრებული სასჯელით, მაკრატლით თმა გადაპარსა. ეს ბელასთვის აღმოჩნდა ბოლო წვეთი, მან მიმართა პოლიციას.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ავთო მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 1261-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ოჯახური ძალადობის ჩადენისათვის.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედების ობიექტი - ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა, კონკრეტულად ბელას ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობა, რასაც ზიანი ადგება ავთოს ქმედებით.

-ქმედების სუბიექტი - ქმედების სუბიექტია ავთო, ის აკმაყოფილებს სსკ-ის 1261-ე მუხლის მოთხოვნას სპეციალურ სუბიექტზე, კერძოდ ოჯახის წევრი, ავთო და ბელა მეუღლეები არიან.

-ქმედება - ავთო რამდენიმე თვის განმავლობაში სისტემატურად ძალადობდა საკუთარ მეუღლე ბელაზე, რაც გამოიხატებოდა ყოველი ხუთი წუთით დაგვიანებაზე სილის განწნაში. ეს ასევე სახლში დაგვიანების შიშს უქმნიდა ბელას, რაც დამატებით ფსიქიკურ ტანჯვაში აყენებდა მას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ არა მარტო ძალადობის შემდგომი, არამედ მოლოდინი გარდაუვალი ძალადობის, ბელას უქმნიდა ფსიქიკურ ტანჯვას. დაგვიანებისთვის მაკრატლით თმის გადაპარსვა კი დამატებითი დამამცირებელი მოქმედება იყო

ავთოს მხრიდან.

-შედეგი - მდგომარეობს ფსიქიკურ ტანჯვაში. რადგან შემადგენლობა მატერიალურია, აუცილებელია შედეგის დადგომა, რაც კონკრეტულად გამოიხატა ავთოს მიერ ბელას მიმართ გამოყენებული ძალადობის შედეგად მიყენებულ სისტემატური ფსიქიკური ტანჯვაში - სილის განწნა, ასევე შიში გამონვეული გარდაუვალი ძალადობით. ბოლოს კი შეურაცხყოფა თმის გადაპარსვით მიაყენა, შეურაცხყოფის ასეთი ფორმა, მითუმეტეს განხორციელებული ქალის მიმართ, განსაკუთრებულად ცინიკურად უნდა მივიჩნიოთ და საკმარისად ჩავთვალოთ სსკ-ის 126¹-ე მუხლის შემადგენლობისათვის, როგორც საფუძველი ფსიქიკური ტანჯვისა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ეჭვს არ იწვევს, რადგან ავთოს ქმედებამ, სისტემატურმა ძალადობამ სილის მრავალჯერადმა განწნამ და ძალადობის შიშმა, ასევე შეურაცხყოფამ გამოიწვია ბელას ჯანმრთელობის ზიანი ფსიქიკური ტანჯვის სახით. შესაბამისად, ავთოს დამდგარი შედეგი ობიექტურად შეეცა ცხება, რადგან მისმა ქმედებამ გამოიწვია ის.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა - მოცემული კაზუსიდან ჩანს, რომ ავთო მოქმედებდა განზრახ, ითვალისწინებდა და გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ის თავისი ქმედებით ჩადიოდა სისტემატურ ძალადობას. ძალადობა რომ მრავალჯერადი აქტია, მონაშობს იმ ფაქტზე, რომ ავთოს სრულად გაცნობიერებული ჰქონდა ქმედება და შედეგი, რომელიც მას მოჰყვებოდა, რაც პირდაპირ მიუთითებს განზრახვაზე.

-მართლწინააღმდეგობა

ავთოს ქმედებაში სახეზეა მართლწინააღმდეგობის ფაქტი. მან ფსიქიკური ტანჯვა მიაყენა ბელას, რითაც დააზიანა მისი ჯანმრთელობა (ოღონდ ასეთი ჯანმრთელობის დაზიანება არ უნდა იწვევდეს სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლების შემადგენლობას). კაზუსში არ ჩანს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა: ავთოს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 126¹-ე მუხლით, ოჯახში ძალადობა, რადგან მან საკუთარი მეუღლის ბელასთვის სილის სისტემატური განნით, მუდმივი ძალადობის შიშის ფაქტორის შექმნით, ასევე მძიმე დამცირებით განზრახ ფსიქიკური ტანჯვა მიაყენა მას.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა

2015 წლის 14 მარტს გ.ჩ-ა დაუკავშირდა 112-ის ოპერატორს და განზრახ გადასცა ცრუ შეტყობინება ქურდობის შესახებ- თითქოსდა მას მოპარეს 200 კგ თხილი. 17 მარტს გ.ჩ-ამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რამდენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა ადგილას ოჯახის წევრებს: დედას- ი.ბ-ას და დას ც.ხ-ას, რის გამოც მათ განიცადეს ფიზიკური ტკივილი. 24 მარტს კი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ოჯახის წევრს- ი.ჩ-ს მოქაჩა თმა და წიხლი ჩაარტყა ფეხში, რა დროსაც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.

დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ გ.ჩ-ას ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა, ოჯახში ძალადობა ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენით გ.ჩ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (2016 წლის 16 მარტის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 1 ნაწილზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1 ნაწილით (24 მარტის ეპიზოდი) და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა მ.ჯ-მ. მან ითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენის გაუქმება და გ.ჩ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

კასატორი - ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ.ჯ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გ.ჩ-ა არის 6-ჯერ ნასამართლვეი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის. ამიტომ საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რადგან ბრალის დისპოზიციაში, სადაც არ წერია „ორი და მეტი პირი“, არ იყო კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.

საკასაციო პალატამ შეისწავლა გ.ჩ-ა ბრალდების საქმის მასალები, შეამოწმა პროკურორის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის საუარესოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მსჯავრდებულ გ.ჩ-ას ნამდვილად აქვს ბრალეულად ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ის მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც მას ჯერ კიდევ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდების სახით წარედგინა.

გ.ჩ-ას ბრალდების საქმის განხილვის შემდეგ, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ და ქუთაისის სააპელაცი-

ციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავიანთ განაჩენებში შეცვალეს მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია ბრალის ერთ ეპიზოდში, კერძოდ, მხედველობაშია ბრალდებულის მიერ თავისი ოჯახის ორი წევრის-დედისა და დის მიმართ 2016 წლის 17 მარტს ჩადენილი ძალადობა. იმის გამო, რომ პირთან დაკავშირებით არ იყო მითითებული ბრალდებულის მიერ ამ ქმედების ორი პირის მიმართ ჩადენის შესახებ, სასამართლოებმა მიიჩნიეს, ხსენებული საბრალდებო დოკუმენტებით გ.ჩ-ას ფაქტობრივად ბრალი არ ჰქონდა წარდგენილი ოჯახში ძალადობის მაკვალიფიცირებელ გარემოებაში ანუ ორი პირის მიმართ ჩადენაში. აქედან გამომდინარე, ამ ეპიზოდში გ.ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირეს იმავე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის საფუძველზეც განესაზღვრა მას სასჯელის ზომა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაფუძნებულია შემდეგ მსჯელობაზე: პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში 2016 წლის 17 მარტის ეპიზოდთან დაკავშირებით, ბრალდების მხარემ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ გ.ჩ-ამ თავისი ქმედება (ოჯახში ძალადობა) ჩაიდინა ორი პირის, დედის- ი.ბ-ასა და დის- ც.ხ-ას მიმართ, ხოლო ბრალდების ფორმულირებაში ანუ ჩადენილი ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებაში არ მიუთითა აღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე და მხოლოდ ამ ქმედების კვალიფიკაციაზე- საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლო დასაბუთებისას იშველიებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს პირის ბრალდების შესახებ დადგენილების შინაარსთან დაკავშირებით, რომლებიც, მოსამართლის აზრით, ბრალდების მხარემ დაარღვია.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებულ

განაჩენში წარმოდგენილ ასეთ პოზიციას და მის დასაბუთებას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების სავალდებულო რეკვიზიტებს, არ არის მითითებული ბრალდების ამ დოკუმენტში სამართლებრივი შეფასების სახით შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემული დისპოზიციის შინაარსის სისხლისსამართლებრივ ნორმაში შეფასების სახით შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემული დისპოზიციის შინაარსის გადმოცემის ვალდებულებაზე და ამ უკანასკნელზე, როგორც სავალდებულო რეკვიზიტზე.

ასეთი მითითება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკითაა დამკვიდრებული, თუმცა ის არც ამჟამად წარმოადგენს და არც წინათ წარმოადგენდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნას. ამიტომ სასამართლოს მიერ 2016 წლის 17 მარტის ეპიზოდში მსჯავრდებული გ.ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირება, არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებულ გ.ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და ის უნდა შეფასდეს, როგორც ოჯახში ძალადობა მაკვალიფიცირებელ გარემოებაში - ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათ-

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, 2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით.;
4. ვ. მაყაშვილი, თ. წერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბილისი., 1980;
5. ზ. მჭავანაძე, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
6. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
7. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი., 2002;
8. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2006;
9. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2007;
10. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2010;
11. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი., 2012;
12. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი., 2013;
13. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი., 2014;
14. ირაკლი დვალაძე, გიორგი თურმანიშვილი, ნინო გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალ-

ში, თბილისი., 2015;

15. დ. ჭულუხიძე, ოჯახური დანაშაული და ოჯახში ძალადობა, თბილისი., 2015
16. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
17. ბაჩანა ჯიმკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი., 2016;
18. Бородин С.В., Ответственность за убийство: квалификация и наказание по российскому праву, М., 1994;
19. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М., 2000;
20. Бюллетень ВС РФ , 1994, №4.
21. Уголовное право Российской Федераций Особенная часть, практикум, под. Ред. А. Рагога, м., 2014;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №45აპ-16.

¹⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №45აპ-16.

თავი VII
ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის
საფრთხის შემქმნელი დანაშაულის ცნება, სახ-
ეები და მათი ზოგადი სისხლისსამართლებრივი
დახასიათება

დღეს უკვე მსოფლიოს არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქმნისათვის. ეს განაპირობა იმ გარემოებათა ზრდამ, რასაც შეუძლია პოტენციურად გამოიწვიოს ასეთი საფრთხის წარმოქმნა. კანონმდებელი იძულებული გახდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დაეწყო უფრო ადრეულ საფეხურზე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ადამიანის მოქმედებამ შექმნა საფრთხე ან, უფრო მეტიც, თვითონ ეს მოქმედება იყო საფრთხის შემცველი.

დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც განსახილველ თავშია გაერთიანებული ჩვენი კანონმდებლობისთვის დიდი ხნის წინ იყო ცნობილი, მაგრამ მათი ერთ თავში გაერთიანება სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კანონმდებლობისთვის ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულების დაჯგუფება ცალკე თავად განპირობებული იყო ამ ქმედებათა სუბიექტური და ობიექტური ნიშნებით. ობიექტური ნიშნების თავისებურება გამოიხატება იმით, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა არ წარმოადგენს აუცილებლობას. ის, საერთოდ, არც არის გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობით. ობიექტური მხარე ასეთ დელიქტებში გამოიხატება ისეთი ქმედების განხორციელებით, რომელიც თავისთავად უქმნის რეალურ საფრთხეს, სისხლის სამართლის კანონით დაცულ სხვადასხვა სიკეთეს. სუბიექტური ნიშნების თავისებურება კი ის არის, რომ ბო-

როტმოქმედის ძირითადი მიზანი არ არის მსხვერპლის სიცოცხლის და ჯანმრთელობის აშკარა მოსპობა, მაგრამ ამასთან ქმნის ისეთ ურთიერთობრივ ატმოსფეროს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა მიეკუთვნება ეგრედ წოდებულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებს. ეს დელიქტები ორ სახედ იყოფა: კონკრეტული საფრთხის დელიქტებად და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებად. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის შემადგენლობა ამონურულია თვითონ მოქმედებით და არ მოითხოვს დამატებით რაიმე შედეგის არსებობას გარკვეული სახიფათო სიტუაციის წარმოქმნის სახით. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კი კანონი აღიარებს დანაშაულად თვითონ ფაქტს აკრძალული მოქმედების ჩადენისა, ხოლო მისი სახიფათო შედეგები დევს დანაშაულის შემადგენლობის გარეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს კანონში მოცემული ქმედებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ კონკრეტულ პირობებში შეიძლება გამოეწვიათ მავნე შედეგი. ამ ტიპის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით და გაუფრთხილებლობით.

ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის ერთ-ერთ არგუმენტად ზუსტად საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობაა მოყვანილი. რომ არა სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლები, რომელთა მეშვეობით ივსება ხარვეზი, რომელსაც ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობა ქმნის, მაშინ ყველა მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება მკვლევლობის მცდელობად დაკვალიფიცირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ევენტუალური განზრახვის ფრანგულ დოქტრინაში დამკვიდრებული გაგება გამორიცხავს დანა-

შაულის მცდელობის შესაძლებლობას ბრალის ამ ფორმით. იქ ხაზგასმულია მცდელობის დროს განზრახვის ფინალურობა (შედეგზე ორიენტირებულობა), რაც გამორიცხულია ევენტუალური განზრახვის დროს.¹⁴⁸ სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა გამორიცხავს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას. ვინაიდან, დანაშაულის მცდელობა ლოგიკურად დაკავშირებულია პირდაპირ განზრახვასთან.

სისხლის სამართლის თეორიაში და სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა კითხვა: მოცემული ტიპის დანაშაულებში არის თუ არა თვითონ საფრთხის შექმნა დანაშაულებრივი შედეგი, და აქედან გამომდინარე, როგორ შემაღენლობებს მიეკუთვნება ისინი, რა მომენტიდან ითვლება ეს დანაშაულები დამთავრებულად? სისხლის სამართლის თეორიაში საფრთხის შემქმნელი დელიქტების გაგება არაერთგვაროვანია. ზოგიერთი ავტორი მათ მიაკუთვნებს მატერიალურ შემადგენლობებს, ზოგი ფორმალურს, ზოგიც კი შეკვეცილ შემადგენლობებს. ავტორთა უმეტესობა ემხრობა მოსაზრებას, რომ ამ ტიპის შემადგენლობები ფორმალურია და მათი დამთავრება დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მომენტთან. ძირითად არგუმენტად აქ შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ ზიანის მიყენების საფრთხე ჯერ არ წარმოადგენს შედეგს. დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა არის, მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების თვისება და არ წარმოადგენს თვითონ შედეგს.

რაც შეეხება განსახილველ თავში მოყვანილ დანაშაულებს ისინი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. ქმედებანი, რომლითაც ბოროტმოქმედი უშუალოდ კი არ სპობს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არამედ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ქმნის ისეთ პირობებს, როგორშიც ადამიანი შეიძლება დაიღუპოს ან ჯანმრთელობა დაუზიანდეს.

148 Yves Mayaud, Droit penal general, Paris, 2004, p. 280-285; F. Desportes, F. Gunehec, Droit general, Paris, 2006, p.464,481; Michel Veron, Droit penal Special, Paris, 1999, p.77-79.

2. შექმნილია პირობები, რომლითაც შეიძლება განადგურდეს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ბოროტმოქმედი კი განზრახ ან გაუფრთხილებლობის გამო არ განმუხტავს ამ საშიშროებას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო განემუხტა. თანამედროვე რეალობა ადამიანისათვის საკმაოდ ბევრი სახიფათო მოვლენებითაა აღსავსე, რაც მოქალაქისგან მოითხოვს მაღალი საზოგადოებრივი და სამართლებრივი შეგნების გამოვლენას. პირს შესისხლხორციელებული უნდა ჰქონდეს მეორე პირისადმი დახმარების განწევის აუცილებლობა, პასუხისმგებლობის გრძნობა სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, ასევე, თავის შეკავება ისეთი მოქმედებისაგან, რაც სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის. **კანონმდებელმა ზემოხსენებული შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:**

1. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი მოქმედებისაგან თავის შეკავება (სსკ-ის 127-ე, 131-ე, 132-ე, 133-ე, 133¹-ე, 133²-ე, 134-ე, 135-ე, 136-ე მუხლები).

2. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირის მიტოვება იმისგან, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა და ჰქონდა დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა და გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა ნებისმიერი პირისგან, რომელსაც ყოველგვარი საშიშროების გარეშე შეეძლო დახმარების აღმოჩენა (სსკ-ის 128-ე, 129-ე მუხლები).

3. ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ (სსკ-ის 130-ე მუხლები).

7.1. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (მუხლები 127-ე, 128-ე, 129-ე 130-ე)

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება- სსკ-ის 127-ე მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. მისი დისპოზიცია ასეთია: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად¹⁴⁹“, როგორც ვხედავთ, მოცემული მუხლის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს სხვა ადამიანის სიცოცხლე. ახალმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ადამიანის სიცოცხლე ნომერ პირველ დაცვის ობიექტად მიიჩნია, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნაც კი კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად მიიჩნია.

ობიექტური ნიშნით დანაშაული ხასიათდება სხვა პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებით, ანუ ისეთი პირობების შექმნით, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

მაგალითად, ყინვაში ქუჩაში ღამით მარტო მიტოვება, ტყეში ხეზე მიბმა და მიტოვება, ძლიერ ნასვამი ადამიანის უპატრონოდ დატოვება, მაგრამ მარტო მიტოვება ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის საკმარისი არ არის. დაზარალებული უნდა იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეეძლოს მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია ბევრნაირი იყოს.

მაგალითად, ძლიერი ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე, ძლიერმოქმედი მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, მცირეწლოვნობა, ღრმა მოხუცებულობა, ავად-

მყოფური მდგომარეობა და სხვა. ლიტერატურაში ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ მცდარია მსჯელობა იმის შესახებ, რომ სსკ-ის 127-ე მუხლი მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას გულისხმობს, ანუ მხოლოდ იმას, ვისაც არ შეუძლია თავის დაცვა - ავადმყოფები, მოხუცები, მცირეწლოვნები და ასე შემდეგ.¹⁵⁰ ნორმაში არსებული ფორმულირება „ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად“, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ სხვა ნებისმიერი ადამიანი არ შეიძლება აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში. თუნდაც, ცურვის მცოდნე ადამიანის ადიდებულ მდინარეში ჩაგდება ქმნის სსკ-ის 127-ე მუხლის შემადგენლობას. მართალია, მსხვერპლი ჯანმრთელია და ცურვა იცის, მაგრამ სწორედაც კონკრეტულ სიტუაციაში აღმოჩენის გამო ექმნება მას სიცოცხლის საფრთხე. ამ მოსაზრებას უნდა დავეთანხმოთ, რადგან გასათვალისწინებელია არა ის, რომ ადამიანს ზოგადად არ შეუძლია თავი დააღწიოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციას, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში არა აქვს ამის შესაძლებლობა.

მაგალითად, ავთომ ზამთრის ყინვიან ღამეს უგონოდ დაათრო მისთვის არასასიამოვნო პიროვნება ბესო, რომელსაც სიარული აღარ შეეძლო. შემდეგ იგი გადაიყვანა ქუჩის ბნელ კუთხეში, გახადა ქურთუკი და დატოვა იმ ვარაუდით, რომ ბესო გაცივდებოდა და ამით მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა.

ბოროტმოქმედმა შეგნებულად ჩააყენა მსხვერპლი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, სადაც მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ზომები თავის გადასარჩენად და, რაც მთავარია, საფრთხე კონკრეტული და რეალურია. დანაშაულებრივი ქმედება დამთავრებულად ითვლება საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისთანავე. ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგის დადგომა სსკ-ის 127-ე მუხლით დასჯადობის წინაპირობა არ არის. უშუალოდ ქმედებაში ისედაც ჩანს, რომ საფრთხე შექმნილია. ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორ-

149 საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი.

150 ცქიტიშვილი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2012., გვ. 360.

ციელებისათვის აუცილებელია საფრთხეში იმ პირის ჩაყენება, ვისაც არ შეუძლია ამ საფრთხეს გაუმკლავდეს. აღნიშნული შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ კონკრეტული კაზუსის ამოხსნისას არ ხდება შედეგის, მიზეზობრივი კავშირის და ობიექტური შერაცხვის შემოწმება. ფაქტიურად კაზუსის ამოხსნას ვინცებთ ქმედების შემადგენლობის, უფრო კონკრეტულად, ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშნის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნის შემოწმებით. რაც გამოიხატება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენებით, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად, შემდეგ კი გადავდივართ სუბიექტური შემადგენლობის ნიშნის განსაზღვრისა და მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენაზე.

სუბიექტური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ბოროტმოქმედი განზრახ, შეგნებულად ქმნის მსხვერპლის სიცოცხლისათვის საშიშ პირობებს, ამასთან ითვალისწინებს იმასაც, რომ მსხვერპლს არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად. აქ იგულისხმება საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების ცოდნა და სურვილი და არა უშუალოდ შედეგის დადგომის მიმართ განზრახვის არსებობა.¹⁵¹

სწორად უნდა მივიჩნიოთ სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების ავტორთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ბრალდებული ითვალისწინებდა ქმედებას შედეგად შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი და არ სურდა ეს შედეგი, თუმცა უშვებდა ასეთ შესაძლებლობას. მისი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან მცდელობა ევენტუალური განზრახვით გამორიცხებულია. თუ პირი ითვალისწინებდა მის მიერ შექმნილი საფრთხის შედეგად ადამიანის სიკვდილს და სურდა ეს შედეგი ან თუმცა არ სურდა, მაგრამ გარდუვალად მიაჩნდა მისი განხორციელება, იგი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის.¹⁵²

151 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, თბ., 2015., გვ. 161.

152 ზ. ნულაია სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, გამომცემლობა

ზოგჯერ რთულია მკვლელობის მცდელობის გამიჯვნა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისაგან.

მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთო ყინვიან საღამოს ქუჩაში შემთხვევით გადაეყარა თავის მეზობელ ბესოს, რომელიც ძლიერ მთვრალი მიდიოდა სახლისკენ. ავთოს ჰქონდა რა ბესოს მიმართ პირადი უთანხმოება, მივიდა მასთან, გახადა ქურთუკი და ფეხსაცმელი, იქვე სიბნელეში ჩამოსვა ხის ძირას. დარწმუნდა რა, რომ ბესოს არ შეეძლო ადგომა და გზის გაგრძელება მიატოვა ადგილზე. ბესო შემთხვევით გამვლელებმა ღამით გაყინვას გადაარჩინეს.

კითხვა: როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს ქმედება?

კაზუსიდან ორი წინასწარი ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაყენოთ. კერძოდ, განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების შესახებ.

კაზუსის ამოხსნა ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გაანალიზების შემდეგ ყველაზე მისაღებია უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობით დავიწყოთ.

-პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია) :

შესაძლებელია ავთომ თავისი უმოქმედობით ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 19-ე, 108-ე მუხლებით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 19-ე, 108-ე მუხლების მიხედვით, განზრახ მკვლელობის ობიექტური შემადგენლობისათვის აუცილებელია იმის გარკვევა, კონკრეტულად თუ რა შედეგის დადგომა სურდა ბრალდებულს.

ავთოს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა ბესო. ამასთანავე, იგი არაფერზე და არავისზე არ ამყარებდა იმედს (ღამე იყო და ირგვლივ არავინ ჩანდა). შესაბამისად, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლო იყო, ბესო არა-

„ინტელექტი“, თბ., 2000., გვ. 145.

ვის ენახა და მძიმე შედეგი დამდგარიყო, რაც მას არ სურდა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა. მკვლელობის მცდელობისაგან განსხვავებით, ბრალდებულს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბესოს სიკვდილის მიმართ არ ამოძრავებს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა. ავთოს მიერ ჩადენილი ქმედებიდან ჩანს, რომ მას ჰქონდა განზრახვა მხოლოდ საფრთხეში ჩაყენების მიმართ და არა შესაძლო შედეგის მიმართ, უფრო კონკრეტულად კი, ბესო რომ გაყინულიყო.

-დასკვნა: ავთოს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით, რადგან მისი განზრახვა არ მოიცავდა ბესოს სიცოცხლის მოსპობას.

-მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ავთოს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბესოს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 127-ე მუხლით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედების ობიექტი

ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე

-ქმედების სუბიექტი

ქმედების სუბიექტია ავთო ანუ ის, ვინც ბესო ჩააყენა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.

-ქმედება- ავთომ ბესოს სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეუქმნა მისი საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებით, ყინვიან ღამეს მიატოვა ქურთუკის და ფეხსაცმლის გარეშე, ისეთ მდგომარეობაში, რომ ამ უკანასკნელს გადაადგილების შესაძლებლობა არ ჰქონდა. საშიში მდგომარეობა შეიქმნა იმ გარემოების გამო, რომ ძლიერ მთვრალ ბესოს არ შეეძლო თავის დაღწევა ამ სიტუაციიდან, ანუ ეზრუნა საკუთარ თავზე და ზომები მიეღო თავის დასაცავად. საფრთხე კონკრეტული და რეალური იყო იმის გამო, რომ დიდი ალბათობა არსებობდა

ღამით ტანსაცმელგახდელი ბესო უმოძრავოდ მყოფი გაყინულიყო. ხოლო, რაც შეეხება საფრთხის შემცველ ქმედებებს, ის განხორციელდა ავთოს მიერ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის გახდითა და ბესოს უმოძრავოდ მიტოვებით.

-შედეგი- ფორმალური შემადგენლობა სახეზეა, დამთავრებულია ქმედების განხორციელების მომენტიდან ანუ, როდესაც ბესოს სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის - ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში საჭირო არაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა. მოცემული კაზუსიდან ჩანს, რომ ავთო მოქმედებდა განზრახ, ითვალისწინებდა და გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ის თავისი ქმედებით სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აყენებს ბესოს. ამასთან ავთოს აქვს განზრახვა მხოლოდ საფრთხეში ჩაყენების მიმართ და არა შესაძლო შედეგის მიმართ- ბესო რომ გაყინულიყო.

-მართლწინააღმდეგობა

ავთოს ქმედება მართლწინააღმდეგოა. მან საფრთხეში ჩააგდო ბესოს სიცოცხლე. კაზუსში არ ჩანს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა: ავთოს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 127-ე მუხლით, რადგან მან ჩააყენა ბესო სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ამასთან, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა შესაძლებლობა ეზრუნა საკუთარ თავზე.

განსაცდელში მიტოვება-სსკ-ის 128-ე მუხლი

განსახილველი დანაშაული საფრთხის შემქმნელი დელიქტია და ითვალისწინებს საფრთხის შექმნას მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისათვის. ამდენად, ჯანმრთელობისათვის სა-

შიში საფრთხის შექმნა სსკ-ის 128-ე მუხლით არ დაისჯება. ამ მუხლის დისპოზიცია ასეთია: „დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება“.

სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ უმოქმედობით, რომელიც გამოიხატება იმ პირის განზრახ დახმარების გარეშე მიტოვებაში, ვინც სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მდგომარეობაში იმყოფება და არა აქვს თვითგადარჩენის შესაძლებლობა. ამ მდგომარეობაში დაზარალებული შეიძლება აღმოჩნდეს „ავადმყოფობით, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესებით, ადამიანის სხვადასხვაგვარი მოქმედებით და ა.შ. მაშასადამე, სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებლად ანდა დამნაშავის მოქმედებით, მაგრამ მისი განზრახვის გარეშე.“¹⁵³ ანუ ბოროტმოქმედი არ ეხმარება პირს, რომელიც მისგან დამოუკიდებლად აღმოჩნდა სიცოცხლისათვის სახიფათო სიტუაციაში ან თვითონ გაუფრთხილებლად ჩააგდო ეს პირი ასეთ მდგომარეობაში.

განსახილველი მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ერთ-ერთი ამ მოცემულობათაგან: ა) ბოროტმოქმედს ჰქონდა შესაძლებლობა და ვალდებული იყო საჭირო დახმარება აღმოეჩინა; ბ) ბოროტმოქმედმა თვითონ ჩააყენა მსხვერპლი სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში, რაც წარმოშობს მასზე ზრუნვის ვალდებულებას. პირველ დებულებაში გადმოცემულია გარკვეული ერთობა, რომელიც აუცილებელია მოცემული დანაშაულის შემადგენლობით პასუხისმგებლობის დადგომისათვის ანუ საკმარისი არაა, მხოლოდ შესაძლებლობა დახმარების აღმოჩენის ისე, რომ თვითონ მოქმედი საფრთხეში არ აღმოჩნდეს,

¹⁵³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011., გვ. 141.

არამედ ამასთან მსხვერპლზე ზრუნვის ვალდებულება აუცილებელია.

შესაბამისად, ისეთ შემთხვევაში, თუ პირს შეეძლო დახმარების აღმოჩენა იმისთვის, ვინც სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ არ იყო ვალდებული მასზე ზრუნვა გამოეჩინა, არ შეიძლება მივიჩნიოთ მოცემული დანაშაულის სუბიექტად. ზრუნვისა და დახმარების სპეციალური ვალდებულება შეიძლება პირს წარმოეშვას კანონმდებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესაბამისად ან ნაკისრი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით (მშობლები, მეხანძრე-მაშველები, დაქირავებული ძიძა და ა.შ.).

თვალსაჩინოებისთვის გვინდა მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

ავთო, ბესო და გიორგი სატვირთო მანქანით ზამთარში ნავიდნენ ტყეში შეშის დასამზადებლად. მანქანა ჩარჩა ღრმა თოვლში და მისი ამოყვანა ვერ მოხერხდა. სამივემ გადაწყვიტა სახლში ფეხით დაბრუნება. ხანგრძლივი სიარულის შედეგად გიორგის ატკივდა ფეხი და დამოუკიდებლად გადაადგილება ვერ შეძლო. გარკვეული მანძილი ავთომ და ბესომ ხელით ატარეს გიორგი, მაგრამ მალე დაიღალნენ და გადაწყვიტეს, რომ ავთო ნავიდოდა დასახლებულ პუნქტამდე და გამოიძახებდა მანქანას ბესოს და გიორგის წამოსაყვანად, ხოლო ეს უკანასკნელები მანამდე დაანთებდნენ ცეცხლს და დაელოდებოდნენ დახმარებას. ავთო მივიდა დასახლებულ პუნქტამდე, ვერ იპოვა იქ მანქანა, რადგან უკვე ღამდებოდა, ნავიდა სახლში დასაძინებლად იმ იმედით, რომ დარჩენილები ცეცხლს დაანთებდნენ. ბესომ და გიორგიმ ცეცხლი ვერ დაანთეს და იძულებულები გახდნენ გზა გაეგრძელებინათ. ცოტა ხანში მოესმათ მანქანის ძრავის ხმა, ბესომ დატოვა გიორგი და მანქანისკენ ნავიდა, ვერ აღმოაჩინა ის და გააგრძელა გზა, მივიდა თავის სახლამდე და დაიძინა. უმწეო გიორგი კი დარჩა გზაზე, შედეგად ღამით სიცივეში გაიყინა და გარდაიცვალა

მოცემულ მაგალითში ჩვენთვის საინტერესოა ავთოს ქმედება, არის თუ არა აქ განსაცდელში მიტოვების დანა-

შაულის ნიშნები. კანონი მოითხოვს დამნაშავესგან განზრახვის არსებობას და ამასთან სამ აუცილებელ პირობას: პირს ჰქონდა შესაძლებლობა სიცოცხლისათვის საფრთხეში მყოფს დახმარებოდა, გააჩნდა ასეთი ვალდებულება და თვითონ ჩააყენა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ავთოს არ გააჩნდა ვალდებულება ეზრუნა გიორგიზე, ის აღმოჩნდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მდგომარეობაში არა ავთოს ბრალით, ამას გარდა ავთოს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ბესო გააჩაღებდა ცეცხლს და არ მიატოვებდა გიორგის. ანუ კეთილსინდისიერად ცდებოდა გიორგის სიცოცხლისათვის საფრთხის არარსებობის შესახებ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავთოს ქმედებაში სსკ-ის 128-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობა არ გვაქვს.

რაც შეეხება დებულებას, როდესაც ბოროტმოქმედი თავისი გაუფრთხილებელი მოქმედებით პირს აგდებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, მას დახმარების აღმოჩენის ვალდებულება წარმოეშობა. ამის კლასიკურ მაგალითად გვევლინება ავტოსაგზაო შემთხვევა, როდესაც მძღოლს ევალება დაშავებულისთვის დახმარების აღმოჩენა, რომელიც მის გამო აღმოჩნდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და არა აქვს შესაძლებლობა თავი დააღწიოს მოცემულ სიტუაციას. ეს ისეთი სიტუაციებია, როდესაც მძღოლი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, არ გამოიძახა სასწრაფო დახმარება ან არ გადაიყვანა დაშავებული სამედიცინო დაწესებულებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, თუ ბოროტმოქმედი განზრახ აყენებს პირს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში შედეგიდან გამომდინარე, გვექნება სხვა დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, არ შეიძლება ავთოს ბრალად შეერაცხოს ბესოს განსაცდელში მიტოვება, თუ მან განზრახ მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები და შემდგომ მიატოვა ის ქუჩაში.

მოცემული დანაშაული მიეკუთვნება ფორმალურ შემადგენლობებს და დამთავრებულად ითვლება დახმარე-

ბის აღმოუჩენლობის მომენტიდან.¹⁵⁴ თუ განსაცდელში მიტოვებას მოჰყვა პირის, რომლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, გარდაცვალება, მაშინ საქმე გვექნება არა სსკ-ის 128-ე მუხლთან, არამედ განზრახ მკვლელობასთან ან სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობასთან.

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია ანუ შეიძლება მხოლოდ ის პირი მოგვევლინოს, რომელსაც დახმარების აღმოჩენის სპეციალური ვალდებულება ეკისრება ანუ გააჩნია სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია.

რიგ შემთხვევაში ძნელია დაუხმარებლობის გამიჯვნა განსაცდელში მიტოვებისაგან.

მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთო ტბაზე მუშაობდა მაშველად, რადგან უკვე საღამო იყო და შეხვედრაზე აგვიანდებოდა, ღრმა წყალში მოცურავე ბესოს ყურადღება არ მიაქცია. ცოტა ხანში ბესომ ფეხების სპაზმის გამო დაიწყო დახრჩობა და შევლას ითხოვდა. ავთომ დაინახა, რომ ბესო განსაცდელში იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა გულგრილად მოეკიდა ამ ფაქტს, წყალში შეცურვის მაგივრად ჩაიცვა და წავიდა პლაჟიდან. ბესო წყლიდან სხვა პირებმა ამოიყვანეს, რომლებიც ასევე იმყოფებოდნენ ტბაზე.

კითხვა: როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს ქმედება?

კაზუსიდან ორი წინასწარი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია) უნდა წამოვაყენოთ დაუხმარებლობის და განსაცდელში მიტოვების შესახებ.

პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ავთოს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბესოსათვის დაუხმარებლობისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 129-ე მუხლით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 129-ე მუხლის მიხედვით, დაუხმარებლობის ობიექტური შემადგენლობისათვის აუცილებელია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა ვალდებულება ჰქონდა ბრალდებულს.

¹⁵⁴ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი.

კაზუსის მიხედვით ავთოს ჰქონდა სპეციალური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობდა მისი სპეციალური სამსახურეობრივი ვალდებულებებიდან ის მუშაობდა მაშველად ტბაზე.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა- ავთო ხედავდა, რომ ბესო იმყოფებოდა განსაცდელში, მას ევალეობდა მასზე ზრუნვა, რადგან მას ჰქონდა სამართლის გარანტიის ფუნქცია, რაც გამომდინარეობდა სპეციალური სამსახურეობრივი ვალდებულებებიდან.

დასკვნა: ავთოს არ ჩაუდენია, სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება და მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა დაუხმარებლობისათვის.

მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ავთოს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსაცდელში მიტოვებისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 128-ე მუხლით.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი - ბესოს სიცოცხლე, რადგან მას საფრთხე ემუქრება დახრჩობის და თვითონ არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს თავის დასაცავი ზომები.

- ქმედების სუბიექტი - არის ავთო, რადგან ის მუშაობდა მაშველად ტბაზე და ჰქონდა ვალდებულება ეზრუნა განსაცდელში მყოფ პირზე ბესოზე, რომლის სიცოცხლესაც საფრთხეში იყო

-ქმედება - გამოიხატა უმოქმედობაში, ავთომ არ შეასრულა სავალდებულო მოქმედება, რომელიც მას სამსახურეობრივად ევალეობდა. კერძოდ, უნდა აღმოეჩინა დახმარება ბესოსთვის, რომლის სიცოცხლე საფრთხეში იყო. სახეზეა ორივე პირობა, რაც ავთოს ქმედებას დანაშაულად აქცევს: ბესო იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, ასევე ავთოს ევალეობდა ბესოზე ზრუნვა და შეეძლო კიდევ ეს. ავთოს სპეციალური ვალდებულება გამომდინარეობდა მისი სპეციალური სამსახურეობრივი ვალდებულებებიდან.

-შედეგი - საქმე გვაქვს ფორმალურ დანაშაულთან და ის დამთავრებულია სიცოცხლის საშიშ მდგომარეობაში მყოფის დახმარების აღმოუჩენლობისთანავე, რაც მას სამსახურეობრივად ევალეობდა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში საჭირო არაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

გაზრახვა- ავთოს ქმედება განზრახვას მოიცავს. ის ხედავდა რომ ბესო განსაცდელში იყო და არ დაეხმარა მას. კაზუსიდან ასევე ჩანს, რომ ავთოს არაპირდაპირი განზრახვა ამოძრავებდა- შედეგის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება.

-მართლწინააღმდეგობა

ავთოს ქმედება მართლწინააღმდეგოა. მან არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, თავი შეიკავა დახმარების აღმოჩენისგან. კაზუსში არ ჩანს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

-დასკვნა: ავთო უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რადგან მან სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ბესოს არ აღმოუჩინა დახმარება, რომელიც მას სამსახურეობრივად ევალეობდა და ასევე შეეძლო დახმარების აღმოჩენა.

დაუხმარებლობა -სსკ-ის 129-ე მუხლი

განსახილველი მუხლის თანახმად, დანაშაულადაა მიჩნეული „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისთვის ან სხვა პირისთვის სერიოზული საშიშროების გარეშე, აგრეთვე სათანადო

დანესებულების ან პირისთვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა.¹⁵⁵

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ამ მუხლით ამყარებს საზოგადოებაში ურთიერთდახმარების ვალდებულებას. ყოველი მოქალაქე, თუ მას ამის შესაძლებლობა გააჩნია ისე, რომ საკუთარი ან სხვისი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდოს, ვალდებულია, განსაცდელში მყოფს აღმოუჩინოს საჭირო და გადაუდებელი დახმარება ან შეატყობინოს ამის შესახებ სათანადო ორგანოებს ან პირებს. იდეალურ საზოგადოებაში ამ დებულებას საკანონმდებლო დამაგრება არ ესაჭიროება, მაგრამ დღევანდელ პირობებში ასეთი მუხლის არსებობა აშკარად აუცილებელია, რადგან ჯერ კიდევ ყოველი ინდივიდი არ არის გამსჭვალული ურთიერთდახმარების აუცილებლობის იდეით.

განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, რომელსაც საფრთხე ემუქრება.

მოცემული მუხლი წარმოადგენს წმინდა უმოქმედობის კლასიკურ მაგალითს. პირი არ ეხმარება ადამიანს, რომლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. იმ პირის დახმარება ვისი სიცოცხლეც საფრთხეშია, გულისხმობს: ა) თვითონ გაუწოდოს დახმარების ხელი (წაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში, თვითონ მისცეს საჭირო მედიკამენტი, ტანსაცმელი, საჭმელი, წყალი, თავშესაფარი და სხვა); ბ) გამოიძახოს შესაბამისი სამაშველო სამსახურები (სასწრაფო დახმარება, სახანძრო-მაშველები, პოლიცია და სხვა); გ) დაუძახოს სხვა პირებს, რომელთაც შესწევთ უნარი დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენის (კარგი მოცურავის დაძახება პირის წყლიდან ამოსაყვანად ან რამდენიმე ადამიანის მოხმობა პირის ჭიდან ამოსაყვანად და სხვა).

განსახილველი მუხლით პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს ჰქონდა შესაძლებლობა დახმარების აღმოჩენის, თან ისე, რომ საკუთარ თავს ან სხვა პირებს სერიოზული საფრთხე არ შექმნოდათ. მაგალითად, ვე-

155 საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი.

რავინ დაავალდებულებს პირს აღმოებულ სახლში შესვლას იქ მყოფი ადამიანის გადასარჩენად, თუ ამით მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნება.

აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაზარალებული არ უნდა აღმოჩნდეს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ბრალდებულის მოქმედებიდან გამომდინარე, არამედ ასეთი სიტუაცია გამონვეული უნდა იყოს სხვა, დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობით, მაგალითად, სტიქიური უბედურებით (მიწისძვრა, წყალდიდობა), სხვა პირის მოქმედებით (ვინმემ დაზარალებულს ხელი კრა და წყალში ჩააგდო ან მის სახლს ცეცხლი წაუკიდა), ავადმყოფური მდგომარეობით (ინფარქტი, ინსულტი) ან თუ გინდ ქალი მშობიარობს ან ვინმე ტყეში დაიკარგა და სხვა მრავალი. რაც შეეხება საფრთხეს ის უნდა იყოს აშკარა, რეალური და, შესაბამისად, უნდა საჭიროებდეს აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, რაც პირდაპირ მითითებულია კანონში. მაგრამ ამავე დროს, კანონი არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, როდესაც დაუხმარებლობა დაკავშირებულია ერთგვარ რისკთან, პირადი ინტერესების ერთგვარ შეზღუდვასთან, თუ ასეთი რისკი სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის კანონით დაცულ ინტერესებს¹⁵⁶

ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ კანონის მოთხოვნას, რომ თუ პირს თვითონ არ შეუძლია დახმარების აღმოჩენა, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სათანადო დაწესებულებას ან სხვა პირებს. სათანადო დაწესებულებებში უნდა ვიგულისხმოთ სახანძრო-სამაშველო სამსახური, სასწრაფო სამედიცინო სამსახური, ან სხვა დაწესებულება, რომლის დახმარებაც გადაუდებელია, კონკრეტულ შემთხვევაში, ვთქვათ, სატყეო რეინჯერების სამსახური, თუ პირი ტყეში დაიკარგა. რაც შეეხება სათანადო პირებს აქ, რა თქმა უნდა, საუბარია ექიმებზე, სპეციალური ცოდნის მქონე პირებზე, დაზარალებულის ნათესავებზე, ასევე არაა გამორიცხული სხვა პირების დასახმარებლად მოხმობა.

მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, რომ ქმედების დანა-

156 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარები, თბ, 2002, გვ.211.

შაულად კვალიფიკაცია სსკ-ის 129-ე მუხლით უნდა მოხდეს არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა დაეხმაროს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს და ამას არ აკეთებს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი არ ატყობინებს აღნიშნულის შესახებ შესაბამის ორგანოებს ან პირს. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც არ ხდება ამის გათვალისწინება.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

ავთო და ბესო ერთმანეთის შორიახლო იდგნენ წვიმის შედეგად აღიდებული მდინარის პირას. ცოტა ხანში წყალმა გამოურეცხა მინა ბესოს ფეხქვეშ, რის გამოც ის მდინარეში აღმოჩნდა და წყალმა წაიღო. ჩქარი დინების გამო მან ვერ შეძლო მდინარისთვის ნინაალმდეგობის განევა და გამოცურვა. ავთო ხედავდა მომხდარს, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენია, რადგან ცურვა არ იცოდა და წყალში გადახტომა მდინარის სიჩქარის გამო სარისკო იყო მისი სიცოცხლისათვის. ასევე, მან არ გამოიძახა შესაბამისი სამაშველო სამსახური.

კითხვა: როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს ქმედება?

ამოხსნა: პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ავთო მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 129-ე მუხლით- დაუხმარებლობა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი - ბესოს სიცოცხლე, რომელიც საფრთხის ქვეშ იმყოფება.

-ქმედება - ავთომ თავი შეიკავა წყალში გადახტომისგან, არ იმოქმედა ბესოს გადასარჩენად, რადგან არ იცოდა ცურვა და აღიდებული მდინარე მისი სიცოცხლისათვის საფრთხეს წარმოადგენდა, რისკი ძალიან დიდი იყო.

-შედეგი - კაზუსში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედება ფორმალურია და არ მოითხოვს გარკვეული შედეგის დადგომას, ის დამთავრებულია გადაუდებელი, აუცილებელი დახმარების აღმოუჩენლობის მომენტიდან.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის - ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში საჭი-

რო არაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა, გაუფრთხილებლობა - დაუხმარებლობა გათვალისწინებული სსკ-ის 129-ე მუხლით მოითხოვს განზრახვას თვითონ დახმარების აღმოუჩენლობის მხრივ, რაც არ იკვეთება მოცემულ კაზუსში, რადგან დახმარება აღმოჩენილი არ იყო დიდი რისკის გამო.

-მართლწინააღმდეგობა

არ არსებობს, რადგან ავთოს არ დაურღვევია არც წინდახედულობის ნორმები და არც კანონის მოთხოვნა.

-ბრალი

ავთოს ქმედებაში არ იკვეთება ბრალეული უმოქმედობა. რადგან მან არ განახორციელა დახმარება, მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა ცურვა და დიდი რისკის ქვეშ ვერ დააყენებდა თავს.

-შუალედური დასკვნა: ავთო არ უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 129-ე მუხლით, რადგან მის ქმედებაში არ იკვეთება დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული უმოქმედობა.

აღნიშნული დასკვნა არასწორია ვინაიდან, ავთომ არ შეასრულა კანონის მეორე მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა შევიმუშავოთ მე-2 ჰიპოთეზა.

ამოხსნა: მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

ავთო შესაძლებელია მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 129-ე მუხლით, რადგან მან აუცილებელი გადაუდებელი დახმარება არ აღმოუჩინა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ბესოს, რაც გამოიხატა სათანადო ორგანოებისთვის შეუტყობინებლობაში.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი - სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ბესოს სიცოცხლე.

-ქმედების სუბიექტი - ავთო აკმაყოფილებს უმოქმედობის კრიტერიუმებს, რადგან არ შეასრულა კანონის მოთხოვნა აუცილებელ მოქმედებაზე.

-ქმედება - მიუხედავად იმისა, რომ ავთომ ცურვა არ იცოდა და ადიდებულ მდინარეში შესვლით საფრთხეს შეუქმნიდა საკუთარ სიცოცხლეს (რაც გამორიცხავს მის მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას), მან არ შეასრულა კანონის მეორე მოთხოვნა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის გადაუდებელი და აუცილებელი დახმარების საჭიროების შესახებ სათანადო ორგანოსათვის ან პირისთვის შეტყობინების სახით.

-შედეგი - კაზუსში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედება ფორმალურია და არ მოითხოვს გარკვეული შედეგის დადგომას. ის დამთავრებულია გადაუდებელი, აუცილებელი დახმარების აღმოუჩენლობის მომენტიდან. კერძოდ, ავთოს ქმედებასთან მიმართებაში, მაშინ როდესაც ის არ დაუკავშირდა სამაშველო სამსახურს და არ ითხოვა შველა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის - ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში საჭირო არაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-გაზრახვა, გაუფრთხილებლობა - ავთოს ქმედებაში მკაფიოდ იკვეთება განზრახვა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა იმნუთიერად დახმარებოდა ბესოს ფიზიკურად, კაზუსიდან ჩანს, რომ შეეძლო გამოეძახა სამაშველო სამსახური, რაც მან განზრახ არ გააკეთა, ამით ის გულგრილად მოეკიდა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას.

-მართლწინააღმდეგობა

მოცემულ სიტუაციაში უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა ეჭვს არ იწვევს, რადგან არ არსებობს რაიმე გამომრიცხავი გარემოება.

-ბრალი

ბრალეულობის საკითხიც ეჭვგარეშეა. ავთომ უმოქმედობით ბესოს სიცოცხლისთვის საფრთხე შექმნა და არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

-შუალედური დასკვნა: ამრიგად, ავთომ თავისი უმოქმედობით კერძოდ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის დახმარების არგამოძახებით, სათანადო

ორგანოსათვის შეუტყობინებლობით შეასრულა სსკ-ის 129-ე მუხლის მოთხოვნა.

-საბოლოო დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ავთოს არ ჰქონდა ბესოსთვის იმნუთიერი გადაუდებელი დახმარების განწვევის შესაძლებლობა ისე, რომ რისკის ქვეშ არ მოქცეულიყო საკუთარი სიცოცხლე, მას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეძახა სპეციალური სამსახური დახმარების აღმოსაჩენად. აქედან გამომდინარე, მან სისხლისსამართლებრივად პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 129-ე მუხლით.

აქ გასათვალისწინებელია ის ვითარება, რომ თვითონ დაზარალებულს წარმეული უნდა ჰქონდეს თავისი თავის დახმარების შესაძლებლობა. ვთქვათ, ღრმა წყალში აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც ცურვა არ იცის, ტყეში ან მთაში აღმოჩნდა ბრმა, ცეცხლმოკიდებულ შენობაში პირი, რომელსაც თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა არ გააჩნია.

სუბიექტური ნიშნით განსახილველი დანაშაული ხასიათდება განზრახვით. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ დაზარალებულის სიცოცხლე საფრთხეშია და საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას. ასევე პირი უნდა აცნობიერებდეს, მაგრამ გულგრილად უნდა ეკიდებოდეს თავის საზოგადოებრივ მოვალეობებს. პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თუ: ა) დაზარალებულს თვითონ შეეძლო საკუთარი თავისთვის დახმარების აღმოჩენა და საფრთხის ნიველირება; ბ) თუ დახმარება უკვე საჭირო არ არის (დაზარალებულს სხვა პირი დაეხმარა ან საფრთხე გაუვნებელყოფილია) ან დაგვიანებულია (დაზარალებულის უეცრად გარდაცვალება).

დანაშაულის სუბიექტია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, რომელიც ვალდებული არ იყო ეზრუნა დაზარალებულზე და რომელმაც თავისი მოქმედებით არ ჩააყენა დაზარალებული სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ასეთის არსებობისას პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება არა დაუხმარებლობისთვის, არამედ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის სხვა მუხლებით.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება - სსკ-ის 130-ე მუხლი

ეს მუხლი განსხვავდება დაუხმარებლობისაგან სწორედ იმით, რომ განსაცდელში მიტოვებისას პირს დაკისრებული აქვს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, დაუხმარებლობის დროს კი ასეთი სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა არ არსებობს.¹⁵⁷

განსახილველი მუხლი შედგება ორი ნაწილისაგან ძირითადი შემადგენლობა კანონში ფორმულირებულია შემდეგნაირად: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა“.

მოცემული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ობიექტია ავადმყოფის სიცოცხლე ანუ ძირითადი შემადგენლობით საფრთხე ექმნება ადამიანის (ავადმყოფის) სიცოცხლეს, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობის განხორციელებისას მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ავადმყოფს მიადგება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან მოესპობა სიცოცხლე.

სსკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ობიექტური ნიშნით ხასიათდება უმოქმედობით ანუ ავადმყოფისთვის, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა საპატიო მიზეზის გარეშე. უმოქმედობა შეიძლება გამოიხატოს ნამლის არმიცემადში, ხელოვნური სუნთქვის არ ჩატარებაში, ჰოსპიტალიზაციაზე უარის თქმაში და ა.შ. საპატიო მიზეზად გვევლინება გარემოებები, რომელთა დაძლევა მედიცინის მუშაკს არ შეეძლო, მაგალითად, საჭირო ნამლის ან სათანად-

¹⁵⁷ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016., გვ. 189.

დო სამედიცინო ინსტრუმენტების არ ჰქონა, ტრანსპორტის არყოლა, სტიქიური უბედურება, რომლის გამოც ვერ ახერხებებს პაციენტთან მისვლას, მოვალეობათა კოლიზია, როდესაც ორი მძიმე ავადმყოფიდან მხოლოდ ერთის დახმარება შეუძლია, ასევე თუ მედიცინის მუშაკს თვითონ შეიძლება სიცოცხლის საფრთხე დაემუქროს დახმარების აღმოჩენისას (საომარი მოქმედებისას დაჭრილის სხეულში აღმოჩნდება აუფეთქებელი ჭურვი ან ნალმი) და სხვა ისეთი მდგომარეობა, რომელიც არ აძლევს მას თავისი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას. საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება, მაგალითად, დაღლილობა, მოუცლევლობა, შვებულებაში ყოფნა ან ის, რომ მოცემულ მომენტში არ ეწევა სამედიცინო პრაქტიკას და ა. შ.

დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა ფორმალური სახისაა და დამთავრებულად მიიჩნევა იმ მომენტიდან, როდესაც მედიცინის მუშაკი უარს იტყვის დახმარების აღმოჩენაზე ან არ შეასრულებს სავალდებულო გადაუდებელ მოქმედებებს, რაც შეეხება კვალიფიციურ შემადგენლობას, ის დამთავრებულია კანონში მითითებული რომელიმე შედეგის დადგომისას - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება ხასიათდება განზრახვით. მედიცინის მუშაკი აცნობიერებს, რომ ავადმყოფის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, საჭიროა გადაუდებელი ჩარევა, რათა საფრთხე თავიდან იყოს აცილებული, მაგრამ შეგნებულად თავს არიდებს აუცილებელი დახმარების გაწევას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ განზრახვა ვრცელდება მხოლოდ მკურნალობის თავის არიდებასა და არა შედეგზე. იმ შედეგისადმი დამოკიდებულება, რომელიც აღწერილია სსკ-ის 130-ე მუხლის მეორე ნაწილში, არის მხოლოდ გაუფრთხილებელი (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა).

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, განზრახვა უნდა მოიცავდეს ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუხმარებლობის დროს ბრალ-

დებული უნდა აცნობიერებდეს საფრთხის მდგომარეობას და ასევე თავის უმოქმედობას იმ ფონზე, რომ მას შეუძლია სათანადო მოქმედების განხორციელება. როდესაც პირი შეცდომით ფიქრობს, რომ დახმარებისათვის აუცილებელი ყველა ქმედება განხორციელა, განზრახვა გამოირიცხება, იგივე სიტუაციაა მაშინაც, როდესაც პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მას არ შეუძლია დახმარება¹⁵⁸

დახმარების აღმოჩენლობის მოტივი შესაძლებელია სხვადასხვანაირი იყოს: დაღლილობა, დაზარება, გულგრილობა; მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მედიცინის მუშაკს სურს თავისი უმოქმედობით ავადმყოფის დაღუპვა ან ჯანმრთელობის დაზიანების მიყენება, მაშინ გამორიცხულია ასეთი ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 130-ე მუხლით. ასეთ შემთხვევაში უკვე საქმე გვექნება ან განზრახ მკვლელობასთან ან განზრახ ჯანმრთელობის დაზიანებასთან.

მოცემული დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტია მედიცინის მუშაკი, ანუ საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან. სწორედ დანაშაულის სუბიექტით განსხვავდება სსკ-ის 130-ე მუხლი და სსკ-ის 128-ე მუხლისაგან (განსხვავება ასევე მდგომარეობს სპეციფიკურ პირს შორის, ვის მიმართაც შეიძლება განხორციელდეს განსახილველი დანაშაული - ავადმყოფი). ვინ შეიძლება ვიგულისხმოს ტერმინ მედიცინის მუშაკის ქვეშ, უპირველესად, ესაა უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი-ექიმი, ასევე სხვა პირები, ვისაც სპეციალური ნორმატიული აქტებით მინიჭებული აქვთ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ვალდებულება. საინტერესოა, პარამედიკოსების და იმ მაშველების საკითხი, რომლებიც ვალდებული არიან სამედიცინო გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულებს უბედური შემთხვევის დროს, რადგან ასეთ შემთხვევაში დაზარალებული უკვე ავადმყოფი პაციენტის სტატუსს ატარებს. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევისას დაშავებული, ხოლო პარამედიკოსი და მაშველი სამედიცინო ფუნქციით მინიმუმ საშუალო სამ-

ედიცინო განათლების დიპლომირებული სპეციალისტია, ანუ მედიცინის მუშაკი. შეიძლება თუ არა ასეთი პირები დახმარების აღმოუჩენლობისას მივიჩნიოთ სსკ-ის 130-ე მუხლის დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტებად და არა სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტებად? ამ შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს.

საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ძნელია უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის გამიჯვნა განსაცდელში მიტოვებისაგან.

მაგალითისათვის განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:

სოფლის ექიმი ავთო სამსახურიდან ახალი მოსული იყო, როდესაც მასთან მოიხილნა მეზობელმა და უთხრა, რომ რამდენიმე სახლით მოშორებით მცხოვრები ბავშვი მაღალი ხის კენწეროდან ჩამოვარდა, უგონო მდგომარეობაში იყო და გახეთქილი თავიდან სისხლი სდიოდა. ავთომ მოიმიზეზა დაღლა და ურჩია მეზობელი სოფლიდან სხვა ექიმის მოყვანა. მეორე ექიმის მოსვლამდე, რასაც ერთი საათი დასჭირდა, ბავშვი მიღებული ტრავმებისაგან გარდაიცვალა. სამედიცინო ექსპერტიზამ დადგინა, რომ დროული სამედიცინო დახმარების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ბავშვის გადარჩენა.

როგორია ექიმი ავთოს ქმედების სამართლებრივი შეფასება?

კაზუსიდან ორი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია) შეიძლება წარმოვაყენოთ. კერძოდ, უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების შესახებ.

ამოხსნა: პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

შესაძლებელია ავთოს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 108-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის, უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი- ექიმის უმოქმედობით საფრთხე

158 Roxin, A. T, Bdll. 31. kn 188.

შეექმნა ბავშვის სიცოცხლეს. უფრო მეტიც, გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობის გამო ბავშვი დაიღუპა.

-მიზნობრივი კავშირი უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (კონდიციოს ფორმულის მიხედვით) არსებობს, რადგან ექიმს, რომ მოეხდინა დროული რეაგირება და დახმარებოდა ბავშვს, ამ უკანასკნელის სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელი იყო. რაც შეეხება უშუალოდ ბავშვის გარდაცვალებას, იგი პირდაპირ დაკავშირებულია დახმარების აღმოუჩენლობასთან.

-ობიექტური შერაცხვა- პირს შედეგი ობიექტურად მაშინ შეერაცხება, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა, რომელმაც კონკრეტული შედეგი გამოიწვია. ავთო ექიმმა დახმარების აღმოუჩენლობით საფრთხე შეუქმნა ბავშვის სიცოცხლეს, რომელმაც ბავშვის სიკვდილი გამოიწვია. რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგი ობიექტურად უნდა შეერაცხოს მას.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა- თუ ავთო ექიმი ითვალისწინებდა, რომ მის უმოქმედობას შეიძლება მოჰყვეს ბავშვის სიკვდილი და სურდა ეს შედეგი, მაშინ იგი პასუხს აგებს სსკ-ის 108-ე მუხლით. მოცემული კაზუსი არ იძლევა იმის მტკიცებულების შესაძლებლობას, რომ ავთო ექიმს განზრახვა ჰქონდა შედეგის მიმართ.

პასუხი: ავთო ექიმი არ აგებს პასუხს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების -განზრახ მკვლევლობის ჩადენისათვის.

ამოხსნა: მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია):

ავთო ექიმს შესაძლებელია დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებით მისთვის სიცოცხლის საფრთხის შექმნისათვის, რადგან დაზარალებული გარდაიცვალა. შესაძლებელია საქმე გვექონდეს სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი - ავადმყოფის, კონკრეტულ შემთხვევაში უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული ბავშვის სიცოცხლე.

-ქმედების სუბიექტი - სპეციალურია, მედიცინის მუშაკი, რადგან ავთო არის მოქმედი პრაქტიკის მქონე ექიმი, ის სრულიად აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას.

-ქმედება - ავთოს ქმედება გამოიხატა უმოქმედობის ფორმით, კერძოდ ექიმმა არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა დაზარალებული პაციენტისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, თუმცა შეეძლო და არაფერი უშლიდა ხელს. კაზუსიდან გამომდინარე არ იყო არანაირი დახმარების აღმოუჩენლობის საპატიო მიზეზი (დაღლილობა არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთად), რაც შეეხება დახმარების გადაუდებლობას, რასაც კანონი პირდაპირ მოითხოვს, ეს ნიუანსიც სახეზეა. კერძოდ ბავშვის უგონო მდგომარეობა და გატყეხილი თავი, საიდანაც სისხლი სდის.

-შედეგი - ექიმის უმოქმედობით საფრთხე შეექმნა ბავშვის სიცოცხლეს, მეტიც კონკრეტულ კაზუსში აღწერილია მაკვალეფიცირებული გარემოება, კერძოდ დაზარალებულის გარდაცვალება.

მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის - ეჭვს არ იწვევს. ექიმ ავთოს რომ მოეხდინა დროული რეაგირება და დახმარებოდა დაზარალებულ ბავშვს, მისი სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელი იყო, რასაც ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა. დახმარების აღმოჩენისაგან თავის შეკავებამ საფრთხე შეუქმნა ბავშვის სიცოცხლეს, რაც შეეხება მის გარდაცვალებას, ის პირდაპირ კავშირშია დახმარების აღმოუჩენლობასთან, რადგან დროული ჩარევა სიკვდილს გადაარჩენდა პაციენტს.

-ობიექტური შერაცხვა - პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. კაზუსიდან ჩანს, რომ ექიმმა ავთომ დაუხმარებლობით ჯერ საფრთხე შეუქმნა ბავშვის სიცოცხლეს, ხოლო შემდეგ გადაუდებელმა დროულმა ჩაურევლობამ მისი

სიკვდილიც გამოიწვია, აქედან გამომდინარე, ობიექტური შერაცხვის საკითხი ეჭვს არ იწვევს.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა, გაუფრთხილებლობა - ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება განზრახვას გულისხმობს დახმარების აღმოუჩენლობის მიმართ. მედიცინის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა, რაც სახეზეა მოცემულ კაზუსში. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ განზრახვა მოიცავდეს მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობას და არა შესაძლო შედეგს. კაზუსი არ გვაძლევს საპირისპიროს მტკიცების შესაძლებლობას. მოცემულ კაზუსში სახეზეა თანამდევნი მაკვალიფიცირებული შედეგი, რაც გამოიხატა დაზარალებულის გარდაცვალებაში. სიკვდილის ფაქტის მიმართ ექიმ ავთოს ამოძრავებდა გაუფრთხილებლობა, რადგან წინასწარ არ მოიცავდა პაციენტის სიკვდილის სურვილს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა სხვა განზრახ დანაშაულთან.

-მართლწინააღმდეგობა

ექიმ ავთოს ქმედებაში სახეზეა მართლწინააღმდეგობის ფაქტი. მან არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, თავი შეიკავა დახმარების აღმოჩენისაგან. კაზუსში არ ჩანს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ექიმი ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა: ამრიგად, ექიმმა ავთომ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე უარის არასაპატიო მიზეზით თქმით საფრთხე შეუქმნა დაზარალებულის სიცოცხლეს, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება. შესაბამისად, ის უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით.

7.2. შიდსის შეყრა, განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (მუხლები 131-ე, 132-ე)

შიდსის შეყრა- სსკ-ის 131-ე მუხლი.

შიდსის ინფექცია ანუ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი აზიანებს ადამიანის იმუნურ (დაცვით) სისტემას და ქმნის საფრთხეს ჯერჯერობით უკუჩვენებელი, საშიში დაავადების შიდსის განვითარების, რომელსაც გარდუვლად ლეტალურ შედეგამდე მიჰყავს ადამიანი. ამ დაავადების ასეთმა მომეტებულმა საფრთხემ მისი გადაცემის ხერხების სიმარტივემ, მრავალფეროვნებამ და იმ გარემოებამ, რომ ის დღესდღეობით უკუჩვენებელია, აიძულა კანონმდებელი დაენესებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ან გამოიწვიოს ეს დაავადება.

განსახილველი მუხლი ოთხი ნაწილისგან შედგება.

პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს „სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნისთვის“. როგორც ვხედავთ, მუხლის პირველი ნაწილით დასჯადად გამოცხადებულია სხვა პირისთვის დაავადება შიდსის შეყრის განზრახ საფრთხის შექმნა.

დაავადება შიდსის შეყრის ხელყოფის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, თუმცა უფრო სწორად მიგვაჩნია პოზიცია, რომელიც პროფ. ზ. ნულაია შემოგვთავაზა, რომ ამ დანაშაულის ობიექტად გვევლინება ადამიანის სიცოცხლე¹⁵⁹

აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია იმის გათვალისწინებით, რომ ინფიცირებულთა დიდი ნაწილი ავადდება, ხოლო დაავადებულები, სამწუხაროდ, იღუპებიან მოკლე დროში.

ობიექტური ნიშნით მოცემული დანაშაული მდგომარეობს სხვა პირისათვის დაავადება შიდსის შეყრის საფრთხის შექმნაში. დანაშაულის შემადგენლობა დამთავრე-

159 ზ. ნულაია, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ თბ., 2005., გვ. 126-127.

ბულად ითვლება ინფექციის შეყრის რეალური საფრთხის შექმნის მომენტიდან. შიდსის ინფექცია ორგანიზმში ხვდება სხვადასხვა ხერხით: სქესობრივი აქტის შედეგად, სხეულის დაზიანებული ნაწილების კონტაქტის შედეგად, სისხლით. დაინფიცირების საფრთხე წარმოიშობა, მაგალითად, შიდსით დაავადებულ პირთან სქესობრივი აქტისას, დამცავი სასშუალების გამოყენების გარეშე, დაავადებულის ნახმარი საინექციო შპრიცის გამოყენებით და სხვა.

დანაშაულის სუბიექტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირია, რომელიც დაავადებული ან ინფიცირებულია შიდსით და იცის ამის შესახებ. ასეთ პირებზე, როგორც ინფექციის მატარებლებზე, ვრცელდება ვალდებულება სხვა ინფექციის არ მქონე პირებთან კონტაქტისას გარკვეული სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი შემთხვევისას, როდესაც თვითონ პირი არ არის ინფიცირებული, მაგრამ, ვთქვათ, ჯერ ნარკოტიკს უკეთებს ინფიცირებულ პირს და შემდგომ ამავე ნემსით მეორე პირსაც, რომელიც არაა ინფიცირებული და იცის პირველის დაავადების შესახებ, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამავე მუხლით (თუ, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ ასრულებს პროფესიულ მოვალეობას).

მოცემული დანაშაული სუბიექტური ნიშნით განზრახვით (წინასწარი შეცნობით) ხასიათდება. შიდსით ინფიცირებულმა და სხვა პირმაც, რომელმაც იცის გარკვეული სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის აუცილებლობის შესახებ, შეგნებულად უგულებელყოფს მათ, რითაც განზრახ უქმნის სხვას დაავადება შიდსით დაინფიცირების საფრთხეს.

საინტერესოდ მიგვაჩნია იმ საკითხის განხილვა. განთავისუფლდეს თუ არა ბოროტმოქმედი ამ მუხლით პასუხისმგებლობისაგან, თუ არსებობს დაზარალებულის წინასწარი თანხმობა, ვთქვათ სქესობრივ კავშირზე შიდსის ინფექციის მქონე პირთან. ასეთ შენიშვნას შეიცავს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის სსკ-ის 122-ე მუხლი. მიუხედავად წინასწარი თანხმობისა, მაშინ, როცა პირი აცნობიერებს თუ რა

საფრთხე შეიძლება მოჰყვეს ინფიცირებულ პირთან დაუცველად და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის გარეშე კონტაქტს, თვითონ ინფიცირებულს უნდა ეყოს საზოგადოებრივი და შინაგანი შეგნება, რომ მიუხედავად თანხმობისა, მაინც არ ჩააყენოს საფრთხეში სხვა პირი და, თუ ასეთი რამ მაინც განახორციელა, მიეცეს პასუხისგებაში წინასწარი თანხმობის დროსაც¹⁶⁰

სსკ-ის 131-ე მუხლის მეორე ნაწილი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა“. როგორც ვხედავთ, ამ ნაწილში პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც მსხვერპლი არა საფრთხის ქვეშაა, არამედ დაინფიცირდება შიდსით, ანუ საჭიროა კონკრეტული შედეგის დადგომა. ამასთან პირველი ნაწილის შერაცხვა საჭირო არ არის, რადგან საფრთხეში ჩაგდება უცილობელი და ადრეული სტადიაა დაავადების შეყრის. ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭიროა მაშინ, როდესაც დაზარალებულად გვევლინება ორი პირი, რომელთაგან ერთ-ერთს საფრთხე შეექმნა, ხოლო მეორე დაავადდა.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა დგება იმ მომენტიდან, როცა ინფექცია მოხვდება მსხვერპლის სხეულში. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთია ინფექციის მოხვედრა ორგანიზმში და მეორე მისი აღმოჩენა, რაც უმეტეს შემთხვევაში, დროში ძალიან განწელილი პროცესია.

სუბიექტური შემადგენლობა ამ შემთხვევაშიც განზრახვაში მდგომარეობს.

ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმ მომენტზე, რატომ არ შეიძლება შიდსის შეყრა ჩავთვალოთ მკვლელობად, როგორც ზემოთ ვთქვით, დაავადება უკურნებელია და მას ნებისმიერ შემთხვევაში მოჰყვება დაზარალებულის სიკვდილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დროში შეიძლება ძალიან განწელილი პროცესი იყოს და წლობით გრძელდებოდეს. მთავარი ფაქტორი, რაც განასხვავებს მკვლელობას შიდსის შეყრისაგან არის ბოროტმოქმედის მიზანი. სსკ-ის 131-ე მუხლში გან-

¹⁶⁰ Определение Судебной коллегии по уголовным делам ВС РФ по делу, N 74-Д02-3.

ზრახვა მოიცავს შიდსის შეყრას და არა პირის სიკვდილს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირდაპირი განზრახვით შიდსის შეყრა უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობად. თუმცა მარტო იმის გათვალისწინება, თუ რას ისახავდა ბრალდებული, როცა მან დაზარალებულს შიდსი შეყარა, საკმარისი არ არის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის.

მაგალითისათვის საჭიროა განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:

ავთომ სთხოვა ბესოს, რომ მისთვის საჩქაროდ გაეკეთებინა ნარკოტიკის ინექცია. ბესომ გააფრთხილა ავთო, რომ ჰქონდა ერთადერთი შპრიცი, რომელიც უკვე გამოყენებული იყო მის მიერ, მაგრამ დაუმალა, რომ დაავადებული იყო შიდსით. ავთომ, რადგან უკვე ეწყებოდა „ლომკა“ მიუხედავად ამისა, მაინც გააკეთებინა ბესოს ნარკოტიკი, რის შედეგადაც ავთო დაავადდა შიდსით.

კითხვა: როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს ქმედება?

კაზუსიდან ორი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია) უნდა წამოვყენოთ. განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით და დაავადება შიდსის შეყრა გათვალისწინებულია 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამოხსნა: პირველი ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

ბესომ შესაძლებელია ავთოსათვის დაავადება შიდსის შეყრით ჩაიდინა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება-განზრახ მკვლელობა.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედება და შედეგი-ბესოს მოქმედებით, რაც გამოიხატება ავთოსათვის დაავადება შიდსის შეყრაში, საფრთხე შეუქმნა დაზარალებულის სიცოცხლეს.

-მიზეზობრივი კავშირი- ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის- ეჭვს არ იწვევს. დაზარალებულის სიცოცხლე საფრთხეშია, ვინაიდან, ავთოს დაავადება შიდსი შეყარა ბესომ.

-ობიექტური შერაცხვა- პირის შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა.

და. ბესომ ავთოს დაავადება შიდსი შეყარა, რაც ფაქტიურად განუკურნებელი სენია, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტური შერაცხვის საკითხი არ არის სადავო, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა დაავადება შიდსის შეყრა, რაც წარმოადგენს საფრთხეს სიცოცხლისათვის.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა-გაუფრთხილებლობა

-მოტივი-მიზანი- იმისათვის, რომ ბესოს ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც განზრახ მკვლელობა, საჭიროა, პირველ რიგში, „ბესოს“ ამოძრავებდეს ავთოს სიცოცხლის მოსპობის მიზანი და სახეზე უნდა იყოს შედეგი- ავთოს სიკვდილი.

-დასკვნა: ბესოს ქმედება არ შეიცავს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს.

ამოხსნა: მეორე ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ბესოს დაეკისროს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 131-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი - ავთოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა.

-ქმედება გამოიხატა ბესოს მიერ ავთოსთვის გამოყენებული, დავირუსებული შპრიცით ნარკოტიკის ინექციის გაკეთებაში.

-შედეგი- დადგა კვალიფიციური შედეგი. ავთო დაავადდა შიდსით. სსკ-ის 131-ე მუხლის მეორე ნაწილი მოითხოვს კონკრეტული შედეგის დადგომას. ეს შემადგენლობა პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი დამთავრებულად ჩაითვლება სხვა პირის შიდსით ფაქტობრივი ინფიცირების მომენტიდან.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ეჭვს არ იწვევს. ავთოს დაინფიცირება და დაავადება მოჰყვა ბესოს ქმედებას, ინექციის გაკეთებას.

-ობიექტური შერაცხვა- ბესოს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. კაზუსიდან აშკარად ჩანს და სადავო არ არის, რომ ავთოს დაავადება გამონვეული იყო ბესოს მოქმედებით, რაც გამოიხატა დაინფიცირებული შპრიცით ინექციის გაკეთებაში. ამდენად, ბესოს ავთოს დაავადება შიდსით ობიექტურად შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა, გაუფრთხილებლობა - ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დავადგინოთ მოიცავდა თუ არა ბესოს განზრახვა ავთოსთვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის რეალურ შესაძლებლობას და ითვალისწინებდა თუ არა მისი დაავადების შესაძლებლობას. კაზუსიდან ირკვევა, რომ ბესო აცნობიერებდა ავთოს დაინფიცირების შესაძლებლობას და მიუხედავად ამისა, მაინც გაუკეთა ინექცია, მითუმეტეს, ამას ამყარებს შიდსით დაავადების ფაქტის დამალვა ავთოსთვის. ის გარემოება, რომ ბესომ ავთო გააფრთხილა შპრიცის უკვე გამოყენების შესახებ არ ახდენს კვალიფიკაციაზე არანაირ გავლენას. აქედან გამომდინარე, განზრახვა სახეზეა. განზრახვის დადგენისას ხაზი უნდა გაესვას მთავარ გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ შიდსი არაა განკურნებადი დაავადება და საბოლოოდ სასიკვდილო შედეგით მთავრდება, ბოროტმოქმედი არ მოქმედებს სიცოცხლის მოსპობის მიზნით.

-მართლწინააღმდეგობა

ბესო მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ბესო მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა: ამრიგად, ბესომ შიდსით დაინფიცირებული შპრიცით ინექციის გაკეთებით საფრთხე შეუქმნა ავთოს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რის შედეგადაც ის დაინ-

ფიცირდა, რაც ქმნის სსკ-ის 131-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულს შემადგენლობას.

განსახილველი დანაშაულის მესამე ნაწილი გულისხმობს: „სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას“. როგორც ვხედავთ, თვითონ მუხლის მესამე ნაწილში ყურადღებაა გამახვილებული იმ ორ გარემოებაზე, რითაც ის განსხვავდება პირველი და მეორე ნაწილისაგან. ესენია სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

სუბიექტი სპეციალურია, ანუ პირი, რომელიც პროფესიულად ასრულებს გარკვეულ მოვალეობას. ის შეიძლება იყოს, როგორც მედიცინის მუშაკი, ექიმი ისე პირი, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებულია მომეტებული საფრთხის მქონე ინფექციებთან (კონკრეტულად შიდსთან). როგორც ვთქვით, ეს შეიძლება იყოს ექიმი, ექთანი, სისხლის გადასხმის ცენტრის ლაბორატორიის მუშაკი და სხვა.

რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს ის, როგორც ვთქვით შეიძლება იყოს მხოლოდ გაუფრთხილებელი (როგორც თვითმედოვნება ასევე დაუდევრობა) და გამოიხატოს უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნის არაჯეროვან ან საერთოდ შეუსრულებლობაში.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილი გულისხმობს პირველი, მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებებს ჩადენილს ა)ორი ან მეტი პირის მიმართ ბ)წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ. დაავადების სიმძიმიდან და იმ შედეგიდან გამომდინარე, სანამდეც მას უცილობლივ მივყავართ, სავსებით გამართლებულიც იქნებოდა პასუხისმგებლობის უფრო მეტად დამძიმება სანქციის ნაწილში.

განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა - სსკ-ის 132-ე მუხლი

თანამედროვე სამყარო, მოსახლეობის მზარდი რაოდენობა, გადაადგილების სიმარტივე, ხელმისაწვდომობა და

სიჩქარე, ასევე სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გადადების ადვილი და მრავალფეროვანი ხერხები ქმნის უდიდეს საფრთხეს საშიში ინფექციური დაავადებების ადვილად გავრცელებისა და ეპიდემიების გამონვევის, რამაც შეიძლება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაავადება და დაღუპვაც გამოიწვიოს. დაავადებათა ნუსხა, რომელთა შეყრის საფრთხის შექმნა-შეყრა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოცემულია ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალურ ჩამონათვალში, რომელიც შეიძლება ცვალებადიც იყოს, რადგან მეცნიერების განვითარებამ შეიძლება გარკვეულ დაავადებათა გავრცელების, მიმდინარეობისა და მძიმე შედეგის საფრთხე შეამციროს და ასევე აღმოჩენილ იქნას ახალი დაავადებები. დღევანდელი მდგომარეობით საშიშ ინფექციურ დაავადებებს მიეკუთვნებიან მაგალითად: ვენერიული დაავადებები, ვირუსული ჰეპატიტები, სხვადასხვა ტიპის ცხელებები (დენგე, ჰანტა ვირუსი, ებოლა) და სხვა.

განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა, მაგრამ აქაც შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ ზოგიერთი საშიში ინფექციის შედეგიდან გამომდინარე, სიცოცხლეს მივიჩნიოთ დაცვის ობიექტად.

ობიექტური ნიშნით ეს დანაშაული ხასიათდება, როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით. საფრთხის შექმნის და გადადების ხერხებს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ საფრთხე რეალური იყოს. ეს შეიძლება გამოიხატოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, კარანტინის პირობების, სხვადასხვა აუცილებლად დასაცავი წესების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე სქესობრივი კავშირით. არასწორად უნდა მივიჩნიოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ პირი, რომელიც ეჭვობს, დაავადებულია საშიში ინფექციით და თავს აარიდებს გამოკვლევებს ან მკურნალობას, უცილობლივ უნდა მიეცეს პასუხისმგებლობაში სსკ-ის 132-ე მუხლით. აქ საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად: თუ პირი დაავადებულია ისეთი ინფექციით,

მაგალითად, როგორცაა ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები სისხლმდენი ცხელებები, ასეთ შემთხვევაში გაცხადებული დებულება სწორია, მაგრამ თუ პირზე არის ეჭვი, რომ ის დაავადებულია ვენერიული სენით, რომლის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ სქესობრივი კავშირით და ასეთი ავადმყოფი არიდებს თავს ზუსტ დიაგნოსტიკებს და მკურნალობას. ამასთან იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს და არ შედის სხვა პირებთან სქესობრივ კავშირში, რატომ უნდა დადგეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, გაურკვეველია.

განსახილველი მუხლის პირველ ნაწილში საკმარისია განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხის შექმნა, ანუ საქმე გვაქვს ფორმალურ შემადგენლობასთან. ხოლო მეორე ნაწილი გულისხმობს სხვა პირის დაავადმყოფებას ანუ უკვე შემადგენლობა მატერი-ალურია და დანაშაული დამთავრებულია სხვის ორგანიზმში ვირუსის მოხვედრის შედეგად დაავადებისას.

სუბიექტური ნიშნით სსკ-ის 132-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიძლება განხორციელდეს განზრახვით (აქ უნდა დავეთანხმოთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის არსებობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვის არსებობისას მუხლი კონკურენციაში მოდის სსკ-ის 117-ე მუხლთან და პირი უფრო მსუბუქად დაისჯებოდა პრაქტიკულად იგივე ქმედებისთვის) , ხოლო მეორე ნაწილი კი, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლობით.¹⁶¹

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. ვფიქრობთ, რომ ამსრულებელია როგორც უშუალოდ დაავადებული ან ინფექციის მატარებელი ადამიანი, ასევე პირი რომელიც სამსახურებრივად ან სხვაგვარი მოვალეობით დაკავშირებულია სანიტარულ-ჰიგიენურ, ეპიდემიოლოგიურ-საკარანტინო ფუნქციის შესრულებასთან. (მიუხედავად სსკ-ის 248-ე მუხლის არსებობისა მიგვაჩნია,

¹⁶¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, თბ., 2011., გვ. 151.

რომ პირი თუ არღვევს აუცილებელ წესებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სსკ-ის 132-ე მუხლით, თუ საქმე ეხება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს). ასევე სწორი იქნებოდა იმ ორგანიზაციის (იურიდიული პირის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი, რომლის გამოც მოხდა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხე ან შეყრა (ვთქვათ ლაბორატორია, რომელიც მუშაობს საშიში ინფექციების შტამებთან).

რაც შეეხება სსკ-ის 132-ე მუხლის მესამე ნაწილს აქ პასუხისმგებლობა დგება პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებისათვის, რომლის დროსაც ხდება ორი ან მეტი პირის, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვანისათვის წინასწარი შეცნობით განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა ან დაავადების შეყრა.

განვიხილოთ კონკრეტული კაზუსი:

ექიმი ინფექციონისტი ავთო პაციენტების შემოვლაზე იყო საკარანტინო ბლოკში. სადაც შეხება ჰქონდა განსაკუთრებით საშიში ინფექციით დაავადებულ პაციენტებთან, რის გამოც ბიოლოგიური დაცვის სპეცტანსაცემელში იყო ჩაცმული. შემოვლისას მას გაახსენდა, რომ 3 საათზე უნდა მოეხსენებინა სხვა პაციენტები ჩვეულებრივ პალატაში. რადგან აგვიანებდა, სიჩქარეში დაავიწყდა ბიოლოგიური დაცვის სპეცტანსაცემლის გახდა და დეზინფექციის აუცილებელი პროცედურის გავლა. შევიდა რა ჩვეულებრივ პალატაში, სადაც ორი ავადმყოფი ელოდებოდა, პირველის გასინჯვის შემდეგ გაახსენდა, რომ არ გაუვლია ბიოუსაფრთხოების სპეციალური პროცედურები, რის გამოც დაბრუნდა სადებიზინფექციო ოთახში, გაიარა პროცედურები და ისევ დაუბრუნდა მეორე პაციენტს. რამდენიმე საათში ორივე პაციენტის მდგომარეობა ჩვეულებრივი ბლოკიდან გაუარესდა და მათ დაუდგინდათ იგივე დაავადება, რომელთანაც შეხება ჰქონდა ექიმ ავთოს საკარანტინო ზონაში.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს ექიმ ავთოს

მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ექიმ ინფექციონისტს უნდა სცოდნოდა და მითუმეტეს პროფესიულად ევალუბოდა, მომეტებული საფრთხის ადგილას მუშაობის შემდეგ გაეარა დეზინფექციის აუცილებელი პროცედურები, სანამ სხვა ჩვეულებრივ პალატაში მყოფ პაციენტებს მოინახულებდა, რათა მათთვის არ გადაედო საშიში ინფექცია, რაც მას სიჩქარეში დაუდევრობით დაავიწყდა. ამით მან დაარღვია წინდახედულობის ნორმები. რის გამოც განსაკუთრებით საშიში ინფექციით დაავადდა ორი ადამიანი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექიმ ავთოს ჰქონდა შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა. მოცემული კაზუსიდან გამომდინარე, ნებისმიერ ჩვეულებრივ ადამიანსაც შეუძლია, რადგან წინდახედულობის ნორმები მარტივია, კარანტინიდან გამოსვლისას ყველამ უნდა გაიაროს დეზინფექცია, რათა არ შექმნას დაავადების გავრცელების საშიშროება. ასევე არსებობდა შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობაც. ავთოს რომ დაეცვა წინდახედულობის ნორმები, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისთვისაც გასაგებია, საშისი ინფექცია არ შეეყრებოდა ავადმყოფებს.

ამრიგად, ექიმმა ავთომ დაუდევრობით შექმნა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხე, რის გამოც დაინფიცირდა ორი ადამიანი. შედეგად მან პასუხი უნდა აგოს განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრისთვის ორი ან მეტი პირის მიმართ, გათვალისწინებული სსკ-ის 132-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით.

7.3. უკანონო აბორტი (მუხლი 133-ე)

აბორტის ქვეშ იგულისხმება ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა. აბორტის სამედიცინო პროცედურის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ ექიმ-სპეციალისტს, სათანადო სამედიცინო პირობებში და ალჭურვილობა-მედი-

კამენტების არსებობის ვითარებაში. საქართველოში აბორტი ნებადართულია 12 კვირამდე, წინასწარი გასაუბრების ჩატარებით, სადაც ფეხმძიმე ქალს ეძლევა 3 დღის ვადა მოსაფიქრებლად. უფრო მეტი ვადის ფეხმძიმობისას ორსულობის შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო (როდესაც დედის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება) ან სხვა (სოციალური-ქმრის გარდაცვალება, გაუპატიურების შედეგად ფეხმძიმობა და სხვა) საფუძვლის არსებობისას. აბორტის ჩატარებისას ქალის თანხმობა აუცილებელია, გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ფეხმძიმის სიცოცხლეს რეალური გარდუვალი საფრთხე ემუქრება და აუცილებელია ნაყოფის მოშორება მის გადასარჩენად.

მაგალითად, აბორტი უკანონოდ ჩაითვლება თუ დარღვეულია მისი ჩატარების დასაშვები ვადები, ჩაატარა არაკვალიფიციურმა პირმა არასათანადო პირობებში (არალიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება, არასერტიფიცირებული პირი), სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევით ან მაშინ, როდესაც ქალისთვის კატეგორიულად დაუშვებელია მისი ჩატარება სამედიცინო ჩვენებით (სხვადასხვა სახის დაავადება ან მდგომარეობა, როდესაც აბორტმა დიდი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის დაზიანება ან პაციენტის სიკვდილი).

განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ფეხმძიმე ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

ობიექტური ნიშნით ხასიათდება მოქმედებით, დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნით. აბორტის განხორციელების ხერხს მნიშვნელობა არა აქვს ის შეიძლება ჩატარდეს, როგორც ინსტრუმენტული ჩარევით (ოპერაციით), ასევე ხელოვნურად მუცლის მოშლით მედიკამენტოზურად. დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია, დანაშაული დამთავრებულია დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნის მომენტში.

სუბიექტური ნიშნით მოცემული დანაშაული განზრახია. ბოროტმოქმედი სრულად უნდა აცნობიერებდეს,

რომ მის ქმედებას მოყვება ორსულობის შეწყვეტა და სურდეს ეს ან უნდა აცნობიერებდეს საკუთარი ქმედების ასეთი შედეგის გარდუვალობას.

სსკ-ის 133-ე მუხლით, სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, მათ შორის მედიცინის მუშაკი - ექიმი, რომელიც არალიცენზირებულ დაწესებულებაში, არაჰიგიენურ პირობებში ან სპეციალიზებული ნებართვის გარეშე ჩაატარებს აბორტს.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა დგება თუ უკანონო აბორტს განხორციელებს პირი, რომელიც ერთხელ მაინც მსჯავრდებული იყო უკანონო აბორტის ჩადენისათვის, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი (რადგან ეს შემადგენლობა მატერიალურია აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა უკანონო აბორტის ჩატარებასა და შვილოსნობის მოშლასა და სხვა მძიმე შედეგის დადგომას შორის). უკანონოდ ფეხმძიმობის მოშლა დამამძიმებელ გარემოებად უკანონო აბორტისთვის მსჯავრდებულ პირს შეერაცხება მხოლოდ მაშინ, თუ მას მსჯავრი გაქარწყლებული ან მოხსნილი არა აქვს. შვილოსნობის სამუდამო მოშლაში უნდა ვიგულისხმეთ ქალის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მას უკვე არანაირი შესაძლებლობა არა აქვს ისევ დაფეხმძიმდეს და გააჩინოს შვილი. სხვა მძიმე შედეგის ქვეშ ზოგადად იგულისხმება ის თანამდევნი შედეგი, რაც აბორტის გაკეთებას შეიძლება მოჰყვეს ქრონიკული დაავადებები, ფსიქიკური პრობლემები, მაგრამ გარდა წმინდა სამედიცინო მძიმე შედეგისა, ალბათ შესაძლებელია ვისაუბროთ სხვა არასამედიცინო შედეგებზეც, მაგალითად ოჯახის დანგრევა (თუ ქმარმა მიატოვა რადგან აწი შვილის ჰყოლა არ შეეძლება ან ფსიქოლოგიური ტრამვის გამო ქალს სურვილი ეკარგება სქესობრივი ცხოვრების), სამსახურის დაკარგვა (აბორტის მერე გართულების ხანგრძლივი მკურნალობის გამო) და სხვა.

მესამე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თუ უკანონო აბორტს ქალის სიცოცხლის მოსპობა მო-

ჰყვა. აქაც როგორც შვილოსნობის მოშლის და სხვა მძიმე შედეგის დადგომის დროს (მე-2-ე ნაწილი) აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩატარებულ აბორტსა და დამდგარ შედეგს - ქალის გარდაცვალებას შორის.

სსკ-ის 133-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული შვილოსნობის მოშლა, სხვა მძიმე შედეგი და ქალის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით, რადგან საქმე გვაქვს თანმდევი შედეგით კვალიფიციურ დელიქტთან ანუ ბოროტმოქმედს განზრახვა ამოძრავებს უკანონო აბორტის ჩატარების მიმართ და მხოლოდ გაუფრთხილებლობა დასახელებული შედეგებისადმი. თუ ბოროტმოქმედს მეორე, მესამე ნაწილში აღწერილი შედეგის მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა ექნება, მაშინ საქმე უკვე არა უკანონო აბორტთან, არამედ შედეგის მიხედვით სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან გვექნება.

სსკ-ის 133-ე მუხლი გაუფრთხილებლობას მხოლოდ განზრახ გაკეთებული აბორტის თანმდევი შედეგის მიმართებაში აღიარებს. რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ქმედება- მუცლის ხელოვნური მოშლა ყოველთვის განზრახ უნდა იყოს ჩადენილი. რაც შეეხება თანმდევი შედეგს (შვილოსნობის სამუდამო მოშლა, სიცოცხლის მოსპობა და ა.შ.), გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა:

ექიმ-გინეკოლოგმა ავთომ, სამედიცინო დაწესებულებაში აბორტი გაუკეთა ბელას. რადგან აბორტის კანონით დასაშვები ვადა მნიშვნელოვნად გადაცილებული იყო, ავთომ დამატებითი ანაზღაურების სანაცვლოდ, ის მაინც ჩაატარა. ჩატარებული ოპერაციის შედეგად ბელამ სამუდამოდ დაკარგა შვილოსნობის უნარი. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ შვილოსნობის დაკარგვა პირდაპირ კავშირშია ვადაგადაცილებული აბორტის ჩატარებასთან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს ექიმ გინეკოლოგის მიერ აბორტის უკანონოდ გაკეთებას, რამაც გამოიწვია სამუდამოდ შვილოსნობის უნარის დაკარგვა. რაც

პირდაპირ კავშირში იყო ვადაგადაცილებული აბორტის ჩატარებასთან.

ამრიგად, ექიმ-გინეკოლოგმა ავთომ ჩაატარა უკანონო აბორტის ოპერაცია, რამაც გამოიწვია ორსულობის მოშლა და ასევე თანმდევი შედეგი შვილოსნობის სამუდამო მოშლა. შესაბამისად, კონკრეტული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 133-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით - უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა.

7.4. სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (მუხლები 133¹-ე, 133²-ე)

სტერილიზაცია თანხმობის გარეშე- სსკ-ის 133¹-ე მუხლი

სისხლის სამართლის კოდექსის 133¹-ე მუხლი აბსოლუტურ ნოვაციას წარმოადგენს ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ის 2017 წელს იქნა შემოღებული. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის თანახმად: „არავინ არ უნდა დაექვემდებაროს ნაშვებას ან სასტიკს, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოქცევას ან სასჯელს. კერძოდ, არავინ, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებს.“ ეს თავისთავად გულისხმობს ადამიანის თანხმობის გარეშე სტერილიზაციის აკრძალვას.

მას შემდეგ, რაც საქართველო სტამბულის კონვენციას შეუერთდა (ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ) კანონმდებლობაში გატარდა გარკვეული ცვლილებები, შემოღებულ იქნა ახალი მუხლები მათ შორის მუხლი სსკ-ის 133¹ -ე სტერილიზაცია თანხმობის გარეშე.

სსკ-ის 133¹-ე მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან, ძირითადი შემადგენლობა მოცემულია შემდეგნაირად: „წინასწარი თანხმობის გარეშე პირისთვის ისეთი ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება, რომლის მიზანი ამ პირის რეპროდუქციის უნარის მოშლაა“. უპირველესად უნდა განი-მარტოს, თუ რას ნიშნავს სტერილიზაცია, როგორც თვითონ მუხლის დისპოზიცია გვეუბნება. ესაა ადამიანის რეპრო-დუქციის უნარის მოშლა. ამასთან უნდა ვიგულისხმოთ, რომ საუბარია სამუდამო, შეუქცევად მოშლაზე. უნდა გავითვა-ლისწინოთ, რომ ეს მუხლი არ ეხება საერთოდ სქესობრივი დისფუნქციის ჩამოყალიბებას (ასეთ შემთხვევაში პასუხ-ისმგებლობა დადგება არა განსახილველი მუხლით არამედ სსკ-ის 117-ე მუხლით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), არამედ მხოლოდ რეპროდუქციული უნარის მოშლას ანუ შთამომავლობის ჰყოლის შეუძლებლობას სქესობრივი ფუნქციის შენარჩუნებით.

თვითონ მუხლის სახელწოდებიდან გამომდინარე, დასჯადია მხოლოდ სტერილიზაცია თანხმობის გარეშე. შესაბამისად, თუ არსებობს პირის წინასწარი სურვილი ასეთი მანიპულაციის განხორციელებისათვის, ის სავსებით დასაშვებია და პასუხისმგებლობას გამორიცხავს. უნდა აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობითი სტერილიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა მედიცინაში და ის კონტრაცეფციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველ-ოს კანონის 145-ე მუხლში ვკითხულობთ: **ნებაყოფლობითი ქირურგიული კონტრაცეფციის-სტერილიზაციის გამოყენება ნებადართულია: ა) მხოლოდ სათანადო ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერთიფიცირებული ექიმის მიერ; ბ) თუ არსებობს პაციენტის წერილობითი მოთხოვნა; გ) თუ პაციენტს ექიმმა ჩაუტარა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან სტერილიზაციამდე გასუ-ლია ერთი თვის მოსაფიქრებელი ვადა; დ) თუ პაციენტი აკ-მაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღ-ვრულ კრიტერიუმებს როგორც ვხედავთ, ჯანმრთელობის**

დაცვის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, თუ დაცულია შესაბამისი პირობები, ნებაყოფლობითი სტერილი-ზაცია დასაშვებია.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ სსკ-ის 133¹-ე მუხლის განხილვაზე, ორიოდე სიტყვით გვინდა შევხვთ იძულებითი სტერილიზაციის საკითხს. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ არსებობდა იძულებითი სტერილიზაციის სახელმ-ნიფო პროგრამები. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ზო-გიერთმა ქვეყანამ წამოიწყო მსგავსი პროგრამები, როგორც წესი, ევგენიკის (ევგენიკა - სწავლება ადამიანის სელექციის და მისი მემკვიდრეობის უნარის გაუმჯობესების გზების შესახებ. სწავლება მიზნად ისახავდა ადამიანის გადაგვარე-ბასთან ბრძოლას და მისი გენოფონდის შენარჩუნებას) კვ-ლევის ფარგლებში და განკუთვნილი იყო ისეთი ადამიანების გამრავლების წინააღმდეგ, რომლებიც ითვლებოდნენ დეფექ-ტური გენის მატარებლად. იძულებითი სტერილიზაცია ძი-რითადად მიმართული იყო ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანების წინააღმდეგ. სისხლის სამართლის საერთაშო-რისო სასამართლომ გამოსცა განმარტებითი ბარათი, რომე-ლის მიხედვითაც იძულებითი სტერილიზაცია, თუ ის ფართო მასშტაბიანია და სისტემატურად გამოიყენება, მიჩნეულ იქნა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

პოლონეთსა (2010 წლიდან) და ჩეხეთში მოქმედებს იძუ-ლებითი ქიმიური სტერილიზაციის პრაქტიკა სქესობრივი დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირებისათვის. სასჯელის ეს სახე შესაძლებელია გამართლებულადაც მივიჩნიოთ ასეთი დანაშაულებისათვის, მითუმეტეს მა-შინ, როცა დანაშაულის რეციდივთან ან პედოფილიასთან გვაქვს საქმე. ამის საპირისპიროდ შეიძლება ჩინეთის მა-გალითი მოვიყვანოთ, როდესაც 2010 წელს ამნისტი ინ-ტერნეშინელმა ჩინეთის ქალაქ პუნინის ხელისუფლებას ბრალი დასდო ადამიანების სტერილიზაციის იძულებაში, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ „ერთი შვილის პოლი-ტიკის“ ფარგლებში¹⁶²

¹⁶² China acts on forced abortion, BBC (20 სექტემბერი 2005)., The Independent, «Chinese state holds parents hostage in sterilisation drive», (17 აპრილი 2010)., China To

თანხმობის გარეშე იძულებითი სტერილიზაციის ობიექტი ორი ნიშნით უნდა განვიხილოთ: პირველი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (ამასთან როგორც ფიზიკური ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობაც უნდა ვიგულისხმოთ) და ადამიანის უფლება თვითონ გადაწყვიტოს შთამომავლობის ყოლის საკითხი. დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის წინააღმდეგ. ეს დანაშაული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აქტიური მოქმედებით, რადგან კანონში პირდაპირაა მინიშნებული „პირისთვის ისეთი ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება“, რაც მხოლოდ მოქმედებას გულისხმობს. მისი განხორციელების ხერხი მრავალფეროვანია, მაგრამ ორი ძირითადი შეიძლება გამოიყოს: ქირურგიული და ქიმიური, რომელთაც თავისთავად საკუთარი მეთოდები გააჩნიათ, მაგრამ ამას კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი მანიპულაციის განხორციელებისას მთავარია პირი არ აცნობიერებდეს, თუ რა სახის ზემოქმედება ხორციელდება მასზე. დაზარალებულს შეიძლება ეგონოს, რომ მის მიმართ ხორციელდება რაიმე სამკურნალო ან პროფილაქტიკური, ან თუ გინდ კოსმეტიკური ღონისძიება. სინამდვილეში კი ხდება სტერილიზაცია, ხოლო თუ პირი გარკვეული მიზეზების გამო ვერ აცნობიერებს მის მიმართ მიმდინარე პროცედურის შინაარსს ანუ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში, აქ უკვე საქმე გვექნება დამამძიმებელ გარემოებასთან (სსკ-ის 133¹ -ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

მოცემული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რადგან ბოროტმოქმედს უნდა ამოძრავებდეს კონკრეტული მიზანი- პირის რეპროდუქციული უნარის მოშლა, ამასთან საუბარია სამუდამო მოშლაზე და არა უნარის დროებით დაკარგვაზე. მოტივი შესაძლებელია მრავალფეროვანი იყოს, როგორც კონკრეტული პირის მიმართ შურისძიება, ასევე მეცნიერული ინტერესიც, რაც ზეგავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე.

¹ Sterilise 10,000 To Curb Births, Sky News (23 aprili 2010).

დანაშაულის სუბიექტი შესაძლებელია იყოს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი. თუმცა ასეთი პროცედურა ალბათ უფრო ისეთი პირის მიერ შეიძლება განხორციელდეს, რომელსაც სათანადო ცოდნა გააჩნია (მედიცინის მუშაკი).

მოცემული მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს დამამძიმებელ გარემოებებს კერძოდ ა პუნქტი გულისხმობს დანაშაულის ჩადენას ჯგუფურად, ხოლო ბ პუნქტი ქმედებას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ. ყურადღება უნდა მიექცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რადგან როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ისინი ხდებიან ამ დანაშაულის მსხვერპლი. ”გ” პუნქტი კი გულისხმობს არაერთგზისობას.

მესამე ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება თუ იგივე ქმედებამ გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგში უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესება, ასევე ფსიქიკური პრობლემების წარმოჩენაც, ასევე სოციალური მძიმე შედეგიც. მაგალითად, ოჯახის დანგრევა ან სქესობრივი ცხოვრების სურვილის გაქრობა (მხედველობაშია არა ფიზიკური არამედ ფსიქიკური საფუძველი). სიცოცხლის მოსპობის და სხვა მძიმე შედეგის დადგომის მიმართ ბოროტმოქმედს უნდა ჰქონდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება ან დანაშაულთა ერთობლიობა, ან სხვა დანაშაული.

ბოლოს გვინდა გავიმეოროთ, რომ თუ სტერილიზაციას თანხმობის გარეშე აქვს მასიური ან სისტემატური ხასიათი, მაშინ საქმე გვექნება კაცობრიობის (ადამიანურობის) წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან (სსკ-ის 407-ე მუხლი გენოციდი).

არც თუ იშვიათად, სტერილიზაციის ფაქტი ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდება.

მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ექიმი გინეკოლოგ ანასთან სამკურნალოდ მივიდა ბელა, რომელიც მისი ძველი ნაცნობი იყო. სამედიცინო დანიშნულებით მას უნდა ჩატარებოდა ქირურგიული ოპერაცია საშვილოსნოზე. გეგმიური ოპერაციული ჩარევის დროს ანამ წინასწარი შეთანხმებული პროცედურის გარდა მოახდინა ბელას სტერილიზაცია შურისძიების მოტივით, რადგან მასზე ძველი წყენა ჰქონდა დაკავშირებული მამაკაცთან, რომელმაც ბელას ცოლად მოყვანა არჩია ანას. დანაშაულებრივი ქმედება გამოვლინდა ერთი წლის შემდეგ, როდესაც ბელამ მიაკითხა სხვა ექიმ-გინეკოლოგს, რადგან ვერ ახერხებდა დაფხვმძიმებას. შვილოსნობის სამუდამოდ მოშლის გამო ბელა მიატოვა ქმარმა, რადგან არ სურდა უშვილო ქალთან ცხოვრება.

დააკვალიფიცირეთ ანას ქმედება

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

სავარაუდოდ, ანამ ჩაიდინა სსკ-ის 133¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული- სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, რადგან მან პაციენტი ბელას წინასწარი თანხმობის გარეშე, გეგმიური ოპერაციული ჩარევის დროს მოახდინა მისი სტერილიზაცია შურისძიების მოტივით, რის შედეგად ამ უკანასკნელს დაენგრა ოჯახი.

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების სუბიექტი - სუბიექტად გვევლინება ექიმი-გინეკოლოგი ანა.

-ქმედების ობიექტი - ბელას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა.

-ქმედება - ანამ გეგმიური ოპერაციის დროს ბელას წინასწარი თანხმობის გარეშე მოახდინა მისი სტერილიზაცია.

-შედეგი - დადგა კვალიფიციური შედეგი. ბელამ დაკარგა სამუდამოდ შვილოსნობის უნარი და ასევე დაენგრა ოჯახი, რაც უნდა მივიჩნიოთ, როგორც სხვა მძიმე შედეგი გათვალისწინებული სსკ-ის 133¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს

შორის - ეჭვს არ იწვევს, ბელას სტერილიზაცია, ანუ შვილოსნობის უნარის დაკარგვა გამოიწვია ანას ქმედებამ, ასევე სხვა მძიმე შედეგი პირდაპირ გამომდინარეობდა განხორციელებული დანაშაულებრივი მოქმედებისგან.

-ობიექტური შერაცხვა - ანას შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. კაზუსიდან აშკარად ჩანს და სადავო არ არის, რომ ბელამ შვილოსნობა დაკარგა ანას მოქმედებით, რაც გამოიხატა სტერილიზაციაში. ამდენად, ანას, ბელას სტერილიზაცია და სხვა მძიმე შედეგი ოჯახის დანგრევის სახით, ობიექტურად შეერაცხება.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა, გაუფრთხილებლობა - ანას განზრახვა პირდაპირ მოიცავდა ბელას რეპროდუქციის უნარის მოშლას, შვილოსნობის დაკარგვას. რადგან ოპერაციული ჩარევისას სტერილიზაციის მანიპულაცია მან განახორციელა ზუსტად ამ მიზნით. ანას ამოძრავებდა შურისძიება. სხვა მძიმე შედეგის მიმართ, ამ შემთხვევაში ოჯახის დანგრევა, უნდა მივიჩნიოთ, როგორც თანამდევნი დამამძიმებელი შედეგი, რომლის მიმართაც ანას მხოლოდ გაუფრთხილებლობა ჰქონდა.

-მართლწინააღმდეგობა

ანა მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ანა მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა: ამრიგად, ანას ქმედებაში დადასტურებულია წინასწარი თანხმობის გარეშე სტერილიზაციის ჩატარების ფაქტი, რასაც ამძიმებს კვალიფიციური შედეგი ოჯახის დანგრევის სახით. შესაბამისად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 133¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით - სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება-სსკ-ის 133²-ე მუხლი

სსკ-ის 133²-ე მუხლი საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს. ისიც 2017 წელს იქნა შემოღებული სსკ-ის 133¹-ე მუხლთან, სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, ერთად. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლისა და სტამბულის კონვენციიდან (ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ) გამომდინარე, ასევე ბოლო წლებში საქართველოში მომხდარი ქალთა წინადაცვეთის და გენიტალიების დასახიჩრების შემზარავი არაერთი დადასტურებული ფაქტის საფუძველზე, კანონმდებელმა მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება ასეთი ქმედების კრიმინალიზაციის თობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, წინადაცვეთა ქართული რეალობისთვის და ტრადიციისთვის მიუღებელია, უნდა აღინიშნოს, რომ ის მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს და მას საფუძვლად უდევს, როგორც რელიგიური, ტრადიციული, ეთნიკური საფუძველი (ეგვიპტე, სუდანი, ეთიოპია, ერიტრეა, ჯიბუტი, სომალი და მალი), ასევე, როგორც გასაკვირიც არ უნდა იყოს, აუცილებლობაც. მაგალითად, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში იმისათვის, რომ გოგონები გადაარჩინონ მოთარეშე ბანდების მხრიდან გაუპატიურებას, მშობლები უსახიჩრებენ სასქესო ორგანოებს.

თანამედროვე საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს ადამიანის (ქალის) წამების გამოვლინების ნებისმიერ ფორმას, მითუმეტეს, მის ასეთ შემზარავ დამასახიჩრებელ ფორმებს, რომელიც როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს და სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვისაც.

სსკ-ის 133²-ე მუხლი, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, კანონმდებლის მიერ ფორმულირებულია შემდეგნაირად: რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიციის გავლენით ან ამგვარი გავლენის გარეშე ქალის

სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია. როგორც ვხედავთ, მუხლში ხაზგასმულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ქალის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ასევე მათი უფლებები. დანაშაული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აქტიური მოქმედებით და ის შეიძლება გამოიხატოს ქალის სასქესო ორგანოებზე შემდეგი მანიპულაციების ჩატარებით: ა)კლიტორიდექტემია, კლიტორის სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა ან დაზიანება, ბ)ქალის გარე სასქესო ორგანოების მცირე და დიდი ბაგეების მოკვეთა, ბ)ინფიბულაცია, საშოს დავინროება მოკვეთის ან გაკერვის გზით და ასევე სხვა ტიპის დასახიჩრებები (ცალი ან ორივე ძუძუს მოჭრა ან სხვაგვარი თერმული ქიმიური თუ ფიზიკური ზემოქმედებით დამახინჯება), რომლებიც მტკივნეული პროცედურაა და არ აქვს არანაირი სამედიცინო-სამკურნალო მიზნები (სასქესო ორგანოების გაჭრა, ქსოვილის აფხეკა, მონვა და ასე შემდეგ).

შედეგის მხრივ, მოცემული დანაშაული საკმაოდ ვრცელ სამედიცინო რისკებს მოიცავს, რომელიც შეიძლება მყისიერ და გრძელვადიან შედეგებად დავეყოთ: მყისიერი შედეგებია: ტკივილი, შოკი, სისხლდენა, სეფსისი, ინფექციები, ფსიქოლოგიური პრობლემები, სიკვდილი; გრძელვადიან შედეგებს მიეკუთვნება: ქირურგიული ჩარევის საჭიროება, მტკივნეული და დაბალი ხარისხის სქესობრივი კავშირი და ცხოვრება ან ასეთის შეუძლებლობა, ქრონიკული ტკივილები და ინფექციები; ფსიქოლოგიური მხრივ: სქესობრივი კავშირის შიში, დეპრესია და ა.შ. შესაძლებელია ასევე სოციალური შედეგების არსებობა - საზოგადოებასთან გაუცხოება, სირცხვილი ან საზოგადოებიდან გარიყვის შიში, საზოგადოებაში ადაპტაციის უნარის დაქვეითება.

სუბიექტური ნიშნით დანაშაული ხასიათდება, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვით. მოცემული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივად

შეიძლება მოგვევლინოს, როგორც მუხლში პირდაპირ მითითებული გარემოებები: რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიცია, რომელიც დამკვიდრებულია გარკვეულ ადამიანთა ჯგუფში, ასევე ბანალური ეჭვიანობა, როდესაც, ვთქვათ, ქმარს ჰგონია, რომ ცოლის შესაძლო ღალატისაგან თავის დასაზღვევად მას აიძულებს ან დაიყოლიებს ასეთი მანიპულაციის ჩატარებაზე. როგორც არ უნდა იყოს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების ფორმა ან მოტივი, ის ზეგავლენას ვერ მოახდენს ქმედების მოცემული მუხლით კვალიფიკაციაზე. რაც შეეხება იძულების ფორმებს, ის შეიძლება გავიგოთ როგორც სსკ-ის 150-ე მუხლის შემადგენლობა, ხოლო დაყოლების ფორმები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს, დაწყებული მოქრთამვიდან, დამთავრებული, ვთქვათ, რელიგიური წინამძღოლის მიერ წეს-ჩვეულების შესრულების აუცილებლობისკენ მოწოდებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იძულების ან დაყოლების შედეგად, თუ ქალმა თვითონ ჩაიტარა მსგავსი მანიპულაცია საკუთარ თავზე, საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან, რადგან ზემოქმედების შედეგად ითრგუნება მისი ნება და ის გვევლინება, როგორც ბრმა იარაღი მანიპულატორის ხელში საკუთარი თავის დასაზიანებლად.

მოცემული დანაშაულის სუბიექტია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

სსკ-ის 133²-ე მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან. დამამძიმებელი გარემოებები პრაქტიკულად იდენტურია სსკ-ის 133¹ მუხლისა: მეორე ნაწილი იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; გ) არაერთგზის; მესამე ნაწილთან გვექნება საქმე, თუ იგივე ქმედებამ გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ბოლოს, ორიოდ სიტყვით გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტის შესახებ, გერმანიაში ქალაქ კიოლნის საოლქო სასამ-

ართლომ 2010 წელს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც ეხება ბიჭების წინადაცვეთის რიტუალს, რომელსაც ითვალისწინებს ისლამის და იუდაიზმის ტრადიცია. დადგენილებაში ნათქვამია, რომ „ბავშვის ძირითადი უფლება სხეულის ხელშეუხებლობასა და მთლიანობაზე უფრო მაღლა დგას, ვიდრე მშობლების ფუნდამენტური უფლება ბავშვის რელიგიურ აღზრდაზე“, ანუ ბავშვის (ბიჭის) წინადაცვეთის რიტუალი წარმოადგენს „ჯანმრთელობის დაზიანების მიყენებას“ და სისხლისსამართლებრივად დასჯადად ცხადდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დადგენილება კონკრეტულ საქმეს ეხებოდა და აუცილებელი არ იყო სხვა სასამართლოებისთვის, პრეცედენტი შედგა. ქართულმა სასამართლომაც და კანონმდებელმაც უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე და სისხლის სამართლის კოდექსში გაითვალისწინოს შესაბამისი აკრძალვა ბავშვების დასაცავად.

რიგ შემთხვევაში ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაცია დაკავშირებულია სარიტუალო მანიპულაციების ჩატარებასთან. მაგალისთვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ავთოს ოჯახი ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის მომხრეებს წარმოადგენდა. მის ოჯახში გოგონას დაბადების ერთი წლის თავზე მათი ტრადიციისამებრ მან წინადაცვეთა ჩაუტარა, რაც გამოიხატა სასქესო ბაგეების მოკვეთაში. მანიპულაციიდან ერთი კვირის შემდეგ ბავშვი ავად გახდა, რის გამოც მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში. მიუხედავად ინტენსიური მკურნალობისა, პაციენტი სეზისით გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაადგინა რომ პატარას ორგანიზმში განვითარებული სეზისი ერთი კვირის წინ ჩატარებული სარიტუალო მანიპულაციის შედეგი იყო.

დააკვალიფიცირეთ ავთოს ქმედება

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ავთომ ჩაიდინა სსკ-ის 133²-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

-ქმედების შემადგენლობა

- ქმედების ობიექტური შემადგენლობა;
- ქმედების სუბიექტი - სუბიექტად გვევლინება ავთო.
- ქმედების ობიექტი - ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა.

-ქმედება - ავთომ, რომელიც ბავშვის ოჯახის წევრი იყო რელიგიური რიტუალის შესაბამისად ჩაატარა გოგონას წინადაცვეთა, სასქესო ბაგეების მოკვეთის სახით.

-შედეგი - დადგა კვალიფიციური შედეგი, ანუ ბავშვი მანიპულაციის შედეგად ავად გახდა და მკურნალობის მიუხედავად, სეზისით გარდაიცვალა.

-მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის - ეჭვს არ იწვევს ბავშვის გარდაცვალება ექსპერტის დასკვნით, დადგა წინადაცვეთის რიტუალის ჩატარების შედეგად განვითარებული სეზისის გამო.

-ობიექტური შერაცხვა - ავთოს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. კაზუსიდან აშკარად ჩანს და სადავო არ არის, რომ ბავშვს (გოგონას) ჩაუტარდა წინადაცვეთის რიტუალი ავთოს მიერ და მისი გარდაცვალება მანიპულაციის შედეგად განვითარებული სეზისის გამო ობიექტურად შეერაცხება მას.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა, გაუფრთხილებლობა - ავთოს განზრახვა პირდაპირ მოიცავდა გოგონას სასქესო ორგანოს მოკვეთას, ხოლო მისი გარდაცვალების მიმართ მხოლოდ გაუფრთხილებლობა.

-მართლწინააღმდეგობა

ავთო მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

-დასკვნა: ამრიგად, ავთოს ქმედებაში ადგილი აქვს, რე-

ლიგიური რიტუალის შესაბამისად, სასქესო ორგანოს დასახიჩრების ფაქტს, რაც სასქესო ბაგეების მოკვეთაში გამოიხატა, რომელსაც მოჰყვა მანიპულაციის შედეგად განვითარებული სეზისის გამო მცირეწლოვანის გარდაცვალება. ავთოს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 133² -ე მუხლის მე-3 ნაწილით, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

7.5.ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება, სისხლით ან სისხლის ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა გენეტიკური მანიპულაცია (მუხლები 134-ე, 135-ე, 135¹-ე, 136-ე)

ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება - სსკ-ის 134-ე მუხლი

თანამედროვე მეცნიერება და განსაკუთრებით მედიცინა ვითარდება წარმოუდგენელი სისწრაფით. თითქმის ყოველდღიურად გვთავაზობს დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალ, მანამდე წარმოუდგენელ მეთოდებს. განსაკუთრებული ყურადღება ბოლო წლებში მიიპყრო ტრანსპანტოლოგიამ. ასევე, მკურნალობისათვის, ექსპერიმენტებისათვის და პრეპარატების დასამზადებლადაც კი იყენებენ ადამიანის ორგანოებს, მათ ნაწილებს და ქსოვილებს (ღეროვანი უჯრედები, ღვიძლის ანათალი, თვალის რქოვანა და სხვა).

განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა. ადამიანის სხეული მისი მთლიანობა, ჯანმრთელობა შეუვალია. არავის არა აქვს უფლება პირის ნებართვის გარეშე მოახდინოს მის სხეულზე მანიპულაცია, დაარღვიოს მისი მთლიანობა (თუ არ არსებობს ამის სამედიცინო აუცილებლობა, მისივე სიცოცხლის ან ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად), გამოიყენოს მისი სხეულის ნაწილები და ორგანოები მისი თანხმობის გა-

რეშე. დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი არამართო ის, ვინც, ვთქვათ, მკურნალობას გადის სტაციონარში.

ობიექტური ნიშნით ხასიათდება მხოლოდ აქტიური მოქმედებით. უშუალოდ გამოიხატება იძულების გამოყენებაში (როგორც ფიზიკური ასევე ფსიქიკური) თანხმობის მისაღებად ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ასაღებად. ადამიანის იძულებაში მოცემულ დანაშაულთან მიმართებაში უნდა ვიგულისხმოთ იძულების ისეთი გამოვლინებები, როგორიცაა აღწერილი სსკ-ის 150-ე მუხლში. კონკრეტულად, იძულება შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ცემაში, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებაში და სხვა, ხოლო ფსიქიკური იძულება გამოიხატება ნებისმიერი სახის ძალადობის მუქარაში. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ობიექტური მხარის ნიშნად მიიჩნევს მხოლოდ ადამიანის იძულებას, რათა მან თავისი ნების სანაწილადმდეგოდ გაიღოს თავისი ორგანო, ორგანოს ნაწილი ან ქსოვილი. სხვა ხერხები, რომლებიც მიმართულია დაზარალებულის დასაყოლიებლად, რათა მან თანხმობა განაცხადოს მოცემულ მანიპულაციებზე, მაგალითად, დარწმუნება, მოსყიდვა, მოტყუება, არ ქმნის მოცემული დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. იგი დამთავრებულად უნდა ჩავთვალოთ მუქარის განხორციელების მომენტიდან და არა აქვს მნიშვნელობა მუქარის შედეგად მიღებულ იქნა თუ არა დაზარალებულის თანხმობა. ასეთი მოსაზრება იმას ეყრდნობა, რომ სსკ-ის 134-ე მუხლი, სსკ-ის 150-ე მუხლის კერძო შემთხვევაა და რადგან იძულება დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირს აიძულებენ გარკვეული მოქმედება შეასრულოს ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა შეასრულა თუ არა დაზარალებულმა ბოროტმოქმედის სასურველი ქმედება. ასევე უნდა გადაწყდეს განსახილველი მუხლის შემადგენლობის განხორციელების მომენტიც, ანუ დანაშაული დამთავრებულია იძულების

განხორციელების მომენტიდან და არა თანხმობის მიღების მომენტიში. თუ იძულებას მოჰყვა ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ამოღება, მაშინ დანაშაულბრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ-ის 134-ე მუხლი და სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის დ-პუნქტით). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კარგი იქნებოდა ცალკე დანაშაულის შემადგენლობად კანონმდებელს გამოეყო ადამიანის იძულება, მონანილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტებში, მათ შორის სამედიცინოში, რომელიც სახიფათოა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, როგორც ეს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 2238-ე მუხლშია.

სუბიექტური მხრივ მოცემული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ამასთან, ბოროტმოქმედს ამოძრავებს კონკრეტული მიზანი სხვისი ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ამოღება სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტის ჩასატარებლად ან სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად. თუ პირს რაიმე სხვა რამ ამოძრავებს გარდა ზემოთხსენებული კონკრეტული მიზნებისა, პირი ვერ მიეცემა პასუხისგებაში მოცემული მუხლით.

დანაშაულის სუბიექტია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

კიდევ უფრო მეტად მძიმდება პასუხისმგებლობა, როდესაც ის მიმართულია ისეთი პირების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას და მზრუნველობას. ორსული ქალის მიმართ ასეთი ქმედება ძირითადად ხორციელდება მისი ნაყოფიდან ლეროვანი უჯრედების მისაღებად, რაც არა მართო დედის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, არამედ ნორმალური განვითარების და სიცოცხლის საფრთხეს უქმნის ნაყოფსაც. განსაკუთრებით საშიშია, როდესაც ეს ქმედება მიმართულია არასრულწლოვნის მიმართ, რომლის ორგანიზმი და ფსიქიკა ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის და ადვილია მისი იძულება განსაკუთრებით ფსიქიკური ზემოქმედებით. რაც შეეხება უმწეო მდგომარეობას, შეიძლება იყოს სომატური ან ფსიქიკური დაავადების შედეგი,

რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას. უმწეო მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ ასევე, თუ პირი ცუდად ორიენტირებს და ვერ ერკვევა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, არის უნებისყოფო ანუ პრაქტიკულად დაუცველი. ასევე ისეთი მდგომარეობა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულს არ აძლევს ვითარების სწორი აღქმის შესაძლებლობას. არ შეიძლება ამ მუხლის მიმართებაში უმწეო მდგომარეობად მივიჩნიოთ შემთხვევა, როდესაც პირი საერთოდ მოკლებულია აღქმის უნარს, რადგან ასეთ დროს მასზე შეუძლებელია განხორციელდეს იძულება, ვთქვათ, კომაში მყოფი პაციენტისთვის თირკმლის ამოღება. მატერიალური ან სხვაგვარად დამოკიდებულია პირი, როდესაც ის სრულ ან ნაწილობრივ მატერიალურ დამოკიდებულებაშია ბოროტმოქმედთან, იმყოფება მის კმაყოფაზე, ან შესაძლებელია მატერიალურად ვალდებულია მის წინაშე. სხვაგვარი დამოკიდებულების ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ სამსახურეობრივი, ოჯახური, ან თუნდაც სამედიცინო პერსონალზე დამოკიდებულება (მაგალითად, როდესაც დალოგინებულ პირს მომვლელი ექთანი, რომელზეც ის სრულად დამოკიდებულია, აიძულებს თანხმობა მისცეს ქსოვილის აღებაზე).

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი:

15 წლის ბელას ტყუპისცალ დას ანას დაბადებიდან მძიმე დაავადება სჭირდა და თირკმლის გადანერგვა ესაჭიროებოდა. ბავშვების დედა მაკამ მეორე დას ბელას მოსთხოვა და თანხმებოდა ოპერაციას, მიეცა ტყუპისცალი დისთვის თირკმელი, რადგან ის საუკეთესო დონორი იყო და დის სიცოცხლე გადაერჩინა. ბელამ განაცხადა უარი ანასთვის თირკმლის მიცემაზე, რადგან პერსპექტიული სპორტსმენი იყო და თირკმლის დათმობით იძულებული იქნებოდა სამუდამოდ უარი ეთქვა კარიერაზე. ასევე, მომავალში შეიძლებოდა პრობლემები გასჩენოდა ფეხმძიმობისა და მშობიარობისას. დედა გამწარდა ასეთი პასუხის გამო და ყოველდღიურად ემუქრებოდა თავის შვილს ბელას, რომ მაგრად სცემდა, რათა მასაც ეგრძნო დედის მტანჯველი ტკივილები და დათანხმებოდა ოპერაციას. ბოლოს კი რამდენიმე დღიანი მუქარის შემდეგ, მართლაც

არაერთხელ გაანნა სილა და კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოსთხოვა ტრანსპლანტაციაზე დათანხმება. დათრგუნულმა და შეშინებულმა ბელამ მართლაც მისცა თანხმობა.

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ სახეზეა პირდაპირი განზრახვის არსებობა, მაკას (დედას) გაცნობიერებული აქვს, რომ თავის არასრულწლოვან შვილს ბელას აიძულებს ფსიქიკური და ფიზიკური ზენოლით თანხმობა მისცეს ტრანსპლანტაციის ოპერაციაზე. ამ მიზანში ვლინდება მაკას ქმედების შინაარსი. მოტივი, რა თქმა უნდა, კეთილშობილურია ერთ-ერთი შვილის გადარჩენა, მაგრამ ეს კვალიფიკაციაზე ზეგავლენას ვერ იქონიებს.

ამრიგად, მაკამ გამოიყენა ფსიქიკური და ფიზიკური იძულება არასრულწლოვანი ბელას - მიმართ, რომელიც მასზე მატერიალურად და სხვაგვარად დამოკიდებული იყო, რათა ამ უკანასკნელს განეცხადებინა თანხმობა ორგანოს გაცემაზე ტრანსპლანტაციისათვის. შედეგად მაკა უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 134-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის.

სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა - სსკ-ის 135-ე მუხლი

განსახილველი მუხლი ერთი ნაწილისგან შედგება - „სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა, ჩადენილი ანგარებით“. ვიდრე სსკ-ის 135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივ ქმედებას იურიდიულად გავანალიზებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლი ჰეტეროგენული თხევადი ქსოვილია, რომელიც მოძრაობს ადამიანის სისხლის მიმოქცევის სისტემაში; იგი უზრუნველყოფს უჯრედებისა და ქსოვილების ცხოველმყოფელობას და მათ მიერ სხვადასხვაგვარ ფიზიოლოგიური ფუნქციის შესრულებას. სისხლი შედგება პლაზმის და ფორმიანი ელემენტებისაგან. ჩვენს სახელმწიფოში სისხლის გადასხმის სადგურები ახორციელებს სისხლის მიღებასა და სისხლის გადასხმის ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას. მათ ევალებათ ასევე დონორთა ქსელის დაგეგმვა და გაკონტროლება, მათი

აღრიცხვა და სამედიცინო გამოკვლევა დაკონსერვებული სისხლის, მისი პრეპარატების და შემცვლელების დამზადება შენახვა. რაც შეეხება სისხლის დაკონსერვებას, ის ნიშნავს ფიზიოლოგიურად სრულყოფილი და პარამედიკული გამოყენებისათვის ვარგისი სისხლის ხანგრძლივი დროის მანძილზე შენახვას. ბოლო წლებში მაღალი სამკურნალო ეფექტურობის გამო ფართოდ დაინერგა ძვლის ტვინის დაკონსერვება. სისხლის დაკონსერვებამდე სავალდებულოა მისი შემონახვა სხვადასხვა ტიპის დაავადებებზე¹⁶³.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დასაშვებია სისხლით და მისი კომპონენტებით ვაჭრობა და ის მკაცრად რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით. რეგულირდება სისხლის მიღების, დამუშავების და გამოყენების წესი. ჩვენს ქვეყანაში არსებობს, როგორც სისხლის ალების უსასყიდლო, ასევე ფასიანი დონორობა. აქედან გამომდინარე, დანაშაულია მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც არღვევს სისხლით და სისხლის კომპონენტებით ვაჭრობის კანონმდებლობით დადგენილ წესს.

მოცემული დანაშაულის საგანია სისხლი და მისი კომპონენტები. ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, როგორც დონორის, ასევე სისხლის მიმღები პირის.

ობიექტური მხრივ დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება სპეციალიზირებული ლაბორატორიის, სისხლის ან მისი კომპონენტების ვაჭრობის დადგენილი წესის გვერდის ავლით, ასევე შეუმონმებელი და სათანადოდ დაუმუშავებელი მასალით, ვაჭრობა. დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად მიიჩნევა უკანონო გარიგების, შეთანხმების დადების მომენტიდან. აუცილებელი არაა მოხდეს სისხლის და მისი კომპონენტების უშუალოდ გადაცემა მყიდველისათვის.

სუბიექტური მხრივ ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და სპეციალური ანგარებითი მოტივით ანუ სისხლისსამართლებრივად მოცემული დანაშაული

დასჯადია მხოლოდ მაშინ, თუ მას ახლავს მოტივად რაიმე სახის გამორჩენის მიღება - ანგარება.

მოცემული დანაშაულის სუბიექტია სისხლისსამართლებრივ ასაკს მიღწეული შერაცხადი ყოველი ფიზიკური პირი, ე.ი. აქ საქმე გვაქვს როგორც საერთო, ასევე სპეციალურ სუბიექტთან. (სისხლის გადასხმის დაწესებულების თანამშრომელი), რაც შეეხება მოტივს, მოტივი ანგარებაა, რომელიც სავალდებულოა. ქმედების განსახილველი **მუხლის კვალიფიკაციისათვის განვიხილოთ მაგალითი:**

ავთომ, რომელიც მედიცინის ყოფილი მუშაკი იყო, საკუთარ სახლში კუსტარულად მოაწყო სისხლის გადასხმის მცირე ლაბორატორია. ავთომ მოქალაქეებისგან ანაზღაურების სანაცვლოდ იღებდა სისხლს და მოგების მიზნით ყიდდა მას ისეთ პირებზე, ვისაც ესაჭიროებოდა. ამასთან სათანადოდ არ ხდებოდა სისხლის შემონახვა- დამუშავება. ერთ-ერთი ასეთი უკანონო გარიგების შემდეგ, როდესაც ავთომ მიჰყიდა ბესოს სათანადოდ შეუმონმებელი სისხლი, რომელიც ამ უკანასკნელს ავადმყოფი შვილისთვის გადასასხმელად სჭირდებოდა, ის დააკავეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა.

მიეცემა თუ არა ავთომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 135-ე მუხლით- სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა?

საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რომ ავთომ საკუთარ სახლში მოაწყო სისხლის გადასხმის კუსტარული ლაბორატორია, სადაც ანარმოებდა სისხლის შესყიდვა-გასაღებას მოგების მიზნით. ავთომ სათანადოდ შეუმონმების და დამუშავების გარეშე სხვა პირისგან შექმნილი სისხლი მიჰყიდა ბესოს, რითაც აშკარად დაარღვია სისხლით და სისხლის კომპონენტები ვაჭრობის დადგენილი წესი. ამასთან მის ქმედებაში აშკარაა მოგების მიღების მიზანი. შესაძლებელია ავთომ მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. ავთომ ქმედებაში იკვეთება, სსკ-ის 135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის, სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა,

163 Коробкова Л.В. Новое в гематологии, М. 1999 с.145

ჩადენილი ანგარებით.

ავთომ თავისი ქმედებით საფრთხე შეუქმნა ბესოს შვილის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასევე, მან დაარღვია სისხლით და მისი კომპონენტებით ვაჭრობის დადგენილი წესები, რომლებიც რეგლამენტირებულია სპეციალური კანონებით და ნორმატიული აქტებით.

რაც შეეხება განზრახვას. აშკარაა პირდაპირი განზრახვის არსებობა. ავთოს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი და ითვალისწინებდა შედეგის დადგომას და სურდა ის. ამაზე მეტყველებს ანგარებითი მოტივი, რომელიც იკვეთება ავთოს ქმედებაში. მან გაყიდა სისხლი მოგების მიღების მიზნით.

დაბოლოს, შეგვიძლია გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა:

ავთომ, რომელმაც სახლში კუსტარულად მოაწყო სისხლის გადასხმის მცირე ლაბორატორია და ეწეოდა სისხლის აღებას და მის გაყიდვას მოგების მიღების მიზნით, საფრთხე შეუქმნა ბესოს შვილის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას სათანადოდ შეუმომბეღელი სისხლის მიყიდვით გადასხმისათვის, ასევე დაარღვია სისხლის და სისხლის კომპონენტებით ვაჭრობის კანონით დადგენილი წესები. ავთო მოქმედებდა ანგარებით, რადგან სისხლის გაყიდვას ახორციელებდა ფულადი მოგების მიღების მიზნით, შესაბამისად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 135-ე მუხლით (სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა).

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა - სსკ-ის 135¹-ე მუხლი

განსახილველი მუხლი ახალია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. სამწუხაროდ, ადგილი აქვს მედიცინის მეცნიერებისა და ტექნიკური მიღწევების ბოროტად გამოყენებას, უფრო მეტიც, დანაშაულებრივმა სამყარომ ტრანსპლანტოლოგიის მიღწევები საკუთარ სამსახურში ჩააყენა.

განსახილველი მუხლიდან გამომდინარე, ცალსახად არ უნდა ვიფიქროთ, რომ საუბარია მხოლოდ ორგანოს ყიდვაზე

სხვა ადამიანისათვის გადანერგვისათვის, თუმცა ლიტერატურაში ამ მუხლის კომენტირებისას ხაზგასმულია მხოლოდ ერთი-ტრანსპლანტაციის მომენტი. ამ მუხლით პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ დროსაც, როდესაც ორგანოებით ვაჭრობა ხდება, ვთქვათ, სამედიცინო ექსპერიმენტისთვის ან თუ გინდ გარკვეული რიტუალის ჩასატარებლად. მოცემული მუხლისათვის არც ისაა აუცილებელი, რომ ყიდვა-გაყიდვა განხორციელდეს გარკვეული ანგარებით, გამორჩენის მიღებისთვის შესაძლებელია მყიდველს, ასე ვთქვათ, კეთილშობილური მიზნებიც ჰქონდეს და ადამიანის ორგანოს მეგობრისთვის გადასანერგად ყიდულობდეს.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამასთან აქ შეიძლება ვისაუბროთ, როგორც ორგანოს გამცემის, ასევე მიმღების თაობაზეც.

ობიექტური ნიშნით დანაშაულებრივი ქმედება ხასიათდება ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში ანუ ყიდვა - გაყიდვაში. როგორც ვხედავთ, ეს დანაშაული აუცილებლად მოითხოვს, როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველის არსებობას. გამყიდველად ხშირ შემთხვევაში გვევლინება თვითონ ორგანოს პატრონი ან შესაძლებელია, რომელიმე სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელიც იყოს. ასევე ამ დანაშაულს ხშირ შემთხვევაში შუამავლის არსებობაც ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი არ არის თვითონ ორგანოს ამოღება და გადაცემა და ის დამთავრებულად ითვლება გარიგების დადების მომენტიდან, ანუ ფორმალური შემადგენლობა არის სახეზე, მაინც უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელი არაა ასეთი მოქმედება - ორგანოს ამოღება მაინცდამაინც სამედიცინო დაწესებულებაში მოხდეს (თან ეს უკვე სხვა დანაშაულის შემადგენლობას მოგვცემს). შესაძლებელია, სრულიად კუსტარულად გამართულ საოპერაციოშიც განხორციელდეს, რაც, სამწუხაროდ, უფრო ხშირად ხდება.

სუბიექტური ნიშნით ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მოტივად კი ანგარება გამოდის, თუმცა, როგორც

ვთქვით, შესაძლებელია სხვა მოტივიც დაედოს საფუძვლად.

დანაშაულის სუბიექტია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. თუმცა მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს უკანონო გარიგებაში მონაწილე ყველა მხარეს.

სსკ-ის 135¹-ე მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს პასუხისმგებლობის გამკაცრებას, თუ მოცემული ქმედება ჩადენილია არაერთგზის. არაერთგზისობის ცნება უნდა გავიგოთ, როგორც წინათ ამავე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ მოცემული დანაშაულის განმეორება, თუ პირი კანონით დადგენილი წესით არ იყო გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა (სსკ-ის მე-15-ე მუხლი).

აბსოლუტურად სწორად მოიქცა კანონმდებელი, როდესაც კიდევ უფრო დაამძიმა პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ სსკ-ის 135¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. ვინაიდან, ტრანსნაციონალურმა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა ხელში ჩაიგდო და მყარად აკონტროლებს ტრანსპლანტაციის და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შავ-უკანონო სფეროს. თანაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ დანაშაულის განხორციელებით, არამედ ადამიანის ორგანოების ყიდვა-გაყიდვას ხშირად თან ახლავს სხვა უფრო მძიმე დანაშაულები. ორგანიზებული ჯგუფის ცნება ისე უნდა გავიგოთ, როგორც ეს მოცემულია სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3-ე ნაწილში. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ასევე მაკვალიფიცირებელ (დამამძიმებელი) გარემოებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც სუბიექტად გვევლინება სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი. მაგალითად, ავთო მუშაობდა ექიმ-ქირურგად ტრანსპლანტოლოგიის ქირურგიულ ცენტრში, სადაც მკურნალობას გადიოდა ბესოს შვილი, რომელსაც საჩქაროდ ესაჭიროებოდა თირკმლის გადაწერვა. ავთომ შესთავაზა ბესოს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ უმო-

კლეს დროში ეპოვა მისი შვილისთვის დონორი. ბესო დათანხმდა ამ წინადადებას და თანხის ნახევარიც გადასცა, ხოლო მეორე ნახევარს ოპერაციის მერე დაპირდა. ავთომ მართლაც ორ დღეში იპოვა დონორი და ოპერაციაც ჩატარდა, რის შემდეგაც სრული თანხაც მიიღო.

როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს ქმედება?

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

შესაძლებელია ავთომ ჩაიდინა სსკ-ის 135¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა).

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა;

-ქმედების ობიექტი - ავთოს ქმედება ხელყოფს ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებს. კერძოდ, ავთომ დაარღვია ორგანოს ტრანსპლანტაციის დადგენილი წესები და მიჰყიდა დონორის თირკმელი ბესოს. ანაზღაურების ნაწილი მიიღო გარიგების დადების მომენტიდან, ხოლო დანარჩენი ოპერაციის ჩატარების შემდგომ.

სსკ-ის 135¹-ე მუხლი აუცილებელი თანამონაწილეობის მაგალითს წარმოადგენს.

შედეგი სახეზეა უკანონო გარიგების განხორციელების მომენტიდან ანუ, როცა ავთომ ბესოს მიჰყიდა ორგანო ტრანსპლანტაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მან თავიდან მიიღო თანხის მხოლოდ ნაწილი და ასევე ოპერაცია მოგვიანებით ჩატარდა, დანაშაული დამთავრებულად და შედეგი განხორციელებულად უნდა მივიჩნიოთ.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა, გაუფრთხილებლობა-ავთოს პირდაპირი განზრახვა ამოძრავებდა, რაც გამოიხატა ორგანოს ყიდვა-გაყიდვის შეთავაზებაში ბესოს მიმართ, რაც მყარდება ანგარებითი მოტივისა და მიზნის არსებობით. ავთო ტრანსპლანტაციის ცენტრის ექიმ-ქირურგი იყო და სამსახურებრივად უნდა სცოდნოდა, რომ აკრძალულია ადამიანის ორგანოების კომერციული მიზნით გამოყენება.

ამრიგად, ავთომ, რომელიც ექიმ-ქირურგი იყო ტრანსპლანტალოგიის ცენტრში შესთავაზა რა ბესოს მისი შვილისთვის დონორული ორგანოს პოვნა გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, პირდაპირი განზრახვით დაარღვია ორგანოს ტრანსპლანტაციის დადგენილი წესი. ბესოსგან თანხმობის და წინასწარ ფულის ნახევარის მიღების შემდეგ რამდენიმე დღეში გადასანერგი ორგანო იპოვა და ოპერაციაც ჩაატარა. სანაცვლოდ სრული თანხაც მიიღო. დანაშაული დამთავრებულია უკანონო გარიგების დადების მომენტიდან. ავთოს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 135¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა.

გენეტიკური მანიპულაცია- სსკ-ის 136-ე მუხლი

განსახილველი მუხლი სიახლეს წარმოადგენს არა მარტო საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის, არამედ ნოვაციაა ზოგადად საერთაშორისო სამართლის და უცხო ქვეყნების კანონმდებლობისთვისაც. მეცნიერების და განსაკუთრებით გენეტიკის მიღწევებმა განაპირობა ასეთი კანონმდებლობის მიღება, რათა დაეცვათ ადამიანის, როგორც არსების ბიოუსაფრთხოება. ამ მხრივ, საინტერესოა ევროსაბჭოს კონვენცია „ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ“ და დამატებითი ოქმები „ბიოსამედიცინო კვლევების შესახებ“. ნელ-ნელა გააცნობიერეს რა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლებმა ის საფრთხეები, რასაც უქადდა გენეტიკური მანიპულაციების უკონტროლო გამოყენება, მრავალმა მათგანმა მიიღო კანონი ასეთი ქმედების აკრძალვისა და კვლევების კონტროლის შესახებ. მათ არც საქართველო ჩამორჩა და სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებულ იქნა სსკ-ის 136-ე მუხლი. გარდა ამისა, სხვადასხვა კანონში დამატებულია ადამიანის ბიოუსაფრთხოების საკითხები („საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ“).

სამწუხაროდ, სსკ-ის 136-ე მუხლმა უფრო მეტი კითხ-

ვა დასვა, ვიდრე პასუხი გასცა როგორც წმინდა სამართლებრივი, ასევე საზოგადოებრივი და მორალური კუთხით. უპირველესად, გენეტიკური მანიპულაცია უფრო ვრცელი თემაა, ვიდრე უბრალოდ კლონირება და არ შეიძლება მისი ასე გამარტივება. კლონირება გენეტიკური მანიპულაციის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა და ამიტომ მათი გაიგივება, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენი კანონმდებლობის კომენტარებისას, დაუშვებელია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს არა მარტო კლონირების, (რაც ადამიანის ზუსტი ასლის შექმნას გულისხმობს), არამედ სხვადასხვა სახის ქიმერების შექმნისას; ისეთი ორგანიზმის შექმნა, რომელიც ფიზიოლოგიურად და ფუნქციონალურად მეტნაკლებად ჰგავს ადამიანს, უკეთ ან უარესად წარმოაჩენს ადამიანის ცხოველმყოფელობას (სამთვალისიანი, ოთხხელიანი ადამიანი ან ადამიანი, რომლის კანიც ღამით ანათებს), მანიპულაციის ასეთი რადიკალური ჩარევის გარდა აკრძალულია, ასევე, ისეთი გარეგნულად უსაფრთხო ჩარევა ადამიანის გენეტიკაში, როგორცაა სქესის შერჩევა, თავის ტვინის ფუნქციონალის ან მუსკულატურის გაზრდა (მაგალითად გენიოსის ან უბადლო სპორტსმენის მისაღებად). ნუ წარმოვიდგენთ, რომ ყველა სახის გენეტიკური კვლევა დაუშვებელია და აკრძალულია ყველა ტიპის მანიპულაცია. დასაშვებია, მაგალითად, გენეტიკური გამოკვლევები სამედიცინო თვალსაზრისით სხვადასხვა გენეტიკური დაავადების კვლევის და მკურნალობის მეთოდის შემუშავებისათვის; „საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 52-ე მუხლი გვეუბნება, რომ: „გენეტიკური თერაპია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა) მისი მიზანია ფატალური დაავადების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა; ბ) არ არსებობს მკურნალობის სხვა, უფრო მარტივი და უსაფრთხო მეთოდი; გ) მიღებულია პაციენტის, ხოლო მისი ქმედუნარიანობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობით გაფორმებული ინფორმირებული თანხმობა; დ) მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს, რომ მკურნა-

ლობა არ გამოიწვევს ადამიანის შთამომავლობის გენომის არასასურველ შეცვლას.“ მოცემულ მუხლში განსაკუთრებით ყურადსაღებია „დ“ პუნქტი, სადაც საუბარია „ადამიანის შთამომავლობის გენომის არასასურველ შეცვლა“-ზე, რადგან ბიოუსაფრთხოების ქვაკუთხედს სწორედ ეს დებულება წარმოადგენს.

სსკ-ის 136-ე მუხლის ანალიზისას პირველი, რაც უნდა განისაზღვროს არის ამ დანაშაულის ობიექტი. ესაა სოციალური ურთიერთობები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის წარმოშობისა და განვითარების გენეტიკურ კანონზომიერებას. როგორც ვხედავთ, ხელყოფის ობიექტიდან გამომდინარე, პირველ პრობლემას წარმოადგენს ამ მუხლის ადგილის განსაზღვრა - ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის - თავში, რამდენად გამართლებულია ეს. რამდენად წარმოადგენს განსახილველი მუხლი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას. თავისი შინაარსიდან და ობიექტიდან გამომდინარე მუხლი უფრო მოსახლეობის ჯანმრთელობის და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას ჰგავს.

ობიექტური ნიშნით დანაშაულებრივი ქმედება ხასიათდება აქტიური მოქმედებით ანუ მეცნიერული მიღწევების გამოყენებით, თეორიული და პრაქტიკული მუშაობით, ლაბორატორიის შექმნით, სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტებით, ადამიანის მსგავსი არსების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მუხლიდან ცალსახად არ ჩანს ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ორგანიზმი ცოცხალი უნდა იყოს თუ მკვდრად შექმნილიც, საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი არსება სიცოცხლის ნიშნებს უნდა იძლეოდეს, ხოლო ასეთის გარეშე საქმე გვექნება დანაშაულის მცდელობასთან. აქვე უნდა დავსვათ შეკითხვა თუ ბოროტმოქმედმა შექმნა ასეთი არსება, ხოლო შემდეგ, თუგინდ უმაღლვე ექსპერიმენტის დასრულებისას ის გაანადგურა, რასთან გვაქვს საქმე? ანუ ეს შექმნილი არსება, რადგან ადამიანის მსგავ-

სია, ჩავთვალოთ ადამიანად (ვთქვათ შექმნილი ხიმერა) და მისი განადგურება დაისჯება, როგორც განზრახ სიცოცხლის მოსპობა, თუ ასეთი ქმედება არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასევე, როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება ექსპერიმენტის შედეგად ცოცხლად გაჩენილი ორგანიზმის მიმართ, გაანადგუროს ის თუ მისცეს ცხოველმყოფელობის და საზოგადოებაში ინტეგრირების უფლება, მითუმეტეს მაშინ თუ მას რეპროდუქციის უნარი ექნება და შეძლებს თაობის მოცემას უკვე ადამიანისგან განსხვავებული (პრაქტიკულად ადამიანის სხვა სახეობას დააფუძნებს). პრობლემა ნაკლებადაა თუ ექსპერიმენტი კლონირებას წარმოადგენდა და ადამიანის სრული იდენტური ახალი ორგანიზმი შეიქმნებოდა. მაგრამ თუ ის განსხვავებულია, ვთქვათ, ზედმეტი ხელით ან ზედმეტი ორგანოთი ან ფუნქციით, რამდენად მიიღებს მას საზოგადოება. ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა, რადგან სისხლის სამართლის მეცნიერებას სცილდება და უკავშირდება მორალს, ეთიკურ შეხედულებებს და რელიგიასაც კი.

სუბიექტური ნიშნით მოცემული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბოროტმოქმედს სურს გენეტიკური მანიპულაციის განხორციელებით ადამიანის მსგავსი არსების შექმნა და ყველაფერს აკეთებს ასეთი შედეგის მისაღწევად. მოტივი ამ დანაშაულის შეიძლება იყოს მრავალნაირი, როგორც პირადი მატერიალური გამოჩენა, ასევე სახელის მოხვეჭა. უმეტეს შემთხვევაში ალბათ მოცემული დანაშაული განხორციელდება მეცნიერული ინტერესისათვის.

დანაშაულის სუბიექტად გვევლინება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, თუმცა უფრო უპრიანი იქნება ვილაპარაკოთ მეცნიერ მუშაკზე სპეციალური ცოდნით და კვალიფიკაციით, რომელიც შეძლებს ამ ურთულესი პროცესის დაგეგმვას და განხორციელებას. ხშირად ვხვდებით მოსაზრებას, რომ საქართველოში არარეალურია მსგავს დანაშაულებრივ ქმედებასთან გვეკონდეს საქმე, მეცნიერულ ტექნიკური დაბალი დონის გა-

მო, ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთ მოსაზრებას, მაგრამ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ კანონმდებელმა აქცენტი გააკეთა უფრო მომავალზე და ასევე იმ უცხოელ მეცნიერებზე, რომლებიც მათ სამშობლოში აკრძალული საქმიანობით საქართველოში დაკავდებოდნენ, რომ არა მოცემული კანონმდებლობა.

მიგვაჩნია, რომ ასევე დასჯადი უნდა იყოს გენეტიკური მანიპულაციის მეშვეობით ადამიანის მსგავსი არსებობის შექმნის მიზნით სპეციალური ლაბორატორიის მონყობა. მოქმედი კანონით ასეთი საქმიანობა გენეტიკური მანიპულაციის მომზადებად ჩაითვლება, მაგრამ მისი მომეტებული რეალური საფრთხიდან გამომდინარე, საჭიროა კანონში ცალკე დასჯად ქმედებად გამოცხადდეს. ასევე, ჩვენი აზრით, ქმედება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ადამიანის მსგავსი არსებების შესაქმნელად უშუალოდ ექსპერიმენტის ჩატარებისთანავე და არ უნდა ველოდოთ ასეთი ექსპერიმენტის შედეგს (დასჯადობის დანესება მცდელობის სტადიაზე მომეტებული საფრთხის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე). მაგალითად, ავთომ, რომელიც პროფესიით გენეტიკოსი იყო გადაწყვიტა, რომ შეექმნა ადამიანის მსგავსი არსება გენეტიკური მანიპულაციის მეშვეობით, რათა კოლეგებისა და საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა თავისი ცოდნისა და ნიჭის განსაკუთრებულობა. ავთომ პატარა ლაბორატორია მოაწყო საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მოიძია დამატებითი ინფორმაცია კლონირების შესახებ და რამდენიმეთვიანი თეორიული მუშაობის შემდეგ შეუდგა უშუალოდ ექსპერიმენტებს ადამიანის მსგავსი არსების შესაქმნელად. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როდესაც მან ვერ მოახერხა ადამიანის მსგავსი არსების შექმნა, ის დაკავებულ იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ.

როგორ დაკვალიფიცირდება ავთოს ქმედება?

ამოხსნა: ჰიპოთეზა (სავარაუდო ვერსია)

ავთომ, რომელიც პროფესიით გენეტიკოსი იყო გენეტიკური მანიპულაციის გზით განიზრახა ადამიანის მსგავსი არსების შექმნა განდიდების მიზნით. ამისთვის მოაწყო მცირე ლაბორატორია და დაიწყო ექსპერიმენტები. ექსპერიმენტებს

არ მოჰყვა სასურველი შედეგი, მან ვერ შეძლო კლონირების განხორციელება. სავარაუდოდ, ავთოს ქმედებაში იკვეთება სსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გენეტიკური მანიპულაციის მცდელობა (სსკ-ის 19-ე მუხლი).

-ქმედების შემადგენლობა

-ქმედების ობიექტური შემადგენლობა

-ქმედება - ავთოს ქმედება გამოიხატა ჯერ სამეცნიერო მასალების მოძიებაში, შემდგომ სპეციალური ლაბორატორიის მონყობაში და ბოლოს გენეტიკური მანიპულაციებით ადამიანის მსგავსი არსების შექმნის მცდელობაში. აშკარაა, რომ მისი ყველა მოქმედება უშუალოდ მიმართული იყო სასურველი შედეგების მისაღწევად.

-შედეგი - ავთოს ქმედება მიმართული იყო კონკრეტული შედეგის მისაღწევად ადამიანის მსგავსი არსების შესაქმნელად, რასაც მან ვერ მიაღწია ანუ არ დადგა სსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი შედეგი, რომელიც დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას მოგვცემდა. შესაბამისად, რადგან ავთოს პირდაპირი განზრახვით მოცული შედეგი არ განხორციელდა, საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან (სსკ-ის 19-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ეგრეთ წოდებული, დამთავრებული მცდელობა, ვინაიდან, ავთომ ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული სასურველი შედეგის მისაღწევად, თუმცა ის არ დადგა.

-ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

-განზრახვა - ავთოს პირდაპირი განზრახვა ამოძრავებდა, რადგან მას სურდა გენეტიკური მანიპულაციით ადამიანის მსგავსი არსების შექმნა და ყველაფერი გააკეთა ამისთვის. მისი განზრახვა მოიცავდა ქმედებას გამოხატულს გენეტიკურ მანიპულაციაში და შედეგს ადამიანის მსგავსი არსების შექმნას. დანაშაულებრივი ქმედების მიზანს კი წარმოადგენდა განდიდების სურვილი და თავის წარმოჩენა.

-მართლწინააღმდეგობა

ავთო მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

-ბრალი

ბრალის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. ავთო მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა: ამრიგად ავთომ, მოაწყო ლაბორატორია, რომელშიც ატარებდა ექსპერიმენტებს და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მიეღწია სასურველი შედეგისათვის - გენეტიკური მანიპულაციით ადამიანის მსგავსი არსების შექმნა. მიუხედავად ავთოს მცდელობისა, შედეგი არ დადგა, შესაბამისად, მისი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19-ე, 136-ე მუხლებით გენეტიკური მანიპულაციის მცდელობა.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა

2004 წლის 14 თებერვალს, დაახლოებით 19 საათზე, ა. კუპრაძე, მასზე განათხოვრებული „იკარუს265“ მარკის ავტობუსით, რომელსაც თვითონ მართავდა, თბილისის სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ ავტომაგისტრალის დასახლებულ პუნქტში, დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის“ 29.1 მუხლის მოთხოვნა, ვერ უზრუნველყო ავტობუსის უსაფრთხო მოძრაობა და დაეჯახა გზაზე მდგარ პირებს: დ. დალიკაძეს, ა. ჯორბენაძესა და გ. ხონელიძეს. ავტობუსის დაჯახების შედეგად ა. ჯორბენაძემ მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, დ. დალიკაძემ - ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო ხონელიძემ - სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები, რამაც გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა.

ავტობუსის დაჯახების შედეგად ხონელიძე, დალიკაძე და ჯორბენაძე იმყოფებოდნენ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არ ჰქონდათ, მიეღოთ ზომები თავის დასაცავად. მძღოლმა კუპრაძემ, მიუხედავად იმისა, რომ პირადად უნდა ეზრუნა მათზე და შეეძლო მათი დახმარება, ისინი დაუხმარებლად მიატოვა შემთხვევის ადგილზე.

ა. კუპრაძე აბაშის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილებით და სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენი საპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. კუპრაძემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ამ განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. ვინაიდან, მას არ ჩაუდენია მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება.

ა. კუპრაძის საჩივარი განიხილა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ და არ დააკმაყოფილა იგი.

ა. კუპრაძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაც წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას გამამართლებელ საფუძველზე.

პალატამ შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, შემდეგ გარემოებათა გამო: ა. კუპრაძე ვალდებული იყო, დასახლებულ პუნქტში ავტომანქანით ემოძრავა მითითებულზე 60-70 კმ/სთ ბევრად უფრო დაბალ სიჩქარით, რათა მოულოდნელი საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონოდა, თავიდან აეცილებინა ავტოსაგზაო შემთხვევა. პალატამ დადასტურებულად მიიჩნია მსჯავრდებული ა. კუპრაძის ბრალეულობა მის მიერ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. პალა-

ტა ასევე დადასტურებულად მიიჩნევს მსჯავრდებული ა. კუპრაძის ბრალს საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო პალატის მიერ 2005 წლის 2 ივლისს მსჯავრდებულ ა. კუპრაძის მიმართ გამოტანილი განაჩენი არის კანონიერი და უნდა დარჩეს უცვლელად¹⁶⁴.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, 2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
4. ვ. მაყაშვილი, თ. წერეთელი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბილისი., 1980;
5. ზ. მუჯანაძე, - სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, თბილისი., 2000;
6. ზ. ნულაია, სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტუალი“ თბილისი., 2000;
7. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი., 2002;
8. ზ. ნულაია, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი., 2005;
9. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - თბილისი., 2006;
10. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი., 2007;
11. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მე-

- თოდის სისხლის სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი., 2010;
12. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი., 2011;
 13. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი., 2011;
 14. თ. ცქიტიშვილი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი., 2012;
 15. ირაკლი დვალაძე, გიორგი თურმანიშვილი, ნინო გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბილისი., 2015;
 16. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, თბილისი., 2015., 2014;
 17. ბაჩანა ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი., 2016;
 18. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2016;
 19. თ. დარსანია, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობისათვის, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი., 2017;
 20. Коробкова Л. В ., Новое в гематологии, М., 1999;
 21. Бородин С.В., Ответственность за убийство: квалификация и наказание по российскому праву, М., 1994;
 22. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М., 2000;
 23. Уголовное право Российской Федераций Особенная часть, практикум, под. Ред. А. Рагога м., 2014;
 24. ves Mayaund, Droit penal general, Paris, 2004, p. 280-285; F. Desportes, F. Gunehes, Droit general, Paris, 2006, p.464,481; Michel Veron, Droit penal Special, Paris, 1999; Roxin A.T, Bdll.31, Kn 188.

164 370-აპ 15 ნოემბერი, 2005 წ. ქ. თბილისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება.

თავი VIII
ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაუ-
ლები საზღვარგარეთის ქვეყნების
კანონმდებლობაში

თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციამ აქტუალური გახადა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლა. მათ შორის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის სამართალს. უცხო ქვეყნების კანონმდებლობის კვლევა აქტუალურია არა მარტო წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ მას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და განსაკუთრებულ როლს თამაშობს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ამიტომაც საინტერესოდ მიგვაჩნია ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით. უფრო სწორად, ჩვენი მიზანია ზოგადი, მაგრამ გარკვეულწილად შეჯერებული ინფორმაციის მიწოდება ამ საკითხთან მიმართებაში.

თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავისი საკუთარი ნაციონალური კანონმდებლობა, დამახასიათებელი სამართლებრივი სისტემით. სამართალი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა. საზოგადოებაში როგორც ადამიანის ქცევის რეგულატორზე, მასზე გავლენას ახდენდა უამრავი შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო ფაქტორი. ამიტომაც ყოველ ნაციონალურ სამართლებრივ სისტემას სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებთან მეტ – ნაკლები საერთო ნიშნები გააჩნია. ამან მოგვცა შესაძლებლობა დავყოთ ქვეყნები, ეგრეთ წოდებულ, „სამართლის ოჯახებად“.

ცნება „სამართლის ოჯახი“ გამოიყენება სხვადასხვა სამართლის სისტემათა გასამიჯნად, მათი მსგავსებისა და განსხვავების დასადგენად. საყოველთაოდ აღიარებულია, შედარებითი სამართლის დარგის ფრანგი მეცნიერის რენე დავიდის მიერ ჩამოყალიბებული სამართლის ოჯახების შემდეგი კლასიფიკაცია: რომანულ-გერმანული, ანგლოსაქსური, სოციალისტური და რელიგიური (კერძოდ, მუსლიმური). მნიშვნელოვან როლს სამართლის ამ ოჯახების არსის გარკვევაში თამაშობს სისხლის სამართალი¹⁶⁵.

ბოლო ხანებში ცნება „სამართლის ოჯახი“ თანდათანობით კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას და პრაქტიკულად ერწყმის „სამართლის სისტემის“ ცნებას. თანამედროვე ავტორები ამ ორივე ცნების იდენტობას უჭერენ მხარს¹⁶⁶.

რომანულ-გერმანული სისტემა, რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება, ჩამოყალიბდა დასავლეთ რომის იმპერიის რღვევისა და რომის სამართლის რეცეფციის შედეგად. ამ სისტემას მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის ქვეყნები (ამიტომაც ხშირად მას კონტინენტურ სამართლის სისტემასაც უწოდებენ), ლათინური ამერიკა, იაპონია, ინდონეზია და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა.

რომანულ-გერმანული სისტემის ძირითად მახასიათებლებია: ა) კანონის, ნორმატიული აქტის სამართლის ძირითად წყაროდ აღიარება; ბ) კოდიფიცირებული კანონმდებლობა; გ) სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად; დ) სამართლის სისტემის შიგნით დარგობრივი კოდიფიკაცია.

ანგლოსაქსური სისტემა მეთორმეტე საუკუნეში წარმოიქმნა დიდ ბრიტანეთში. ინგლისის კოლონიური სისტემის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო საერთო სამართლის გავლენის გავრცელებას ყველა კონტინენტზე. მიუხედავად კოლონიური სისტემის რღვევისა, სამართლის ეს სისტემა შენარჩუნდა და განვითარება პოვა ინგლისურენოვან სახელმწიფოთა შორის. დღეს ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნებს

165 Давид Р. Основные правовые системы современности. М., 1997. С. 21

166 Курс уголовного права. Общая часть. Ред. Н.Ф. Кузнецовой, Н.М. Тяжковой. М., 1999. Т. 1: Учение о преступлении. С. 335

მიეკუთვნება აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინდოეთი, პაკისტანი და აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა.

ანგლოსაქსური სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელია: ა) კოდიფიცირებული კანონმდებლობის არარსებობა (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სისხლის სამართლის კანონმდებლობა უკვე კოდიფიცირებულია, ინდოეთი, ავსტრალია, აშშ); ბ) პრეცედენტისა და სტატუტის აღიარება სამართლის ძირითად წყაროდ; გ) კერძო და საჯარო სამართლად და სამართლის დარგებად დეტალურად დაყოფის უქონლობა.

სოციალისტური სამართლის სისტემა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის შექმნასთან. მან გავრცელება პოვა, ეგრეთ ნოდებულ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ჩინეთში, კუბაზე, ვიეტნამსა და ჩრდილოეთ კორეაში. მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები დღემდე ინარჩუნებენ და ავითარებენ სოციალისტური სამართლის სისტემას თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

სოციალისტური ტიპის სამართლისათვის დამახასიათებელია დანაშაულებრივი ქმედების ღია კლასობრივი მიდგომით განსაზღვრა. დანაშაულად ცხადდებოდა ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ინტერესებს. სოციალისტური სამართლის ტიპურ ნიშნებს წარმოადგენს: ა) სამართლის ძირითადი წყარო არის კანონი; ბ) კოდიფიცირებული კანონის არსებობა, რომელიც არ იყოფა კერძო და საჯარო სამართლად; გ) მკაცრად განსაზღვრული დარგობრივი სისტემის არსებობა.

რელიგიური, ძირითად მუსლიმური, სამართლის სისტემა იდეოლოგიურად ეფუძნება ისლამის რელიგიურ დოგმატიკას. იგი წარმოიშვა არაბული ხალიფატის ქვეყნებში. მუსლიმური სამართალი დაფუძნებულია სამართლის რელიგიურ წარმომავლობაზე, რომლის მიხედვითაც ის მოდის ალაჰიდან. ბოძებულია ადამიანისთვის ერთხელ და სამუდამოდ. მუსლიმი იურისტების მეშვეობით მისი შინაარსი დაიყვანება

ადამიანამდე. ამიტომაც მუსლიმური სამართლის ძირითადი პოსტულატი არის ის, რომ სამართალი არ იცვლება და არ საჭიროებს რაიმე დამატებით აქტებს. მუსლიმური სამართალი წარმოადგენს ერთიან ისლამურ, შარიათზე დაფუძნებული სამართლებრივი ხასიათის ნორმათა სისტემას. მოცემულ სისტემაში სისხლის სამართლისათვის ნიშანდობლივია ის, რომ დანაშაულებრივ ქმედებად მიჩნეულია რელიგიური გადაცდომების ჩადენა და სასჯელად ძირითადად „სხეულებრივი“ სასჯელები გამოიყენება¹⁶⁷.

კონტინენტური სამართლის სისტემას მიეკუთვნება გერმანული სისხლის სამართალი. გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი შედგება 30 ნაწილისა და 358 პარაგრაფისაგან. კოდექსის მეთექვსმეტე ნაწილი შეეხება სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ხოლო მეჩვიდმეტე – სხეულის დაზიანებებს. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით სტრუქტურულად საკმაოდ განსხვავდება ჩვენი კანონმდებლობისაგან, რადგან მასში გარდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტრადიციული დანაშაულებისა – მკვლელობა (&211, &212, &213), სიცოცხლის მოსპობა მსხვერპლის თხოვნით (&216), გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა (&222) – შედის ასევე ისეთი დანაშაულები, როგორცაა ფეხმძიმობის შეწყვეტა (რომელიც თავის თავში მოიცავს ამ ქმედების განხორციელების სხვადასხვა ფორმას &218 - 219), გენოციდი (&220ა), განსაცდელში მიტოვება (&221)¹⁶⁸

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში გამოყოფილია სამი სახის მკვლელობა: მძიმე, მარტივი და ნაკლებად მძიმე. &211 მძიმე სახის მკვლელობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მის პირველ აბზაცში მითითებულია დანაშაულის სუბიექტზე - ბოროტი მკვლეელი, ხოლო მეორე აბზაცი

167 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013. С. 7
168 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1998 წლის 13 ნოემბრის რედაქციით (ცვლილებებით და დამატებებით) <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1242733&subID=100102942,100102944,100103628,100103844#text>

კი განმარტავს ამ ტერმინის მნიშვნელობას და გვაძლევს მახასიათებლებს, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა ახასიათებდეს სუბიექტს (სქესობრივი უინის დაკმაყოფილება, ანგარება, სხვა დანაშაულის დაფარვა ან გაადვილება, საყოველთაო სახიფათო საშუალებით და სხვა). &212 თავისი შინაარსით ჰგავს საქართველოს სსკ-ის 108 მუხლს, როდესაც მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. &213 გულისხმობს ნაკლებად მძიმე მკვლელობას, რაც გამონვეულია თვითონ დაზარალებულის ქმედებით დამნაშავისადმი ან მისი ახლო ადამიანისადმი მძიმე შეურაცხყოფით, სასტიკი მოპყრობით, რამაც გამოიწვია დამნაშავის აფექტური მდგომარეობა (როგორც ვხედავთ, ეს მუხლი მსგავსია საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის). რაც შეეხება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის &216-ეს, აქ მოცემულია მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, ამასთან ეს თხოვნა უნდა იყოს დაჟინებული და სერიოზული (მიუხედავად საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებისა, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლს) და ბოლოს, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა (&222), რომლითაც ფაქტობრივად მთავრდება გერმანიისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებში სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მსგავსება¹⁶⁹.

მნიშვნელოვანი ადგილი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მეთექვსმეტე ნაწილში უკავია დანაშაულს, რომელიც ეხება ფეხმძიმობის შეწყვეტას. ძირითადი შემადგენლობა მოცემულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის &218-ეში. დასჯადად გამოცხადებულია ისეთი ქმედებები, როგორცაა ფეხმძიმობის შეწყვეტა სამედიცინო დასკვნის გარეშე, არასწორი სამედიცინო დასკვნა (ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად გვევლინება ექიმი ან სხვა უფლებამოსილი პირი) (&218ბ), საექიმო მოვალეობის დარღვევა ფეხმძიმობის შეწყვეტის დროს (&218ც), ფეხმძიმობის შეწყვეტის აგიტაცია (&219ა), თანხის ან სხვა საჭირო ნივთების გაცემა ფეხმძიმობის შეწყვეტისათვის (&219ბ).

169 И.А. Юрченко, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, М., 2015. С. 87

ფეხმძიმობის შეწყვეტის მძიმე ფორმებს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე მოქმედებდა ორსული ქალის ნების საწინააღმდეგოდ ან თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. როგორც ვხედავთ, გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა საკმაოდ მძაფრად იცავს ნაყოფს ხელყოფისაგან.

ასევე, როგორც აღვნიშნეთ, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს განეკუთვნება გენოციდი (&220ა) და განსაცდელში მიტოვება (&221), განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, სადაც ეს დანაშაულები ცალკე თავებშია მოთავსებული (დანაშაული კაცობრიობის, მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ის 407 –ე მუხლი – გენოციდი) და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა). ფაქტობრივად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის &221-ე (განსაცდელში მიტოვება) თავის თავში აერთიანებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება), 128 – ე (განსაცდელში მიტოვება) და 129-ე (დაუხმარებლობა) მუხლებს.

რაც შეეხება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ისინი მოთავსებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მეჩვიდმეტე თავში. კანონი განსხვავებს შემდეგი სახის ჯანმრთელობის დაზიანებებს: ჯანმრთელობის დაზიანება (&223-ე), სახიფათო ჯანმრთელობის დაზიანება (&224-ე), მძიმე ჯანმრთელობის დაზიანება (&226-ე), ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით (&22-ე), ჯანმრთელობის დაზიანება მიყენებული გაუფრთხილებლობით (&229-ე). ამ თავში შედის ასევე კიდევ რამდენიმე მუხლი, მაგალითად, &231 – ე – ჩხუბში მონაწილეობა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს.¹⁷⁰ ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის განმარტება

170 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი 1998 წლის 13 ნოემბრის რედაქციით (ცვლილებებით და დამატებებით) <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1242733&subID=100102942,100102944,100103628,100103844#text>

კანონში მითითებული არ არის. მხოლოდ მოცემულია ზიანის მიყენების კონკრეტული ფაქტი. ჯანმრთელობის დაზიანება (&223-ე) ადგენს, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრება მას, ვინც სხვა პირს მიაყენებს სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებას, ხოლო სახიფათო ჯანმრთელობის დაზიანება (&224-ე) კი უკვე ადგენს ჯანმრთელობის დაზიანების მიყენების გარკვეულ გარემოებებს, ესენია: შხამის ან ადამიანისათვის სხვა მავნე ნივთიერების გამოყენება, იარაღის ან სხვა სახიფათო საშუალების გამოყენება, მუხანათური თავდასხმა, სხვა პირთან ერთად, სიცოცხლისათვის სახიფათო მკურნალობით. ამ უკანასკნელი დანაშაულის ჩადენის ხერხი განსაკუთრებით აქტიუალური იქნებოდა ქართულ რეალობაში. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (&226-ე) კი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებული კარგავს მხედველობას, ერთ ან ორივე თვალზე, სმენას, მეტყველებას, რეპროდუქციულ უნარს, კარგავს ორგანოს ან დიდი ხნის განმავლობაში არ შეუძლია გარკვეული ორგანოებით სარგებლობა, დაზარალებული სახიჩრდება ან ხდება ქრონიკულად ავადმყოფი და სხვა. როგორც ვხედავთ, ეს მუხლი ძალიან ჰგავს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლს (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). საინტერესოდ მიგვაჩნია &228-ე – დაზარალებულის თანხმობა. ეს პარაგრაფი გულისხმობს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის თანხმობის მიუხედავად, ჯანმრთელობის დაზიანების მიყენება არღვევს ზოგადი მორალის ნორმებს.¹⁷¹

ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მხოლოდ ორი ნაწილი – სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მუხლები. როგორც ვხედავთ, გერმანულ და ქართულ კანონმდებლობებს შორის, მიუხედავად მნიშვნელოვანი სხვაობისა, საკმაო მსგავსებაც არის.

კიდევ ერთი კონტინენტური სამართლის ქვეყანას მიეკუთვნება საფრანგეთი. საფრანგეთის სისხლის სამართლის

171 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013. С. 23

კოდექსის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში რეალიზებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, პრიორიტეტია პიროვნების უფლებების დაცვა, დამძიმებულია პასუხისმგებლობა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულებზე, ამასთან ფართოდ გამოიყენება კომპრომისული ნორმები¹⁷².

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსს ძალიან რთული სტრუქტურა გააჩნია, რადგან სისხლისსამართლებრივი ნორმები მოცემულია არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ სხვა ნორმატიულ აქტებშიც, რომლებიც შეიძლება მიიღოს როგორც საკანონმდებლო ორგანომ, ასევე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მოთავსებულია საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მეორე წიგნის მეორე ნაწილში. ფრანგულ სისხლის სამართალში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა იყოფა ორად განზრახ და გაუფრთხილებლად ჩადენილად. განზრახი მკვლელობა იყოფა განზრახ მკვლელობად, წინაგანზრახულ მკვლელობად და მონამვლად (ფრანგული სამართლის მიხედვით, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით). განზრახი მკვლელობა (საფ. სსკ-ის 221-1 მუხლი) წარმოადგენს მარტივი მკვლელობის მაგალითს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე და ანალოგიურია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლისა. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობებს მიეკუთვნება საფრანგეთის სსკ-ის 221-3 მუხლი. მას წინაგანზრახვით ჩადენილ მკვლელობას უწოდებენ, რაც გულისხმობს, რომ განზრახვა ბოროტმოქმედს ჩამოუყალიბდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე. ფრანგული სისხლის სამართლის თეორიაში განზრახი ბრალი განისაზღვრება, როგორც საკუთარი ქმედების უკანონო ხასიათის შეგნება, ასეთი ქმედების ჩადენისა და მავნე შედეგის დადგომის სურვილი¹⁷³.

172 Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части: учебник для магистров, ред. Н.Е. Криловой, 4-е изд, М., 2013. С. 779

173 Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части: учебник для магистров, ред. Н.Е. Криловой, 4-е изд, М., 2013. С. 245-246

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 221-5 მუხლი ეხება მკვლელობას რომელიც ჩადენილია შხამით ან ისეთი ნივთიერების დანიშვნით, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი. ეს მუხლი ქმნის მონამვლის შემადგენლობას. აღსანიშნავია ის, რომ მონამვლის შემადგენლობის შესრულებისათვის აუცილებელი არაა დაზარალებულის გარდაცვალება. საწამლავიანი ნივთიერების მიწოდება საკმარისად არის მიჩნეული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ჩვენი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეს მუხლი „შეკვეცილ შემადგენლობას“ ჰგავს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლები, როგორცაა 221-2 და 221-4 ქმნიან ზემოთ განხილული ძირითადი შემადგენლობების დამამძიმებელ გარემოებებს, რომელთაც მიეკუთვნება, მაგალითად: განზრახი მკვლელობა, რომელიც წინ უსწრებს, თან ახლავს ან მოსდევს სხვა დანაშაულს; არასრულწლოვნის, უმწეოს ან წინასწარი შეცნობით ფეხმძიმე ქალის მიმართ, რასაც საფუძვლად უდევს რასობრივი, ეთნიკური, ნაციონალური რელიგიური ან სქესობრივი ორიენტაცია, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ და სხვა¹⁷⁴

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 221-6 მუხლი ეხება, ეგრეთ წოდებულ, არაგანზრახ მკვლელობას. ამ მუხლის პირველი აზრად გვეუბნება, რომ სხვა პირისთვის სიკვდილის მიყენება დაუდევრობის, გაუფრთხილებლობის, უყურადღებობის, უსაფრთხოების ან წინდახედულობის მოვალეობის შეუსრულებსას, რომელიც პირზე დაკისრებული იყო კანონით ან რეგლამენტით, ქმნის არაგანზრახი მკვლელობის შემადგენლობას¹⁷⁵ როგორც აღნიშნავენ მკვლევრები, ამით ფრანგმა კანონმდებელმა კოდექსში შემოიღო არაპირდაპირი განზრახვა. მოცემული შემთხვევისათვის ბრალის ამ ფორმას ფრანგი იურისტები განმარტავენ შემდეგნაირად:

174 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 41

175 საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 1992 წლის რეაქციით, (ცვლილებებით და დამატებებით) <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1243018&subID=100104265,100104266,100104298,100105410,100105411,100105686,100105693#text>

პირს შეცნობილი აქვს სხვა ადამიანისთვის სიკვდილის მიყენების რისკი, მაგრამ შეგნებულად იგნორირებას ამ რისკს, ამასთან შეგნებულად არღვევს მასზე დაკისრებული უსაფრთხოების რაიმე ვალდებულებას ან წინდახედულობას¹⁷⁶

2001 წლიდან მკვლელობისთვის და ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობა ვრცელდება ასევე იურიდიულ პირებზე.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ძალადობრივი ქმედების (ძალადობრივი ქმედება ფრანგულ სისხლის სამართალში შეესაბამება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავს) შემდეგ სახეებს: ძალადობრივი ქმედება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი წინასწარი განზრახვის გარეშე (222-7), ძალადობრივი ქმედება, რომელმაც გამოიწვია დასახიჩრება ან ქრონიკული დაავადება (222-9), ძალადობრივი ქმედება, რომელმაც გამოიწვია შრომისუნარიანობის დაკარგვა რვა დღეზე მეტი ვადით (222-11), ძალადობრივი ქმედება, რომელმაც გამოიწვია შრომისუნარიანობის დაკარგვა რვა დღით ან ნაკლები ვადით (222-13), სისტემატური ძალადობა თხუთმეტი წელს მიუღწეველ პირზე, უმწეო მდგომარეობაში მყოფზე ან წინასწარი შეცნობით ფეხმძიმე ქალზე (222-14), ისეთი მედიკამენტის დანიშვნა, რამაც ზიანი მიაყენა სხვა პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ხელშეუხებლობას (222-15). ამ პარაგრაფის სხვა მუხლები ადგენს პასუხისმგებლობას ძირითადი შემადგენლობების დამამძიმებელი გარემოებებისათვის. როგორც ვხედავთ, ფრანგული სამართალი არ იცნობს ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების დაყოფას სიმძიმის ხარისხის მიხედვით როგორც ეს ახასიათებს ქართულ კანონმდებლობას. საფრანგეთის სისხლის სამართალში ძალადობრივი ქმედებების ძირითადი გასამიჯნი კრიტერიუმი შრომისუნარიანობის დაკარგვის ხანგრძლივობა და კონკრეტული დაზიანების სახეებია, ასევე დაზარალებულის მდგომარეობა ან გარკვეული მახასიათებლები როგორც ეს

176 Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части: учебник для магистров, ред. Н.Е. Криловой, 4-е изд., М., 2013. С. 791-792

222-14 მუხლშია¹⁷⁷

დაბოლოს, პიროვნების ხელშეუვალობის არაგანზრახი ხელყოფა, რამაც გამოიწვია შრომისუნარიანობის დაკარგვა სამ თვეზე მეტი ვადით ან სამი თვით, ან სამ თვეზე ნაკლები ვადით, გამონვეული დაუდევრობით, გაუფრთხილებლობით, უყურადღებობით, უსაფრთხოების ან წინდახედულობის მოვალეობის შეუსრულებლობისას, რომელიც პირზე დაკისრებული იყო კანონით ან რეგლამენტით (საფ. სსკ-ის 222-19, 222-20 მუხლები)¹⁷⁸. ფრანგული კანონმდებლობისა და არაპირდაპირი განზრახვის მათი განმარტებიდან გამომდინარე, ეს მუხლები ადგენენ პასუხისმგებლობას, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით რომ ვიმსჯელოთ, რომელიც მოთავსებულია პირდაპირ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, მაგრამ რომელიც უფრო გაუფრთხილებლობისაკენ იხრება.

ინგლისი როგორც ფუძემდებელი მიეკუთვნება ანგლოსაქსური სამართლის სისტემას. შესაბამისად, ამ ქვეყნის კანონმდებლობას დანაშაულების შესახებ აქვს არატიპური, თავისებური ხასიათი, თვით აშშ –ის კანონმდებლობასთან შედარებითაც კი. ეს სხვაობა ვლინდება სამართლის ყველა დარგში, მათ შორის სისხლის სამართალშიც, კოდიფიცირებული ფორმის არარსებობით. არარსებობს ასევე დანაშაულების ერთიანი კლასიფიკაცია. დანაშაულის კლასიფიკაცია ხდება იმ პირის მიერ ვინც მას ახორციელებს და არ არის დამოკიდებული დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტზე, მის მნიშვნელობაზე, დანაშაულის სიმძიმეზე რადგან ასეთი ცნებები არ არსებობს არც თეორიაში და არც კანონმდებლობაში. მოცემული დროისთვის ინგლისურ კანონმდებლობაში, ცალკეულ პრეცედენტებში, სტატუტურ კანონებსა და სისხლის სამართლის სხვა წყაროებში მოცემულია 7300 – დან 7500 დანაშაულამდე. სისხლის სამართლის კანონმდებლობის სის-

177 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 44
178 საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 1992 წლის რეაქციით (ცვლილებებით და დამატებებით) <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1243018&subID=100104265,100104266,100104298,100105410,100105411,100105686,100105693#text>

ტემატიზაცია საკანონმდებლო დონეზე ხორციელდება კონსოლიდირებული ნორმატიული აქტების გამოცემით სტატუტების-კანონების სახით¹⁷⁹

ინგლისურ სისხლის სამართალში ნორმები დანაშაულების შესახებ, „ინგლისის კანონების კრებული“ იყოფა სამ ნაწილად: სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა და ადამიანის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მიეკუთვნება დანაშაულები სიცოცხლის წინააღმდეგ, დანაშაულები ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, რომელთაც არ გამოუწვევია სიკვდილი და სქესობრივი დანაშაულები.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები განსაზღვრულია 1957 და 1965 წლების კანონით მკვლელობის შესახებ და 1938 წლის კანონით ბავშვების მკვლელობის შესახებ. კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამი სახის მკვლელობა: მარტივი მკვლელობა, მძიმე მკვლელობა და ბავშვების მკვლელობა. მარტივი მკვლელობა არის იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მძიმე, მაგალითად, მაშინ, როდესაც არ არსებობს ბოროტი წინაგანზრახვა. განასხვავებენ მარტივი მკვლელობის ორ სახეს: მარტივი განზრახი მკვლელობა და მარტივი მკვლელობა ჩადენილი გაუფრთხილებლობით.

მარტივ განზრახ მკვლელობად ითვლება ისეთი ქმედება, როდესაც ის ჩადენილია რაიმე შემამასუბუქებელი გარემოებით, მაგალითად, შეზღუდული შერაცხადობის დადგენისას, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფით ან პროვოკაციით (ძალიან ჰგავს საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლს; განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბოროტმოქმედი მონაწილე იყო ორი ან მეტი პირის თვითმკვლელობის ჩადენის შეთანხმებაში. მარტივი მკვლელობა ჩადენილი გაუფრთხილებლობით გულისხ-

179 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 65

მოხსნა ბოროტმოქმედის განზრახვის არარსებობას, ჩაიდინოს მკვლელობა ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მაშინ, როდესაც ქმედება უკანონოა, სახიფათო ან პირი ავლენს დანაშაულებრივ დაუდევრობას, ან მოქმედებს სუბიექტური გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების რისკის მიმართ¹⁸⁰.

ეგრეთ ნოდებული მძიმე მკვლელობის განმარტება განსაზღვრულია მე-17 საუკუნის დოქტრინალურ დებულებებში მკვლელობის შესახებ, რომლებიც მოცემულია ე. კუკის შრომებში და დღეს ითვლება კლასიკურად. მძიმე მკვლელობა ინგლისური სამართლით შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: დამოუკიდებელი ფიზიკური, გონიერი არსების, რომელსაც იცავს სამეფო, უკანონოდ სიცოცხლის მოსპობა გამოხატული ან ნავარაუდები ბოროტი წინაგანზრახვით, თუ სიკვდილი დადგა ერთი წლის და ერთი დღის განმავლობაში. ჩამოთვლილი ნიშნებიდან „უკანონო“ მიჯნავს მძიმე მკვლელობას კანონიერი სიცოცხლის მოსპობის ყველა სახისგან, ხოლო „ბოროტი წინაგანზრახვა“ იმ სახის განზრახვი მკვლელობისაგან, რომელიც მიეკუთვნება მარტივ მკვლელობებს. ბოროტი წინაგანზრახვა ვლინდება გარკვეული პირის მკვლელობის განზრახვაში, რომელიც სინამდვილეში ხდება დანაშაულის მსხვერპლი¹⁸¹.

მკვლელობის მესამე სახე – ბავშვის მკვლელობა დადგენილია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1938 წლის კანონით ბავშვების მკვლელობის შესახებ. ადრე მოქმედი 1922 წლის კანონი ძალიან მკაცრი იყო. ის ითვალისწინებდა უვადო პატიმრობას დანაშაულის ჩადენის გარემოებების მიუხედავად. ახალმა კანონმა კი გვერდი აუარა ასეთ უკიდურესობებს და დაადგინა, მაგალითად, რომ დედის მიერ ბავშვის მკვლელობა, რომელსაც არ მიუღწევია 12 თვისათვის, თავისუფლდება მძიმე მკვლელობისათვის პასუხისმგებლობისაგან. თუ ამ ქმედების ჩადენის მომენტისათვის დედის სულიერი ნონასწორობა დარღვეული იყო, რადგან ის ჯერ კიდევ ვერ

180 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 67

181 К. Кенни, Основы уголовного права, М., 1949. С. 135-145

გამოვიდა მშობიარობის და ძუძუთი კვების სტრესული მდგომარეობიდან¹⁸². ეს დანაშაული, გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, ჰგავს საქართველოს სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას – დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა.

ოჯახში ძალადობის დანაშაულის და დანაშაულის მსხვერპლის შესახებ 2004 წლის კანონით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ათ წლამდე ბავშვის, უმწეო ზრდასრული ადამიანის მკვლელობისათვის, რომელიც ჩაიდინა იმავე ოჯახის წევრმა, რომელსაც ეკუთვნის დაზარალებული და, რომელთანაც ჰქონდა ხშირი კონტაქტი¹⁸³

ეს დანაშაული, როგორც ვხედავთ, წარმოადგენს ერთგვარ ერთობლიობას საქართველოს სსკ-ის მე-111 მუხლისა (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და სსკ-ის 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) მე-2 ნაწილის ბ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისა.

პასუხისმგებლობა ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის, რომელთაც არ გამოუწვევიათ სასიკვდილო შედეგი, გათვალისწინებულია 1861 წლის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ კანონში. ამ კანონის მიხედვით, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები იყოფა ორ სახედ: 1) დანაშაულები, რომლებიც აყენებენ დაზარალებულს ჯანმრთელობის მნიშვნელოვან დაზიანებას; ასეთებს მიეკუთვნება სხვისთვის უკანონო და ბოროტი განზრახვით ქრილობის და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება ან სხვა პირისთვის გასროლა მისი დასახიჩრების ან სხეულის სხვა მძიმე დაზიანების მიყენების მიზნით. სხეულის დაზიანება მიიჩნევა მძიმედ თუ ის მნიშვნელოვნად არღვევს ჯანმრთელობას ან დაზარალებულის სიმშვიდეს; ნარკოტიკული ან სხვა მათრობელი ნივთიერების მიცემა იმ დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია გამამტყუნებელ აქტში;

182 Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части, Учебник, ред. И.Д. Козочкина, М., 2010. С. 590

183 Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части, Учебник, ред. И.Д. Козочкина, М., 2010. С. 591

უკანონო და ბოროტი განზრახვით სხვისთვის საწამლავის ან სხვა ნივთიერების მიცემა დაზარალებულის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის ან მისთვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებისათვის¹⁸⁴.

სხვისთვის უკანონო და ბოროტი განზრახვით ჭრილობისა და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვა, მაგრამ არა იმ ოდენობით, რაც რეალურად განხორციელდა, ჩაითვლება ნაკლებად მძიმე დანაშაულად. ინგლისური სამართალი არ იცნობს უკანონოდ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ბოროტი განზრახვის გარეშე ჩადენის ცნებას. მაგალითად, თუ თავდასხმისას ჯანმრთელობის დაზიანება მიყენებულ იქნა გაუფრთხილებლობით, მაშინ შესაძლებელია, სისხლის სამართლის თვალსაზრისით, ეს არც ჩაითვალოს თავდასხმად. შესაბამისად, არც იყოს დანაშაული, თუ ასეთ ქმედებას არ მოჰყვება შედეგად დაზარალებულის გარდაცვალება. ასეთ შემთხვევებში დგება სამოქალაქო და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც ვხედავთ, ამ მხრივ, ინგლისური და ქართული კანონმდებლობა საკმაოდ განსხვავებულია.

2) დანაშაულები, რომლებიც დაზარალებულს აყენებენ ჯანმრთელობის უმნიშვნელო დაზიანებას. 1861 წლის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ კანონში ასეთ ქმედებებზე მიჩნეულია თავდასხმა და ძალადობა.

თავდასხმა მოცემულ კანონში განმარტებულია როგორც უკანონო მცდელობა სხვა პირის მიმართ. ბოროტმოქმედმა განახორციელოს სხეულის ხელშეუხებლობაზე ძალადობრივი ხელყოფა, ხოლო ძალადობა კი სხვა პირის მიმართ ხელყოფის რეალურად განხორციელებაა შურისძიებით, რისხვით, უხეშად ან თავხედურად. მარტივად რომ ვთქვათ, თავდასხმა ეს ქმედებაა, რომელიც წარმოადგენს მცდელობას ან მუქარას სხვა პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების, ხოლო ფიზიკური ძალის უშუალო გამოყენება კი ძალადობაა¹⁸⁵. თავდასხმის არსი გულისხმობს დაზარალებულისთვის შიშის

184 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, СПб., 2013. С. 69

185 К. Кенни, Основы уголовного права, М., 1949. С. 165

შეგრძნების წარმოშობას, რომ მას მიაყენებენ ფიზიკურ ძალადობას. დღეს ინგლისში თავდასხმად ითვლება მუქარის განხორციელებაც.

1997 წლის აქტი „დაშინების“ შესახებ თავდასხმად მიჩნეულია სატელეფონო ზარები მაშინაც კი, როდესაც ბოროტმოქმედი ხმას არ იღებს. თავდასხმას გააჩნია მაკვალიფიცირებული გარემოებებიც, ესენია: თავდასხმა, რომელიც განხორციელდა თვითონ ბრალდებულის ან სხვა პირის დაკავებისათვის ხელის შესაშლელად, თავდასხმა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მომენტში მყოფი პოლიციელის მიმართ ან პირის მიმართ, რომელიც მას ეხმარება, ქალზე უხამსი თავდასხმა. თავდასხმის ცალკეულ სახეს წარმოადგენს თავდასხმა რასისტულ საფუძველზე¹⁸⁶

1861 წლის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ კანონში, გარდა ადამიანის უშუალოდ ხელყოფის დანაშაულებისა, გათვალისწინებულია დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას ხელყოფენ საყოველთაოდ საშიში საშუალებებით. ასეთ დანაშაულებს მიეკუთვნება აფეთქების მცდელობა, აფეთქება (რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას), ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონო ფლობა ან წარმოება. სისხლისსამართლებრივად ასევე დასჯადია ხაფანგის ან სხვა საშუალების მონეობა ადამიანის მკვლელობის ან მისთვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების მიზნით. ასევე დანაშაულად ცხადდება მატარებლის მგზავრების სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენება რელსების დაშლით ან მათზე სხვადასხვა სხეულის, ქვების, ხის მორების, დადებით.

როგორც ვხედავთ, ინგლისური სისხლის სამართალი ფუნდამენტურად განსხვავებულია ქართული სისხლის სამართლისაგან. ეს ვლინდება როგორც დანაშაულთა უშუალო სახეებში, ასევე დანაშაულებრივი ქმედებების ზოგად სისტემაში, რაც არცაა გასაკვირი, რადგან მივეკუთვნებით სამართლის განსხვავებულ სისტემებს.

ანგლოსაქსური სამართლის სისტემის კიდევ ერთი

186 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 70

წარმომადგენელია აშშ. ამ ქვეყნის სისხლის სამართლის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს ამ დარგში სამართლის ერთიანი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში სამაგალითო კოდექსის მიღების მიზანს წარმოადგენდა შტატების კანონმდებლობაში გარკვეული ერთიანობის მიღწევა და მათი დაახლოება ფედერალურ კანონმდებლობასთან, ამ ინიციატივას მხოლოდ რამდენიმე შტატი გამოეხმაურა. დანარჩენებმა კი გააგრძელეს საკუთარი სისხლის სამართლის კოდექსების უკვე ჩამოყალიბებული მათეული ტრადიციებით განვითარება. შტატების სისხლის სამართლის კოდექსები განსხვავდებიან როგორც დასჯადი ქმედებების სახეებით, ასევე მათი სტრუქტურით. აშშ-ის სისხლის სამართლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში არ არსებობს ზოგადი და კერძო ნაწილის ცნება. შესაბამისად, არ არსებობს ასევე ნორმათა ფორმალური დაყოფა ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმებად, როგორც ეს ქართულ სამართალშია. კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მატერიალური და პროცესუალური შინაარსის ნორმების ერთმანეთში გადახლართვა. ეს განპირობებულია იმით, რომ ანგლოსაქსურ სამართლის სისტემაში მატერიალური და პროცესუალური ნორმების შესახებ არსებობს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენები, რაც იმას მოწმობს, რომ სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან, თუ საერთოდ დგას ასეთი პრობლემა¹⁸⁷.

აშშ-ში თანამედროვე სისხლის სამართლის, მისი კერძო ნაწილის და, კონკრეტულად, სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე წარმოდგენის შესაქმნელად განვიხილოთ ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1974 წლის პირველ იანვარს და ცვლილებებითა და დამატებებით მოქმედებს დღემდე.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

187 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 91

მოთავსებულია ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 თავში. ეს თავი შედგება ოთხი მუხლისაგან, რომლებშიც გათვალისწინებულია: მძიმე მკვლელობა; მძიმე მკვლელობა, რომელისთვისაც გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა; მარტივი მკვლელობა და მკვლელობა დანაშაულებრივი დაუდევრობით.

მუხლი 19.01 განმარტავს მკვლელობას, როგორც: პირის მიერ განზრახ, შეგნებულად ან გაუფრთხილებლობით ინდივიდისათვის სიკვდილის მიყენებას¹⁸⁸

მძიმე მკვლელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი განზრახ ან შეგნებულად აყენებს სიკვდილს ინდივიდს; აქვს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვა და ჩადის ქმედებას, რომელიც აშკარად სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისთვის, რის შედეგად დგება პირის სიკვდილი; ჩაიდინა ან ცდილობს ჩაიდინოს ფელონია, მაგრამ არა მარტივი მკვლელობა; დანაშაულის ჩადენის ან მისი მცდელობისას; დანაშაულის ჩადენის ან მისი მცდელობის ადგილიდან გაქცევისას პირი ჩადის ან ცდილობს ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც აშკარად საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის და, რომლის შედეგადაც დადგა ინდივიდის სიკვდილი. ასეთი ქმედებები მიჩნეულია პირველი ხარისხის ფელონიად. ამავე მუხლში მოცემულია „ადეკვატური მიზეზის“ და „აფექტის“ შესახებ შენიშვნები, რომლებზეც მითითების უფლება გააჩნია ბრალდებულს, და თუ ის დაადასტურებს ამ მდგომარეობათა არსებობას, მაშინ მისი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მეორე ხარისხის ფელონია¹⁸⁹

ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის 19.03 მუხლი შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს მკვლელობის დროს. ის შვიდი ნაწილისგან შედგება და დამამძიმებელ გარემოებებად მასში გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები, როგორიცაა, მაგალითად: სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის ან მეხანძრის მკვლელობა, რომელიც ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ბოროტ-
188 ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, შესული ძალაში 1974 წლის 1 იანვარს (ცვლილებებით და დამატებებით)

189 ფელონია-საშიში, მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული

მოქმედმა იცის ამის შესახებ (1-ლი ნაწილი), პენიტენციულ-ური დაწესებულებიდან გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას ჩადენილი მკვლელობა (მე-4 ნაწილი), ორი ან მეტი პირის მკვლელობა (მე-7 ნაწილი) და სხვა. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა სასჯელად ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

მარტივ მკვლელობას (19.04) განეკუთვნება გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობა და ის მიეკუთვნება მეორე ხარისხის ფელონიას. საინტერესოა, რომ შემდეგი 19.05 მუხლი შეეხება დანაშაულებრივ დაუდევრობას (განეკუთვნება ფელონიას), განსხვავებით ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან, სადაც 116-ე მუხლში მოცემულია ორივე ფორმის გაუფრთხილებლობა, ტეხასის შტატის კანონმდებლობა ცალ-ცალკე მუხლებად გამოყოფს მათ.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები გათვალისწინებულია 22-ე თავში (22.01 მუხლი – „თავდასხმა“). ამ მუხლში გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც: პირი ახდენს ხელყოფას, თუ ის განზრახ, შეგნებულად ან გაუფრთხილებლობით აყენებს ჯანმრთელობის დაზიანებას სხვა პირს, საკუთარი მეუღლის ჩათვლით (ყურადღება მისაქცევია მუხლში საკუთარი მეუღლის მიმართ თავდასხმის ცალკე გათვალისწინებაზე); განზრახ ან შეგნებულად ემუქრება სხვა პირს, საკუთარი მეუღლის ჩათვლით, ჯანმრთელობის დაუყონებლივ დაზიანებით ან განზრახ ან შეგნებულად ახორციელებს ფიზიკურ კონტაქტს სხვა პირთან, თუ ამ პირმა იცის ან შეიძლება ვარაუდობდეს, რომ ეს სხვა პირი აღიქვამს ასეთ კონტაქტს, როგორც გამომწვევს და პროვოკაციულს¹⁹⁰ დასჯადია თავდასხმის თვით ფაქტი, მიუხედავად მისი ჩადენის ხერხებისა და შედეგისა.

ჩვენ მიმოვიხილეთ ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, გვინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ ამერიკის სამაგალითო კოდექსს, რომელიც მი-

190 ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, ძალაში შევიდა 1974 წლის 1 იანვარს (ცვლილებებით და დამატებებით), მუხლი 22. 01

ღებულ იქნა 1962 წელს. როგორც აღვნიშნეთ, მან ვერ მოახდინა დიდი გავლენა შტატების კოდექსებზე, თუმცა ძალიან საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს.

აშშ-ის სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილის 210.0 მუხლი, მაგალითად, ადგენს: „ადამიანის“, „ჯანმრთელობის დაზიანების“, „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების“ და „სასიკვდილო იარაღის“ ცნებებს¹⁹¹. ამ ცნებების განმარტების შემდეგ კი 210.1 მუხლში უკვე მოცემულია მკვლელობის ცნება, რომელიც შემდეგნაირადაა განმარტებული: „პირი დამნაშავეა ადამიანის მკვლელობაში, თუ ის გამიზნულად, განზრახ, დაუფიქრებლად ან გაუფრთხილებლობით აყენებს სიკვდილს სხვა ადამიანს“¹⁹².

მომდევნო მუხლებში კი მოცემულია მკვლელობის სხვადასხვა სახეები. რაც შეეხება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივი ქმედებების თავს, აქ საინტერესოა 211.2 მუხლი – სხვა პირის დაუფიქრებლად საფრთხეში ჩაყენება.¹⁹³ ეს მუხლი შეიცავს, როგორც პირის საფრთხეში ჩაყენების შემადგენლობას, ასევე მის მიმართ გაუფრთხილებელ ქმედებას. მუხლის შინაარსი შემდეგია: პირი ჩადის მისდამინორს, თუ მან დაუფიქრებლად განახორციელა ქმედება, რომელიც სხვა პირს უქმნის ან შეუძლია შეუქმნას სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე. დაუფიქრებლობა და საფრთხე პრეზიუმირებულია იმ შემთხვევებში, როდესაც პირი წინასწარ მიმართავს ცეცხლსასროლ იარაღს სხვა პირზე ან სხვა პირისკენ იმის მიუხედავად, უშვებდა თუ არა მოქმედი, რომ ცეცხლსასროლი იარაღი დატენილი იყო თუ არა¹⁹⁴.

აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობა მისი მრავალფეროვნებითა და არაორდინალურობით არის გამორ-

191 აშშ სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1962 წელს. მუხლი 210.0

192 იქვე, მუხლი 211.2

193 მისდამინორი-ნაკლებად საშიში სისხლის სამართლის დანაშაული

194 იქვე, მუხლი 211.2

ჩეული. ის საკმაოდ საინტერესო დებულებებს შეიცავს, რომელთა ნაწილის გათვალისწინებაც საინტერესო იქნებოდა ქართული სისხლის სამართლისათვის.

ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია იაპონიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ამომავალი მზის ქვეყნის კანონმდებლობაში ისეთ ქმედებებზე შეხედულება, როგორცაა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

იაპონიის სისხლის სამართალმა გაიარა მრავალსაუკუნოვანი გზა. მასზე ზეგავლენა იქონია მრავალმა საშინაო თუ საგარეო ფაქტორმა. მათ შორის იაპონიის იმპერატორების კარჩაკეტილობის პოლიტიკამ, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე გასტანა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან საგარეო პოლიტიკის გახსნა იწყება, რასაც მოჰყვა კაპიტალისტური ურთიერთობის ელვისებური განვითარება, შედეგად აუცილებელი გახდა იაპონიის სამართლებრივი სისტემის სიღრმისეული მოდერნიზაცია. 1907 წელს მიღებული იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დღემდე მოქმედია, მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით, საფრანგეთის 1810 წლის კოდექსის საფუძველზე შემუშავდა, მეორე ნაწილი კი საფუძვლად მიუთითებს გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსს¹⁹⁵.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად გამოყოფენ იაპონური სისხლის სამართლის ნორმების სამ ჯგუფს: კერძო ნაწილის მუხლები, რომლებიც შედის კოდექსის მეორე ნაწილში; სპეციალური სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც მოცემულია სპეციალურ კანონებში; ნორმები, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობებს და ადგენენ პასუხისმგებლობას მათი ჩადენისათვის. ისინი მოცემულია არასისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, ე.წ. ადმინისტრაციულ-სისხლისსამართლებრივ, სამეურნეო-სისხლისსამართლებრივ, შრომის-სისხლისსამართლებრივ სამართალში და ა. შ. მათ მიეკუთვნება ასევე კანონი იაპონიის ბანკის შესახებ, კანონი მშენებლობის შესახებ და სხვა¹⁹⁶.

195 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 102

196 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие,

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილი შედგება 40 თავისაგან. თითოეული მათგანი დასათაურებულია. თავები იყოფა მუხლებად. მათ არა აქვთ სახელწოდებები. მუხლები დაწერილია არქაული ენით, რომელიც ზოგჯერ ართულებს ნათქვამში წვდომას. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ჩატარდა რეფორმა, ეს ხარვეზი დღემდე არ გამოსწორებულა. სტრუქტურულად მუხლები დაყოფილია ხელყოფის ობიექტის, დანაშაულის ჩადენის იარაღისა და სხვა კრიტერიუმებით. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მოთავსებულია მე-12-მე-13, 22-ე-24-ე და 26-ე-34-ე თავებში (ამის გარდა იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში გამოყოფილია ქონებრივი და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები)¹⁹⁷

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე თავის 199-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას მკვლევლობისათვის. მკვლევლობის ცნება კანონში განმარტებული არ არის. იაპონურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ დანაშაულებრივი ქმედების მკვლევობად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია განზრახვის არსებობა, ასეთის არარსებობისას იქმნება ჯანმრთელობის დაზიანების შემადგენლობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა¹⁹⁸

მკვლევობა შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით; დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ სხვა ადამიანი; ჩანასახი, ასევე გვამი, არ ითვლება ადამიანად. ადამიანის გარდაცვალების მომენტად მიჩნეულია ტვინის ბიოლოგიური სიკვდილი. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე თავში ასევე მოცემულია შემდეგი შემადგენლობები: ისეთი ადამიანის მკვლევობა, რომელიც

СП., 2013. С. 102

197 იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი 45 1907წლის 24 აპრილი, 91-ე კანონის რედაქციით, 1995 წლის 12 მაისი (2007 წლის 11 იანვრის მდგომარეობით).

198 Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части, Учебник, ред. И.Д. Козочкина, М., 2010. С. 457-458

არის ბოროტმოქმედის ან მისი მეუღლის ნათესავი პირდაპირი, აღმავალი ხაზით (მუხლი მე-200); 201-ე და 203-ე მუხლები შეეხება მე-200 და 199-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობების მომზადებასა და მცდელობას. (საინტერესოა, რომ კერძო ნაწილის მუხლების ერთ-ერთი სახეა პასუხისმგებლობის დადგენა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, სადაც დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის მუხლები მოთავსებულია ზოგად ნაწილში); 202-ე მუხლი შეეხება ევთანაზიას, კერძოდ, ითვალისწინებს პირის მომზადებას მკვლელობისთვის (აქ იგულისხმება თვითმკვლელობისთვის შემზადება), დახმარება თვითმკვლელობაში, მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით ან მისი თანხმობით. ამ მუხლში შედის ასევე ისეთი შემთხვევა, როგორც არის „სინდზიუ“ ანუ შეყვარებულების თვითმკვლელობა¹⁹⁹. 202-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მიეკუთვნება, ეგრეთ ნოდებულ, პრივილეგირებულ შემადგენლობებს.

ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ მუხლები მოთავსებულია იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე თავში. პასუხისმგებლობა იწყება 204-ე მუხლით, სადაც მხოლოდ ნათქვამია, რომ პასუხისგებაში მიეცემა პირი, რომელმაც დააზიანა სხვისი ჯანმრთელობა. 205-ე მუხლი ეხება ქმედებას, რომლის დროსაც ჯანმრთელობის დაზიანებამ გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი. როგორც ვხედავთ, ეს მუხლი შეიძლება შევადაროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე მუხლებით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაზიანებებს, რომელთაც მოჰყვა მსხვერპლის გარდაცვალება, მაგალითად, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ან სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

საკმაოდ საინტერესოა 206-ე მუხლი. ის განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, როგორცაა 204-ე და 205-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ადგილზე სხვების ნაქეზება ისე, რომ თვითონ არ

199 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 104

მონაწილეობს ვინმეს ჯანმრთელობის დაზიანებაში. ასევე განსხვავებული და ყურადსაღებია 207-ე მუხლი, სადაც მოცემულია, რომ: თუ ორი ან მეტი პირი ჩადის ძალადობრივ ქმედებას, რომლის შედეგად ადამიანს ადგება ჯანმრთელობის დაზიანება და შეუძლებელია დადგენა, რომელმა ბოროტმოქმედმა მიაყენა უფრო ნაკლები ან უფრო მეტი დაზიანება ასევე კონკრეტულად თუ რომელმა თავდამსხმელმა მიაყენა დაზიანება, გამოიყენება თანამონაწილეობის ნორმები, მიუხედავად იმისა, თავდამსხმელები მოქმედებდნენ შეთანხმებით თუ არა²⁰⁰ ამ ნორმის ანალოგი ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს.

208-ე მუხლი ეხება ძალადობას და ის განმარტებულია კანონში, როგორც ძალადობრივი ქმედება, რომელსაც არ მოჰყვოლია ჯანმრთელობის დაზიანება. ეს მუხლი გარკვეულწილად ანალოგია საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის, ძალადობა.

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე თავი შეეხება გაუფრთხილებელ მკვლელობასა და ჯანმრთელობის დაზიანებას. იაპონიის სისხლის სამართალი არ იცნობს გაუფრთხილებლობის სახეებად დაყოფას, როგორც ეს ქართულ სისხლის სამართალს ახასიათებს. საინტერესოდ მიგვაჩნია 211-ე მუხლი, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას ორი სახის გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანების ან მკვლელობისათვის, ესენია გაუფრთხილებლობა პროფესიული საქმიანობის შესრულებისას და უხეში გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა პროფესიული საქმიანობის შესრულებისას გულისხმობს სპეციალური სუბიექტის მიერ, რომელსაც აკისრია გარკვეული ვალდებულება, უყურადღებობის გამოჩენა, მაგალითად ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ავტოავარია, როდესაც მძღოლის უყურადღებობას მოჰყვება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიკვდილი²⁰¹.

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კა-

200 იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი 45 1907 წლის 24 აპრილი, 91 კანონის რედაქციით, 1995 წლის 12 მაისი (2007 წლის 11 იანვრის

201 Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СПб., 2013. С. 105

ნონმდებლობაზე, კონკრეტულად კი, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავისებურებებზე, ერთი თვალის გადავლება ე. ი. არასიღრმისეული ჩახედვაც კი ცხადყოფს, რომ ქართული სისხლის სამართალი არანაირად არ ჩამორჩება წამყვანი სამართლის ქვეყნების პოზიციებს. ზოგიერთ ასპექტში შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა უკეთესად არეგულირებს გარკვეულ ურთიერთობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1998 წლის 13 ნოემბრს რედაქციით (ცვლილებებით და დამატებებით), <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1242733&subID=100102942,100102944,100103628,100103844#text>
2. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 1992 წლის რეაქციით, (ცვლილებებით და დამატებებით), <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1243018&subID=100104265,100104266,100104298,100105410,100105411,100105686,100105693#text>
3. ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, შესული ძალაში 1974 წლის 1 იანვარს (ცვლილებებით და დამატებებით).
4. აშშ-ის სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1962 წელს.
5. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი 45, 1907 წლის 24 აპრილი, 91 კანონის რედაქციით, 1995 წლის 12 მაისი (2007 წლის 11 იანვრის მდგომარეობით). <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1241616&subID=100097517,100097519,100097546,100097651#text>
6. Давид Р. Основные правовые системы современности. М., 1997.
7. Курс уголовного права. Общая часть. Ред. Н.Ф.

Кузнецовой, Н.М. Тяжковой. М., 1999. Т. 1: Учение о преступлении.

8. Л.С. Аистова, Д.Ю. Краев, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, СП., 2013.

9. И.А. Юрченко, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, М., 2015.

10. Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части: учебник для магистров, ред. Н.Е. Криловой, 4-е изд, М., 2013.

11. К. Кенни, Основы уголовного права, М., 1949.

12. Уголовное право зарубежных стран, Общая и Особенная части, Учебник, ред. И.Д. Козочкина, М., 2010.

კორექტორები: მისხეილ მგალობლიშვილი,
გიორგი ბოცვაძე

ტექნიკური რედაქტორი: თამარ ბარამია

უცხოენოვანი ლიტერატურათა თარგმანი: კოკა
გაბელია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: რატი გაბისო-
ნია

ყდის დიზანი: ლაშა ძაგანიშვილი